

644/1  
1958/3  
N 1-2

2

98  
НАЦИОНАЛ  
БИБЛИОТЕКА

20  
**Омзгпма**

644/3

**1**

ქვეყნის

ლიბერატორულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
შუბნალი

საქართველოს ალკა ც. კ-სა და  
შვირალთა კავშირის ორგანო

31/3  
644/3  
1958

შ ი ნ ა კ რ ს ი

ჯ. ჩარკვიანი — მომავლის შუერა (ლექსი)	3
შ. ნიშნიანიძე — ლექსები	4
• ა. დავითიშვილი — სინათლე (მოთხრობა)	9
რ. ინანიშვილი — მოთხრობები	21
ე. შიფინი — ხალხი (მოთხრობა)	33
ი. რურუა — შუქი და ჩრდილი (მოთხრობა)	37
ბ. კაჭახიძე — ლექსები	43
ბ. გოგიჩაიშვილი — პირველი დღეები (რომა- ნი. გაგრძელება)	45
მ. ფოცხიშვილი — ლექსები	64
ო. ზილაძე — ლექსები	67
კორეული ლირიკა — XV — XVIII საუკ. პოე- ტები (თარგმნა თამაზ ჩხენკელმა)	70
ვიმბნაშვილი ზღაპრები (თარგმნა შოთა ბაქრა- ძემ)	73

752

1

1958

ინჰვარი

სახელმწიფო  
გამომცემლობა  
„საბჭოთა  
საქართველო“

ჩვენი აღმნიშვნები

შ. ძიძიგური — ორი ენათმეცნიერი	77
ბ. გეგეჭკორი — მახანაშვილების ოჯახი	82

მოგზაურის დღიური

ს. ზელიძე — ფერეიდანში	86
------------------------	----

კუპლიკატი

ს. ქაუხიშვილი — მეშვიდე საუკუნის ნოვე- ლისტი იოანე მოსხი	99
ყაჩაღთა ბრბო. ქალის დანსეულება ტრფობის გა- მო. ერთი ქალწული და მისი მოტრფიალედ ქაბუქი. მეძაფე ქალი მარიაში და მისი მო- ქცევა. ფრიალ მოსწრაფე ბერი (ნოველები)	104

კირიქა და კუპლიცისტიკა

ო. გიგინეიშვილი — საქართველოს ისტორიის საკითხები თანამედროვე თურქულ ისტო- რიოგრაფიაში	110
მ. კეკელიძე — ერთი დეტალი ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან	117



ხელოვნება



ნ. გურაბანიძე — ცეკვაში განცდილი შექსპირი	120
აკ. ბაქრაძე — კინემატოგრაფისტის ჩივილი	127

მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი

მ. შავიშვილი — ატომის ენერჯია ადამიანს ემ-	
სახურება . . . . .	130
შცხოეთის ძრონიკა . . . . .	132

სატირა და იუმორი

ჯ. დუმბავა — ახალწლის ღამით . . . . .	134
გ. ფირცხალავა, დ. მარისთავი, ნ. მასინა —	
ნახატი-ხუმრობები . . . . .	137

უოველი მხრიდან

ალ. გამყრელიძე — ახალი ქართველოლოგიუ-	
რი ნაშრომები უცხოეთში . . . . .	139
ძრონიკა . . . . .	146



შურნალ „მისქარის“ 1957 წლის ნომრების	
შინაარსი . . . . .	156
ახალი წიგნები . . . . .	190



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

- თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მე მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
- ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

## ჯანსუღ ჩაკვიანი

### მომავლის მზერა

საქართველოს კომკავშირის XXII ყრილობის დელეგატებს

ამ მთების სიმწვანე,  
ამ მთების სითეთრე,  
მამულის წვიმა და  
მამულის სუნთქვა,  
ქვეყნის სინიღისი,  
მომავლის სიკეთე,  
რაც უკვე ითქვა და  
რაც ჯერ არ უთქვამთ,  
არხი და ტურბინი,  
ბრძმედი და ატომი,  
დიდი სიყვარულის  
საქმენი, მზე ვით.  
ქვეყნის მღერადიდი,  
რომ არ ვართ მარტონი,  
რომ კვლავაც მიიღივართ  
ლენინის გზებით —

ახალი წიგნი და  
ახალი სამყარო,  
დიდი დედამიწის  
ურყევი ღერძი,  
ამ დიდი ცხოვრების  
ახალი მაყარი,  
ვინც ახალს აშენებს,  
ვინც სიკვდილს ებრძვის,  
მტრედის და მშვიდობის

კედლებზე მხატვარი,  
ჩვენი სამართალის  
ვისაც კი სჯერა,  
სიცივის, გრივალის,  
წამების ამტანი,  
ჩვენი სამშობლოს  
მომავლის მზერა —

ქვეყნის მღერადიდი,  
რომ არ ვართ მარტონი,  
მშვიდობა, და არა  
ტყვიების ჯერი,  
არხი და ტურბინი,  
გემი და ატომი,  
ჩვენი რწმენადიდი,  
სიმხნევე ჩვენი,  
ძლიერი წინაპრის  
ჯანსაღი მემკვიდრე,  
ჩვენი დიდი დროშის  
ლონე და ძალა,  
პურს მკიდე, მტერს მკიდე,  
— ყოველთვის მღეროდე,  
პარტია მიგიძღვის  
ყველგან და მარად,  
— იტოცხლე, იხარე, ახალგაზრდობაე!



## შოთა ნიჟინიანიძე

### სლავი თქვენდა

მოგესალმებით,  
მოგესალმებით,  
ჰე ჰაბუკებო, ქალიშვილებო,  
სიმინდებივით,  
თავთავეებივით,  
ჯეჯილებივით წამოშლილებო!  
წყლიდან აბოჰეთ მზის ენერგია.  
დაიმორჩილეთ ცათა სამყარო  
მშვიდობა შენი წმინდა ნერგია,  
და შენი ოფლით უნდა ახარო!  
კარგი გვეყოლია უფროსი ძმები,  
კარგად იცოდნენ ხიშტის ხმარება,  
ძველი სანგრები და ძველი წლები  
მათ შერჩენიათ შუბლზე ღარებად!  
ასეა მუდამ, ასე იქნება —  
დაზგა არი თუ  
მავთულხლართია —  
იქ დავდუღდებით რკინის რიგებად,  
სადაც გვიბრძანებს დიდი პარტია.  
სანგრების ნაცვლად იყოს ხნულები,  
ტყვიების ნაცვლად იყოს ხორბალი,  
იდგეს მშვიდობის გაზაფხულები,  
არა — ომების კვამლი ყომრალი.  
ვინც ააყვავა ყამირი ბაღად.  
ვინც მოგვიტანა სარჩო ყელამდე —  
ვისაც ღრუბლებში ხარაჩო აჰყავს,  
მას ომი აჰყავს სახარხოვლაზე!  
ჩემო თაობავ, დროშები ზევით!  
მიჰყე ცეცხლოვან დღეების გრიალს!  
მშვიდობის გზებით,  
შენების გზებით —  
წინ კომკავშირო, ნაბიჯით იარ!..

# საქართველოს გზებზე

## I

გვხურავს ჭილის ქულები  
შზისგან დასაფარად,  
სულ ხეტიალს ვუნდებით,  
დავალთ კარდაკარა  
მე და ჩემი ძმობილი —  
კახა კახაბერი  
ხელხელ გადაჭდობილი  
მივალთ, მივიმღერით.  
სიმინდიან იმერეთს,  
ვაზებთან კახეთს  
შევაგროვებთ სიმღერებს...

„კაფე,  
თესე,

კაფე“.

საქართველოს გზებზე  
ხმებს და ფერებს ვეძებთ.

## II

აბა, დასცხე, დასჭექე,  
კახავ კახაბერო,  
მაგ მადლიან ხმისათვის  
ღმერთმა დაგაბეროს!

მალე შევხვევთ ფოთლებში  
კალმახებს და მურწებს,  
მერე ფიჩხის ლაღარში  
გამოვაცხოვთ უცებ.  
წაბლის საწებელაში  
მჭადა-სოკოს ვუწებთ.  
ტივს შევკრავთ და მდინარეს  
ვაპობთ ორთაყვირით,  
არემარე მძინარე,  
ისმენს ორთა ყვირილს.  
— ჰაუ, მთებო, ველებო,  
მივეგებოთ ცისკარს,  
მთებო საკვირველებო,  
დილა მშვიდობისა!

## III

ვიყავ ქართლში, კახეთში,  
გულიც დამრჩა იქა,  
ისევ მესმის ძახილი:  
— გიგააა, ჰაი გიგა!

ჩემო პაპავ, ქიტესა,  
ჩემო ბიძავ, მიხავ,  
კარგა ბლომა ვითესავთ,  
კარგა ბლომა გიხნავთ;  
ათას კოცნას გიგზავნით,  
გამარჯვებით იყავთ.  
ნისლო, გადაიარე  
ხევეთი და კლდენი,  
გადაეცი მთიანეთს  
სიყვარული ჩვენი.

## IV

იმერეთის ბოსტნები,  
ქოჩორა ჯიქურები,  
რიონისკენ ოცნებით,  
ბიჭო, რას იყურები?

მომინდება ბავშვობა,  
მდინარეში ცურვა,  
მერე მზეზე გაშრობა,  
ქილაობა ძმურად.

ძველებურად ბიჭები,  
აჯავრებენ ბუს,  
უცებ წამოვიჭრები  
და ბექიდან ვიძახი:  
— ბონდოია, უუუ...

## V

საყვარელო გურია,  
შენი ნახვა მწყურია...  
შენი მთავრებილები  
ცაზე მიჯაჭველი,  
გზები დაგრებილები,  
როგორც კრიმანჭული.  
„სულ არ მოვალ ამ ქვეყანას, რერო...  
შენ რომ არ მეგულებოდე, რერო...“  
„გურიაში მივალ, მარა  
სული წინ-წინ გაიპარა“.  
გურიაში მოყვრები  
სადაც შემომხვდებიან:  
— „ძამა, შენი კირიმი“...



ყელზე მომეხვევიან.  
 ბერიკაცი თამაღობს,  
 ტოლი ამხანაგური  
 საგანგებოდ სტუმრისთვის  
 თეთრყაბლაზ წაკრული.  
 სტუმრით პატივდებული,  
 სახე გაბრწყინებული,  
 ძველი ნაციმბირალი,  
 გავარდნილი ფირალი,  
 ეხლა სტუმრიანობის  
 მოყვარული ყაძახი.  
 არ ისვენებს, ოხუნჯობს,  
 წამდაუწუმ ჩამძახის:  
 „თუ გიყვარდე დალიე,  
 წვეთიც კი არ დატოვო,  
 თორემ ისე ქათმის ხორცს  
 ტურაც კი ჭამს, ბატონო“...

VI

გაზაფხულის წყალობით  
 ზეცამ გამოიდარა;  
 ერთი კარგი გალობის  
 მეტი არა გვინდა რა.  
 კახამ ნახა ტივიდან  
 ყანა ნახატივითა.  
 როგორც  
 ყურგძელი  
 კურდღელი  
 ოქროს  
 ყურძენი  
 უთვლელი,  
 გაღმა-გამოღმა  
 მინდვრები,  
 გახვალ-გამოხვალ  
 ითვრები.  
 მერე  
 დალანდა  
 წყლისპირი,

ღელე,

ქალა და

წისქვილი.

მერე კობტა ოდები,  
 ბალ-ბოსტანი ლურჯი,  
 ქალაქები,  
 კორდები  
 აამღერა ფუნჯით.  
 მალე მზეს მოიფონებს

ტილო ხოხბისფერი,  
 მე ამოეწნი სტრიქონებს,  
 მერე კახა მღერის.  
 შენი ყელის ჭირიმე,  
 კახა კახაბერო,  
 ემაგ ტკბილი სიმღერით  
 ღმერთმა დაგაბეროს.

VII

დილის ჩიტების არ იყოს,  
 ჩვენც გვინდა შეგუქიკიკოთ:  
 „შენა ხარ ტურფა ვენახი,  
 ჩვენა ვართ შენი ჭიგო,  
 პატარა საქართველო ხარ,  
 ხმლისა და გუთნის დედაო,  
 შრომაში, ვაჟკაცობაში  
 ვერავენ შემოგედაოს.  
 შენ სხვაგვარ წვენით გამზარდე,  
 სხვაგვარ მადლით და მარილით,  
 მტრობაა, სიყვარულია,  
 გადმოხეთქს ნიაღვარივით.  
 თუ ვინმეს ვინმე უყვარდა,  
 ვის ჰყვარებია შენსავით,  
 ვის ჰყვარებია შენსავით  
 მოყვარე, ძმა-ნათესავი.  
 თუ უბრძოლიათ ოდესმე,  
 ვის უბრძოლია შენსავით,  
 თუ უმღერიათ ოდესმე,  
 ვის უმღერია შენსავით.  
 ერო, გულადო, პურადო,  
 სიკეთისა ხარ მთესავი,  
 შეგუება და გატანა  
 ვის შეუძლია შენსავით.  
 შენმა სიკეთე, სატურფემ  
 მამღერა, მაოქროპირა,  
 მე შენი შვილი რომ მქვია,  
 რა ბედნიერი ვყოფილვარ“...

VIII

გვხურავს ჭილის ქუდები  
 მზისგან დასაფარად,  
 სულ ხეტიალს ვუნდებით,  
 დავალთ კარდაკარა.  
 სიმინდიან იმერეთს,  
 ვაზებიან კახეთს,  
 შევაგროვებთ სიმღერებს...



„კაფე...“

თესე...  
კაფე“...  
მე და ჩემი ძმობილი —  
კახა კახაბერი  
ხელხელ გადაქდობილი

მივალთ, მივიმღვრით:

„ქართლ-კახეთი, იმერეთი,  
გურია და სამეგრელო,  
ყველა ჩვენი სამშობლოა —  
საყვარელი საქართველო“...

ლექსება ხაიამზე

გზაზე ვინ მოდის? — ყარიბი მგზავრი  
ხელთ პალმის ტოტით,  
თუთრ ჩალმაზე ნახევარმთვარიით  
ძე ღვთისა მაჰმად, მის მზისა სწორი,  
მაჰმადი მოდის.  
გზა შორზე შორი  
გამოვლო ჯორით.  
ნათესურები დაფარეს ვარდთა,  
ამოჩუხჩუხდნენ წყაროები უდაბნოს

და მისნის კართან

გაღმობდა მგზავრი პალმების

ჩრდილში.

მწუხრი მშვიდობის ისურვა მგზავრმა,  
მაგრამ სტუმარი ვერ იცნეს სულაც...  
კარავში ქმნიდა იღუმალ სურათს  
გედის ყელივით მალალი სურა.  
ზედ მოეძერწა ვიღაცა ლოთისა:  
თავის მიწიერ ვნებათა ლოცვა:  
ვაზის ფოთლებზე ზურგიტ მწოლარე  
შოშველი ქალი ძუძუმტევანა,  
თუთრი, რძესავსე, როგორც მთოვარე;  
წაწყმედილ სულსაც შიგ დაეევანა.  
მოხუცი ქოხში ბარბაცით ადგა  
და საესე ჯამი მიაართვა სტუმარს:  
„ვინც უნდა იყო, ალაჰის მადლმა  
შესვი, გაამოს“.

მყავდა ერთი მეგობარი,  
სხვა მეგობრებს არ ჰგავდა;  
მისი თბილი შემოხედვა  
ბავშვურ ღიმილს ჰქარგავდა.

ნათელი და მეოცნებე  
ჰქონდა ლურჯი თვალები, —

კარავში უცებ დადგა საღამო  
და ჯამში ღვინო ამოშრა უმაღ.  
„ვაიო“... მოხუცს ამოხდა ერთი...  
ხელაპყრობილი ცას შეაშტერდა,  
მერე დაემხო მეუფის ფერხით,  
მერე ამბორყო მის ფეხთა მტვერთა.  
განათდა ქოხი... და ერთადერთი  
დაეცა ცრემლი მაჰმადის წვერებს  
და ცათა ხმითა ღალაღაყო მერე:  
— შვილო ცოდვილო, დახშული გაქვს  
სათუღლოს ბჭენი,  
მაჰმადის რჯულით იკრძალება ნუნუას  
წვენი...

გაფითრებული წამოდგა ბრძენი  
და შეეხიტყვა გრძნეული ენით:  
„პოი მოძღვარო, ამა ქვეყნის  
სამართლის მიკვირს,  
რად არი შენი ხაიამი ბედით ეული,  
რად მეკრძალება ნუნუას წვენი...  
ღვინოს თავადაც უნდა სემადეს  
უფალი ჩვენი —  
აბა რამ შექმნა ეს ქვეყანა ასეთი  
ბრიყვი

და არეული?!“

გზაზე ვინ მიდის? ყარიბი მგზავრი?

მეგობარი ვერ მოვძებნე  
მისი შესაღარები.

დადიოდა სახემწყარალი,  
არაფერი მოსწონდა,  
მაგრამ სხვისი ნაპერწყალიც  
ანთებდა კოცონად.





სხვისი მადლი, თუნდაც ცოტა,  
ახარებდა გულმართალს;  
არაფერი არ მოსწონდა,  
ყველაფერი უყვარდა.

სხვის სიმღერას მოუსმენდა  
ტრემლიანი თვალთა:  
— იმღერეო კიდევ ერთხელ,  
იმღერეო თავიდან.

შეჰხაროდა ცას და მიწას,  
თვითელ რტოს, თითო ნამს;  
ოცნებად რომ გადაიქცა,  
არ იცოდა თვითონაც.

აწვალეზდა რაღაც დიდი,  
რაც გაანდეს წიგნებმა,  
რაღაც დიდი საიდუმლო,  
რაღაც დიდის მიგნება.

ვაი, როგორ მენანება  
სიჭაბუკე დამქრალი.  
დამარხული იმედები,  
მოუმკელი სამკალი.

იმღერეო, სხვებსა სთხოვდა,  
არ გასცდევო წამითაც...

. . . . .

. . . . ვაი თავად ამ ქვეყნიდან  
უსიმღეროდ წავიდა.



ასკათ ლაპითიხვილი

სონა (და)

1

ოპერასთან ამხანაგი მაჩერებს.

ვიგონებთ ამ მთისას, იმ ბარისას. შემდეგ ხუმრობით მეკითხება:

— ხომ არაფერი გტკივა?

— მადლობა ღმერთს!

ვიცინით... ერთი წელია, რაც დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და შეყვარებულია თავის სპეციალობაზე.

რასაკვირველია, ბევრი არაფერი მესმის მისი ლაპარაკისა, რადგან ყოველი ორი სიტყვის შემდეგ ჩემთვის გაუგებარ ლათინურ ტერმინს ურთავს. ერთს ვიხსომებ კარგად: ჯანმრთელი ადამიანი სხეულის არც ერთ ნაკვთს არ უნდა გრძნობდეს. როგორც კი იგრძნობს, რომ აქვს გული, ფეხი, ან კიდევ თავი, ეს უკვე იმის ნიშანია, რომ მის ორგანიზმში რაღაც დაზიანდა, რაღაც არ არის ისე, როგორც უნდა იყოს. საჭიროა ექიმს მიმართოს.

დავაიმედე, თუკი ვიგრძნობ, რომ ფეხი მაქვს, აუცილებლად მოგაკითხავ-მეთქი. ხუმრობით დამემუქრა და დაეცილდით.

ჩვევად მაქვს: აკაციით დაბურულ აივანზე წნულ სავარძელზე გადაწოლილი ვკითხულობ წიგნს.

ახლაც გულადმა ვწევარ. უცებ ვგრძნობ, რომ ფეხი კი არა, თვალები მაქვს. ამხანაგი მახსენდება და უნებლიეთ ვიღიმები: „აბა, სწორედ სექტემბრის ამ საშინელ სიტყეში გავიქცევი ოკულისტთან და ვეტყვი, რომ თვალება აღმოვიჩინე“, — ვფიქრობ დასამშვიდებლად.

— გულბათ, გულბათ! — მესმის დაბლიდან ელისოს ხმა. ერიდება სხვის გასაგონად სააღერსო „გულის“ ძახილს.

თვალიც მავიწყდება, წიგნიც, და კისრის მტვრევით ჩაერბივარ კიბებზე.

— არ წავიდეთ უნივერსიტეტში? — მეკითხება ელასო.

— უჰ, რა ლამაზი კაბა ჩაგიცვამს! როგორ გიხდება! — მავიწყდება მისალმება, მის კითხვაზე პასუხის გაცემა. ახალი ცისფერი კაბა თვალებს მჭრის.

ელისოს კმაყოფილებისა და სიხარულისგან სახე უბრწყინდება.

— მოგწონს? ხომ კარგია? მეც ძალიან კმაყოფილი ვარ. სწორედ ისე გამოვიდა, როგორც მე მინდოდა.



ელისო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩაცმას. მოთმინებით ლობს გაფანტოს ჩემი უმეცრება. ახლაც დაწვრილებით მისხნის:

— ეს ტაფტა, დაბლა მთლიანი ირიბი ნაჭერია აჭრილი. ზედა წელი იაპონური ფასონია. ეს საყულო არგენტინისგან არის გაკეთებული. არგენტინი ძალიან ძვირფასი ნაჭერია. უმეტეს შემთხვევაში საყულოებს ამზადებენ. გულსაბამის თვლები ლალია. ძალიან მიყვარს ლალი. ხომ უზდება ცისფერს?

ლიმილით ვეთანხმები.

არ ვიცი, მიყვარს და იმიტომ მგონია, რომ მასში ყველაფერი კარგია, თუ კარგია და იმიტომ მიყვარს?

საამურად შრიალებს სიარულის დროს ტაფტა. გახამებულსა ჰგავს.

ოთახში შესვლისას მეუბნება:

— მიყურე!

ბზრიალასავით ტრიალებს.

ირიბად აჭრილი ბოლო თვალისმოპკრელად ფრიალებს. ხელს ვკიდებ და მსურს კოცნით ვაგრძნობინო ჩემი სიყვარულის სიძლიერე. ის კი მაცდურად კისკისებს და ხელიდან მისხლტება.

ვერცხლის ზარივით ჟღერს მისი ხმა.

მერე უხერხულობის დასაფარაყად ათვერ დათვალეიერებულ ოთახს მე-თერთმეტჯერ ათვალეიერებს.

— ძალიან მომწონს თქვენსას. — ვიცი, გულწრფელად ამბობს, თუმცა ახალ ბინაში, ამ ერთი თვის წინ რომ გადმოვედით, ჩვენი ძველებური უბრალო ავეჯი (დედაჩემის პაპის მიერ გაკეთებული ტანსაცმლის კარადა, სკივრი, კიდობანი) უფერულად და ღარიბულად გამოიყურება.

— რაღას ვუცდი? წავიდეთ, თორემ დავიგვიანებთ!

— არა, მოიდა. ჯერ ვისადილოთ. დედა! დედა! ჩქარა, სადილი! ლექციებზე ვიგვიანებთ.

გამოდის დედა. შეეჩვია მოუსვენარ ელისოს, თუმც ხშირად მეტუზღუნება:

— ნუ იცი, შვილო, ჩემი შერცხვენა. „ვისადილოთ“, „ვისადილოთ!“ — მაჯავრებს ის, — ლობითი და მაწვნის შეჭამანდით ხომ არ უნდა გააკვირვო აკადემიკოსის ქალი.

ვამშვიდებ.

— შენ ელისოს არ იცნობ.

— ოჰ, „არ იცნობ“. როგორ არ ვიცნობ. იცოდე, ერთხელაც ექნება, მობეზრდება შენი ქეციანი ტანსაცმლის ყურება და...

— რა, რა? რას იზამს? — ვეკითხები მოუთმენლად. წინასწარ ვიცი, რასაც მეტყვის.

— რასა და ზურიკოს გაჰყვება.

ორჭოფულად ვიციანი. ზურიკო ჩვენი ლექტორის ვაჟია, ჩვენთან სწავლობს და პირველი კურსიდანვე ამაოდ ცდილობს ელისოს გულის მოგებას.

დედა კი თავის მიერ გაღიზიანებულ ჭრილობას ისევ თვითონ მიწუშებს.

— არა, შვილო, ელისო ეგრეთს არ ჰგავს. ვიცი, რომ ნამდვილად უყვარხარ.

ვკოცნი. ხუმრობით მიცილებს.

— მომცილდი ერთი-და! ყურძნის სიყვარულითაო... — და კმაყოფილი იმით, რომ ცოტათი მაინც გამაბრაზა, მტოვებს...

ახლაც ჩემს ძახილზე შემოდის.

ელისო ეხვევა და ეუბნება:

— მოგწონთ ჩემი კაბა, დეიდა ელენე? ხომ კარგია? გულის მოეწონა: თან პატარასავით წითლდება, „გული“ რომ წამოსცდა.

დედაჩემი სიყვარულით ათვალეირებს ელისოს. ეტყობა, მართლა მოსწონს. თუმცა, მარტო კაბა კი არა, მისი აშოლტილი ტანი. ოღონდაც, რომ მოეწონება.

— კარგია, შვილო, კარგია. აბა, დასხედით. დღეს ჩიხირთმა გავაკეთე. ვიცი, რომ გიყვარს. — ეუბნება ელისოს.

— რასაკვირველია, გულბაათს არა ჰკითხავენ, უყვარს თუ არა ჩიხირთმა. — ვითომცდა ვბუზღუნებ, მაგრამ ამოდ. ვინ მაქცევს ყურადღებას.

ელისო დედას ეშველება სუფრის გაშლაში.

სასწრაფოდ ვსადილობთ.

— ნელა ჭამეთ, შეირგეთ. ქათმის კუჭი არა ჭამო, შვილო, — არიგებს დედაჩემი ელისოს და მის შეკითხვაზე უხსნის, — გვირგვინის ქვეშ გამაღვებით. ელისოს კისკისზე თავს ვერ ვიკაევბთ და ვიღიმებთ.

— გული, დეიდა ელენე, არც გული შეიძლება?

— არა, შვილო. არც ქათმის გულის ჭამა შეიძლება. ხომ გაგიგონია, ვინც შეჭამა ქათმის გული, ვერ მოიგო კაცის გულიო.

— თუ კი მიყვარს, მაშ რა ვქნა? — იცინის ელისო.

უნივერსიტეტში შევდივართ და ზარიც რეკს. სტუდენტებით გაჰვიღო აუდიტორიაში ხმაურია.

ოთარი ოხუნჯობს:

— იმპერატორი გულბაათი თავისი უაგვუსტოესი ელისოთი.

ლექტორის შემოსვლაზე სიცილი და ოხუნჯობა წყდება.

კრიტიკის ისტორია გვეკითხება. საერთოდ, მე ლექციებს არ ვიწერ ხოლმე. ეს საქმე ელისოს აქვს მინდობილი. ამ ლექციას კი არც ის იწერს. საუტხოო მასალაა, მაგრამ ლექტორი ისეთი უნდილი და უსიცოცხლო ხმით კითხულობს, რომ ყველაფრის ხალისი გვეკარგება. ჩქარა თვითეული ჩვენგანი თავის საქმეს აკეთებს. მომდევნო საათზე სემინარი გვექნება დიალექტიკურ მატერიალიზმში და მე და ელისო ერთხელ კიდევ ვიმეორებთ მასალას.

კითხვის დროს რატომღაც კვლავ ვგრძნობ, რომ თვალეზი მაქვს. ამას თვალის კაკლების ტკივილი მახსენებს. ეს არც თუ ისე სასიამოვნო შეგრძნებაა და უნებურად თვალეზს ვხუჭავ. დახტიან მოვარდისფრო-მოწითალო წერტილები. თანდათან ირგვლივ უკუნეთი სიბნელე ეშვება.

მსურს გავფანტო კუპრი, თვალეზს ვახელ.

სადღაც შორს მიცურავს აუდიტორია, პატარავდებიან კათედრა და ლექტორი; თოჯინებს ემსგავსებიან სტუდენტები.

— გული, რა მოგივიდა? — მესმის ელისოს შემფოთებული ხმა.

— არაფერი, ელისო. ცოტა თავი ამტკივდა.

ისევ დასცურავს აუდიტორია, ხან მშორდება, ხან მიახლოვდება ლექტორი. საოცრად მადიზიანებს სტუდენტთა ზუზუნნი; ახლა ისინი ჭიანჭველების ტოლადაც კი აღარ მოსჩანან.

შორიდან, ძალიან შორიდან მესმის:

— პათივცემულო ლექტორო, სტუდენტი ცუდად არის.

— გაიყვანეთ.

მგონი მე ვარ ცუდად.

გამიშვით! რად მეხმარებით? განა მე კი ვერ გავალ მარტო?



რაც თავი მახსოვს, ექიმთან, ისიც თვალის ექიმთან, პირველად მივდივარ. ოცდაოთხი წლისა ვარ და ჯერ გრიპიც კი არა მქონია.

რასაკვირველია, ბევრს მეჩიჩინა დედა, გაიხსენა მამა, რომელიც გაციებამ გადააყოლა. რასაკვირველია, ელისოც ბევრს მეხვეწა. ერთი ათაოდ ბიძაშვილ-მამიდაშვილის ავადმყოფობა მომიყვანა მაგალითად. ბოლოს დაენებდი და თანხმობა განვაცხადე.

ცოტა გულს მომეშვა, როცა მოხუც კაცს შევხედე. ახალგაზრდა ექიმების მიმართ ჯანმრთელი ადამიანის უნდობლობას განვიციდი.

ოკულისტმა თავი გაიქნია, რამდენიმე უმნიშვნელო შეკითხვის შემდეგ განიერი მხარ-ბეჭი აღტაცებით შემითვალაიერა, გრუზა თმა მამაშვილურად მომიჩენა და ჭრიჭინა ხმით დამარიგა:

— დაწოლილმა არ იკითხო, არც ელექტრონის შუქზე. საერთოდ, უკეთესი იქნება, თუ პირველ ხანებში კითხვას სულ დაანებებ თავს. საშინლად გაქვს თვალეები გადაღლილი. ნიგვზიანი, მწარე, მლაშე, მყავე — არამც და არამც. სათვალეები აუცილებლად იხმარე და ეს ორი წამალი მიიღე. მზეზე სიარულის დროს იხმარე ფერადი სათვალეები.

მეციენება: წიგნებს თავი დაანებეო! მაგრამ ამ კეთილ მოხუცს ხომ არ ვაწყენინებ.

სათვალეებს მართლა ვხმარობ, წიგნებს მართლა არა ვკითხულობ (უფრო სწორად, ვეღარა ვკითხულობ), წამალს ორ-ორი წვეთობით ელისო და დედა მისხამენ თვალეებში, რის შემდეგ განუწყვეტლივ მდის ცრემლად.

გარემო სამყარო კი უფრო და უფრო შორს მიდის, უფრო მუქი ბურუსი ფარავს მას.

შიში მეპარება.

ოცდაოთხი წელი, უსინათლობა, ფილოლოგი.

რა მეშველება, მართლა რომ მოვწყდე სამყაროს!

გარეთ ნოემბრის სუსხია.

გულში კი დარდი ბობოქრობს.

„მოვა თუ არ მოვა?“ უთვალავჯერ ვეკითხები ჩემს თავს.

„მოვა იმიტომ, რომ ვეცოდები“, — ვფიქრობ საპასუხოდ და აქვე ვეკამათები ჩემს თავს: „რა სისულელეა, განა ასე ვიცნობ ელისოს?“ — ცდილობ დავიმშვიდო თავი, მაგრამ...

ბრმა, უსინათლო.

როგორ შეიძლება ვუყვარდე თვითონ ასე სიცოცხლით სავსეს, და, რაც მთავარია, ჯანმრთელს.

გული მელევა.

უკვე თორმეტია. დავთქვით, რომ თორმეტის ნახევარზე მოვიდოდა, სემინარისტების უნდა მოვმზადებულიყავით და მერე უნივერსიტეტში უნდა წავიყვანე.

ნამდვილად ეშვება ირგვლივ ბინდი.

მხოლოდ ახლა ვგრძნობ უკუხეთ დამეს, შავად რომ დამწოლია.

ხელუბის ფათურით მივდივარ აიენის კარებთან. ჯერ კიდევ ვერ შევეჩვიე ასე სიარულს. ჯოხი, დედამ რომ ნიაშიტანა, ტახტის ქვეშ შევაგდე — ეგლა მაკლდა.



დაბლიდან მესმის ელისოს შორეული ძახილი (მიხურული კარი არ უშვებდა მის ხმას).

— გული! გული! — ახლა უკვე აღარ ერიდება სხვის გასაგონად საალერსო სახელის დაძახებას.

— დედა! — ვყვირი მოუთმენლად. — დედა! ჩქარა, გესმის! ელისო მოვიდა!

— ახლავე, შვილო. რა გაყვირებს. ახლავე ამოვიყვან. — დედის უეცრად გაბზარულ ხმაში მწუხარებას ვგრძნობ. ადვილი ხომ არ არის ვაჟკაცი შვილის დაბრმავების მოსწრება.

ელისო ძლიერ იბრუნებს სულს, მძიმედ სუნთქავს.

— გული, ხომ არ მიწყრები? სტუმრები მოვიდნენ, დედა ბაზარში იყო და ვიდრე მოვიდა, თავი ვერ დავანებე. — ვგრძნობ, როგორი მოლოდინია მის ხმაში. სურს დარწმუნდეს, რომ უწინდებურად მჯერა მისი, ძველებურად ვენდობი და განვიცილი მისი სიახლოვის საჭიროებას.

უნებლიეთ ვუღიმი — მე კი რა სულელი ვარ, რა არ ვიფიქრე.

დედა გვტოვებს.

მამაპაპურ ტახტზე ვეწყობით. ელისო მზრუნველად მიმარჯვებს მუთაქებს და კითხვას იწყებს.

თანდათან ყურადღებას აღარ ვაქცევ, რას კითხულობს და ჩემს ფიქრებს მივდე.

„როდემდე იქნება ჩემს გვერდით?“

ეკვიც არ მეპარება, რომ მხედველობა სამუდამოდ დამეკარგა. ექიმებისა და ახლობლების საიმედო სიტყვები უბრალო ნუგეშად მიმიჩნია.

ძმა მწერს, ზაფხულისათვის ფულს შეგიგროვებ და ფილატოვთან წაგყვებით. ცივი უარი შეეუთვალე. ოჯახი ჰყავს, სამხედროა. ჩემთვის სადა სცალია. იმისიც მერიდება, რომ დედას ყოველ თვე სამას მანეთს უგზავნის.

ელისო კი ვეცოდები და იმიტომ არ მანებებს ახლა თავს. ცოტასაც ივლის და მერე...

— გული, რატომ არ მისმენ? — ფრთხილად მეკითხება.

— ელისო, ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ. — ყრუდ ვამბობ, მაგრამ მისი ცხარე ხმა მაწყვეტინებს.

— სისულელეს თავი დაანებე, გესმის? არა გრცხვენია? შენ ხომ იცი, ერთ დღესაც არ შემიძლია უშენოდ.

— მე ხომ ბრმა ვარ, სულ ასე ვივლი. — უძლურად ვბუტბუტებ და სადღაც გულის სიღრმეში ხავს ვეძებ ხელის მოსაკიდებლად.

— ჯერ ერთი, ოპერაციას გაიკეთებ და მორჩები. მეორეც, მეორეც... — მის ხმაში ცრემლი იპარება. — ჩემო გული, მერე რა, გინდაც ეგრე იყოს! აბა, როგორ დავანებებ თავს, როცა ასე მიყვარხარ!

გულში ხავსი კი არა, ლამპარი მენტება, მაგრამ თავს ვიკავებ.

— გეჩვენება, ელისო. ახლა გეჩვენება, რომ გიყვარეარ. აბა, რა უნდა გავაკეთო ბრმამ. არ შეიძლება, გესმის? გესმის თუ არა? — თან კი მინდა მითხრას, რომ „შეიძლება“, მინდა დაჟინებით, მტკიცედ გაიმეოროს თავისი სიტყვები.

ეგოისტობაა თუ სიყვარული?

ვძლევ მოზღვავებულ ტანჯვას და იმედს. მსურს ბოლომდე დავრჩე სულგრძელი, მაგრამ ცხელი კოცნა სუნთქვას მივუბნებს.



— მაშ, ოთხი წელიც მეჩვენებოდა? ახლა რა მოხდა ისეთი, გულბათ, რომ დავცილდეთ. მითხარი, რა გამაძლებინებს უშენოდ? — მეჩურჩულება ცხარედ და მეც მჯერა.

აბა, როგორ შეიძლება არა მჯეროდეს გულის ბაგაბუგისა, მისი თბილი აღერისისა და თავბრუდამხვევი კოცნისა.

4

ზამთრის სესიები იწყება.

ჩემს გარშემო ისევ ბინდია — მგონი, სამუდამოდ დავკარგე მხედველობა. მაგრამ გულს რა გამიტეხს, როცა გვერდით ჩემი ელისო მყავს, როცა ამხანაგები მამხნევენ, ყოველ წუთს მზრუნველობით მაკითხავენ.

ელისო ძველებურად კისკისებს, მხიარულობს, თავს დამტრიალებს.

ამ ადამიანში სიცოცხლე ჩვეულებრივად კი არ მიმდინარეობს, მთიდან მოვარდნილი ღვართქაფივით ასკდება ვიწრო კედლებს და ცდილობს გაარღვიოს, შეუპოვრად გააპოს და დასძლიოს ყოველგვარი წინააღმდეგობა. ერთ წუთსაც არ ეპარება ეჭვი, რომ მოვრჩები; არც იმის ეშინია, რომ თუ არ მოვრჩი, უსინათლოს მეგობრობა და მეუღლეობა მისთვის ძნელი გამოცდა იქნება.

როცა ვცდილობ დავუბრუნდე ჩემს სადარდებელს, გრუზა თმებს მიჩეჩავს და მკაცრად მეუბნება:

— ვთქვი და მოვრჩი. დედაკაცი ხომ არა ხარ, რომ სულ წუწუნებ.

საბასუხო მკაცრ სიტყვებს ვიკავებ და ძალაუვნებურად ვიღიმები. თან თვალს ვბრია — სადღაც წამიკითხავს ბედნიერ დროს, რომ უსინათლოებს დიმილისას თვალის უმოძრაო კაკლები საშინელ გამომეტყველებას აძლევდნო.

ყოველ დილით, თერთმეტ საათზე, ელისო მომაკითხავს ხოლმე მამის მანქანით. „პობედის“ საქსთან თვითონ წამოსკუპულა, გვერდით ბოლშეკავებულნი მძღოლი უზის. მივდივართ მასთან სახლში. გზაში გავუვლით ხოლმე ოთარსა და ჯენიკოს და ოთხივენი ელისოსთან ვიკრიბებით — ასე ვმეცადინებოთ პირველი კურსიდან.

ჯერ დიალექტიკურ მატერიალიზმს ვამზადებთ, მერე სპეცკურსს.

მეგობრები ყოველმხრივ მეხმარებიან. ცდილობენ, რაც შეიძლება კარგად გავერკვე თვითველ საკითხში. მშველის მახსოვრობა.

პირველ ხანებში საშინლად მიჭირდა ელისოს ოთახში ყოფნა. ერთ ხანს ამაოდ ვცდილობდი ოთახის მოწყობილობის გახსენებას. ეს, ალბათ, ნერვიულობის ბრალი იყო. შემდეგ ნელ-ნელა მიბრუნდება მახსოვრობა.

— ელისო, თაროზე მოცეკვავე ქალები ისევ არიან?

— კი, გული. ერთი ჩინური ვაზა მიუშმატე. ნახე, როგორია? — ფრთხილად ვავლებ თითებს გრილ ფაიფურს. ელისო მიხსნის, რა ფერისაა. მერე მისივე დახმარებით ნივთს თავის ადგილას ვათავსებ.

მიკვირს ელისოს სიყვარული ამ სტატუეტების, მინიატურული ნივთების მიმართ. მართალია, დიდის გემოვნებით არჩევს თვითველ მათგანს, მაინც ვერ გამიგია მათი დანიშნულება.

ელისო მიხსნის, სად მოათავსა ახალნაყიდი წიგნები, რა შეიძინა ახალი. ოთარისა და ჯენიკოს დაცინვას, რომ ნახევარი დღე მაინც ლაპარაკში იკარგება — ორივენი გულგრილად ვუსმენთ.

მარტო საწერი მაგიდა აქვს მოსუფთავებული ზედმეტი ნივთებისაგან. მალევე კი არ არის. დევს მხოლოდ ერთი ანტიკური ქანდაკების ასლი, რამდენჯერ უსიამოვნოდ გამიფიქრია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ვხედავდი, რა უნდა მოსწონდეს ელისოს უზარმაზარი გველებით შემორტყმული ლაოკოონისა და მისი შვილების წამების ხილვაში-მეთქი. ერთხელ ვერ მოვითმინე და ვკითხე კიდევ. გამოაცა მისმა პასუხმა:

— იცი, გული, ამაზე უნატიფესი შესრულება ჩანაფიქრისა, მე მგონი, იშვიათია. რა დიდი სულის ადამიანი იყო ლაოკოონი და როგორ დაიღუპა. ნახე, როგორი წამებაა გამოხატული მის სახეზე. მიხარია, რომ ეს ასლი ორიგინალს ბევრად არ ჩამორჩება.

— ყველაფერი ეგ გასაგებია ჩემთვის, მაგრამ შენც ხომ გესმის, რა უხერხული შეფარდებაა — ერთ ოთახში გველებით შემოგრაგნილი ლაოკოონი და შიშველი, მოცეკვავე ქალები.

ელისოს ეცინება.

— ჩემს წარმოდგენაში ჩემი ოთახი ორ ნაწილადაა გაყოფილი: ერთი საშუალო ოთახი, მეორე „ისე“, სასტუმროსავით.

ახლა ჩვენ ოთახის „სასტუმრო ნაწილში“ ვიკრიბებით და მეცადინეობას ვიწყებთ. საწერ მაგიდაზე ხროვად აწყვია კონსპექტები, სახელმძღვანელოები. მეცადინეობის დროს ელისო შეუბრალებელია. მარტო ერთი საათის დაძაბული შრომის შემდეგ გვასვენებს და ისიც მხოლოდ ათი წუთით. კიდევ კარგი, ხან ტელეფონი რეკს, ხან კიდევ რომელიმე თანაკურსელი მოგვაკითხავს ხოლმე; ჩვენც ვსარგებლობთ შემთხვევით და ლაპარაკით თავს ვიქცევთ.

ოთარი ხუმრობაშერეული სერიოზულობით ცდილობს გამაბრაზოს: ბრალი შენი მაგ „ჯოჯოხეთის“ ხელშია, ჯენიკო რომ ასეთი მკაცრი იყოს, ერთ დღესაც არ გავაჩერებდი ჩემს გვერდითო (სესიების დამთავრებისას ქორწილს იხდიან და დიდი გულით არიან).

ჯენიკო და ელისო ცდილობენ ავვიჯანყდნენ, მაგრამ არაფერი გამოუდით. ყველაზე დიდი წამება ჩემთვის სადილობაა, როდესაც ვაწყობილი სუფრის გარშემო ჩვენთან ერთად ელისოს მშობლები იკრიბებიან.

წინასწარ ვნერვიულობ, ვცდილობ როგორმე დავიხსნა თავი უსიამოვნებისგან, მაგრამ ელისო მამშვიდებს.

პირველ დღეს ოთარი ზის ჩემს გვერდით და ცდილობს წესიერად მომემსახუროს. მაგრამ ვაჟია და ლაპარაკში გართულს მაინც ხშირად ვავიწყდები.

მეორე დღეს ელისო სძლევს მშობლების წინაშე მორიდებას და ჩემი ძიძის როლს კისრულობს. სირცხვილისა და დამცირებისაგან გაქცევას ვაპირებ, მაგრამ ისევ მისი მშობლები მეხმარებიან.

ო, როგორი მადლობისა და ღრმა პატივისცემის გრძნობით მეცხება მათ მიმართ გული. განსაკუთრებით ელისოს მამის მიმართ, რომელიც უწყინარი ანგელოტებითა და თავისი ცხოვრების საინტერესო შემთხვევების მოყოლით ცდილობს გაფანტოს უხერხულობა.

ნელ-ნელა ვეჩვევი კოვზის ზომიერი აღებით წვნიანს, ხორცს ელისო მიჭრის — კვლავ უხერხულად ვგრძნობ თავს. ახლა დედამისი მეხმარება. კეთილი ქალია, სულაც არ ამაყობს, რომ ასეთი ცნობილი ადამიანის მეუღლეა და ასეთი კარგი ქალიშვილის დედა.

საღამოს ჩაიზე დასარჩენად კი ვერაფრით ვერ მითანხმებენ.

აღარც ოთარის მუჯღუგუნებს ვაქცევ ყურადღებას, აღარც ელისოს დედის ხვეწნას. გზაში ოთარი მეჩხუბება — შენი გულისთვის ტკბილეული დავ-





კარგეო. ჯენიკო ცალკე წუწუნებს — როგორ უყვარს ტბილეული, ღვედრები, მაგისტვის ნამცხვრების ცხობას გადაეყვები მთელი ჩემი სიცოცხლეო.

ახლა ელისოს მამა ჯდება საჭესთან და ყველას სათითაოდ გვაცილებს ბინაზე. ერთადერთ გოგონას აღმერთებს, მზად არის ყველა მისი სურვილი უსიტყვოდ ასრულოს. თუმც ვამჩნევ — უსაზღვროდ ენდობა მის კეთილგონიერებას, სჯერა, რომ არაფერს ცუდს არ იკადრებს.

მაინც რა წყნარი და ალერსიანი ოჯახია!

5

გამოცდებისათვის მზადებას მთელი დღე მიჰქონდა. ახლა კი შიშით ვფიქრობ, რომ უსაქმურობისაგან გამომფიტავი დღეები მეღის. ვხედავდე მაინც — ბაკურიანში წავიდოდი. ასე გვექონდა დათქმული მე და ელისოს. მაგრამ კაცი ბჭობდაო... ამიტომ არ არის კარგი წინასწარ გადაწყვეტა: არ იცი, როგორ გიმუხთილებს ბედი.

ნეტავ რას აკეთებს ელისო?

დიდი ხნის შემდეგ შევიტყე, თუ რა მოხდა ამ საღამოს ელისოსთან...

... ძია კოტე — ელისოს მამა — სავარძელში მყუდროდ მოთავსებულა და გაურკვეველია, სთვლემს, თუ ჟურნალს ათვალეირებს.

დეიდა კატო — ელისოს დედა — დასთან წასულა სტუმრად.

სიჩუმეა.

შემოდის ელისო.

— მამა, მაქვს ათას ხუთასი... ძალიან გთხოვ...

ელისოს სმა უკანკალებს, სიტყვა უწყდება.

კეთილ ძია კოტეს ჟურნალი უვარდება ხელიდან.

— ელისო, ავად ხომ არა ხარ? რის ათას ხუთასი? საიდანა გაქვს ამდენი ფული? — მის ხმაში შიში იბარება. ცუდი ხომ არაფერი ჩაიღინა მისმა ძვირფასმა გოგონამ?

ელისოს ეცინება.

— ეს ფული ჩემი სამი თვის სტიპენდიაა. მამიკო, გულის, გულბათს, — სასწრაფოდ ასწორებს, — უნდა წავეყე ოდესაში. ხომ იცი, გულბათს ახლა ფული არა აქვს, მისი სტიპენდიით ცხოვრობს დედა-შვილი. უნდა წავეყე, უნდა დავეხმარო. — ელისო მამას ეხვევა და მოულოდნელად ქვითინებს.

— დამშვიდდი, ელისო, ეს რა დაგემართა! პატარა ხომ არა ხარ? შე კულრაჭავ, არც კი მეგონა, თუ ტირილი შეგეძლო.

ძია კოტე ცდილობს ყელში მომდგარი ბურთი გადაყლაპოს და ფრთხილად ეკითხება:

— მამ, ასე სერიოზულად არის თქვენი საქმე?

ელისო ნდობით შესცქერის და თავს უხმოდ უქნევს. მერე ისევ ეხუტება და ბავშვივით სლუკუნებს. სადღა მისი მტკიცე, მიუკარებელი იერი, უღარდელი კისკისი!

ადვილი ხომ არ არის ძვირფესი ადამიანის უბედურების გადატანა.

— ნუ სტირი, შვილო, დამშვიდდი... — ძია კოტე ალერსით უსწორებს ვაჟურად შეკრეჭილ თმას (ძლივს შეეჩვია თმების ასე ტარებას), ჩუმად ჰკოცნის. — აი, დედაც კატო, გენაცვალე, ჩაალაგე ზეგისთვის საჭირო ნივთები. ელისო ოდესაში მიდის, — და თან ეშმაკურად იცინის.

ელისოს მოულოდნელი ბედნიერებისაგან სახეზე ფერიც კი ეკარგება.

მეორე დღეს, დილის თერთმეტისათვის, უკვე ჩემთანაა.

შემოდის დედა.

ელისო სინარულით ხტის.

— რა კარგია, რა კარგია! ხვალვე წავიდეთ. დედა მოხუცია, დარჩეს, დაისვენებს მაინც.

... იწყება წასვლისწინა აურზაური.

— ელისო, რა ამბავია ამდენი გამცილებლები?

მთელი კურსი აქ არის, სადგურზე, ელისოც მათი ხმაურით სარგებლობს და პასუხს არ მაძლევს.

— მია კოტე, დეიდა კატო, ვაგონში არ დარჩეთ, ორ წუთში წავა მატარებელი. დედა, შენც ჩადი... — ყველა აღელვებულია, ერთად ლაპარაკობენ.

— ჩავალთ, შვილო, ჩავალთ. ნუ გეშინია. — მიასახებს დედა და მკოცნის. სახე მისველდება. სათითაოდ გვემშვიდობებიან ამხანაგები.

მარტო ვრჩები კუბეში. რატომღაც ფიქრი ამეკვიატა, შავი, ბნელი ეჭვი.

მატარებელი ნელ-ნელა უმატებს სვლას.

საფიქრებლად დიდი დრო მაქვს. ხვალ გადაწყდება ჩემი ბედი. ოპერაცია ორი საათისთვის არის დანიშნული.

ვცდილობ არ ვიფიქრო, რა მოხდება, როგორი იქნება მომავალი. მაგრამ ნებისყოფა შემომელია და ისევ ჩემს სადარღებელს ვუბრუნდები.

ეს, ერთხელ კიდევ დამანახვა ჩემი ქვეყანა, ერთხელ კიდევ შემავლებინა თვალი საყვარელი მიდამოსათვის!

როგორი უმადური ვიყავი, როგორ არ ვაფასებდი იმ ბედნიერებას, რომ დანახვის, წაკითხვის საშუალება მქონდა! ახლა? ახლა კი უკუნეთ სიბნელეს მოუტაცავ ყველაფერი. მხოლოდ მზიან დღეს ვარჩევ ოდნავ. ეს არის და ეს.

უსიამოვნო ფიქრებს ვერევი.

ისევ ელისოს ვუბრუნდები.

ენატრობ მხედველობის აღდგენას ჩემთვის კი არა, მისთვის. ვიცი, ასე რომ დავრჩე, თავს მაინც არ დამანებებს. ელისო ხომ ჩემსაკვითაა და ერთ დღესაც არ შეუძლია უჩემოდ გაძლება. რა უნდა იყოს მისი სიცოცხლე, როგორ გაწვალდება!

როგორ ცდილობს გამიმტკიცოს რწმენა, რომ უბედურების შემთხვევაში ჩემს პირად მდივნობას იკისრებს, მე ჩანაფიქრს ვუკარნახებ, ის კი დასწერს.

მაიმედებს — განა ოსტროვსკიმ შენზე მეტი იცოდაო? ვიცი, ჩემს დასამშვიდებლად ამბობს. როგორ არ იცოდა, ჩემო ელისო. განა შენ კი არ იცი, რომ მას მწერლობის დაწყებამდე სამი ადამიანის სიცოცხლე მაინც ჰქონდა გავლილი. მე კი სკოლიდან პირდაპირ უნივერსიტეტში მოვხვდა. აბა, მე რა მინახავს, რა ვიცი, ან რა გამოცდილება მაქვს, რომ ნამდვილი პოეტი გამოვიდე. მერე რა, რომ ლექსებს ვწერ და ამ ლექსებს აქებენ და ბეჭდავენ კიდევ. მე ხომ ცხოვრების შესწავლას მხოლოდ ახლა ვიწყებდი.

ეს, ელისო, ელისო!

ელისო!..

რამდენს ნიშნავს ჩემთვის ეს სიტყვა.





მაგონდება ჩენი დაახლოების პირველი დღეები...

... პირველი კურსი.

სულ მალე სამოცდაათი სტუდენტი ისე შევეჩვიეთ ერთმანეთს, თითქოს მთელი სტუდენტული ერთად გაგვეტარებინოს. კურსზე ბევრი თანაკლასელიც დამხვდა, ზოგს პიონერთა სასახლიდან ვიცნობ, თუმც უმეტესობა რაიონებიდანაა.

სექტემბრის მომხიბლავმა დილამ შემიტყუა და აუდიტორიაში ყველაზე ადრე მოვდივარ.

შემოდის უცნობი ქალიშვილი. თმები ვაყურად აქვს შეკრეპილი. აცვია ჰაეროვანი თეთრი კაბა, რომელიც განსაკუთრებით ამშვენებს მის ქათქათა სახეს და თვალების გიშრისფერს. მოგაძო სახეზე მძიმედ გადაწოლილა თითქოს საგანგებოდ გამოყვანილი წარბები.

თვალს ვუსწორებ მის თამამ, მბრძანებლობას შეჩვეულ მხერას, რომელიც, ეტყობა, მისდა უნებურად აღტაცებაში გადადის.

ქალების ასეთ გამოხედვას მაინც ვერ შევეჩვიე. მრცხვენია, რომ მათი მოწონებით ვსარგებლობ. შეიძლება ჯეელობით მომდის. ჯერ ხომ ოცისაც არა ვარ.

ენის ბორძიკით მესალმება.

პასუხს უტბად შემოსული ამხანაგების ხმაური ფარავს. ოთარი, ჩემი სკოლის ამხანაგი, და ახალშემოსული გოგონა გულწრფელი სიხარულით ზედებიან ერთმანეთს და კოცნიან.

მინდა დავარწმუნო თავი, რომ ეს ამხანაგური კოცნაა. მით უმეტეს, ოთარის შეყვარებული — ჯენიკო — ჩემი შორეული ნათესავია. მაგრამ გულში უსიამოვნო ნალექი მრჩება.

ორ-სამ დღეში ელისო — ნაგვიანვეად მოსული სტუდენტი — ყველას ეცნობა. მაგრამ ჩვენ ვერ გამოგვდის მეგობრობა. ბრაზი მომდის, რომ ზურაბი ყოველ წუთს მის გვერდით დგას, სულ რაღაცას ელაპარაკება სახის იდუმალი გამომეტყველებით. გოგონების ნაწილი დაუზოგავად ჰორავს ელისოს ჩვევას — ის ხომ ყოველ დღე ახალ-ახალ კაბას იცვამს.

ათ სექტემბერს ლექციების შემდეგ კათედრაზე არბის და ცდილობს სტუდენტების ხმაური დაფაროს:

— ერთ წუთს მოიცადეთ, ამხანაგებო. სიწყინარე! კრებას გახსნილად ვაცხადებ. თავმჯდომარე არ გვინდა, არც მდივანი. დღის წესრიგშია ერთი საკითხი, — ხმას უწევს ელისო კვლავ ახმაურებული სტუდენტების დასაწყინარებლად: — ზეგ, ესე იგი თორმეტ სექტემბერს, მთელ კურსს გთხოვთ მოხვიდეთ ჩემთან სტუმრად. არა, ქორწილს არ ვიხდი, დაბადების დღეა. — პასუხობს ამხანაგების უცერემონიო შენიშვნებზე. — ზეგ გავიგებ ვინ არის ჩემი მტერი და ვინ მოყვარე. — ვამჩნევ მის ანთებულ თვალებს, როგორი მუდარით ჩერდება ჩემზე. იქნებ მომეჩვენა? გული აჩქარებით მიცემს. ბუნდოვნად ვარჩევ, რას ამბობს ამის შემდეგ, ვგონებ, ამხანაგებს ამშვიდებს, რომ ბინა დიდი აქვთ და ყველა დაეტევა.

ოთარი მეხვეწება, წამოდით. ყოყმანით ვუთმობ. რატომღაც არ მინდა დავნებდე შინაგან მოძახილს.

ელისოს გარდა შინ არიან მისი დედა და მამა — სადა, უბრალო ადამიანები. ოთარი დიდი ხანია იცნობს მათ და ძალიან აქებს, კარგი ხალხიაო.

ბინა მართლაც დიდი აქვთ, საუტხოოდ მოწყობილ სამ დიდ ოთახში კურსელების ნახევარზე მეტი სხვა სტუმრებთან ერთად თავისუფლად თავსდება.

ელისო თავდავიწყებით ცეკვავს, ერთობა.

შევამჩნიე: რასაც აკეთებს, ყველაფერს გატაცებით, განსაკუთრებულის ეშხითა და ლაზათით. დიდთან დიდია, პატარასთან — პატარა. ბანქოს თამაშიც მოასწრო, ორი პირი ჭადრაკიც წაეთამაშა ნოდარს, ეთერს ნარდი მოუგო. ყველა დალა და დილისათვის, ვითომც აქ არაფერიაო, კომკავშირის ხეივანში და ბოტანიკურ ბაღში გავლა შემოგვთავაზა. ისეთი გატაცებით აქებდა ბოტანიკურ ბაღს, რატომღაც მომეჩვენა, რომ არასოდეს არ მენახა და პირველმა მე დავუჭირე მხარი, წავიდეთ-მეთქი.

მინდა მოგუძებნო რაიმე ნაკლი. თავს ვაიძულებ დავიჯერო, რომ ძალზე გაფანტულია და დროსტარების მეტი არაფერი აინტერესებს, მაგრამ ამაშიც ვმარცხდები.

ორიოდე დღის შემდეგ მოდაში ახლახანს შემოსულ სიყვარულის მომღერლის — დამწყები პოეტი ქალის წიგნის გარჩევაზე მივდივარ მწერალთა კავშირში. მაოცებს, რომ ჩვენი კურსის სხვა სტუდენტებს შორის ელისოს ვაჭურად შეკრეპილ თმებს ვამჩნევ. გული აჩქარებით მიცემს, როდესაც ჩემი დანახვით გამოწვეული სიხარულით გაბრწყინებულ მის დიდრონ, გიშრისფერ თვალებს ვაწყდები. მაგრამ მაფორიაქებს მის გვერდით მყოფი ზურაბი. ახლა უკვე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მხოლოდ მისი გულისთვის არის წამოსული, თორემ, აბა რა უნდა აინტერესებდეს ასეთ გოგონას დღევანდელ საღამოზე.

უინტერესოდ ვუსმენ როგორ აქებენ ახალგაზრდა მწერლის ლექსებს. ორატორები ერთმანეთს სცვლიან. ზოგიერთები იგონებენ პეტრარკას, საფოს, შექსპირს. ალბათ, ამ უპრინციპო შექებით სულ დაახნევენ დამწყებ პოეტს.

ხომ არ ავდგე და არა ვთქვა გულში დაგუბებული აზრები? ეჰ, სულ ერთი არ არის? რა მნიშვნელობა აქვს ჩემს გამოსვლას, როცა ელისოსთანა მსმენელები გეყოლება.

და უცებ მესმის თავმჯდომარის ხმა:

— სიტყვა ეძლევა უნივერსიტეტის სტუდენტს ელისო ფიცხელაურს.

გული მიჩერდება და შემკრთალი შევეცქერი სცენისაკენ მიმავალ ელისოს. რას იტყვის? ხომ არ აურევენ? რომ შერცხვეს, წარმოდგენაც არა მაქვს, რა დამემართება.

კათედრასთან ელისო ხელის მსუბუქი გადასმით თმებს ისწორებს და მსმენელებს დაკვირვებული თვალის გადავლებით აიძულებს მიწყნარდნენ. რა კბრგად ლაპარაკობს — თამამად, გაბედულად. თითქოს ჩემს ფიქრებს კითხულობს. საიდან — პოეზიის ასეთი ღრმა ცოდნა და ასეთი სწორი გაგება?

საღამოს დამთავრებისას ოთარი მეძახის თავის ჯგუფთან. საწინააღმდეგო რა მაქვს, მით უმეტეს, ელისო მათთან არის. მაგრამ ვხედავ, როგორ თავაზიანად ეპატიეება გასაცილებლად ელისოს ზურაბი და ცივი უარით ვცილდები.

ზამთრის სესიებზე მხოლოდ მე და ელისო ვდებულობთ ყველა საგანში „ხუთს“. მეორე ლიტერატურული წრის მეცადინეობაზე კითხულობს თემას, რომელიც ძალიან მომწონს. მაგრამ მარტო მე ხომ არა...

მეორე კურსზე ელისოს სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელად ირჩევენ. ლექტორების გადმოცემით, ეს პირველი შემთხვევაა, როცა მეორე-კურსელს ასეთ საპატიო მოვალეობას ანდობენ.

მე რა მეთქმის.

ნელ-ნელა ვერი ფარხმალს და მის მონა-მორჩილად ვაღიარებ თავს.

... ჩემი კარგი ელისო, ნეტავ ახლა ჩემს გვერდით იყოს.

ექთანი შემოდის.

— გულბათ ნაცვლიშვილო, თქვენთან არიან.

ფეხის ხმაზე ვცნობ, ელისოა. ვდღვავ.

— ნუ დგები, ყავი. — მეუბნება ისიც აღღვვებით.

ვერა ვპოულობთ სალაპარაკო თემას. მისი კაბის შრიალი რაღაც შორეულს მაგონებს. ხელით ვსინჯავ კაბის ბოლოს.

— ეს შენ რომ მოგეწონა, ის კაბაა, ტაფტის. — მეუბნება ჩემი ყურადღებით გახარებული.

— არა გცივა? — ვეკითხები მზრუნველად.

— არა, თბილი ზედაწელი მაცვია.

— როგორი ამინდია?

— გარეთ ძალიან თბილა. გაზაფხულის მზეა. იცი, ზღვა და ცა ერთი ფერისაა.

— შენი კაბის ფერის?

— კი, ჩემი კაბის ფერის.

წვლინდელზე არა ვლაპარაკობთ. უხერხული დუმილის შემდეგ ამხანაგებს ვიგონებთ...

რა ნელა გადის დრო. ძლივს დადამდა, ძლივს გათენდა.

შუა დღე ახლოვდება.

მხცოვანი პროფესორის სიტყვები მაგონდება და ჩემშიც გადმოდის მისი რწმენა.

მაგრამ ეს წუთით, მხოლოდ წუთით. აი ისევ საშინელი ეჭვი, უკუნეთითა და მოუთმენელი ლოდინით აფორიაქებული დღეები. რა იქნება ხვალ? ნეტავ თუ დადგება ბედნიერი დღე...

მაშინ იმ ზღვასავით ლაღი, ყოვლისშემძლე ენერჯია დამეუფლება, აქეთ-კენ რომ ბნელით მოცულმა გადმოვლახე. კვლავ დავინახავ ყოველივე იმას, რასაც ამდენ ხანს სიბნელეში მომწყვდელი თვალები ვერა ხედავდნენ.

დავინახავ ელისოს, ბედნიერს, ოცნებით გაბრწყინებულს.

რაზე ოცნებობს? არც კი შევეკითხები, არ დავაფრთხობ. დაე, თავისთვის იოცნებოს. ვიცი, რომ მისი გულის ერთ კუნჭულში ჩემთვის სამუდამოდ არის შემონახული ადგილი, და რაზედაც უნდა იოცნებოს, ყველაფერს ჩემზე ფიქრით დააბოლოვებს.

მეც ხომ ასე ვარ.

ო, რამდენი რამის გაკეთებას შევძლებ.

ოღონდ თვალივლულს მიმალწვევინა ჩემს საყვარელ კუთხემდე, ოღონდაც ჩემი ლამაზი თბილისის ცქერით დამალა.

მაგრამ ირგვლივ წყვილია, უკუნეთი სიჩუმე... რა იქნება ხვალ?..

— ნაცვლიშვილო, ოპერაციაზე, — ისმის დერეფნიდან მორიგი ექიმის ხმა...



## ჩვეუბანი

### „ჩვეუბანი“

შემთხვევით ვხვდებით. ის იცინის, თავს უკან აგდებს და ცდილობს გამისხლტეს.

— თავი დამანებე, მე თქვენ მეზარებით!

— ვინ ჩვენ?

— პატივცემული... ბატონი მწერლები.

— ხა-ხა-ხა.

უფრო მაგრად ვუჭერ მკლავზე. მკლავი მკვრივი აქვს, მუჭსაც მივსება...

— გგონია ტყუილს ვამბობ?

— ხა-ხა-ხა...

მის სიტყვებს ანგარიშს არასოდეს არ ვაძლევ. ის ისეთი აფეთქებულია, ისეთი ატეხილი... მის სიტყვებს ანგარიშს არასოდეს არ ვაძლევ.

— მეზარებით კი არა, მეზიზღებით.

სიცილით, სასხვათაშორისოდ ვეკითხები მხოლოდ:

— რატომ, კარგო გოგონავ, რატომ?

— ვითხრა?

— უნდა ვითხრა, მაშ!

— ხელი გამიშვი.

— ჩემი ხელი რას გიშლის?

— გამიშვი. აი, აქ დავსხდეთ.

— დავსხდეთ.

ქვედაკაბის ფარფარა კალთებს იკრეფს და ჯდება.

ერთხანს კიდევ ვკენწლანობთ — ალერსით, ბრაზით. მერე ის იწყებს:

— წარმოიდგინე გოგონა. ბავშვი კი არა, ოცდასამი წლის. დაბადებული სოფელში, იქ გაზრდილი, უმამოდ, მასწავლებელი დედის ხელში. წიგნები აქვთ. გოგონა კითხულობს. სწავლობს ათას უცნაურობას: დუმილის სმენას, გაქვავებულ მუსიკას, ჰაერის ნერვებს... მისი არავის არ ესმის, ამიტომ არავისთან არ მეგობრობს. ამხანაგი ჰყავს — პატარა, ჩამრგვალებული გოგო. აციწებს, ართობს. თვითონ კი მაღალია, ხშირთმიანი, გამხდარი. წამწამები ისეთი გრძელი აქვს, რომ... მერე გეტყვი, ვინც უთხრა ეს... გეცოდება, გგონია — დახამხამება უმძიმეს.

საშუალოს ამთავრებს. თბილისში მოდის. უნივერსიტეტში ეწყობა. მაშინდასთან თუ დეიდასთან ცხოვრობს. თრიოდე თვეში ფერი ეწმინდება. სოფელში რომ შავ-ყვითელს ეტყოდნენ, აქ ნამდვილი... მომიტყევთ, ბატონო



მწერალო, გაცვეთილი შედარებისათვის... აქ ნამდვილი ძველი სპილოსძვლის ფერი ხდება. თვალები კიდევ უფრო ღამაზად ებინდება. უბრალოდ, სულ უბრალოდ აცვია. კინოში დადის. თეატრებიდან. საოპერო თეატრს ეტანება. ჩამოსულ მუსიკოსშემსრულებლებს უსმენს.

ქება ესმის. ვილაც-ვილაცები თავს აწონებენ. წკავეწკავებენ; ფხაკურობენ. მაგრამ ყველა ესენი მხოლოდ მოწყენას გვრიან. ის სხვას ელის...

სალამო ხანზე დასეირნობს პროსპექტზე...

და აი ერთ სალამოს ისიც მოდის, ის საოცნებო ჭაბუკი. ხომ ხედები, ვინც იქნება? ახალგაზრდა მწერალი. ტანადია, მშვენივრად აცვია. ვიწრო შარვალი, მაღალი, გახამებული საყელო... ფეტრის ქული კეფაზე აქვს მოგდებული. ამხანაგები აცნობენ.

მწერალი სიცოცხლით არის სავსე.

— რატომა გაქვთ ასეთი თვალები? — ეკითხება ის გაცნობისთანავე ჩვენს ქალიშვილს.

მწერალს სასიამოვნო, ხავერდოვანი ხმა აქვს. გულლიად, მიწხიდეულად ელიძება.

ქალიშვილს მოსწონს — ისიც და მისი კითხვაც. მან იცის, როგორი თვალებიც აქვს, მაგრამ მაინც კითხვით პასუხობს:

— როგორი თვალები?

სურს მწერლისგან გაიგოს, როგორად მიაჩნია მისი თვალები მას.

— აი, აი... — მწერალი ეძებს შესაფერ შედარებას. ვერ პოულობს და ხუმრობის კილოზე გადადის: — მებრალბით. მეჩვენება, რომ დახამხამება გიძიძით, ისეთი გრძელი წამწამები გაქვთ.

ქალიშვილს სიამოვნებს. ის იცინის. უნდა, რომ კიდევ მოისმინოს ასეთი რამ. მწერალიც არ აგვიანებს:

— ასეთი თვალები ხშირად მამაკაცებს ერთმანეთს აჩეხინებს. ან ქმრებს აკვლევინებენ თავს, ან ვილაცებებს კლავენ და მეტე ციხეში მღერიან:

„შენი თვალები, შენი თვალები“...

ჩვენი ქალიშვილი კიდევ უფრო მხიარულად იცინის.

მწერალი ღონიერია და ღამაზი. ის შეუჩერებლად ოხუნჯობს. მიდის და მიჰყავს ქალიშვილი. დასცილდნენ ამხანაგებს. ქალიშვილი არც ფიქრობს მათზე. მას არაფერი არ აშინებს. ამ ადამიანს თუნდაც ქვეყნის ბოლომდე გაჰყვება.

— რამდენი ხანია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ? — ეკითხება მწერალი.

ერთი საათი იქნება, მეტი არა.

ქალიშვილი კი მიუგებს:

— ასე მგონია, მთელი საუკუნის ნაცნობები ვიყოთ.

— გახსოვთ, მე რომ გელოდებოდით ამ საუკუნის დასაწყისში?

— თუ მე?

— არა, მე.

— არა, ეს მე გელოდებოდით და თქვენ არ მოხვედით. მე ვბრაზობდი. ვბრაზობდი და მაინც გელოდებოდით. რატომ დაიგვიანეთ ასე?

— ხომ მაინც მოვედი? აბა შემომხედეთ — ძალიანა ვარ გამოცვლილი? — მწერალი განზე გადის, პიჯაკის კალთებს იღელავს და ჯიბეებში ხელებს იწყობს.

ქალიშვილი შეჰყურებს და უხარია.

— თქვენ ისევ ისეთი ხართ. ისევ ისეთი კარგი. მხოლოდ თმა შეგთხელებიათ შუბლთან. ცოტა, სულ ცოტა, მაგრამ ეს გიხდებათ კიდევ.

— ხა-ხა-ხა... — მწერალი მკლავზე ხელს კიდებს და მხრით მხარზე ეხვევა.

— თქვენ კი, თქვენ მთლად ისეთივე ხართ — მამაკაცებს რომ ერთმანეთს აჩეხინებდით... გახსოვთ, ამ კაფეში რომ ვისხედით ერთხელ?

— ოხ, რამდენი ხანია მას შემდეგ...

— გინდათ, შევიდეთ და ძველი დრო მოვიგონოთ?

— შევიდეთ.

კაფეში შედიან. განმარტოებით მდგარ მაგიდასთან იკავებენ ადგილს. მოართმევენ ტკბილეულს, ტკბილ შამპანურს, მაღალფეხიან ბროლის ლამაზ ქიქებს... და პირველად, თავის სიცოცხლეში პირველად, ქალიშვილი ოჯახის გარეთ კიდებს ქიქას ხელს. ხელი არ უთრთის. სვამს და ტიტინით, ხუმრობით, ალერსით ყვება, თუ რა გადახდა იმ ხანებში, რაც ისინი უერთმანეთოდ ცხოვრობდნენ. ყვება და იცინის.

მწერალიც იცინის.

ისინი უკვე მოკლე საალერსო სიტყვებს ეუბნებიან ერთმანეთს. უქარაგმოდ. დიდხნის უნახავ შეყვარებულებს რომ სჩვევიათ:

— შენ ჩემი გაზაფხული ხარ...

— შენ ჩემი სიცოცხლის დილა...

ფეხბარეულნი მიდიან ქალიშვილის ბინამდე — ნაშუაღამევს, ორ საათზე და იქ ისევ გრძელდება:

— აღარ დაიგვიანო, თორემ მე მეტს ვეღარ ავიტან.

— ეხლა სულ შენთან ვიქნები.

— თორემ მოკვდები.

— იცი, რა! აქ ქალიშვილი ჰკოცნის. ჰო, ის ჰკოცნის და მწერალი ბარბაცით მიდის. ქალიშვილი თავის ჰკულაზე აღარ არის. უნდა რომ დაედევნოს... მერე მთელი ღამე არ სძინავს. მთელი დღე ელის. პაემანი ხომ არც უხსენებიათ — ეს ბანალური, გულისამრევი რაღაც. ის არ მოდის. მეორე დღე, მეხამე... მერე ეძებს. დაეხეტება ქუჩებში, იღლებს, ითენთება. მაინც დაეხეტება. ვერსად ვეღარ ხვდება. ტირის, არაფერს არ ჰკამს. ეფერება მის ჯიბის დანას, რომელიც იმ ღამეს შემთხვევით გამოჰყვა. ფიქრობს, რომ ის უთუოდ ავად არის, სასთუმალზე თავი აქვს გადაგდებული და მას ეძახის. სისულელეები...

წამოიჭრება და ისევ ქუჩაში გარბის. დაეძებს ყველგან და... ბოლოს ხვდება. მთელი ათი დღის შემდეგ ხვდება. სიტყვის თქმას ვერ ახერხებს, ცრემლები დაბლუპით ჩამოსდის. მაინც იცინის. იცინის და იმ საღამოს თამაშს აგრძელებს:

— რატომ დაიგვიანე?

მწერალი ჯერ შეშინებულია. შემდეგ ქალიშვილის ხელს კიდებს და მიჰყავს. ქალიშვილი ბედნიერია, ნაბიჯი ერევა, საცოდავად ელიმება და ბედნიერია.

— იცით, — ეუბნება მწერალი, — მე პატროსანი კაცი ვარ. მე არ მინდა მწუხარება მივაყენო ვინმეს: მე თქვენ შეგამჩნიეთ წელან, რომ... მე არ მინდა ვინმეს მწუხარების მიზეზი გახდეთ. თქვენ იმ საღამოს სერიოზულ მნიშვნელობას ნუ მისცემთ. ის, იცით რა, ის ჩემი ჩვეულებრივი, პროფესიული თამაში იყო... შეიძლება ეს სისაძაღლეა, მაგრამ მე ხომ ვაღიარებ: ის ჩემი პროფესიული თამაში იყო. შემდგომ ასეთი ამბებისა მე ვწერ...

ის ქალიშვილი მე არ ვყოფილვარ. იმ ქალიშვილს სილა არ გაუწნავს. იმას მუხლები მოეკვითა და ცრემლები წასკდა.





მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი... მე ეხლაც ხელისგული მექავეებს საოცარი სურვილი მაქვს... საოცარი სურვილი მაქვს შენც კი დაგიჩეჩქო ეგ ლამაზი ცხვირი, და მერე ამას ჩემი პროფესიული თამაში დავარქვა. მეც ხომ მაქვს ჩემი პროფესია..

თან იცინის, თან კბილებს აკრაქუნებს და თან თავის სურნელოვან ხელისგულს ცხვირზე მახოლმებს.

— ის ქალიშვილი, ის ჩემი ამხანაგი ქალიშვილი, დღეს ბებერია. ოცდასამი წლისაა და უკვე ბებერია. ბებრული პალტო აცვია, ბებრულად აქვს შეკრული თმები...

# თუთა

- თქვი, კაცო, რის გერიდება!
- რისა მერიდება რა! მოსარიდი რა არი!
- ჰოდა, თქვი!
- აკი ვამბობ კიდევ!

ყველა სიამოვნებით ილიმის. ეტყობა, ყველამ იცის ეს ამბავი. მაინც ერთ-ანტელთ ელიან დაწყებას. უშანგა კი ზოზინობს.

- დაღამდებოდა და იმ თუთასთან ვიყავი. — ამბობს ბოლოს.
- ხა-ხა-ხა!

უშანგა ილუშება.  
— რა გაცინებთ?

— არაფერი, არაფერი, მიდი, განაგრძე.

უშანგა ხელით რაღაცას ეძებს და ამრეზილი განაგრძობს:

— დაღამდებოდა და იმ თუთასთან ვიყავი. ყორესა და სახლს შუა იდგა — დიდი, შავად აღანძული. ყორესა და სახლს შუა იდგა და, ჩემდა საბედნიეროდ, ერთი ტოტი აქეთ ჰქონდა გადმოშვერილი. ყორეზე ავბობდებოდი, იმ ტოტს შევახტებოდი და ზედ მოვექცეოდი.

— ძალი არა ჰყავდათ?

— არც ძალი, არც ისეთი მეზობელი. იმათი კიდევ ვისი უნდა მშინებოდა! იმ ორსართულიან სახლში სამი სული ცხოვრობდა. ორი გადაყრუებული მოხუცი და ერთიც ის — ქალაქიდან გამოგზავნილი, კოხტა, თავმალალი მასწავლებელი გოგო.

— მაღალი თავი ჰქონდა?

— კარგი ახლა, ციგნის ხვედას რომ მივიგავს ეგ კოგრა!

— ხა-ხა-ხა!

— მარტო სიარულით გადარევედა კაცსა. ჩვენი გოგოები, ხომ იცით, როგორც დადიან. აესე, აი. ბატებივით მილაყუნებენ... მაღალქუსილიანი მჭიდროდ ნაკერი ფეხსაცმელები ეცვა. პატარა, პატარა-პატარა მტკიცე ნაბიჯებს ადგამდა. მოიხედავდა, შეჰყრიდა წარბებს, სწრაფად იტყოდა გამარჯობას და ისევ მიდიოდა, მიდიოდა კი არა, მიბრძანდებოდა. მიაღივლივებდა ქერა, ბულულა თმას.

— ხო-ხო-ხო...

უშანგა თავს იწონებს:

— თვალები ჰქონდა... როგორ გითხრათ. აი, მინდოდა რომ ჩამეხედა, მაგრამ აპაჰ! ვერასოდეს ვერ მოვახერხე. ყოველთვის გეზად და სადღაც შორს იყურებოდა. თან, თითქო მზე უჭვრიტინებსო, აყუყუნებდა და აყუყუნებდა.

— ოხ-ხო-ხო, — ისევ უწონებენ ნათქვამს.

უშანგას ელიმება.

— იმის გზას ვიყავი გადაგებული. სკოლაში მიდიოდა — ვუთვალთვალედი, მოდიოდა — ვითომც შემთხვევით ვხვდებოდი. კლუბში, სამკითხველოში, მაღაზიაში და... მაინც ვერა ვძღებოდი ყურებით. დაღამდებოდა და თუთასთან ვიყავი. ავიდოდი და საათობით ვიჯექი გალურსული იმის ფანჯრისაკენ გაწვდილ ტოტზე. ფარდა ფანჯრის ქვედა ნახევარს ჰქონდა ჩამოფარებული და, ლამაზა რომ ენთო, ოთახში ყველაფერი ჩანდა.

— რას აკეთებდა?

— დამაცათ ახლა. რა უნდა გაეკეთებინა, წიგნებს კითხულობდა, რეცხავდა, საჭმელს იმზადებდა, თმებს იგარცხნიდა, სარკეში იყურებოდა.

— მერე შენ რა გემატებოდა იმ თუთაზე ჯდომით?

— ეხლა უკვე აღარ მახსოვს, მაშინ კი ნამდვილად გეტყოდით... მიყვარდა და...

— ხა-ხა-ხა!

— რა იყოთ ახლა!

— თქვი ჩქარა, ისა თქვი!

უშანგას ისევ ელიმება და აქეთ-იქით იხედება — ისეთი ვინმე ხომ არ არისო.

— შაბათსაღამო იყო.

— დააყე ეგ გასატიანებელი სკამი. რით ველარ მოუკიდე მაგ პაპაშენის ყავარჯენსა. კარგად გვითხარი, თუ ძმა ხარ!

— გეტყვით, კარგად გეტყვით. შაბათსაღამო იყო-მეთქი. ავედი და დაეჯექი იმ ამოჩემებულ ტოტზე. ის შინ არა ჩანდა. მაგრამ კარი ღია დაეტოვებინა და მივხვდი, რომ მალე მოვიდოდა. მართლაც, ხუთი წუთიც არ გასულა და შემოვიდა. სპილენძის დიდი ტაშტი შემოიტანა. მერე ომნივარმოღებული ვედრო მოაყოლა, მერე საპონი და სავარცხელი.

— დაჯექი, ბიჭო, რა დაგემართა!

— აჰ რალაც ისეთი ამბავია-მეთქი და, მართალი გითხრათ, წამოსვლა დავაპირე.

— ი!

— ყველაფერს გეფიცებით. მიყვარდა-მეთქი, არა გჯერათ?

— მერე ხომ მაინც დარჩი.

— დავრჩი.

— სკამი დააყე, მაიმუნო!

წყალი გაანელა. კარები გადაკეტა, ლამპას ოდნავ ჩაუწია და ტაბურეტზე დაჯდა. მაინც ჩანს. ჯერ ჩუსტები გაიხადა. მერე ფეხი ფეხზე შემოიღო, კაბა გადაიწია.

— ხო-ხო-ხო...

— რეზინები წაიძრო და ჩულქების გახდას შეუდგა. მუქი ჩულქები ეცვია. ნელ-ნელა, ფრთხილ-ფრთხილად აცილებდა თეთრ, გატიკულ, რბილ ფეხს... დაიხადა. ადგა. კაბის კალთებს ორივე ხელი მოჰკიდა, ოდნავ ჩაიღუნა მუხლებში, აიგრინა და აიძრო.



ბუხის გაფრენას გაიგონებ, მაგრამ ვიღაც მაინც იძახის:

— მოიცათ, რა დაგემართათ!

— კაბას პერანგი მიაყოლა. ხელები ზურგსუკან შეაბრუნა, სწრაფად შეიხსნა შავი ლიფის ლილები და თითქოს შერცხვა, თუ შეეშინდა — ხელები მკერდზე აიფარა. დაიწია, ცერები წვრილ წელს ჩააყოლა და... ხმაურიც მომესმა.

— ფუჰ შენი! მაშინვე მიიხედე?

— მივიხედე, მაშ. მაგრამ პირველად ვერაფერი ვერ დავინახე. ფშვინვა-ფშუტუნნი კი მესმოდა. მერე, ვნახოთ, ის ტოტი შეირხა, რომელზეც მე ვიჯექი. დავაკვირდი და დავინახე: ვიღაცა მობობლავს იმ ტოტზე, რომელზედაც მე ვზივარ... თქვენ ახლა გეცინებათ და მე კი მაშინ თითქმის დავდამბლავდი. ძლივსძლიობით მივიხედე ფანჯრისაკენ, ვნახე, რომ უკვე დედნობილია, ტაშტში ჩადის, და ამან გონებაც დამიბრუნა და ძალაც. გავსწორდი, მაგრამ ჩავექიდე ტოტებს და მარჯვენა ფეხი გაეთავისუფლე.

ის ვიღაცა კი ბრმასავით მობობლავს. სადაცაა უნდა დამეჯახოს. ერთი ამომხედა, რა ვიცი, დამინახა თუ არა, პირი დააღო და ჩაცვსე კიდევ წიხლი. მეგონა ქვასავით წავიდოდა ძირს, მაგრამ ხმაც არ ამოუღია. შეფართხალდა და შემომიტია. მე წიხლი დავუმეორე. ის წამომწვდა და... შლამ ძირს. ცოტა ხანს გავუძელი, არ ჩავვარდი. მაგრამ როდემდე გავუძლებ! ის ვიღაცა ფეხებზე მყავს მობლაუჭებული და ჰაერში ექანაობთ. გავუშვი ხელი და გავადინეთ ზღართანი ორივემ. გაიგეს ბებრებმა, გამოცვივდნენ — ჰაი, ჰუი და ის იქით გაიქცა, მე აქეთ გამოვიქეცი...

— ხი-ხი-ხი. ხა-ხა-ხა...

— ვერ გაიგე ვინ იყო? — კითხულობს ვიღაც.

— როგორ ვერა. ხო იცით!

— თქვი, მაინცა თქვი.

— მესამე დღეა და, ვნახოთ, ამ ზაუტანთ სოლიკოს დაუჭერია ჯოხი და ხანხალ-ხანხალით მოდის, თან ცხვირი გადაღლეტილი აქვს. ეგ რა მოგსელიამეთქი. რა ვიცი, კაცო, სასიმიინდში ავდიოდი, კიბე დამიკურდა და გადმოვვარდიო. შენ რაღა მოგსელიაო. მეც ყავარჯენი მეჭირა. მე იმ ჩემმა მგლისკერძმა მერცხალამ გადმომავლო-მეთქი.

— ბოლოს ხომ მაინც გამოუტყდით ერთმანეთს?

— გამოვუტყდით მაშ. ჩვენმა მასწავლებელმა იმ ფანჯარას ლურჯი ფარდა ჩამათარა. შალე კი სულაც წავიდა. გამოვუტყდებოდით, მაშ რაღა დავრჩენოდა მეტი. გამოვუტყდით...

ს ა მ რ

ქალბატონი ნინო შინ ბრუნდებოდა. შაბათი იყო, სამუშაო სამ საათზე დაემთავრებინა, ბაზარში გამოეყო, ცოტა ხორცი ეყიდნა, ცოტა ყველი, ცოტა კართოფილი, ერთი მანეთის მწვანილიც დაემატებინა, გაჩერებასთან იღვა და ტრამეის უცდიდა.

შაბათს ხომ ყველა მოზრდილი ადამიანი კარგ გუნებაზეა! ქალბატონი ნინოც სასიამოვნო ფიქრებში იყო გართული. „შინ რომ მივალ, — გეგმავდა დღის დარჩენილ ნაწილს, — გემრიელ სადილს გავაკეთებ. სუფრას აივანზე გავშლი.“

დღეს ალბათ იასამანი მთლად გაიფურჩქნებოდა, — ელიზბარს იმ გაღმართში „წინანდალს“ გამოეუჩინ, ნანულის ლიმონათს ვუყიდი, მაგნიტოფონს ჩავრთავო და ჩვენებურად, ტუბილად ვისადილებო. მერე ჩემს ახალ კაბას ჩავეცვამ, ნანულის ბაბთას გავუხამებ, ელიზბარსაც პიკეს ქათქათა ხალათს ჩავეცმევ და კინოში წავალთ. ადრე წავალთ, ისე, რომ ბაღში გავლაც მოვასწროთ“.

მაგრამ უცებ, თითქო ვილაცამ დაუძახაო, მიიხედა. მიიხედა და დაინახა, რომ იქვე, სამკერვალოს ალუმინის მთაჯირს ერთი თვალტანადი ყმაწვილი კაცი მიპყრდნობოდა, ილიაში სახაზავი ქალაღის გრაგნილი ეჭირა და უცნაური აღტაცებით იყურებოდა. მას უყურებდა, ნინოს. ნინო ჯერ დაფიქრდა — ნაცნობი ვინმე ხომ არ არისო. მერე თავს გაუწყრა — რა თხუთმეტი წლის გოგონასავით ვაცეცებ თვალებსო. რამდენიმე ნაბიჯით გაშორდა იქაურობას. ჩანთა მეორე ხელში გადაიტანა და თმა შეისწორა.

ტრამვი ჩამოდგა, ქალბატონი ნინო აჩქარებით ავიდა, ბილეთი აიღო და და წინ წაიწია. მაგრამ ის იყო დაიძრნენ, რომ ვილაც მოხუცმა ქალმა ფული მიაწოდა — გადაეცი შენს ვახარებასო. შებრუნდა და...

ისევ იმ თვალებს შეეფეთა — ლამაზს, აღტაცებულს. ახლა სულ ახლოს, ახლოს.

ბრაზი მოედო. თეთრი, გამჭვირვალე თითები აუთრთოლდა, ფულს ანგარიშიშუტემლად შეუშვა ხელი და მობრუნდა.

„თავხედი, — ფიქრობდა და იკვნეტდა ტუჩებს, — თავხედი...“

ტრამვი უჩვეულოდ ნელა მიდიოდა.

— დიდი ბოდიში, ქალბატონო, — მოესმა მამაკაცის დაბალი, მკერდისმიერი ხმა. — დიდი ბოდიში, ქალბატონო, შეიძლება მოგმართოთ?

უნდა მიეხედა! მიიხედა და ნახა, რომ ყმაწვილს აღტაცების შუქი ჩაჰქრობოდა და იმ ლამაზ თვალებში ეხლა შიში თუ კაეშანი ედგა.

— დიდი ბოდიში, ქალბატონო, უთუოდ კადნიერებად ჩამომართმევთ, მაგრამ არ შემიძლია არა გკითხოთ.

— რა გნებავთ?

— ზალიშვილი ხომ არ ბრძანდებით?

— რომელი ზალიშვილი?

— ზალიშვილი... იცით რა! ძალიან გაწუხებთ. მაგრამ, მშაბტიეთ, მე აი... უბისჯიბიდან სურათი ამოიღო და გაუწოდა, — მე მეგობარი მყავს. ზალიშვილი. ის თქვენ საოცრად გგავთ. ნახეთ!

ნინომ სურათს დახედა და გულზე უცებ მოეშვა. სურათი მართლაც საოცრად გავდა. მრგვალი სახე, მკვეთრად გამოხატული სქელი ტუჩები, გადაბმული წარბები, მოკლედ შეჭრილი ხუჭუჭი თმა... ეგ იყო, რომ სურათში გაცილებით პატარა ჩანდა, თვრამეტი, ოცი წლის...

— ნამდვილად გგავს. რა ჰქვია თქვენს მეგობარს?

— ლილი. ლილი ზალიშვილი. მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობს. ჩვენ ერთმანეთს ვწერდით. მაგრამ ეს ორი თვეა არაფერი ვიცი მისი. მე მეგობრა თქვენ მისი და, ან... მე მეგონა თქვენ გეცოდინებოდათ რამე.

ნინომ ღიმილით შეხედა ჰაბუქს. ჰაბუჯი აბნეული იყო, აწითლებული. ეძებდა და ვეღარ ეპოვნა ჯიბე.

— ძნელი იქნებოდა მისთვის იმის გავგონება, რომ ის, ნინო, ზალიშვილი არ იყო. რომ მან არაფერი არ იცოდა ლილის შესახებ. მაგრამ მაინც უნდა ეთქვა ეს. და თქვა.

ახალგაზრდა კაცს კიდევ უფრო მუქი ჩრდილი ჩაუდგა თვალებში, კიდევ უფრო გაწითლდა. ერთხელაც მოიბოდინა, უკან დაიწია და უმწეოდ მიმოიხედა.

მაშინ წინის მოუნდა, რომ რალაც კარგი, რალაც თბილი სიტყვა ეთქვა მისთვის. უფრო მეტიც — მოუნდა, რომ დედასავით მოჰფერებოდა ლამაზად ატალღებულ ქერა თმებზე, მაგრამ მხოლოდ ამის თქმა მოახერხა:

— ნუ სწუხართ. ის უთუოდ მოგწერთ. მალე მოგწერთ. აი ნახავთ!

ტრამვაი გაჩერებულიყო. ერთმანეთს გაუღიმეს და წინო კარისკენ წავიდა. ღიმილი არც ძირს მოშორებია. სირბილით აიარა კიბე.

ელიზბარი დაბრუნებულიყო. თავის მაგიდას მისჯოდმოდა და რალაც ქალაღლებს აშმაშურებდა. წინომ ჩანთა კარებთან მიავლო, გაკრიალებულ აატაქაზე გასრიალდა და, როგორც თხუთმეტი წლის წინათ, სტუდენტები რომ იყვნენ ისიც და ელიზბარიც, ყელზე შემოეჭლო, თავი აუწია და...

ჰკოცნიდა დიდხანს, დიდხანს, დიდხანს. ხანდახან ესმოდა ელიზბარის გაკვირვებული ამოძახილი. ხედავდა მის გაოცებულ თვალებს. მაგრამ ეს მხოლოდ აცინებდა. და ისევ ჰკოცნიდა, ჰკოცნიდა, ჰკოცნიდა...

## გაყვანული ღამის წყობა

პროფესორი ვალალაშვილი აგარაკზე მიემგზავრებოდა, ცოლშვილთან. როცა სადგურში გამოაცხადეს, შეგიძლიათ ავტობუსში ჩასხდეთო, ორმოცი კაცი მაინც წამოიშალა სხვადასხვა კუთხიდან. სოფელელ დედაკაცებს მოძველებული კალათების მთელი ჯღრდები მიჰქონდათ. ავტობუსის კარს მიესივნენ. აყყანდნენ, გააფთრდნენ, ყველას ბილეთი ჰქონდა, ბილეთში თავთავიანთი ადგილების ნომრები ეწერათ. მაინც შემოფოთებულები იყვნენ — ვაი თუ უადგილოდ აღმოვჩნდეთ, ანდა სულაც ვერ მოვასწროთ ასვლაო.

ვალალაშვილმა რომ ეს სურათი დაინახა, სანოვავეით გატენილი ბაღე და ქილის კალათი ძირს დადვა, ცხვირსახოცი ამოიღო და სევდიანი ღიმილით დაიწყო ცდა — როდის დალაგდებოდნენ, რომ მასაც შესძლებოდა ასვლა. ვერ მოითმინა და, ეშმაკად, ერთ შეატუხა ბიჭს გამოელაპარაკა:

— რატომ ჩქარობთ? თქვენ, ახალგაზრდავ, რატომ მიიწევთ ასე?

შეატუხამ მოხედა. ფეხებიდან ათვალიერა, დაცინვით გამოუსტვინა და უფრო ღონივრად წაიღო მარცხენა მხარი წინ.

ვალალაშვილს შერცხვა, ამ ოტროველამ რომ არად ჩაავლო. საფეთქლები შეუხურდა და თითქო მაშველს დაუწყო თვალებით ძებნა.

მის გვერდით ქალი იდგა. როცა ვალალაშვილმა თვალი შეასწრო, ქალმაც მოიხედა. ეღიმებოდა.

ვალალაშვილს კიდევ უფრო შერცხვა და ქალის გასავონად წაილაპარაკა:

— ამ ხნით, გაწამებულ ქალებს კიდევ ეპატიებათ, მაგრამ ახალგაზრდებს?

ქალმა უთუოდ ვერ გაიგო მისი სიტყვები. ავტობუსს მიაჩერდა. პანამის ჩრდილი თვალის უბემდე ეფინებოდა. თვალი ცისფერი ჰქონდა, ლამაზი — საფეთქლამდე აწეულ წვრილწარბიანი. ღიმილის დროს მქრქალად შეღებილი თხელი ტუჩების მარცხენა კუთხეში ოქროს კბილი უბრწყინავდა... როდესაც



თითქმის ყველა მგზავრი ავიდა, ავტობუსისკენ გაემართა. მაღალი იყო, <sup>სიმაღლის</sup> საც ბადე და ჭილის კალათი ეკავა. მხოლოდ მისი ბადე წითელი იყო, ჭილის კალათი კი ცისფერარწიანმოვლელი. უფრო უკეთესი ნახელოვნები.

ვალალაშვილიც მიჰყვა.

ქალმა ავტობუსთან კალათი ძირს დადგა, ბადე ორივე ხელით ასწია და ავტობუსის კიბეზე ავიდა. მობრუნდა, ახლა ჭილის კალათს უნდა დასწვდენოდა, მაგრამ ვალალაშვილმა დაასწრო და მიაწოდა.

— გმადლობთ! — გაუბრწყინდა ქალს ცისფერი თვალები და ოქროს კბილი.

— არაფრისათვის! არაფრისათვის! — მიუგო ვალალაშვილმა და ისიც ავტობუსში ავიდა.

ის ქალი მეთორმეტე ადგილზე დაჯდა. ვალალაშვილს კი მესამე ადგილი ჰქონდა. მაგრამ მესამე ადგილზე უკვე ბავშვიანი ქალი იჯდა. ვალალაშვილმა ბილეთი ამოიღო.

ბავშვიანმა ქალმა შავი, დიდი საბრალობელი თვალები შეანათა, გაწითლდა, აწრიალდა.

— თქვენი ადგილია, ბატონო? თუ ძალიან არ შეწუხდებით, ბავშვს პირქარს ვარიდებთ, ნაავადმყოფარია... თუ ძალიან არ შეწუხდებით, მეთერთმეტე ადგილზე...

— კი, ქალბატონო, ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ. — აჩქარებით წაილაპარაკა ვალალაშვილმა და მეთერთმეტე ადგილისაკენ წავიდა. გადაალაჯა კალათებს, ყუთებს.

— შეიძლება? მესამე ადგილი მქონდა, მაგრამ ბავშვიანი ქალი ითხოვს და, მოგეხსენებათ...

— დაბრძანდით, ბატონო, — თქვა ცისფერთვალა, ოქროსკბილიანმა ქალმა და ფანჯრისაკენ მიიწია. ვალალაშვილმა ბარჯი დააწყო, ცოტა ხანს ფეხზე იდგა, შუბლს იმშრალებდა. მერე დაჯდა. მის გვერდზე მჯდარი ქალი ბადურად ნაქსოვ შავ ხელთათმანებს იხილიდა. გრძელი თითები ჰქონდა, გამხდარი, ცისფერი ძარღვებით დახაზული.

ავტობუსში შოფერი ამოვიდა.

— ყველანი ამოხვედით? — იკითხა ხმამაღლა.

ყველამ უკან მიიხედა. ყველა ადგილი დაკავებული იყო.

— ყველანი, ყველანი!

— აბა რა თავებს იხოცავდით, ხალხნო. რით ვერ ისწავლეთ, ყოველდღე გზაში ხართ!

— ი, შენ გაიხარე, შვილო...

— ეე, რას იზამ, ძმაო...

— კულტურა უნდა ისწავლოთ, — განაგრძობდა შოფერი, — ეგრე არ იქნება. ეს ხარდა-ბურღა ვისია, გზიდან მოაცილეთ!

— მოვაცილებთ, შვილო, მოვაცილებთ, თუ გინდა ზედ თავზე დავიდგამთ...

შოფერმა ღიმილით გახედა შაოსან, პატარა დედაბერს.

— ჰა, ძველო!

და მეტი აღარა უთქვამს რა. ჩავიდა. კარები დახურა და ავტობუსი დაძრა. ვალალაშვილს ხასიათი დაუბრუნა შოფრის სილაღემ, ნათელმა სახემ.

სადგურს გასცდნენ, მტკვრის სანაპიროზე გავიდნენ, სანაპიროდან — საბურთალოზე, საბურთალოდან — დიდმის ველზე...



ამინდი მშვენიერი იყო. დილით ეწვიმა. ეხლა მზე ანათებდა და შემოვარენი ათასგვარი ფერებით ხასხასებდნენ.

ყველანი ჩემად იყვნენ. ვალალაშვილის გვერდზე მჯდომ ქალს პანამა მოეხადა. ნიავი სწვდებოდა, მოკლედ შეკრეჭილ, წაბლისფრად შეღებილ თმებს უწეწავდა. თვალებს ლულავდა, თავს მაღლა სწევდა და მაღალ, ძარღვიან ყელს აჩენდა.

მუხათგვერდთან ავტობუსს ვეებერთელა სატვირთო მანქანამ ჩაუქროლს და კინალამ გვერდი არ გააგლიჯა. ამან ყველას შიშით ამოაძახებინა, სალაპარაკო მასალა გაუჩინა.

— მხეცი იყო, ნამდვილი!

— რალა ეგ და რალა ჩვენი შოფერი!

— უნდა მოგვესწრო და ნომერი ჩაგვეწერა.

— ვინ მოასწრებს ასეთ დროს ნომრის ჩაწერას?!

ვალალაშვილს და მის გვერდით მჯდომ ქალს კი ხმა არ ამოუღიათ. ფიქრში იყვნენ გართულნი, თუ რა იყო — არც იმ სატვირთო მანქანას შეუშფოთებია.

ქალმა მხოლოდ ათიოდე წუთის შემდეგ თქვა:

— ცხრამეტი კილომეტრი გამოვიარეთ უკვე.

— შორს მიბრძანდებით?

— ფასანაურში.

— მართლა? — რატომღაც გაეხარდა ვალალაშვილს. — მეც ფასანაურში გეახლებით.

— იქ მუშაობთ?

— არა, ცოლ-შვილი მყავს. ვაგზავენილი, ეს მეორე კვირაა. მივდივარ ახლა — ცოტა რამ ჩაეაშველო.

— მეც ბავშვები მყავს დასთან. მეც ასე — ყოველ შაბათს ან კვირა დილას მიხდება მგზავრობა.

— მსახურობთ?

— თბილპროექტში.

— ინჟინერი ხომ არა ბრძანდებით?

— დიან.

— როდის დაამთავრეთ?

ქალს გაეღიმა. მარჯვენა ხელი თმებისკენ წაიღო და დააქნია — მაგახ კითხვა არ უნდაო.

— ადრე, ომამდე.

— თეორიულ მექანიკას ვინ გიკითხავდათ, ხომ არ გახსოვთ?

— ვაშაძე.

ვალალაშვილს გაეცინა.

ქალსაც გაეცინა.

— იცნობთ?

— ჩემი მეგობარია. ერთად დავემთავრეთ. უცნაური კაცია, არა?

— მეტად. ბოდიში, თქვენ რა გვარი ბრძანდებით?

— ვალალაშვილი.

— დავითი ხომ არა?

— დათიკო.

ქალს სიწითლემ გადაჰკრა. როგორღაც მიიწია და მოსწავლესავით გასწორდა.

— თქვენდ უკანასკნელი წიგნი ბევრს გვეხმარება.

— იპ, — ვალალაშვილმა ხელი ჩააქნია. მაგრამ იმ წამსვე მიხვდა, რომ ეს ახალგაზრდულად გამოუვიდა. ახალგაზრდებმა იციან ხოლმე ასე — ეგ არაფერია, მე უფრო მეტის გაკეთება შემიძლიაო.

მცხეთას გასცდნენ, არაგვს გადახედეს.

— შეხედეთ!

ვალალაშვილმა რიყისკენ ანიშნა. ორი კამეჩი ჩადიოდა ფერდობზე. თითოზე ორ-ორი ბიჭი იჯდა და ხელ-ფეხს იქნევდნენ.

— რა აუწერელი ბედნიერებაა ბავშვობა!

— არაფრის დარდი არა აქვთ! — გაუბრწყინდა ქალს ოქროს კბილი.

ვალალაშვილმა შეხედა. ქალს წამწამები დაეხარა, ხელთათმანს აწვალებდა. სახე გამხდარი ჰქონდა, გამხდარი...

რა დარდი უნდა ჰქონოდა ამ ქალს?.. თუმცა ეს რა საკითხავია! დარდი ყველას აქვს. დარდი თუ რაღაც ამის მსგავსი.

ვალალაშვილმა ისევ შეხედა. ქალი ისევ ხელთათმანს აწვალებდა და ფიქრში თუ ოცნებაში ვიღაცას უღიმოდა.

— თქვენი ბავშვები დიდები არიან? — ჰკითხა პროფესორმა.

— დიდები, ერთი თექვსმეტის, მეორე თოთხმეტის.

— ო, თქვენც დაგზრდიათ და ეგ არის!

— თქვენები?

— ერთი უკვე სტუდენტია, მეორე — მეცხრე კლასში.

— განა ესლა უფრო მეტი ფიქრი არ გპირდებათ მათზე?

ვალალაშვილი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. ისიც ყოველთვის იმ აზრის იყო, რომ ბავშვები რაც უზრდებოდა, საფიქრალი ემატებოდა. სახე შეუხუტრა.

— ამ ასაკიდან უფრო ნაკლებად ავადმყოფობენ და იმას მოგახსენებდით.

— ავადმყოფობით ნამდვილად! ამ მხრივ ცოტა ამოვისუნთქე.

ვინვალში ავტობუსი რამდენიმე წუთით გაჩერდა. ორი მგზავრი ჩავიდა. ვიღაცამ წყალი ამოიტანა.

— ხომ არ გწყურიათ?

— არა, გმადლობთ.

ვალალაშვილმა ცოტა მოსეა.

ისევ წავიდნენ. ვალალაშვილმა ფშავის არაგვისკენ ანიშნა.

— იქით გზა ხევსურეთში მიდის!

— მე ვყოფილვარ.

— მართლა?

— ჯერ კიდევ ომამდე. სტუდენტთა ალბინიადაში.

— უკაცრავად... მე თქვენთვის სახელი არ მიკითხავს.

— თინა. თინა ღუდუშაური.

— ო, მოხვევ? ნამდვილი მოხვევ ბრძანდებით.

— რით?

— ყაზბეგი რომ აგვიწერს: ცისფერთვალა...

თინას გაეცინა. ის სასიამოვნოდ იცინოდა. მარცხენა ხელი მუხლზე ედვა, მარჯვენით თითებს კლავიშებივით სთვლიდა.

ვალალაშვილს მწარედ გაახსენდა, რომ თუ კი მას ოდესმე ბედნიერებაზე უფიქრია, ის ყოველთვის ქალის სახით წარმოსდგენია. ორმოცდათორმეტი წლის გახდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრ ქალს შეხვდა. ერთი მათგანი მისი





ცხოვრების მუდმივ თანამგზავრადაც გადაიქცა. მაგრამ ბედნიერების დგენაში არაფერი შეცვლილა. ის ისევ ქალად ეხატებოდა. ეს ქალი სადღაც გზაში იყო. მოდიოდა. ვალალაშვილი მისკენ მიისწრაფოდა, მაგრამ ერთმანეთამდე დღესაც ვერ მიეღწიათ.

იქნებ თინა იყო ის ქალი?

ვალალაშვილს შიშმა დაჰკრა. შემკრთალმა მიხედა. მხოლოდ ხელები დაინახა მისი — თეთრი, გამხდარი, ნერვიული ხელები...

გაიარეს ანანური, ჭართალი... ვალალაშვილი ერთ წერტილს ჩასცქეროდა. თინა დაიღალა. თვალის უბეებში ჩამდგარი ჩრდილები ჩაუმუქდა, გამხდარი სახე უარესად გაუფითრდა. ტუჩებზედა ინარჩუნებდა ნათელს.

და ბოლოს ფასანაურიც გამოჩნდა. მალალი ალვები, აკაციები, ხეხილის ბაღები.

ვალალაშვილმა ღრმად ამოისუნთქა. მოხევის ქალმა როგორღაც დაბნევათ შეხედა:

— აგერ ჩვენი სახლიც. თუ დრო გქონდეთ, გვეწვიეთ. ჩვენები ყველანი მოხარულნი იქნებიან.

— გჰადლობთ. დიდი მადლობა.

ავტობუსმა გზას პირას გამომდგარ დედაკაცებს ჩაუარა და გაჩერდა.

— თინა! თინა! — მოისმა დაბლიდან ალტაცებული ძახილი.

ვალალაშვილმა გადაინედა.

თეთრკოსტუმიანი მელოტი ჩამაკაცო იწვდიდა ორივე ხელს. ავტობუსთან მოიჭრა. თინას ხელები დაუჭირა, ჩასვლა უშველა და შუბლზე აკოცა. თინა წითლდებოდა, ეღიმებოდა და ვალალაშვილისკენ იყურებოდა. როცა ვალალაშვილიც ჩავიდა, გააცნო.

— ეს ჩემი მეუღლე გახლავთ. ეს... პროფესორი ვალალაშვილი.

თეთრკოსტუმიან მელოტ მამაკაცს თვალები გაუბრწყინდა და მაგრად, მაგრად ჩამოართვა ხელი ვალალაშვილს.

— მე თქვენ იმ წამსვე გიცანიო. თქვენ ისეთი დამახასიათებელი სახე გაქვთ. აქ რჩებით? იმედია შევხვდებით.

ვალალაშვილს არაფერი უთქვამს. ის აბნეული იყო — თითქო რაღაც რჩებოდა.

— ნახვამდის!

— ნახვამდის, ქალბატონო თინა, ნახვამდის, ბატონო!

თინამ და მისმა მეუღლემ თავიანთი ბარგი აიკრიფეს. ვალალაშვილმაც აიღო თავისი ბაღე და ჭილის კალათი.

თინამ მოხედა.

ის ისევ აწითლებული იყო, საბრალობლად ეღიმებოდა.

ვალალაშვილმა თავი დაუქნია. მიდიოდა და ბარგი ფეხებში ებლანდებოდა. მიდიოდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქო მატარებელს ჩამორჩენოდეს და ფეხით დასდგომოდეს სწორ, ერთფეროვან, მტვრიან, სიცხის აღმურში გახვეულ გზას, სადაც არაფერი ჩანს, არავისი შეხვედრის იმედი არ არის, არასოდეს გამოჩნდება ბოლო.

ბევრჯერ დამართია ასე. მაგრამ დღევანდელი დღის ეს წუთები მაინც მეტისმეტად ემძიმებოდა.

და, ვინ იცის, რომ მართლაც ეს არ იყო იმ გზის დასაწყისი, რომელზედაც ბოლოს ყველა ადამიანი უნდა შედგეს და სადღაც სევდიან გორაკზე აათრიოს ძონძებში გამოხვეული საკუთარი ძვლები...



## პირობა ყოველი

ბეჭედი

ყოველგვარ ხელობას გააჩნია თავისი მომაბეზრებელი ერთფეროვნებათ, იმ სიტყვებით ინუგეშებდა ხოლმე თავს დიმიტრი, როცა საღამოს, ხელში ჰობოის ქნევით შევიდოდა ოპერაში, უხმოდ და თავის კანტურით მიესალმებოდა ორკესტრის დამკვრელებს, გახსნიდა ხის შავ ბუდე, ამოიღებდა თავის განუყრელ საკრავს და ზედ მოკლე თითებს აათამაშებდა. შემდეგ დარბაზში ლამპის პატრუქივით თანდათან ჩაუწყვედნენ უზარმაზარი ჭადის ელნათურებს, აწრიალდებოდნენ დაგვიანებული მაყურებლები, პულტთან ავიდოდა დირიჟორი, ასწევდა ჯოხს და იწყებოდა მორიგი საოპერო სპექტაკლი. თუ იმ საღამოს გასტროლებზე ჩამოსული რომელიმე ცნობილი მომღერალი მონაწილეობდა, დიმიტრი ფრთხილად წამოდგებოდა პაუზების დროს თავისი სკამიდან, ფეხს წვერებზე ამალდებოდა და ასე უსმენდა და შეპყრებდა სტუნიარ-მსახიობს, თუ არა და ერთფეროვნებას სხვა არაფერი არღვევდა მაინცდამაინც.

ასე იყო ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ, როცა დიმიტრი პირველად მოვიდა თბილისის ოპერის ორკესტრში, როცა აბესალომისა და დონ-ხოზეს როლებს ჯერ კიდევ სარაჯიშვილი ასრულებდა, და ასეა ახლაც. კლასიკური ოპერები თითქმის ზებირად შეისწავლა დიმიტრიმ, ახალს და კარგს ადვილად ვერ წერდნენ და ამიტომ პრემიერის დღეებსაც არაფერი მოჰქონდა ისეთი, რომ წონასწორობიდან გამოეყვანა ხელოვნების მოტრფიალე სული ძველი მუსიკოსისა.

რა თქმა უნდა, პრემიერების შემდეგ იწერებოდა რეცენზიები, აქებდნენ დამდგმელს, ხოტბას ასხამდნენ მომღერლებს და საღაც ბოლოში მიაწერდნენ, რომ „ორკესტრი შესანიშნავად ჟღერდა“. ეს იყო და ეს, ამაზე მეტი ქება დიმიტრის არასოდეს მოუსმენია, თუ კი, რასაკვირველია, ამ „შესანიშნავ ჟღერაში“ მის ჰობოისაც გულისხმობდნენ.

მართალია, ორკესტრის ზოგიერთ წევრთან ერთად დიმიტრი მედლით და აჯილდოვა მთავრობამ ომის დროს საკონცერტო ბრიგადებში მონაწილეობისათვის, ოპერის სხვა თანამშრომლებთან ერთად დიმიტრისათვისაც გამოუცხადებიათ მაღლობა კარგი მუსიკობის გამო, მაგრამ ეს იყო „ზოგიერთ წევრებთან...“ და „სხვა თანამშრომლებთან ერთად“.

დმერთმა დაიფაროს! დიმიტრის გულშიც არ გაუვლია ფიქრი, სხვებს ვკვობნი და ამიტომ სხვებისაგან გამომარჩიონო. არა, მაგრამ ხანდახან, გზად მიმავალს თუ ძილის წინ თვალმოხუჭულს, მოაგონდებოდა ახალგაზრდობა, მო-



აგონდებოდა სოფელი, სოფლის გოგო-ბიჭები, მოხუცები და თავისი სალამური. რამდენის ყურთასმენა დაუტკბია იმ სალამურით, რამდენის გული აუძგერებია, რამდენ მოხუცს დაუჯოცნია მისი ბავშვური შუბლი და რამდენჯერ უთხოვნიათ ტაშისკვით: კიდეც, კიდეც დაუკარო. ის აძგერებული გულებით, ის კოცნაც და ტაშიც მაშინ მხოლოდ დიმიტრის ეკუთვნოდა... მხოლოდ დიმიტრის და სხვას — არავის!

ქალაქმა კი თითქმის ჩაყლაპა ყმაწვილი, აქ დიმიტრის ნიჭი გაითქვიფა ათას მის მსგავსთა და უკეთესთა შორის. ახლა ამ ათასებს უგზავნიდნენ კოცნას, ეს ათასები აძგერებდნენ მაყურებელთა გულებს, ეს ათასები ისაკუთრებდნენ ტაშს. მართალია, მათ შორის დიმიტრიც იყო, მაგრამ როგორც ნაწილი მთლიანისა, როგორც წვეთი ჩანჩქერისა.

ჰოდა, შეეგუა დიმიტრი დღისით რეპეტიციებს, საღამოს — სპექტაკლებს და გვიან ღამით შინ დაბრუნებას... დღისით — რეპეტიციებს, საღამოს — სპექტაკლებს და გვიან ღამით შინ დაბრუნებას... დღისით რეპეტიციებს, საღამოს...

არა, არა, მოითმინეთ! იმ საღამოს მოხდა რაღაც უჩვეულო ამბავი, რომელმაც ბავშვობის დროინდელი სიხარული და ბედნიერება დაუბრუნა ჩვენს უსახელო არტისტს.

ოპერაში „ღიღი“ იყო დანიშნული. რეპეტიციიდან შინ დაბრუნების შემდეგ საკრავის ბუდე არც გაუხსნია დიმიტრის, მხოლოდ ახალი გაზეთი შემოახვია და შვიდი საათი იქნებოდა, ქუჩაში რომ გამოვიდა. დიდი ხანია დასჩემდა, გაზეთში ახვევდა თავის ჰობოის. ერთხელ, ქუჩაში, შექვიფიანებულმა ბიჭებმა სასაცილოდ აიგდეს ჩია ტანის დიმიტრი: თავისი ინსტრუმენტის ტოლსა საწყალი, გაუშვი, თავი დაანებეო, თქვეს და გადიხარხარეს. დიმიტრის ხმა არ გაუცია მათთვის, მხოლოდ მას შემდეგ გაზეთში ახვევდა საკრავს.

ახლაც ისე მიძვრებ-მოძვრებოდა ხალხით გაქვიდილ ტროტუარზე, რომ არავინ წუხდებოდა მისთვის გზის დასათმობად, თითქოს გინდ გამოსულიყო დიმიტრი ქუჩაში და გინდ — არა, არც არაფერი მოემბატებოდა და არც არაფერი დააკლდებოდა ამ ზღვა ხალხს. მაღალი და კისერმოღერებული ვაჟკაცი ხანდახან ეჯახებოდნენ კიდეცა უკანიდან, თითქოს უჩინარ ადამიანად ქცეულიყო დიმიტრი და ვეღარავინ ამჩნევდა.

ასეთი უჩინარი იყო იგი შინ და გარეთ.

ვერის ბაზრის პირდაპირ საშაქარლამოს ვიტრინა შეათვალიერა დიმიტრიმ. ცოლმა ტყბილეულის ყიდვა სთხოვა და ის გაახსენდა.

როცა მაღაზიიდან გამოვიდა, წელანდელზე უფრო აუჩქარა ნაბიჯს, მოსიერნე ხალხი უშლიდა სწრაფად სიარულს, და ამიტომ ქუჩის კიდეც გაჰყვა ასფალტზე. უკნიდან ტროლეიბუსი მოჰქროდა. დიმიტრიმ დროზე მოასწრო კვლავ ტროტუარზე შეხტომა. აქეთ-იქიდან შეკვივლებაც მოისმა. ალბათ, ეგონათ, ქვეშ მოჰყვა დიმიტრიო.

და სწორედ მაშინ, როდესაც ტროლეიბუსმა გვერდით ჩაუქროლა ერთი ხმაურითა და შუბილით, შარვალზე მტვერი შეაფერთხა და სახეში უზრდელად შეჰბერა ჰაერი, როცა ყურები დაუგუბა ქუჩის გუგუნმა, სწორედ მაშინ, დიმიტრის უკანიდან მკაფიოდ ნათქვამი სიტყვები მოესმა:

— იცი, ვინ არის ეგ კაცი?

დიმიტრიმ ძლივს შეიკავა თავი, უკან არ მოიხედა, მაგრამ თითქოს საყელოში მოჰქაჩესო, ერთბაშად შეანელა ნაბიჯი. საკვირველია, როგორ იგრძნო რომ ეს სიტყვები მას ეხებოდა.

— ვინ არის? — მოისმა ქალის სასიამოვნო ხმა.

დიმიტრი დაიძაბა, თითქოს მისი ბედი ახლა წყდება, ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეში იგი ელოდა განაჩენს.

— უმაგისოდ ოპერაში „დაისს“ ვერ დაიწყებენ! — განმარტა კაცმა და მერე ჩურჩულით განაგრძო ლაპარაკი.

თითქოს ერთბაშად ცაში აისროლესო, დიმიტრის სული შეუფუტდა. სიხარულმა თუ სიხარულზე რაღაც დიდმა გრძნობამ შემოირბინა მთელი მისი სხეული. ეს გული, ეს ერთი ციციქნა გული კი ისე ატოკდა, ისეთი ძალით ეძგერა მკერდს, რომ, მგონი, შემოატრიალა კიდევ ჩია ტანის დიმიტრი. უკან მოიხედა სახეაწითლებულმა დიმიტრიმ და გამვლელნი შეათვალიერა.

ახალგაზრდები მოდიოდნენ ხელიხელგაყრილნი, იდიმებოდნენ, მგონი, დიმიტრის შესცინოდნენ.

მათ გვერდით, ცალკე, მოხუცი ქალი და კაცი მოაბიჯებდა, ისინიც დიმიტრის შეპყურებდნენ კეთილი თვალებით.

უკან კიდევ ახალგაზრდები, სტუდენტები და მოსწავლენი.

ისევ მოხუცები და ხანში შესულნი.

მაღალნი და დაბალნი.

კოხტად ჩაცმულნი და ლამაზნი.

იმდენი ხალხი, რომ ქუჩა აღარ ჩანდა.

იმდენი, რომ მიწა ველარ ზიდავდა და ტორტმანებდა.

ფეხი აედგა ქალაქს და უკან მოჰყვებოდა დიმიტრის.

„ნეტა, რომელი იყო?“ — გაიფიქრა მან. ამ დროს კვლავ ჩამოიქროლა ტროლეიბუსმა, კვლავ დააფრთხო დიმიტრი და როცა ისევ უკან მოიხედა, სულ სხვა სახეები, სულ სხვა თვალები უღიმოდნენ მას.

„რომელი იყო?“ — ისევ გაიფიქრა დიმიტრიმ და ახლა წინ გაიხედა, წინ მიმავალთ დაუწყო თვალიერება. „უმაგისოდ „დაისს“ ვერ დაიწყებენ“, გაიმეორა გულში და უნებურად წაილიღინა ოპერის შესავალი. ამ შესავალს ხომ მართლაც ჰობოი იწყებს. ნაღვლიანი, გაბმული ჩივილია ეს მელოდია, მერე კლარნეტი ეხმინება. მერე ამ მელოდიას მთელი ორკესტრი იტაცებს. ჩივილი საღდაც ქრება. ორკესტრი ბორავს; იბრძვის, რაღაცას თუ ვიღაცას ებრძვის, ამსხვრევს, მაგრამ თვითონაც ღონე ეცლება და ბოლოს ისევ ჰობოის ნაღვლიანი მელოდიაა, ისევ ჩივილი და მოგონება წარსულისა.

— რა თქმა უნდა, უჩემოდ ვერ დაიწყებენ! — კინაღამ ხმამაღლა წამოსცდა დიმიტრის და შეამჩნია, რომ კი არ მიდიოდა, თითქმის მირბოდა ოპერისაკენ.

ახლა ყველა გზას უთმობდა.

ყველა მას შესცქეროდა.

ყველა უღიმოდა.

და თითქოს ყველა იმ უცნობი კაცის სიტყვებს იმეორებდა ჩურჩულით. მოულოდნელად ვიღაცამ შეაჩერა. აიხედა, მეზობელი იცნო.

— რა მიგარბენინებს, დიმიტრი, ჯერ ადრეა.

— რა ვქნათ, ასეთი სამსახური გვაქვს, ადრე უნდა გამოვცხადდეთ! — ძველებური, მომიჯივანი ხმით მიუგო დიმიტრიმ, გულში კი უნეტარესი კმაყოფილება იკოძნო, რომ ამ ჩვეულებრივი, წუწუნა სიტყვების გარდა, ახლა რაღაც ახალიც ჰქონდა — ახალგაზრდილი ბედნიერება, რომლის შესახებ მეზობელმა არაფერი იცოდა.

— აქეთურ-იქითურზე დაუწყო ლაპარაკი მეზობელმა. დიმიტრი უყურად-



ღებოდ უსმენდა და მხოლოდ მაშინ, როცა თანამოსაუბრე მეტისმეტად ჩააჯინდა და რაღაც შეკითხვაზე დასტურს მოითხოვდა მისგან, დიახ, დიახო, წამოიძახა თვალგაშტერებულმა დიმიტრიმ, გულში კი ასე გააგრძელა: „უჩემოდ ვერ დაიწყებენ“.

ოპერის კულისებში სტვენა-სტვენით შევიდა. უჩვეულო სიმსუბუქეს გრძნობდა, უნდოდა რაიმე ბავშვური ცელქობა ჩაედინა, ვილაცასთვის წკიპურტი ჩაერთყა ან ერთად დალაგებულ სკამებზე გადამხტარიყო. ავანსცენის წინ ორკესტრის პულტებს შორის გაიარა, თავისი სკამი მოსძებნა და ზედ საკრავი დადო. საშინლად მოუნდა პაპიროსის მოწვევა. ყიდვა დაეიწყებოდა, ქუჩაში გასვლას კი აღარ ჰქონდა აზრი. დერეფანს გაჰყვა და ზვეული კიბით მეორე იარუსზე ავიდა. იქ, ფოიეში, იყიდა „პრიმა“ და ზედიზედ გააბოლა. ბოლთას სცემდა და ხანდახან გაჰხედავდა ლოჟის ღია კარს, საიდანაც მოჩანდა სცენის ფარდა და მოისმოდა ორკესტრის არეული, გაბზარული ხმები... ო, როგორ მოსწონდა, როგორ ხიბლავდა ახლა ეს ენამოჩლექილი ჰანგები, ეს წუთი ოპერის დაწყების წინ.

ერთ პაპიროსს მეორეც მიაცოლა. თავებრუ დაეხვა, დახლს მიადგა და ბორჯომის წყალი მოითხოვა. თავისი თავი დაიჭირა: განგებ აჭიანურებდა ორკესტრში დაბრუნებას. „ერთიც ვნახოთ და უჩემოდ დაიწყონ“, გაუელვა შიშმა, მაგრამ თვითონვე გაედიმა — ეს შეუძლებელი იყო.

ფოიე დაცარიელებულიყო, ლოჟის კარი მიეკეტათ. დიმიტრიმ სწრაფად ჩაირბინა ხვეული კიბე, კულისებში გავიდა და, როცა ორკესტრისაკენ მიმავალ დერეფანს გასცდა და ღია კარს მიადგა, შეკრთა — დარბაზში ლამპის პატრუქივით ჩაეწიათ უზარმაზარი ჭადის ელნათურები, წრიალებდნენ დაგვიანებული მყურებლები, ყველაფერი ჩვეულებრივი იყო, მხოლოდ პულტთან ასული დირიჟორი თვალმოჭუტული იყურებოდა კარისაკენ, ეტყობა, დელავდა.

— სადა ხარ, აქამდე, შენ გიცდის დირიჟორი! — თან საყვედურით, თან შეშფოთებით ჩასჩურჩულა კონტრაბასზე დამკვრელმა. დიმიტრი სიამოვნებისაგან გაწითლდა, ყელთან ტკბილი, ნეტარი ცრემლი მოებჯინა. სწრაფად მოსძებნა თავისი სკამი, საკრავზე მოკლე თითები შემოაწყო, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და ჩაჰბერა.

დირიჟორის გარდა არავის შეუმჩნევია, რომ იმ სადამოს ჰობოი ყალბად უკრავდა.



## ილია ჩხეიძე

# შუქი და ხორცი

კოშკში ზის ქალი ნათელა. თუმც არც ბროლისაა კოშკი, არც ტინის. არც შთაზეა გადმომდგარი, არც ლაშქარი ახვევია გარს.

გაშლილ ველზე დგას ეს კოშკი. მხოლოდ ღამის სიბნელე არტყია და ქარი ზუზუნებს მის გარშემო.

კოშკის მაღალი, ფართო ფანჯრები ზრიალებენ და ნათელა ხედავს, ამავე ფანჯრებიდან გადადგრილ შუქზე როგორ ირწყვიან ობობას ქსელივით დახლართული ელექტრომავეთულები, ბლუჯა-ბლუჯად რომ გაკიდულან სიბნელეში.

შუადამემ გადაიარა, მაგრამ ნათელას თვალი არ მოუღულავს. არცა აქვს ამის უფლება. მორიგე ქალია ნათელა, ელექტროსადგურის პასუხისმგებელი მორიგე.

ხუმრობა საქმე კი არ არის!.. ღამე ერთია და ათასი ვინმე რეკავს. ყველას უნდა მოუსმინო, ყველას პასუხი გასცე... ყველა სინათლეს თხოულობს. მაგრამ ახლა ისეთი დროა, მდინარეში წყალი ძალზე დაკლებულია, ოთხიდან ერთი ტურბინი არ მუშაობს. იძულებული ხარ, ერთ ღამეს ერთი უბანი გამორთო რამდენიმე საათით, მეორე ღამეს მეორე...

ადვილი სათქმელია, გამორთე! იქნებ ამ უბანში იმ დროს ისეთ ადამიანს ღვიძავს, რომელსაც თავში რაღაც ბრწყინვალე აზრი მოუვიდა და ამ ბედნიერი აზრის ქაღალდზე გადასატანად ელექტრონის შუქი ჰაერზე მეტად სჭირდება.

ან იქნებ..

და აი, მაშინ იწყება გაუთავებელი რეკვა, თხოვნა...

არავის უნდა გაიგოს, რომ ზოგჯერ ტურბინი არ მუშაობს, რომ დენის ნაკლებობაა... როცა უბრალო თხოვნა არ ჭრის, მოითხოვს, ან ისეთ მიზეზს დავისახელებს, უარის თქმა არ შეიძლება...

და შენც, მორიგე ტექნიკოსმა, უნდა იმტვიროთ თავი იმის ფიქრში, თუ სად გამორთო, ვის გამოუერთო, რომ აყალმაყალი არ ატყდეს.

ქალაქი კი დიდია, ძალიან დიდი.

ოჰ, რა ძნელი ყოფილა სინათლე არგო ყველას!

მოსწყინდა ნათელას. ან როგორ არ მოსწყინდება. რამდენი ხანია, ტელეფონის ზარიც არ აწყრიალებულა.



მოდი, დაურეკავს რომელიმე უბნის მონტიორ ბიჭებს. მაგრამ არა, ცოდონი არიან. მორიგი გამომძახების მოლოდინში, ალბათ, სამორიგეოში ყვინთავენ. დე იძინონ, ისედაც ხშირად აღვიძებს... მაგრამ რა ქნას ნათელამ, თუ ასე მოსწყინდა!

აქამდე ასე მარტო არასოდეს ყოფილა. პირველი შემთხვევაა, დამოუკიდებლად რომ მორიგეობს. ხმის გამცემი არავინ ჰყავს. მას კი ძლიერ უყვარს ტიკტიკი, ის ხომ თვრამეტი წლისაა. გული თავისით მღერის, ენა ჟღერტულებს.

ერთ ადგილას ვერ ჩერდება ნათელა. ხან ერთ ფანჯარას მიადგება, ხან მეორეს, ხან მესამეს, ხან მეოთხეს. მაღალი, ფართო ფანჯარა ყველა მხარეს გასკქერის, ქვეყნის ოთხივე მხარეს. რომ გადაიხედავს, პირველად მავთულეებისა და ბოძების ცივი ელვარება შემოანათებს თვალებში. აქა-იქ, ბოძებზე, მტრედებივით შეჯგუფული თეთრი იზოლატორები ქათქათებენ... შემდეგ სრული სიბნელეა ერთ გაყოლებასზე. უფრო შორს კი ჩანს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ასევე ვარსკვლავებით მოჭედილი ქალაქი.

ო, რა ლამაზია თბილისი ვარსკვლავიან ღამით, ამ ღამით! თითქოს უზარმაზარი ბროლის გლობუსის შუაგულში გამოკიდულა ნათელა და მის ირგვლივ კრთიან, ციმციმებენ ვარსკვლავები, ზოგნი ცალ-ცალკე, ზოგნი ხომლ-ხომლად, ზოგნიც ნისლივით ერთმანეთში გადამდნარნი.

უნებურად მოდის კოტეზე ფიქრი.

კოტე ნათელას სატრფოა. მანაც საშუალო სკოლა დაამთავრა და პირდაპირ ქარხანაში წაივია სამუშაოდ. ახლა კოტე უკვე დაზვეებს ამზადებს, მაგრამ ნათელას ფიქრი რატომღაც მაინც ვარსკვლავებთან ქრის, როცა კოტეზე ფიქრობს.

ნათელა ცის ვარსკვლავებზე ფიქრობს, მიწის ვარსკვლავებს კი განაგებს. შეუძლია აი იმ ფართან მივიდეს, ხელი გააქნიოს და, ჰოპ!.. მიწაზე ჩაქრებიან ვარსკვლავები, ნახევრად დაიმსხვრევა ბროლის მომხიბლავი გლობუსი.

აი რეკვა მაშინ ნახეთ! მაშინ ყველა გაიგებს, თუ რა ყოვლისშემძლე ქალია ნათელა! დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მუშა თუ მინისტრი, ყველა, ყველა შეეხვეწება:

— ქალო ნათელა, კარგო ქალო!.. რა მოხდა ისეთი, რად გაგვიგულსიდი. გვეყო ბნელში ჯდომა. მოგვეცი სინათლე, მოიტა სინათლე!..

მაშინ ნათელა ღიმილით წამოდგება. არა, ჯერ არ გაიღიმებს. ცივად იტყვის კიდევ: სინათლე არ იქნება, სინათლეს ამაღამ ნუ ელით!

ამას ისე, გასაჯავრებლად იტყვის, ნამდვილად კი ისევე მივარდება მარმარილოს დიდ ფარს და ჩართავს სინათლეს, ყველაფერს გააჩირაღდნებს, გააჩახჩახებს.

რატომ არავინ რეკავს ამდენ ხანს... ნუთუ ყველგან სინათლეა, არავის სჭირდება ჩემი ლამპარი?..

დარეკეთ, დარეკეთ, ნუ გერიდებათ, ბნელში მსხდომნო! თუ საჭირო იქნა, მე თვით ჩავიქრობ სინათლეს ჩემს ბინაში, ჩემს კოშკში. მე ისედაც ვხედავ, რადგან ნათელა მქვიანს! შენ კი, ბნელში მჯდომო, უარს არ გეტყვი სინათლეზე...

დარეკეთ, დარეკეთ, გთხოვთ, გულით გთხოვთ ქალი ნათელა!

ეს რაა, მოეყურა თუ ნამდვილია?

ნათელა მირბის ტელეფონთან, მაგიდის კიდევზე ჯდება, ყურმილს იღებს და ეხმიანება ვილაცას:

— გისმენთ!.. მორიგე ვარ... დიახ... არაფერიც არ გამოგვირთავს... რუს-

თველი ყოველთვის განათებულია... მახლობელ სახლებში არის?.. ალბათ, თხევით მოხდა... რა გაქვთ?.. ქორწილი?.. ჰო, ახლა გასაგებია, ასე მხიარულად მიტომ ლაპარაკობთ, ჭაბუკო?.. ხომ გამოვიცანი?! — უცებ სახეს ეშმაკური ღიმილი გადაეფინა. — იქნებ რაყიფმა გადასჭრა მავთული გაბოროტებით... რაო?.. მე ვატარტალებ ენას?.. ბოღიში!.. მე ისე, ხუმრობით... არაფერიც!.. ნუ მიყვირით, თუ შეიძლებოდეს!.. რაკი მაგრეა, იცით, რას გეტყვით?.. იცით, რას გეტყვით?.. ჩხიკვი ვარ ხომ?.. ასე?.. ალბათ პატარძალი გყავთ ძალიან ლამაზი... ხომ?.. ჰოდა რაკი ასეა, იმან გაგინათოთ... მე კი თავი დამანებეთ, მომეშით...

მოჩვენებითი გაგულისებით ყურმილი დასდო, შემდეგ გადაიკისკისა და ისევ აიღო:

— ტასო!.. ტასიკო!.. შემაერთე ბიჭებთან... მეოთხე უბანთან... ალო!.. ალო!.. პეტო!.. გამოიღვიძე, პეტო!.. მამალმა უკვე იყვილა... რა ამბავია, არ გადამყლაპო!.. პეტო, გესმის, ბიჭო?.. რუსთაველზე, სამოცდაოთხ ნომერში, რალაც მოხდა... მავთული უნდა იყოს გაწყვეტილი... თანაც ქორწილი ჰქონათ... ჰო, წადი... აბა შენ იცი... ბევრი არ დალიო... ჰო, კარგი... კარგი ბიჭი ხარ, პეტო!..

ყურმილს ჰკიდებს და ისევ ფიქრებს ეძლევა.

„ნეტავ როდის იქნება ჩემი და კოტეს ქორწილი?.. ალბათ კიდევ დააგვიანდება... კოტე ისეთი დინჯია და აუჩქარებელი... ქარხანა სახლს აშენებს, ბინას მივიღებ და მერეო... ბინაც რომ მიიღოს, ვიცი არ იკმარებს... ახლა ავეჯსაც მონიდომებს...“

წითელი ცელულოიდისკანიანი მავთულის ნაჭერი მაჯაზე დაიხვია რგოლებად და ხელის მტევანს დააცქერდა. მოქნილ, ვარდისფერ ხელს ნელ-ნელა სითეთრე შეეპარა. მანამ არ მოუცილებია მავთული, სანამ თითებში სიცივე არ იგრძნო.

„მინც როგორია პატარძლობა? — ფიქრობს ნათელა. — წარმომიდგენია!.. თეთრი საქორწინო კაბა... იპ! არ მიყვარს თეთრი... რალაც ისეთია, ისეთი, მკვდარი... არ მოუხდება ჩემს შაქრისფერ სახეს, ქერა კულულებს... კოტე ჩემს მარცხნივ ზის... არა, მარჯვნივ... მგონი ასეა წესი... მე კი ვზივარ და მორცხვად დავყურებ თეფშს. — ნათელამ მაგიდას მოავლო თვალი და რაკი უკეთესი ვერაფერი ნახა, ხელისგულის სიფართოვე მარმარილოს ფერის ნატეხი დაიდო, — თეფშზე აწყვია... რა აწყვია?.. ტორტის მოზრდილი ნაჭერი, ნუშის ნამცხვარი... კიდევ?.. შოკოლადი... წითელი ვაშლი... და ყველაფერი ეს თურმე, ხელუხლებლად უნდა იდოს... სირცხვილი ყოფილა, პატარძალმა რომ ჭამოს... წარმოგიდგენიათ, რა საშინელებაა!.. მაგრამ ნუშის ნამცხვარს მინც შეეჭამ... აი, ნახავთ!.. მე ისე მიყვარს ნუშის ნამცხვარი... ოღონდ გულის მომსუყება იცის ჩქარა... უნდა დავაყოლო რაიმე... ვაშლს დავაყოლებ... მაგრამ ვაშლი ხომ უნდა გათალო?.. ხათაბალაა, ყველა შეგამჩნევს... არა, ისევ გაუფტქვინელს შეეჭამ, უფრო გემრიელია... მაგრამ ვაი თუ თქვან, უზრდელი ყოფილაო. ეჰ, მაგათ რომ უყურო!.. ეგ არაფერი!.. თქვენ ის მითხარით, რა უნდა ვქნა, თუ უცბათ სინათლე ჩააქრეს და „გოგოკა“ მოგვთხოვეს?!.. არავითარ შემთხვევაში!.. მაგრამ კოტე! — ნათელა შეიშმუნა და ახლა ხელი ყვრიმალზე მოისვა უნებურად. — ის ისეთი თავხედი, მართლა მაკოცებს... მაგრამ ვერ მივართვია!.. ამას წინათ რომ... მაგრამ ქორწილში სილის გარტყმა როგორ შეიძლება! აბა რა ვქნა?.. რა თქმა უნდა, ვაკოცებ... სილა რა შუაშია!“





ტელეფონმა დაიწვია.

შეერთა ნათელა. არ ეამა, ასეთი ფიქრებიდან რომ გამოიყვანეს. უხალისოდ აიღო ყურმილი.

— გისმენთ... ნათელა გისმენთ... ოჰ!.. სადგურის მორიგე გისმენთ, ქალბატონო... რაო, გაგქურდეს?! მერე და მე რა შუაში ვარ!.. მილიციაში დარეკეთ... სინათლე არ იყო, როცა ადექით?.. ჰო... მესმის! დაიჭერენ, აუცილებლად დაიჭერენ. ნუ გეფიქრებათ... მაშასადამე, მრუდე შესახვევი, შვიდი, არა?.. კი, ქალბატონო... ამ წუთში...

ნათელა დაუყოვნებლივ რეკავს სამორიგეოში და ახლა კოლა-მონტიორს აძლევს დავალებას.

„ორის ნახევარი იყო, — ფიქრობს ნათელა, — მაგათ უბანში სინათლე რომ გამოერთე... ვთქვათ, სინათლე ყოფილიყო და თვითონ, საკუთარი ხელით გამოერთო დაწოლის წინ, რაო, ვერ გაქურდადენენ?.. ფხიზლად უნდა ყოფილიყვნენ, ფხიზლად, თუ მრუდე შესახვევში ცხოვრობენ... ყველა მრუდე ქუჩასა და ყველა მრუდე ადამიანს ერთბაშად ხომ ვერ ვასწორებ. მაგრამ არა, მაინც აჯობებდა სინათლე ჰქონოდათ. სინათლეში ადამიანი უფრო გულდაჯერებულა და დამშვიდებული. სინათლე ქურდსაც აფრთხობს. სინათლისა მხოლოდ ბოროტმზრახველსა და ნადირს ეშინია.“

რიგიან ადამიანს სიბნელის იმდენად კი არ ეშინია, რამდენადაც არ უყვარს. ტყვილად როდი დგას იქ, ზაპესთან, ბრინჯაოს კაცი კაშხალისაკენ ელვასავით გაწვდილი ხელით. თითქოს უბრძანებს დამორჩილებულ წყლის სტიქიას: მიეცი ადამიანებს სინათლე, რაც შეიძლება მეტი სინათლე, რადგან მათ ის ისე უყვართ, ისე უყვართ!.. ეს მავთულებიც, ქარის ფრთებზე რომ ირწყვიან, იქიდან მოემართებიან, რათა ამ კოშკიდან ოქროს ბადესავით გადაეფინონ ქალაქს.

ოჰ, რა ძნელია და თან რა საამო, ცდილობდე, სინათლე არგო ყველას!“

ნათელას ახსენდება ძალიან ნაცნობი და თან ძალიან შორეული ზღაპარი... ჰო, რა ჰქვიათ იმ ჰაბუქს, უღრან ტყეში გზააბნეულ ხალხს საკუთარი მკერდიდან ამოგლეჯილი და საკუთარი ხელითვე დაწურული გულის შუქით გზა რომ გაუნათა სიბნელეში?..

მართლაც რომ ზღაპარია, მაგრამ სინამდვილეს კი ჰგავს!.. განა დასაბამიდან ასე არ არის?!

გრძელ და გაუთავებელ გზაზე მოდის ხალხი... წინ, სიბნელეში, რამდენი უფსკრულია და ხრამი... ბევრჯერ მდგარა ხალხი უფსკრულის წინაშე, მაგრამ ბოლოს მაინც გაუკვლევია გზა: ან ჩირაღდნით, ან მთვარისა და ჭარსკვლავების მიმცხრალი შუქით, ან კიდევ გულის სინათლით, ისეთი გულისა, იმ ჰაბუქს რომ ჰქონდა...

ეს სინათლე არასოდეს გამქრალა, არც გაჰქრება. ამიტომ ციმციმებენ ისინი დამეულ სიბნელეში მარადიულად, ამიტომ გაწოლილა ადამიანთა მოდგმის ნაკვალევზე ირმის ნახტომის ნისლოვანებასავით გრძელი და ნათელი კვალი შუქისა...

ეს ვინ რეკავს?.. ვიცი, ვიცი, რასაც თხოულობთ, მეგობარო!

— რატომ გიკანკალვებ ხმა? — ხმა ნათელსაც უთრთის ახლა. — სინათლე გნებავთ?.. რა მოხდა?.. როგორ?.. მოკვდა ვინმე?.. ძილში?.. საწყალი, საწყალი... გულის მანკი ჰქონდა?.. სამწუხაროა, სამწუხარო... ახლავე, ახლავე იქნება, მეგობარო, გული გაიმაგრეთ!..

და ნათელას ნებით იგზავნება სინათლე ბინაში, რომელსაც ეს-ესაა უბედურება დაატყდა.

„მანც რა ცუდია, ადამიანი რომ კვდება. აი, მე სულ არ ვიცნობ გავლენას ცეცხლის, მაგრამ გულს თითქოს რაღაც მომწყდა, სული დამიმძიმდა რაღაც ნაცნობი ადამიანური სევდით...“

სად და როდის დამეუფლა ეს განცდა პირველად?.. ჰო, სოფელში... მაშინ პატარა გოგონა ვიყავი... შუადამით ატყდა კვილი საღდაც შორს, შორს... ისეთი ცივი და ხაფი იყო ის კვილი, ძილშიც ჩამწვდა და შემაკართო. როცა გამეღვიპა, უკვე ვკანკალებდი. მასხოვს, უფროსები შესაცხადებლად წავიდნენ... სახლში მე და ბებო დავრჩით... საბანში გახვეული, ხანდახან თუ გავიპარებდი მზერას ფანჯრისაკენ... თავზე დამნათოდა ისეთი დიდი ქათქათა მთვარე. მაგრამ მისი შუქი არც მათბობდა, არც მინათებდა თითქოს. ისე მეჩვენებოდა, საღდაც ახლოს უხმპუროდ დაჰქროდა და ფრთებს შლიდა უხილავი და უცნობი ფრინველი, სწორედ ის ფრინველი, რომელიც ასე ქორივით დევნა მძინარე სოფელს და რაღაც მოიტაცა, ვიღაც მოიტაცა წიწილივით“.

რა, ისევ რეკავენ?

ნათელას ასე არასოდეს გახარებია ტელეფონის ზარი. ყურმილი აიღო:

— რაო?... ვაჟი შეგეძინათ? — ნათელამ ისე მიმოიხედა, თითქოს თვალთ ეძებს ვინმეს, რომ თავისი გაკვირვება გადასცესო. ან როგორ არ გაუკვირდებოდა?... რატომ ახარა ვიღაც უცნობმა მას ვაჟის შექმნა?... ალბათ შეცდომით. მაგრამ ნათელამ იცის, რომ ასეთ ღრის ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს იგი, უგუნებობით ზასიათი არ უნდა გააუფუჭო. — მომილოცავს!.. მომილოცავს!.. კარგი ბიჭია?... როგორ თუ კარგად არ იცით?... ეს-ესაა ჩაქრა სინათლე?... დმერთო, მომკალი!.. ახლავე, ახლავე...

დენზე უფრო სწრაფად მიჰქრის ნათელას ფიქრი იმ ოჯახისაკენ, საღდაც ახალშობილი ჭყვიის.

„ნეტავ ვინ არიან მშობლები, რა ხალხი?... მამას ისეთი სასიამოვნო ხმა ჰქონდა... იქნებ პირმშოა ეს ბიჭი... ალბათ ძალიან სსხიხარულოა პირველი შვილი... იქნებ პირველიც არ არის... მესამე ან მეოთხეა. მაშინ ბავშვების ოთახში ვინმეს შეგზავნიდნენ, რომ პატარები შეიყოლიოს, დედის ტანჯვა არ აგრძნობინოს... ზეალ კი, ალბათ, ეტყვიან: დედა ბაზარში იყო და პატარა ძამიკო გიყიდათო... გაოცებული, თვალბეგაფართოებული ბავშვები ჯერ შორიდან შეხედავენ ამ საეჭვო საჩუქარს, იქნებ უგულოდაც მიიღონ დედის მისუსტებული ალერსი, მაგრამ ბოლოს მანც გახალისდებიან. შესაძლოა რომელიმე მათგანი წაუპოტინოს კიდევ ჩვილს: ერთი ვნახოთ, ვინ არის, რა არისო. მაგრამ ახლოს რომ არ მიუშვებენ, გული შეუცნობი უნდობლობით შეუტოკდებათ, შურითაც კი აევსებათ. ნუთუ ასეთი ვინმეა ეგ ციცქნა ბიჭი, პირი შოშისავით რომ დაუღია!.. ზელსაც არ გვაკიდინებენ... რაღად ყიდულობდა მაშინ დედა?... იქნებ ჩვენზე მეტად უყვარს... შეიძლება ცრემლიც წასკდეს რომელიმეს... წარმოგიდგენიათ?! ასეთი სიხარული და ცრემლიც იქვე?“

დე თუნდაც აგრე იყოს! სამაგიეროდ, რა კარგია, რომ ქვეყნად იბადებიან ბავშვები, იბადებიან შვლის ნუქრები, არწივის მართვეები, იხვის ჭუჭყულები, ჩიტის ბარტყები...

საოცარია!.. ისახებიან და იზრდებიან საღდაც ბნელ წილში, რომ შემდეგ ქვეყანას ამცნონ თავიანთი მოსვლა, მოითხოვონ თავიანთი წილი ჰაერი და წყალი, თავიანთი წილი პური და სინათლე...

და შენც უნდა მისცე, ყველას უნდა მისცე წილხვდომილი...

ძნელი კი ყოფილა!

ნათელამ ეს თვითონ გამოსცადა ამ ღამით.

არ იცის, ვინ დააკისრა და როდის ასეთი ჯაფა.

თანაც, თითქოს პირი შეუტკრაეთო, ყველა ერთნაირად თხოვს:

— მოიტა სინათლე, მოგვეცი სინათლე!

მერე რომელი სინათლე?..

მზის სინათლეს არავენ არ თხოულობს. ალბათ იციან, რომ იგი ისედაც ამოვა, ისედაც უხვია და ამოუწურავი, ვით სიცოცხლის დამბადებელი.

გთხოვენ სინათლეს, რომელიც ჯერ კიდევ არც თუ ისე უხვადაა: ადამიანის მიერ შექმნილ სინათლეს. ყველას ეჩქარება სიბნელე შემოიფანტოს, და უსრულებლად ნათელს გადაეჭლოს.

განა ნათელსაც ეგ არ უნდა, ყველა ადამიანს ეგ არა სურს?! განა ამიტომ არ დგას ბრინჯაოს კაცი ელვასავით გაწვდილი ხელით ტურბინებთან?.. მისი კეთილი, მბრძანებლური ყესტი მოგვიწოდებს შევქმნათ სინათლე, თვით მზესავით დაუშრეტელი.

და ეს იქნება, უეჭველად იქნება.

მანამ კი ძალიან ნუ დაემღურებით ნათელას.

ცოტა კიდევ და დღის და ღამის შუქი შეერთდება, ცა სულ გადაისარკება. ოჰ, როგორ ეძინება!.. თენდება, ყველა იღვიძებს, მას კი ეძინება...

ასეა, როცა ღამით ფხიზლობ, რომ სინათლე არგო ყველას.

ძნელი კი ყოფილა.

მაგრამ ის მაინც გაათევს ღამეებს, კიდევ ბევრჯერ გაათევს, ოღონდ სინათლე არგოს ყველას...

ყველას... ყველას... ყველას...



## გიორგი კაჭახიძე

### ჩემი სოფლის მდინარე

ბავშვი ვიყავი, არ მომასვენე,  
 არ შემიძლია ახლაც არ განახო.  
 არ მომასვენებ, თავს გამახსენებ,  
 ცხრა ზღვის იქითაც რომ დავესახლო.

ვიცი, ბავშვობას ვერ დამიბრუნებ,  
 არც მე ვისურვებ, არც შენ ეცდები...  
 მაინც, ძვირფასო, როცა გიყურებ,  
 ჟღერტულს იწყებენ ყრმობის მერცხლები.

სხივი იმ წლებს მომდევს, არ ქრება,  
 ვერც ქაღარაა მისი მომრევი.  
 მიწას რომ სწვავდა პაპანაქება,  
 სულს მიბრუნებდა შენი მორევი.

რიყის სველ ქვაზე ფეხის დაცდენამ  
 ვერ დამიტოვა შენზე ნალველი.  
 ვიცი, დროდადრო გამოსაცდელად  
 რისთვის მიტევიდი შმაგი ტალღებით.

მაშინ ვისწავლე ცურვაც, სიფრთხილაც,  
 შენს მორევივით შევებად განცდილი.  
 შემდეგ ვეება ზღვა რომ ვიხილე,  
 არ შევრცხვენილვარ შენი გაწვრთნილი.

როგორ შემეძლო უქმად დარჩენა,  
 ვთქვი: ქვეყანაზე მხურავს მეც ქუდი,  
 ტალღას ქოჩორზე დავკარ მარჯვენა  
 და გაბედულად ზღვაში შევცურდი.

## ახლა ის იტყვის ჩემზე

დილა ზაფხულის, მზე, შორეულ გზებზე ნამგზავრი,  
 გრილი ორღობე — დაჩრდილული მწვანე ხეხილით,  
 ხელში მოქნილი, გრძელი სახრე, ზურგზე — საგზალი,  
 წინ ლომა ხარი ქედმაგარი, რქამოტეხილი.

რამ გამახსენა წარსულიდან ეს დრო, ნეტავი!  
 ყანის ბოლოში ვაძოვებდი ლომას ყმაწვილი,  
 და შორიახლო სიღარიბე გაუბედავი  
 მითვალთვალებდა დასაჭერად ხელგამოწვილი.

მჭადის ნატეხის მოლოდინით იფნის ჩეროდან  
 შემომცქეროდა მურიკელა დარდის არმქონე.  
 დროგამოშვებით ორთქლმავალი გამოჩნდებოდა  
 და მიაფრენდა ლიანდაგზე ცისფერ ვაგონებს.

გადმომხედავდნენ ფანჯრებიდან ღიმიტ მგზავრები,  
 მაეიწყდებოდა წუთით ლომა, ჩემი კერია  
 და, შეპყრობილი ყმაწვილური ტკბილი ზმანებით,  
 ყოველ მათგანზე ვჩურჩულებდი: — ბედნიერია!

დღეს კი თვითონვე სად არ ვმგზავრობ, სად არ მივდივარ,  
 მატარებლებში ჩემი ტოლი ყველგან ბევრია.  
 ეინმე ბიჭუნა დამინახავს სადმე მინდვრიდან  
 და ახლა იგი იტყვის ჩემზე: — ბედნიერია!



### მეხვი გოგიჩაიშვილი

ქრონიკა

რომანი

13

ათანასე ბექაური მინდვრად იყო, როდესაც უთხრეს, კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიხმობსო. რაც შეხლა-შემოხლა მოუხდათ, არ ახსოვდა არაბულს რაიმე საქმეზე დაეძახნა. შეხვედრის დროსაც ან უმიზეზოდ ჩხუბს დაუწყებდა, ან არა და სრულიად არ ამჩნევდა. დღეს კი თვითონ ეძახის. ნეტავი რა ამბავია?

ათანასე იმ წუთასვე კოლმეურნეობის კანტორისაკენ გაეშურა. ვახტანგი თავის ოთახში მარტოკა იჯდა. ათანასე რომ დაინახა, სიბრაზისაგან ცალი წარბი აათამაშა. ჩანდა, ძლიერ უჭირდა თავის შეკავება, სული კბილით ეჭირა. ამას მისი ზედმეტად გაფართოებული თვალებიცა და ხშირი ღრმა სუნთქვაც ამოწმებდა.

ათანასე იდგა და დუმდა. თავმჯდომარემ იხმო — თავმჯდომარემეც დაიწყოს, თორემ მან რომ რაიმე თქვას, ეგებ ამით საბაბი მისცეს დაგუბებულ რისხვის გადმოსახეთქად. ნეტავი შეიძლებოდეს ვახტანგის დაჯერება.

— აი, რა, — დაარღვია სიჩუმე ვახტანგმა და ისე მიმართა, ათანასესათვის ზედაც არ შეუხედნია: — ახლავე რაიონში უნდა წახვიდე, რაიკომის ახალი მდივანი გიხმობს.

სანამ სათქმელს დაამთავრებდა, თავისი მოუვიდა. ზედმეტი თავშეკავებისაგან სახე ერთნაირად აუჭარხლდა. ირაკლისათვის პირობა რომ არ ჰქონოდა მიცემული, იცოდა ამ მომჩივანს როგორც გაუსწორდებოდა, მაგრამ ახლა რა ექნა. ვახტანგი ისეთი კაცი როდი იყო, სიტყვის გატეხა იოლ საქმედ მიეჩნია.

ათანასემ არაფერი უპასუხა, თანხმობით თავი დაუქნია.

— ახლავე უნდა წახვიდე! — გაიმეორა ვახტანგმა. — გადაიცივი და გასწი. — შემდეგ სახეზე ახედა და დაუმატა. — თავი წესრიგში მოიყვანე. წვერიც გაიპარსე, ფეხსაცმელიც გაიწმინდე. არ თქვან, ტლაპოდან ახალი ამომძვრალიაო...

— ბატონი ბრძანდებით. მივდივარ.

— ჰოდა წადი, მეტი არაფერი!..



ათანასე ოთახიდან რომ გამოდიოდა, გრძნობდა, როგორ ქშინავდა მის ზურგს უკან ვახტანგი, როგორ ბორბავდა. ერთხელ — ჰაი, დედასაო!.. დაიძახა კიდევ, მაგრამ სხვა რამეთი თავისი გულის წუხილი არ გამოუმჟღავნებია.

ათანასე სასწრაფოდ მოემზადა. მიდიოდა და მიუხაროდა. ნეტავი მან, იქ მყოფმა, იცოდეს, ყოველთვის როგორი აღფრთოვანებით მიემშრება ზოლმი რაიონში, ეგებ მათი დამოკიდებულება უფრო ნათელი და გარკვეული გახდეს. ახლა კი რაღაი, ვერც ათანასე უბედავს ვერაფერს და გოგონა პირველი ხომ არ ეტყვის მიყვარხარო!..

რაიონის ცენტრში სამუშაო დღის ბოლოს ჩავიდა. გზაზე გამვლელ ავტომანქანას დიდხანს უცადა, ამიტომ დააგვიანდა. თავიდანვე ასე ჰქონდა გადაწყვეტილი, ჯერ კომკავშირის რაიკომში შეეელო. ახლა ამისი დრო აღარ იყო. პირდაპირ პარტიის რაიკომისაკენ გასწია. არ უნდოდა დღე დაჰკარგოდა. კოლმეურნეობაში თავსაყრელი სამუშაო დასტოვა. ჯერ მთავარი საქმე მოათავოს, კომკავშირის რაიკომში ყოველთვის მოასწრებდა მისვლას.

რაიკომის მდივნის მისაღებ ოთახში მოკრძალებული შევიდა. მაყვალა მაგიდას უჯდა და რაღაცას წერდა. ისე იყო წერით გართული, ათანასეს შესვლა არც კი გაუგია. ათანასე მიუახლოვდა.

— შეიძლება? — ჩუმად თქვა და თავისივე სიტყვისა შერცხვა. იგი უკვე შუა ოთახში იდგა და შემოსვლის ნებართვას თხოულობდა.

მაყვალამ თავი ასწია. ათანასე რომ დაინახა, გაეხარა. წერა მაშინვე მიატოვა.

— მობრძანდით, ათანასე, მობრძანდით!.. მდივანმა მითხრა თქვენს შესახებ. ჩქარა განთავისუფლდება და შეხვალთ. დაუცადეთ. აგერ სკამზე დაჯექით.

— გმადლობთ! — უპასუხა ათანასემ და იქვე ჩამოჯდა. ერთხანს ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ათანასემ მალულად შეხედა მაყვალას. ორ-სამ თვეში გამოცვლილიყო მაყვალა, დაქალაშვილებულიყო. მის სახეს სხვაგვარი იერი ეკრა და თვალებიდანაც სხვაგვარი შუქი გამოსჰვივოდა. კარგი გამხდარიყო, ძალიან კარგი.

ფიქრებიდან მაყვალას შეკითხვამ გამოაფხიზლა:

— როდის ჩამოხვედით?

— ეს წუთია. პირდაპირ თქვენსკენ გამოვეშურე.

კვლავ სიჩუმე დადგა. ახლა დუმილი ათანასემ დაარღვია:

— გახსოვთ კომკავშირის შარშანდელი ყრილობა?

ათანასემ მაყვალა ყრილობაზე გაიცნო. მაშინ იგი მოწაფის წინსაფარს ატარებდა და ზურგზეც ორი შავი გრუზა ნაწნავი ეკიდა.

მაყვალას თვალები აუციმციმდა, ყველაფერი გაახსენდა: დედაქალაქი, ყრილობა...

— მახსოვს! — გაიმეორა. — რა დამავიწყებს. განა შეიძლება იმ სიხარულის დავიწყება?

— საამაყო კომკავშირის ყრილობის დელეგატად ყოფნა?..

— საამაყო, ათანასე, ძალიან საამაყო. ასეთი ბედნიერება ხშირად როდი შეგხვდება ცხოვრებაში. — ცოტახანს შეჩერდა, შემდეგ ხმადაბლა შეეკითხა: — როგორ ფიქრობთ, ხელახლა არ აგვირჩევენ საქართველოს კომკავშირის მომავალი ყრილობის დელეგატებად?

— ეს ჩვენზეა დამოკიდებული, — ღიმილით უპასუხა ათანასემ. — ვიქნებით მოწინავენი, აგვირჩევენ.

— თქვენ რა გიჭირთ, — დანანებით თქვა მაყვალამ. — მე ვიკითხო, თო-

რემ... შარშან, როგორც მოწათე, გამაგზავნეს. წელს, წელს რაღა იქნება მონაწილე...  
 წინავე პირადი მდივანი?..

— მოწინავე ყველგან შეიძლება იყოს, — შეეკამათა ათანასე. — თუმცა ჩემ-  
 გან რა გესწავლებათ... განა უკეთესად არ იცით?

ოთახში კვლავ სიჩუმე დასადგურდა.

— გენატრებათ თბილისი? — შეეკითხა ათანასე.

— შარშან პირველად ვიყავი თბილისში, — ოცნებით უპასუხა მაყვა-  
 ლამ. — ო, რა კარგია!.. დღესაც იმ შთაბეჭდილებებით ვცხოვრობ.

უცხად ოთახში მანანა ლებანიძე შემოვიდა. ოთახში მყოფნი ასე ხმა-  
 ტებილად მოსაუბრენი რომ დაინახა, შეკრთა. ათანასე წამოხტა, აღელვება მა-  
 საც შეეტყო.

მანანამ შესწლო თავისი შეკრთომის დაფარვა. მაყვალას მიუახლოვდა და  
 ტებილად, ხუმრობის კილოთი მიმართა:

— მაყვალა, მითხარი, გეთაყვა, რა შთაბეჭდილებებს უზიარებდი ჩემი  
 ერთ-ერთი პირველადი ორგანიზაციის მდივანს?

მაყვალას არაფერი შეუმჩნევია, გულუბრყვილოდ უპასუხა:

— კომკავშირის შარშანდელ ყრილობას ვიგონებდით.

— როგორც ჩანს, — ოდნავ გამომწვევად თქვა მანანამ, — ბევრი რამ გქო-  
 წიათ საერთო მოსაგონარი!

მათ საუბარში ათანასე ჩაერია.

— გამარჯობა, პატივცემულო მდივანო! რათ არ მესალმებით, ხომ არა-  
 ფერი გაწყენინეთ?

მანანამ გვერდიდან შეხედა ათანასეს.

— შემოსვლისას განა სალამი არ მომიცია?

— ასე კი იყო და... — ჩაიდუღუნა ათანასემ.

მანანამ პირდაპირ შეხედა ათანასეს და ნახევრად ხუმრობის კილოთი  
 მიმართა:

— რაო, ამხანაგო ბექაურო, პირდაპირ პარტიის რაიკომში რომ მოხვედი,  
 გსურს შენს რაიკომს თავზე გადაახტე?

ათანასემ მშვიდად უპასუხა:

— გიგაურმა გამომიძახა. ახლახან ჩამოვედი. თქვენთან მოსტლა ვერ მო-  
 ვასწარი. დღე კი არ მინდა გავაცდინო...

ირაკლიმ კაბინეტიდან დარეკა.

— ბოდიშს ვიხდი, — თქვა მაყვალამ. — უნდა დაგტოვოთ, მდივანი მეძახის.  
 მაყვალა ირაკლის კაბინეტში შევიდა და ისინი მარტონი დასტოვა.

— თქვენთანაც ვაპირებდი შემოსვლას, აუცილებლად ვაპირებდი. — გა-  
 აგრძელა გაწყვეტილი სიტყვა ათანასემ.

— შენი ორგანიზაციის მუშაობის გამო ხომ არა? — გამომწვევად უთხრა  
 მანანამ. — გამოგიტყდები, შენი კომკავშირული ორგანიზაციიდან ჯერჯერო-  
 ბით კარგი არაფერი მესმის.

ყველაფერს აიტანდა ათანასე, მაგრამ დაუმსახურებელ ძაგებას კი ვერა.  
 ამიტომ მანანას სიტყვების გამო აენთო და სხაპასხუპით უპასუხა:

— ცუდი ინფორმაცია მოუტანიათ... თუ არ გჯერათ, თვითონ მობრძან-  
 დით და შეამოწმეთ.





მანანას კილო არ შეუცვლია, ჩანდა სიამოვნებდა ათანასეს ასე გაბრაზება.

— შევამოწმებ კიდეც!

— თუმცა რა... — დაუწვია ხმას ათანასემ. — ხომ ვიცი, როგორც ვმუშაობ. ნაკლოვანებანი ვის არა აქვს, მაგრამ ჩემი ბიჭები და გოგონები ისეთები არიან, თავს არავის დააჩაგვრინებენ.

— შენ რა სულ გოგონები გაკერია პირზე? — გაეხუმრა მანანა.

ათანასემ გამომცდელი თვალთ შეხედა მანანას, ტუჩებზე ოდნავმა დიმილმა გადატურბინა. ერთხანს ყოყმანობდა, მაგრამ მაინც გაბედა და მანანას ფრთხილად მიმართა:

— განა ჩემი რაიკომის მდივნის ფუნქციებში შედის ასეთი ექვიანობა? ახლა მანანა აენტო.

— მე ჩემი მდივნის ავტორიტეტზე ვზრუნავ, — უპასუხა მან, — აბა, ორგანიზაციის ისეთი მდივანი რად გვინდა, სულ გოგონები ახსოვდეს.

— ცუდად გცნობივართ, ამხანაგო მანანა. მე ამ ქვეყნად ერთადერთ გოგონას ვერ ვუბედავ ვერაფერს, არა თუ გოგონების არმიას დავდედე... მანანა ქარაგმას ვერ მიუხვდა.

— ესეც ახალი გამოცანა... — უთხრა უკმეხად.

ამ დროს გიგაურის კაბინეტის კარი გაიღო. იქიდან აღმასკომის თავმჯდომარე გამოვიდა. მაყვალამ მანანასა და ათანასეს სთხოვა შესულიყვენენ და თვითონ დავით ხიზანიშვილის დასაძახებლად გაიქცა.

ირაკლი მაგიდიდან წამოდგა და შემოსულებს შეეგება. მისალმების შემდეგ ისინი სივარძელზე დასვა და თვითონაც მათ პირდაპირ ჩამოჯდა.

ერთი რამ ჰქონდა შემჩნეული მანანას: ირაკლი ოფიციალურ სხდომას თუ არ ატარებდა, ისე არ უყვარდა მაგიდის თავთან ჯდომა. მისი აზრით, ასეთი დამოკიდებულება თითქოს უფრო აახლოვებდა ადამიანებთან...

ირაკლის ძალიან აინტერესებდა ათანასე ბეჭაურის გაცნობა. აი, როგორი ყოფილა მისი ვახტანგის მოწინააღმდეგე. გარეგნულად ვახტანგს მხრებამდეც ვერ აწვდებოდა. მოკრძალებული ვაჟი ჩანდა, მაგრამ მოკრძალებამდეც თავისებური სიმტკიცე ეტყობოდა. ამ სიმტკიცემ და ძლიერმა ნებისყოფამ დააჯახა ალბათ მასთან შედარებით მთა კაცთან.

— ამხანაგო ბეჭაურო, როდისა ხართ დაბადებული?

ათანასე ყველაფერს ელოდა, ასეთ შეკითხვას კი არა. ამიტომ პასუხი აყოვნა. მის მაგივრად მანანამ უპასუხა:

— ჩემთან არსებული ანკეტის მიხედვით დაბადებულია ათას ცხრაას ოცდაათ წელს.

„ჩემი წლოვანებაც კი ცოდნია“, — გაიფიქრა ათანასემ.

„თავისი კადრები ჩინებულად შეუსწავლია“, — დაასკვნა ირაკლიმ და გონებით გამოიანგარიშა: სამამულო ომის დაწყებისას ბეჭაური თერთმეტი წლისა ყოფილა. გაახსენდა ვახტანგის ნათქვამი: „როდესაც ფრონტზე სისხლს ვღვრიდით, ის აქ საწოვარათი რძეს ყლაპავდაო“. გაეღიმა. თერთმეტ-თხუთმეტი წლის ყმაწვილს საწოვარათი რა რძე უნდა ეყლაპა!..

ირაკლიმ ათანასეს დაწვრილებით გამოჰკითხა მათი კოლმეურნეობის ამბები. ათანასე პირველ ხანებში გაუბედავად სცემდა პასუხს, შემდეგ გარემოებას შეეჩვია და მისი პასუხიც მტკიცე და მშვიდი გახდა.

ირაკლი შეკითხვების დროს მთავარ საკითხს განგებ გვერდს უვლიდა. სუბების მიხედვით ბექაური დაკვირვებული ვაჟი ჩანდა. თავისი კოლმეურნეობის ყველა საქმის კურსში იყო. მათი საუბრის დროს ოთახში დავით ხიზანიშვილი შემოვიდა. ირაკლი შეკითხვებს რომ მორჩა, მანანას მიმართა:

— მანანა, ბექაურის შესახებ კომკავშირის რაიკომს როგორი შეხედულება აქვს?

ათანასე გაინაბა. აჟი ამას წინათ მანანამ საქმიანობა დაუწუნა. ცუდი პასუხის მოლოდინში აიწურა და თვალი იატაკს გაუშტერა.

— ათანასე ბექაური, — თითქოს შორიდან მოესმა მანანას ხმა, — ჩვენი რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის ერთ-ერთი მოწინავე მდივანია. იგი პრინციპული ვაჟია, ავტორიტეტით საკმაოდ კარგი აქვს. სოფლის მეურნეობაც ესმის, რადგან ცოდნით აგროტექნიკოსია.

ათანასემ თავი ასწია და ისეთი მაღლობის გრძნობით შეხედა მანანას, ისე შეანათა თვალები, რომ მანანას ერთ წუთს სუნთქვაც კი შეეკრა.

— წარმოდგინეთ, ბექაურის წერილით და ამ შეხვედრით მეც ასეთი დასკვნა გამოვიტანე, — ჩაილაპარაკა ირაკლიმ და თითქოს თავისი ფიქრის დადასტურება უნდაო, თავისთვის თქვა. — მით უკეთესი მისთვის.

— თუკი, რასაკვირველია, — დაამთავრა მანანამ, — აქ ნათქვამი ქება მომავალში არ გააფუჭებს.

— ათანასე არც ისეთი ბავშვია, — ჩაერია მათ საუბარში დავითი, — რომ ქებას სწორი გზიდან აცდინოს.

— იცით, რისთვის შევიყარენით? — მიმართა ოთახში მყოფთ ირაკლიმ. — გამოსარკვევი გვაქვს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი ამ ყმაწვილისა და ვახტანგ არაბულის ურთიერთობის შესახებ. ეს საკითხი პირადული არ არის, თორემ ამისათვის დროს ერთი წუთითაც არ დავკარგავდით. საკითხი ღრმია, მათი კოლმეურნეობისათვის სასიცოცხლო. ბექაურიც ამიტომ გამოვიძახე, მაგრამ მასთან მთავარი საუბარი ცალკე მექნება. ამას წინათ არაბულიც იყო ჩემთან. ამ საკითხის გამორკვევას ვავალე დავითსა და მანანას. საჭიროა ადგილზე გამგზავრება და იქ დეტალურად შესწავლა. გამგზავრების დღე ცალკე დავაზუსტოთ. მეტს არ გაგაჩერებთ, მხოლოდ ათანასეს ვთხოვ დარჩეს.

წამოდგნენ. ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ირაკლიმ მანანა ცოტახნით კარებთან შეაჩერა. დავითი გავიდა. ათანასე სავარძელთან დარჩა. ირაკლი მაგილისაკენ წავიდა, უჯრა გამოაღო, იქიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო, მანანასაკენ უკრა და:

— აი, რა... ეს თქვენი განცხადებაა, მანანა, სადაც ჩვენი რაიონული გაზეთის რედაქტორს უჩივით და ცდილობთ თავის დაცვას. ჩემი მეგობრული რჩევაა, განცხადება უკან წაიღოთ.

— ა...გრამ... — სცადა შეკამათებოდა მანანა. ირაკლიმ სიტყვა შეაწყვეტინა:

— იცით, მანანა, ჩვენს გაზეთში ბევრი სიმაართლე ეწერა. მართალია, ჩვენი ნაკლოვანებთა კრიტიკა ზოგჯერ სასიამოვნო არ არის, მაგრამ სასარგებლო კია... უნდა ავიტანოთ, რათა ხვალ არ გავიმეოროთ გუშინდელი შეცდომები.

მანანა ერთხანს ჩუმად იდგა. უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა.

— კეთილი. — თქვა ბოლოს. — წავიღებ ჩემს განცხადებას, დაუუჯერებ თქვენს კეთილ რჩევას, მაგრამ უფლება ხომ მაქვს, ჩემი აზრი ვიქონიო და ჩვენი რაიონული გაზეთის აზრი ჩვენი მუშაობის შესახებ არ გავიზიარო.



ირაკლის გაეღიმა, არაფერი უთქვამს, ისე გაუწოდა ქაღალდი. მანანა გატეხა და ირაკლი ათანასესაკენ მობრუნდა და მისკენ წამოვიდა. ათანასე ფეხზე ადგა.

— დაჯექი, დაჯექი... — უთხრა. — ახლა მე ვილაპარაკებ, შენ კი მისმინე...

მანქანა-ტრაქტორთა სადგური რაიონის ცენტრიდან დასავლეთის მხარეს იმყოფებოდა, თხუთმეტობედ კილომეტრის მანძილზე. გზა კარგი გაეყვანათ. „ვილისი“ თავისუფლად მისრიალებდა.

დღის თერთმეტი საათი იქნებოდა. დილიდანვე კარგი დარი დაიჭირა, მაგრამ სუსხი ჯერ კიდევ საკმაოდ იგრძნობოდა. ირაკლის ტყავის პალტო ეცვა, მის შოფერს გოგის დაბამბული უსახელო ზედატანი წამოესხა.

შეიძინა კილომეტრიც არ ექნებოდათ გაელილი, რომ გზაზე დაზიანებულ „პობედას“ წააწყდნენ. როგორც კი მომავალი „ვილისი“ დაინახა, „პობედას“ შოფერი ბორბლებს ქვემოდან გამოძვრა და ავტოს ხელი აუწია.

„ვილისი“ შეჩერდა. გოგიმ კარი გააღო და შეეკითხა:

— რა მოგივიდა?

დამხვდურმა რაიკომის მდივნის მანქანა რომ დაინახა, შეცბუნდა, პასუხი ვერ გასცა.

— ხმა ამოიღე, კაცო!.. — შეუტია გოგიმ.

„პობედას“ შოფერმა როგორც იქნა ხმა ამოიღო:

— რაღაც გამიტყდა, ეგ ვერანა... ვერაფერი მოვუხერხე...

გოგიმ ირაკლის თვალით თხოვა, დავეხმარებო. ირაკლიმ თანხმობით თავი დაუქნია და თვითონაც გადმოვიდა მანქანიდან.

შოფერები „პობედას“ ქვეშ შეძვრნენ.

უცბათ „პობედას“ კარი გაიღო და იქიდან ლილი გადმოვიდა.

— ლილი! — გაოცებით შეჭყვირა ირაკლიმ.

ლილიც გაოცებას ვერ ფარავდა, ირაკლის გაფართოებულ თვალებით შესცქეროდა და იღიმებოდა.

ალექსანდრეს დაბადების დღის შემდეგ არ შეხვედრია ირაკლი ლილის. შორიდან თუ მოჰკრავდა თვალს. საავადმყოფოშიც არ გაუვლია, უთხრეს, კარგად მუშაობს, ავადმყოფები ძალიან ემადლიერებიანო.

— საით, ლილი? — შეეკითხა ირაკლი.

— ვახტანგთან მივდივარ. მათი მეწისქვილე გამხდარა ცუდად, როგორც დამირეკეს, სისხლის ჩაქცევა უნდა იყოს. ადგილიდან ავადმყოფის დაძვრა არ შეიძლება, მაგრამ დილიდან გამოსული აი სად ვალამებ. იმ სოფლისკენ მიმავალმა მანქანამაც არ გამოიარა, თორემ ამას არ დაუვცდიდი, გავყვებოდი.

— ხშირად გიხდება ასე სოფელ-სოფელ სიარული, თუ ამას მხოლოდ ვახტანგის ხათრით აკეთებ?

ლილიმ გამომწვევად შეხედა ირაკლის.

— რაიკომის მდივანს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ჩვენს რაიონში თითქმის ყოველ სოფლის საბჭოსთან საექიმო პუნქტია, ხოლო თუ კი რომელიმე მათგანს შველა დასჭირდა, თვითიული ექიმის მოვალეობაა, გაჭირვებულს ხელი გაუწოდოს. ეს არც გმირობაა და არც დასაკეხნი ნაბიჯი.

ირაკლის გაეღიმა.

— გასაბრაზებლად არ მითქვამს, გული რად მოგივიდა?

— გული არ მომსვლია, — დაუწია ხმას ლილიმ. — მაგრამ ამ დილით უბრალო საღმის ღირსი შაინც ვიყავი...

— ამხანაგო ირაკლი, — „ობედას“ ქვემოდან ამოსძახა გოგიმ, — აქნა ხევარი საათის სამუშაო მაინცაა. მარტოკა ვერას გახდება.

— ჰოდა, დაეხმარე, — უპასუხა ირაკლიმ. — ჩვენ კი ფეხით წავალთ. რომ აამუშავებთ, წამოგვეწიეთ.

— მაგრამ მე რომ აქ ვირჩიო დარჩენა... — ჩუმად უთხრა ლილიმ ირაკლის ისე, რომ შოფრებს არ გაეგოთ.

— აქ დგომას სიარული არ სჯობია?

— შენც ვახტანგთან მიდიხარ?

— არა, ემტეეს-ბი.

— ნახევარი საათი გინდ აქეთ იყოს, გინდ იქით. ჩვენ გზა სხვადასხვა გვექონია.

ამ საუბარში არ უგრძენიათ, ისე წასულიყვნენ წინ. ნელი ნაბიჯით დაჰყენენ შარავზას.

თვითელი თავის ფიქრებს მისცემოდა.

სიჩუმე ლილიმ დაარღვია:

— გაზაფხული ძალაში შედის.

— გაზაფხული... გაზაფხული... — ჩურჩულით თქვა ირაკლიმ.

კვლავ გაჩუმდნენ. მოულოდნელად ლილი შეჩერდა და ირაკლის შარავზის პირად ამოსული ჩირგვისაკენ გაახედა.

— შეხედე, ირაკლი, იმ ორ ბელურას!

ბელურები ჩირგვში თითქოს კუკუმაღულობას თამაშობდნენ, ყვილ-ხივილით ერთმანეთს ემალებოდნენ, კვლავ პოულობდნენ, ისევ ემალებოდნენ...

ლილიმ კენჭი აიღო და ბელურებს ესროლა. ჩიტები გაფრინდნენ, გაუჩინარდნენ.

— რად დააფრთხე? — შეეკითხა ირაკლი.

ლილიმ ამოიხრა, მაგრამ უცბათ გონს მოვიდა. შერცხვა, გაჩუმდა, თავი დახარა და ნაბიჯს აუჩქარა. ირაკლი წამოეწია და თბილად გაუღიმა.

— იცი, ირაკლი, — სხაპასუხებით წამოიწყო ლილიმ, — მწყინს, რომ ერთხელ უკვე ვიმღერე ჩემი სიმღერა და ცუდად ვიმღერე.

— რად გათხოვდი ასე მოულოდნელად? — წამოცდა ირაკლის.

ლილის სუნთქვა შეეკრა.

— ეს შეეითხვაა თუ საყვედური?

— როგორც გინდა ისე მიიღე.

— რად გავთხოვდი?.. რად გავთხოვდი?.. — გაიმეორა ლილიმ. — ეს რომ ვიცოდე, შენთანაც უფრო თამამად ვიქნებოდი.

— განა ახლა...

— ხომ იცი, — მტკიცედ განაგრძო ლილიმ, — დამნაშავე თავს ვერ გაიმართლებს. აქამდე მეგონა, ჩვენი წარსული მხოლოდ ჩემთვის არსებობდა...

ლილის თვალზე ცრემლი აუციმციმდა. ირაკლის სიბრალულთან ერთად სხვა გრძნობაც დაეუფლა. მოუნდა ლილისათვის ცრემლით სავსე თვალები დაეკოცნა, როგორც წინათ, როდესაც წყენისათვის პატიებას თხოულობდა. მაგრამ ახლა ბრალი მას არ ედო და დანაშაულიც მძიმე იყო და გაუმთელე-ბელი...

— მაგრამ ძალიან გვიანაა... — ისეთი კილოთი თქვა ლილიმ, თითქოს უნდოდა გასამართლებელი პასუხიც მიეღო და პატიებაც ეთხოვნა.

იდგნენ პირისპირ და ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ. იდგნენ და ძლივს სუნთქავდნენ...



ამ დროს მათ გვერდით ვიღაცამ საბარგო მანქანა დაამუხრუჭა. კაბინის კარი გაიღო და ვახტანგმა გამოიხედა.

ირაკლიმ შესძლო აღლევების დაოკება. ლილის კი სახე აელანდა და საღმისის თქმაც კი ვერ მოახერხა.

ირაკლიმ ვახტანგს ახედა. ვახტანგის თვალები ბრაზით ელავდნენ.

— ლილის ავტო გაუფუჭდა, — მშვიდად უპასუხა. — ჩემი შოფერი ეხმარება. ჩვენ ფეხით წამოვედით. სადაცაა წამოგვეწვივან.

ვახტანგმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ ჩანდა, თავს ძლივს იკავებდა, ქშინავდა.

თითქოს ირაკლის სიტყვებს ადასტურებენო, შარავნაზე მტვერი გამოჩნდა. ცოტაც და „ვილისი“ და „პობედა“ მათ წინ დადგნენ.

— აგურს მარტო გადმოზიდავ, — უბრძანა ვახტანგმა საბარგო ავტოს შოფერს. — მე კი ექიმთან ერთად დავბრუნდები.

ვახტანგი საბარგო ავტოდან ჩამოვიდა, „პობედაში“ ჯერ ლილ შეუშვა. შემდეგ თვითონ შეჰყვა. ირაკლი „ვილისში“ ჩაჯდა.

— ნახვამდის! — თქვა ირაკლიმ.

— ნახვამდის! — ჩაიდუღუნა ვახტანგმა, კარი მაგრად მოიხურა და „პობედა“ დაძრა. უკან „ვილისი“ გაჰყვა. ცოტახანს ერთად იარეს. შემდეგ „პობედაში“ მარცხნივ გადაუხვია, „ვილისი“ კი პირდაპირ გზას დაადგა.

როდესაც „პობედა“ თვალს მიეფარა, ირაკლი ფიქრებს მიეცა:

რაიკომში გომართელთან ურთიერთობა მწვავედება... ამას წინათ ვახტანგსაც აწყენინა... ახლა ლილისთან... იცოდა, ვახტანგის ხასიათი, ყველაფერს აპატიებდა, მაგრამ ამჟამად ირაკლისა და ლილის თუნდაც უბრალოდ ერთად ყოფნასაც ვერ შეუთრგნებოდა.

— არა, — მტკიცედ გადაწყვიტა ირაკლიმ, — არა, არა!..

— რა ბრძანეთ? — შეეკითხა შოფერი.

— არა... — გაიმეორა ირაკლიმ. — ეს ისე, ჩემთვის...

გულში კი კვლავ გაივლო: „არა, არ შეიძლება, არა!..“

გაივლო, მაგრამ იქვე საწინააღმდეგო ექვმაც გაჰკრა...

15

შოფერმა ირაკლის მანქანა-ტრაქტორთა სადგური დაანახვა. მთის ძირას გაფენილ შენობებს ირგვლივ რკინის მაღალი ღობე ერტყა.

დარაჯმა შორიდან იცნო რაიკომის მდივნის მანქანა. საყვირს არ დაელოდა, ისე გააღო რკინის ჭიშკარი.

„ვილისი“ თუხთუხით შევიდა ეზოში და სადგურის ადმინისტრაციის შენობის წინ შეჩერდა.

ირაკლი მანქანიდან ჩამოვიდა.

არავინ შეგებებია. დარაჯს შეეკითხა:

— სად არიან?

დარაჯმა მარცხნივ, ცალკე მდგარ შენობისაკენ მიუთითა. შენობას ეკიდა აბრა, რომელზედაც დიდი ასოებით ეწერა „ნასადილო“.

ირაკლიმ მაჯის საათს დახედა. თორმეტი შესრულებულიყო. თითქოს ფიქრს მიუხედავ, დარაჯმა უთხრა:

— შესვენება აქვთ, საუზმობენ. აქ დაუცდით თუ შებრძანდებით?

— წინ გამიძებით, შევალ. — უპასუხა ირაკლიმ და დარაჯს გაჰყვა.

სასადილო ოთახი ხალხით იყო სავსე. ერთი დიდი და რამდენიმე პატარა მაგიდა გაეერთიანებინათ და ყველანი ერთად საუზმობდნენ.

პირველად ირაკლი სოლომონ ჯაველიძემ შეამჩნია. მან გვერდით მჯდომ მტს-ის დირექტორს გელა გოგოჭუხრს მხარი წაჰკრა, ირაკლი დაანახვა. გელა წამოდგა და რაიკომის ახალ მდივანს შეეგება, გააცნო ოთახში მყოფთ. ირაკლიმ საერთო სალაში მისცა. საღმთვე უპასუხეს. გელამ სუფრაზე მიიწვია ირაკლი.

ოთახში მოხარული ცხერის ხორცის გამაღიზიანებელი, ოხშივარი იდგა. მხოლოდ ახლა გაახსენდა ირაკლის, რომ ამ დღით შინიდან ისე გამოვიდა, ხეირიანად არც კი უსაუზმია. ხორცის სუნმა მაღა მოჰგვარა. მიპატიებება მიიღო. სოლომონმა და გელამ თავის შუა დაუთმეს ადგილი.

კერძი მზარეულმა მოუტანა.

ირაკლიმ ირგვლივ მიმოიხედა და მის პირდაპირ მჯდომ შავულვაშიან მამაკაცს მიაჩერდა ვაოცებული. ასეთი სიმაღლის კაცი ჯერ არ ენახა. როგორც ჩანდა, ტრაქტორისტი უნდა ყოფილიყო, ამას მისი სპეცტანსაცემელი და მაზუთში ამოსვრილი ხელები ამტკიცებდნენ.

ერთ ხანს ჩუმად ჭამდნენ. გოლიათი კი ისე ილუქმებოდა, იმდენს ჭამდა, მისი ულუფა ათ კაცს ეყოფოდა.

გელამ კონიაკის მობანა გადაწყვიტა. ირაკლიმ ხელით ანიშნა, საჭირო არ არისო. გელასაც არ დაუძაღებია.

რომ შენაყრდნენ, ოთახში ხმადაბალი საუბარი გაჩაღდა, შემდეგ ხმების გუგუნმა თანდათან იმატა. მაგრამ ამ გუგუნში ჩანდა, რომ ყველას თვალები ირაკლისაკენ იყო მიმართული, როდის დაიწყებს ლაპარაკსო.

ირაკლიმ გელას გადახედა და ხუმრობით უთხრა:

— თქვენ თუ მუდამ ასე ჭამთ, მომიხდება ყოველ დღე აქ შემოვლა.

მზარეული იქვე იდგა. ქებისგან თვალები გაუბრწყინდა და მოკრძალებით ჩაილაპარაკა:

— გთხოვთ, გთხოვთ...

— მომეწონა, ნამდვილად მომეწონა. ა, თქვენ რას იტყვიო? — მიმართა ირაკლიმ მის მობარდაპირე მხარეს მჯდარ გოლიათს და გელას ჩუმად უჩურჩულა, ვინ არისო? ტრაქტორისტი გამოდგა. გელამ მოასწრო და ისიც ჩაულაპარაკა: მოწინავე ტრაქტორისტიყო.

გოლიათმა აუჩქარებლად გადაყლაპა უკანასკნელი ლუქა, თეფში განზე გადასდო და მხოლოდ შემდეგ უპასუხა:

— რა უნდა ვთქვა... — დაიწყო დინჯად, ხმაც ძლიერი ჰქონდა, მხოლოდ დაგუბებული, თითქოს ეწინოდა: მთელი ხმით რომ ვილაპარაკო, სხვებს დავაყრუებო. — რაც მართალია, მართალია — კარგი კერძი იყო. მხოლოდ არ ვიცო, ეს თქვენი ჩამოსვლის გამო თუ გააკეთა...

— აბა, როგორი ხარ, სევასტი, — შეეკამათა ნაწყენი მზარეული. — მუდამ ენაკვიმატი უნდა იყო... თუ მცოდნოდა რაიკომის მდივანი მოვიდოდა...

— ამაში მეც მზარეულს ვუკერ მხარს. — ჩაერია საუბარში ირაკლი. — მან კი არა, მეც კი არ ვიცოდი, დღეს თუ აქეთ წამოვიდოდი...

— ჰო, კარგი, კარგი, — ეშმაკურად ჩაიხითხითა სევასტიმ, მაგრამ მისი ხითხითი სხვის ხარხარსა ჰგავდა. — თუ გიგაურს არ ელოდებოდი, სოლომონ ჯაველიძე ხომ აქ არის და აქა.

მზარეულს ახლა გელა გამოეჭომაგა და გოლიათს შეუტია:

— გააჭირე საქმე, ზოგჯერ რომ ახირდები, აღარ იცი გაჩერება. სერი-



ოზულად გეკითხებიან, შენ კი ვითომ ენამოსწრებული ვარო... აი, დაგტოვებს აბელი ერთ კერძზე და მერე ნახე მისი ცული მზარეულობა.

სევასტიმ თავის დირექტორს არაფერი უბასუხა. არ იყო მართალი და სიჩუმე არჩია, თორემ მართალი რომ ყოფილიყო, არ იცოდა მორიდება. ზოგჯერ გადამეტება უყვარდა. ახლაც ტყუილ-უბრალოდ აწყენინა თავის მეგობარს. ის ბიჭი წელეზე ფეხს იდგამს, რაც შეუძლია ცდილობს. ამიტომ თავისი დანაშაული რომ გამოესყიდა, მტკიცედ თქვა:

— ჩემი ხუმრობაც სწყინთ, თორემ ჩვენი სასადილო რაიონში სახელგანთქმულია და აბელ გოშაძე ხომ პირველი მზარეულია მთელს დუნიაზე...

ირგვლივ ხარხარი გაისმა. გელამ სევასტის თითი დაუქნია:

— შეგეშინდა, განა, მშვიერი არ დავრჩეო და ახლა ემლიქვნელები? მაინც არაფერი გამოგვივა!.. — შემდეგ ირაკლის მიუბრუნდა. — მათი ჩხუბი მართალი არ გეგონოთო. განუყრელი მეგობრები არიან. აბა, აბელ, — ანიშნა გელამ მზარეულს. — ერთი ამ სევასტის ამბავი გვიამბე.

აბელმა დაიმორცხვა. გოლიათს გაელიმა.

— გვიამბე, გვიამბე, — შეეხვეწნენ სხვებიც.

სხვა რა გზა იყო, რაიკომის ახალ მდივანს უარი ვერ უთხრა, ჩაახველა და დაიწყო. დანარჩენები სმენად გადაიქცნენ.

— მოგესხენებათ, თქვენი ჭირიმე, მზარეული ყველგან მზარეულია, რადგან ომში თუ მშვიდობის დროს, კაცის კუჭი ისეთია, მუდამ თავისას მოითხოვს.

ომი რომ დაიწყო, ჯარში წამიყვანეს და პირველ დღიდანვე თოფის ნაცვლად ხელში ქაფქირი დამაჭირინეს. რასაკვირველია, ყოველი შემთხვევისათვის ავტომატიც დამკიდეს, მაგრამ ის უფრო სხვისი თვალის დასანახავად მქონდა, ვიდრე სახმარად. უკან ვიხედვით, ჩემი სამზარეულო ყველაზე წინ გარბოდა, შეტევაზე გადავდით, ჩემი სამზარეულო ყველაზე ბოლოს მორახრახებდა, რადგან თავზე უფრო ბიჭები ჩვენ გვიფრთხილდებოდნენ. ომში ხომ ყოფილხართ?... — ირაკლიმ თანხმობით თავი დაუქნია. — ჰოდა, ჩემგან რა ახსნა-განმარტება გჭირდებათ. რა დავიმალოთ, ბავშვობიდან ამის მეტი არაფერი მისწავლია და კერძების გაკეთებაც ხეირიანად რომ არ ვიცოდე, ჩემი კაცობა დაიქცეს.

სევასტიც ომში გავიცანი, ფრონტზე. პირველად რომ ჩვენს ნაწილში მოვიდა, გაცემისაგან პირი დავადეთ. მართლაც რა სიძალისაა ეს დალოცვილი. რომ ზის, კიდევ არაფერი, აი, რომ აღგება, მაშინ უნდა ნახოთ.

— ადექი, ადექი! — აყვირდნენ სასადილოში მსხდომნი. სევასტი იღიმებოდა, ჩანდა ეს ყურადღება არ წყინდა, შეჩვეული იყო. არ ამდგარა. მზარეულმა განაგრძო:

— ასეთი სიძალის კაცი ჯერ არავის გვენახა. მეორე დღეს ახალმოსულის სანახავად გენერალი მოვიდა. გამწკრივდნენ ბიჭები. მე ჩემს სამზარეულოდან ვუყურებ. გენერალმა ჩვენი სევასტი წინ გამოიძახა. სიცილით კინაღამ გაიგულდნენ ბიჭები. აბა, გენერლის წინ ხმამაღალ ხარხარს როგორ გაბედავდნენ. მე კი, იცოცხლეთ, ვიცინოდი...

რომ გენახათ, რა უცნაურად ეცვა, ხალათის სახელოები იდაყვამდე სწვდებოდა, ქამარი თითქმის ხალათის ბოლოს ჰქონდა გაკეთებული. შარვალში ძლივს ეტეოდა, მაგრამ ყველაზე საოცარი მისი საყელო იყო. ფეხებზე ხომ ნამდვილი ბაბაჯანას ქოშები ეცვა.

გენერალი ერთ საათს ათვალეობდა და გაცემისაგან თავს აქნევდა:

— აი, საოცრება, საოცრება!.. დალაზროს ეშმაკმა, ამოდენა ხნის კაცი

ვარ და ასეთი არაფერი მინახავს!..

ასე თვალყურებით გული რომ იჯერა, ჩვენს უფროსს ტყავი გააძრო სევასტის ასეთი ჩაცმულობისათვის. სამწეო ნაწილის უფროსი სხვაგან იყო, თორემ ტყავის გაძრობა მასაც არ ასცდებოდა.

ნაწილის უფროსმა თავი იშართლა:

— ასე გამოაგზავნესო.

გენერალმა ახლა გამოგზავნებს შეუქურთხა:

— დალახეროს ღმერთმა! გამოაგზავნიან საფრთხობელასავით ჩაცმულს. ჰგონიათ, ფრონტია და ვერ შეამჩნევენო!.. — შემდეგ ჩვენი ნაწილის უფროსს მიმართა:

— ორმოცდაცხრა საათსა და ნოლ-ნოლ წუთის შემდეგ მომასხენე, რომ ამ გოლიათის ჩაცმულობა წესრიგშია.

გენერალი რომ წავიდა, სამწეო ნაწილის უფროსი მოიჭრა აქლოშინებული. გაეგო, გენერალი გეძახისო. გენერლის ბრძანება გამოუცხადეს. ერთხელ კიდევ დააფვალღერა სევასტი და თავისებურად აბუზღუნდა:

— უშოვარს გავაჩენ, ჩიტის რძეს მოვიტან, ოკეანის ფსკერიდან ვეშაპს ამოვათრევე, მაგრამ ამ გოლიათს რა ვუყო, არ ვიცი. ჩაცმა-ჩაცმბა, ახლა მაგის საქმელს რა გაუძღებს, ალბათ ათი კაცის კერძი არ ეყოფა.

სამწეო ნაწილის უფროსმა უშოვარი მაინც გააჩინა. საიდანღაც მკერავეი გამოჩნრიკა და თავზე დაადგა. გენერალს არ უყვარდა ხუმრობა. მართლაც ორმოცდაცხრა საათსა და ნოლ-ნოლ წუთის შემდეგ ჩვენი სევასტი რიგინანდ შემოსეს. მართალია, ამისათვის საჭირო გახდა ორი შარვლის, ორი ხალათის, ორი მაზარის და სხვათა ერთმანეთზე გადაკერება, მაგრამ არა უშავდა რა. ფეხსაცმელიც გამოუნახეს.

ხელში ჩვეულებრივი შაშხანა რომ მისცეს, ეპატარავა. ჩანგალივით დაატრიალა. გენერალმა ტანკის საწინააღმდეგო თოფი გამოუგზავნა. სწორედ მასზე იყო ზედგამოჭრილი. მისთვის შესაფერი თოფი რომ დაინახა, თვალეზი გაუბრწყინდა და მხარზე ისე მოიგდო, როგორც მე ჩემს ქაფქირს მოვიგდებ.

იქ დავმეგობრდით — აბა, ამ საცოდავს მშიერს ხომ არ დავტოვებდი. ერთი კაცის კერძი ერთ ყლუბად არ ყოფნდა. შემეჩვია და შევეჩვიე. ხშირად ვკარგავდით ერთმანეთს, ისევ ვპოულობდით. ომის შემდეგაც მომნახა. ტრაქტორისტობა ისწავლა. ორი წელია აქ დავსახლდით და უნდა გითხრათ, ყველანი მისი კმაყოფილნი არიან და თვითონაც კმაყოფილია თავისი ულუფით. სხვა საზრუნავი კი ამ საცოდავს, მეტი არა აქვს რა...

„საცოდავი“ სევასტი კვლავ ილიმებოდა. როგორც ჩანდა, მეგობრები ერთმანეთში შეხუმრებულნი იყვნენ.

— არც ისე საწყალა ჩვენი სევასტი, — ჩაერია საუბარში გელა. — მარტო გარეგნობა კი არა აქვს გოლიათური, გოლიათურად გაბედულია, უსამართლობას კაცს არ შეარჩენს, მაგრამ ამასთან ცხვარივით უწყინარია და არ მახსოვს მისი ფიზიკური ძალა სადმე გამოეყენებინოს.

სევასტი წამოდგა, კინალამ ჰერს მისწვდა და ირაკლის პირდაპირ მიმართა:

— ჩემზე უფრო საინტერესო ჩვენი სახელოსნოებია. წამობრძანდით, ნახეთ...

სამი საათის შემდეგ ირაკლი ვილისით ბრუნდებოდა. ავტო თავისუფლად მისრიალუნდა. სახეზე ჰაერი სცემდა. გულში დიდი სიხარული მიჰქონდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურში გატარებული დღის გამო. იქ დასვენებაც კარგი სტოდნიათ, ხუმრობაც კარგი და მუშაობა ხომ სულ კარგი და კარგი...





რაიკომის ბიურო ახალი დამთავრებული იყო.

სხდომის მაგიდაზე უწყსრიგოდ ეყარა ქაღალდის ნაგლეჯები. შუა მაგიდაზე მდებარე წყლით სავსე დიდი შავი საფერფლე ვაცსებულიყო წყლით გაყენილი და გამობერილი პაპიროსების ნამწვავებით.

ოთახში ირაკლი და ალექსანდრე დარჩენილიყვნენ. ირაკლის ფანჯარა გამოეღო, შორიახლო იდგა და თვალს აყოლებდა ფანჯრისკენ დაძრულ თამბაქოს ბოლს.

დღევანდელ ბიუროზე უკანასკნელ საკითხად დიდმე უგრეხელიძის საკითხი იდგა.

ირაკლის თავდაპირველად იოლი ეჩვენა ამ საკითხის გადაჭრა: ორი აზრი არ შეიძლება ყოფილიყო უგრეხელიძის შესახებ. ასეთები კინწისკვრით უნდა გააგლო თუნდაც ოდნავ პასუხსაგები თანამდებობიდან, უნდა მოიშორო, სანავარდოდ ფრთები შეუკვეცო.

საქმე კი სხვაგვარად დატრიალდა. როგორც ჩანდა, დიდმე დაერიგებინათ. ბიუროზე წელგამართული მოვიდა. მისდამი წაყენებულ ბრალდებებს გაბედულად შეხვდა. შეეცადა თავი ემართლებინა. საკმაო საბუთებიც მოიტანა ბრალდებათა გასაბათილებლად. ის დაბნეულობა და შიში, რომელიც გიგაურთან პირველი შეხვედრის დროს გამოიჩინა, სადღაც გამქრალიყო. თითქოს მათ წინაშე სხვა დიდმე იდგა. ლაპარაკის დროს ერთხელაც არ ამოუღია ცხვირსახოცი თავზე ოფლის მოსაწმენდად. მოკამათებებს მკაცრად არ ულაპარაკიათ დიდმეს შესახებ.

სიტყვა ალექსანდრე გომართელმა ითხოვა. დიდმე არ განძრეულა, არც მისკენ მიუხედა. დამშვიდებული იყო, — სხვებმა თუ დაინდეს, ალექსანდრე ხომ არ გასწირავდა...

გომართელის სიტყვის დასაწყისიც დიდმეს ცუდს არაფერს უქაღდა. მაგრამ ალექსანდრემ რაც შემდეგ თქვა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვინმეს მკერდზე რკინის ქუსლი რომ ჩაეკრა, ისე არ ეტკინებოდა დიდმეს გული, როგორც ალექსანდრეს სიტყვებმა ატკინეს. დიდმეს ჭირის ოფლი დაასხა. ახლა კი მოიშველია ცხვირსახოცი. ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, ცქმუტავდა, ვერ ისვენებდა, ხან ადგებოდა, ხან დაჯდებოდა... გომართელის დასკვნაც სასტიკი იყო, იგი მოითხოვდა დიდმე უგრეხელიძის სამსახურიდან მოხსნას და პასუხისგებაში მიეცემას.

ირაკლი სრულიად არ მოელოდა თუ ალექსანდრე ასე მკაცრად გამოვიდოდა. რაიონის ახლო გაცნობამ, წარსული საქმეების წარმოების თვალის გადაგლეხვამ, ალექსანდრეს გვერდით ყოფნამ, ირაკლის გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა ახლანდელი გომართელის შესახებ. იგი ზედმეტად პატივმოყვარე გამხდარიყო, თავმომწონე, ზედმეტად ამაყი. მოწაფეობის დროს ირაკლი ვერ ამჩნევდა ამ თვისებებს თავის მასწავლებელში, რადგან მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის საკმაოდ დიდი მანძილი დევს... შეიძლება მაშინ არც კი ჰქონდა...

დიდი ხანია ირაკლის არსებაში მომწიფდა ალექსანდრესთან გულახდილი საუბრის სურვილი. ამ საუბარს ბევრი რამ უნდა გამოერკვია, მათი დამოკიდებულებაც, მათი ურთიერთობაც. იცოდა ირაკლიმ, ასეთი საუბრის შემდეგ ისინი ან მეგობრები გახდებოდნენ, ან ერთმანეთს მტრულად დაშორდებოდნენ.

ირაკლი მასზე უმცროსი იყო, მისი ნამოწაფარი და ალექსანდრე მისგან ხელშეწყობას არ მიიღებდა.

ასეთ შეხვედრას აუცილებელს ხდიდა ერთი გარემოებაც: საქართველოს კომპარტია მორიგი ყრილობისათვის ემზადებოდა. ამქამდ რაიონში პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო კრებები და არჩევნები მიმდინარეობდა. რაიონული პარტკონფერენცია, გრაფიკით, ერთ თვეში უნდა შემდგარიყო. მაშასადამე, საანგარიშო მოხსენებით ახალი მდივანი უნდა გამოვიდეს, რომელმაც მიღწევებთან ერთად უნდა ილაპარაკოს რაიონში პარტიული მუშაობის ნაკლოვან მხარეებზე. თუ კი მომავალ პარტკონფერენციაზე ისინი ერთნაირი აზრით მოვლენ, მაშინ იოლია ნაკლოვანებათა დანახვა და მათ წინააღმდეგ ღონისძიებათა დასახვა. მაგრამ თუ მათი ურთიერთობა ასეთივე დაძაბულობით წარიმართა, პარტკონფერენციაზე სასტიკი ბრძოლა გაიმართება, უპრინციპო ბრძოლა, რომელიც არც საქმეს უშველის, არც გულსა და არც სულს.

აქამდე ალექსანდრე ერთგვარი მოლოდინის ტაქტიკას მისდევდა. უთვალთვალებდა ირაკლის, ცდილობდა ჯერჯერობით ჩრდილში ყოფილიყო. თუ ირაკლი არ გამოიწვევდა, ისე თვითონ არ იჩენდა ინიციატივას. მართალია, გარეგნულად დამშვიდებული იყო, მაგრამ იცოდა ირაკლიმ, რომ გულში ალექსანდრე წყენას ატარებდა. ირაკლის არ ავიწყლებოდა მათი პირველი შეხვედრა და ის, თუ როგორ მიიღო ალექსანდრემ მისი რაიკომის პირველ მდივნად გახდომის ამბავი.

ირაკლი ალექსანდრეს გვერდს არ უვლიდა. ყველა საქმის კურსში ამყოფებდა, ყველა საკითხზე წინასწარ ეთათბირებოდა. ალექსანდრე კი ან ეთანხმებოდა თავაზიანად, ან არ ეთანხმებოდა, გულს კი არასოდეს უხსნიდა. ისეთ ცეცხლს არასოდეს აჩენდა, მათი პირველი შეხვედრის დროს რომ გამოიჩინა.

იცოდა ირაკლიმ, — ეს ალექსანდრემაც იცოდა, — პარტკონფერენციამდე უნდა მომხდარიყო მათ შორის გულახდილი, გულწრფელი საუბარი. ირაკლი იცდიდა, ხელსაყრელ მომენტს ელოდა, იცდიდა ალექსანდრეც. გარეგნულად არცერთი არ იმჩნევდა იმ შინაგან ბრძოლასა და აღელვებას, რაც მათ გულში მიმდინარეობდა.

დღეს კი, დღიმიე უგრეხელიძის საქმის გარჩევისას, ირაკლიმ ალექსანდრეს გამოსვლაში პირველად იგრძნო ის ცეცხლი, ის გულწრფელობა, რასაც დიდი ხანია ელოდა. ალექსანდრე ისეთი სიბრაზით ლაპარაკობდა დღიმიეს მიერ ჩადენილი უმსგავსოებათა შესახებ, იგრძნობოდა, ეს ამბავი მას გულთან ახლოს მიეტანა...

ახლა ირაკლი და ალექსანდრე მარტონი იყვნენ. რა ხანია ოთახიდან პაპიროსის ბოლიც გაპარულიყო.

ირაკლიმ ფანჯარა მიხურა და გვერდზე გახედა ალექსანდრეს. ალექსანდრე სავარძელში მოხერხებულად მოწყობილიყო, თვლემდა თუ ისვენებდა. ირაკლი მის პირდაპირ დაჯდა. „ან ახლა, ან არასოდეს“, გაიფიქრა, ძალ-ღონე მოიკრიფა. არ იცოდა როგორ მიემართა, ოფიციალურად არ სურდა, ასეთი მიმართვა იმ წუთსავე დააშორებდა ერთმანეთს; ვერც შინაურულად გაბედა, უფროსი კაცი იყო, ეგებ წყენოდა. ბოლოს ყოველგვარი მიმართვის გარეშე ნელა დაიწყო:

— იცით, რა მომავონდა... — თავიდანვე ხმაში აღელვება შეეპარა. მისი აღელვებული კილო ალექსანდრეს არ გამოპარვია, თვლები ოდნავ გაახილა და სმენად გადაიქცა.



— იცით, რა მომავონდა, — გაიმეორა ირაკლიმ: — აი, ფანჯარასთან დეჟი და უცბათ გამახსენდა, გახსოვთ გამოსაშვები საღამო? საღამოს შემდეგ, გამომშვიდობების წინ, მარტოდ რომ დამტოვეთ...

ალექსანდრეს გაეღიმა. არ განძრეულა, ისე უპასუხა:

— როგორ არ მახსოვს, მაშინ შენ ჩემი ყველაზე საყვარელი მოწაფე იყავი. შენობით მიმართვამ გაახარა ირაკლი. თვალწინ წარმოუდგა ის საღამო. ბევრი იცეკვეს, იმხიარულეს, იცინეს, იმღერეს. ცოტათი დალიეს კიდეც და აი, შინ უნდა წასულიყვნენ. ამ დროს ალექსანდრემ მკლავზე ხელი გამოსდო და დარბაზის კუთხისაკენ წაიყვანა.

— მაშინ თქვენ პირველად მესაუბრეთ სერიოზულად, — თქვა ირაკლიმ. — პირველად, როგორც თანატოლს. ისიც მახსოვს, პაპიროსიც კი მომაწოდეთ, მაგრამ მე, რასაკვირველია არ გამოგართვით.

— მენანებოდა, სასწავლებელს რომ ტოვებდი. სასიქადულო მოწაფე იყავი, თან მიხაროდა, ცხოვრების დიდ გზაზე რომ გამოდიოდი. შენზე კარგ ინედებს ვამყარებდი.

— ის დღე, — განაგრძო ირაკლიმ, — არასოდეს დამავიწყდება. იმ დღეს, სიმწიფის ატესტატის მიღებასთან ერთად, თქვენი რჩევა-დარიგებაც მივიღე, არა როგორც მასწავლებლისა, არამედ როგორც უფროსი მეგობრისა. საუბრის დეტალები არ მაგონდება, მაგრამ საერთო აზრი კი კარგად მახსოვს: თქვენ მაშინ ადამიანისადმი დიდ სიყვარულზე ლაპარაკობდით, ცხოვრებაში გულწრფელობასა და გულახდილობაზე მესაუბრებოდით, პრინციპულობას მინერგავდით...

ირაკლი პასუხს ელოდა. ალექსანდრე სდუმდა.

— გავიხსენე: „მე ჩემი მასწავლებლობა დავამთავრეო, — მითხარით, — საბოლოოდ აწ ცხოვრება იქნება შენი მასწავლებელი“. გადაამოცნეთ კიდეც, განშორებას ვაქეცურე ცრემლებით შევხვდით...

ცოტა ხანს შედგა. ალექსანდრე კვლავ გაუნძრევლად იჯდა.

— შემდეგ ცხოვრებამ ომში გადაამსროლა. ომის შემდეგ ინსტიტუტი... მართალია, დიდი ხანი არ არის, რაც აქა ვარ, თუმცა საკმაო დრო კია, ყველაფერი შემესწავლა და გამეგო. ცხოვრებაში არაფერი მეორდება, მაგრამ ხომ შეიძლება, როგორც მაშინ, გამოსაშვებ საღამოზე ვიყავით გულახდილები, ისევე ახლაც ვიყოთ გულახდილნი. ეს კი საჭიროა, განსაკუთრებით ჩვენს შორის...

— მაშინ, — ნაძალადევი ღიმილით უპასუხა ალექსანდრემ, — მე თქვენი მასწავლებელი ვიყავი და ვიჯექი, თქვენ კი ფეხზე ამდგარი ისმენდით ჩემს რჩევა-დარიგებებს.

იგრძნო ირაკლიმ, ის გულახდილობის ძაფი, რომელიც წელან გაიბა მათ შორის, ალექსანდრემ ამ სიტყვებით გაწყვიტა, „შენ“ შეცვალა და „თქვენ“ უთხრა. მაინც არაფერი შეიმჩნია და კვლავ წინანდებური ტონით განაგრძო:

— ახლა კი ორთავე დავჯდეთ და ისე შევეჯამოთ ჩვენი განვლილი მუშაობის შედეგები. ერთმანეთს სიმართლე ვუთხრათ, დაუფარავად, პირდაპირ, ისე, როგორც მაშინ თქვენ მასწავლეთ.

— პირველი მდივანი თქვენა ხართ, მაგალითი მომეცით, თქვენ დაიწყეთ. გამომდეთ მკლავზე ხელი და, გარწმუნებთ, უფრო გულსიყუროთ ვიქნები თქვენი რჩევა-დარიგების მსმენელი, ვიდრე ყმაწვილობაში თქვენ იყავით.

— კეთილი, — მშვიდად უპასუხა ირაკლიმ. — მე დავიწყებ. — მის სიტყვებს სიმტკიცე მიეცა. — მაგრამ წინასწარ შეეთანხმდეთ, რომ სიმართლე ერთმანეთისგან არ გვეწყინება.

— კეთილი, — მტკიცედვე გაიმეორა ალექსანდრემ, სავარძლის ზურგს მიყრდნობდა და ოდნავ ირონიულად განაგრძო: — მე მოხერხებულად მოვეწყე გრძელი სიტყვის მოსასმენად.

„რანაირი ბოლოც არ უნდა ექნეს დღევანდელ ჩვენს საუბარს, ის უნდა შედგეს და თუ გულახდილობა არ უნდა, მაშინ ოფიციალური იყოს“, — გაიფიქრა ირაკლიმ, პაპიროსი ამოიღო, ალექსანდრეს მიაწოდა. ალექსანდრემ არ აიღო, თავისი პორტსიგარი გახსნა. გააბოლეს. ირაკლიმ დაიწყო:

— ჩემი სიტყვა გრძელი არ იქნება. ჩვენი რაიონი, ეს თქვენც იცით, ერთ-ერთი ჩამორჩენილი რაიონთაგანია ჩვენს რესპუბლიკაში.

— ეს ახალი ამბავი არ არის, — უპასუხა ალექსანდრემ. — ამაზე საკმაოდ ბევრი ილაპარაკეს თბილისში, უკანასკნელ პლენუმზე. აქ წამოსვლამდე ალბათ წაგაკითხებლენ მის სტენოგრაფიას.

— მერე? — განაგრძო ირაკლიმ. — რა დასკვნები გამოვიტანეთ პლენუმიდან? რა დასკვნები გამოვიტანეთ ჩვენი პარტიის ბოლო ხანებში გამართული პლენუმებიდან? იქ ხომ სიტყვა-სიტყვით ჩვენზე სწერია, ჩვენისთანა ჩამორჩენილ რაიონებზე, უნდა აგველო პლენუმის მასალები, მუხლობრივად ჩავყოლოდით. რაიონის ახლო გაცნობამ დამანახვა, რომ ეს ჩამორჩენა გრძელდება, არც გარდატეხის საწყისები ჩანს. ჩამორჩენის მთავარი მიზეზები კი, უწინარეს ყოვლისა, თქვენთან იყრიან თავს, როგორც რაიონის ძველ ხელმძღვანელთან. პირველმა თქვენ უნდა თქვათ მათ შესახებ. ხომ იცით, ერთ თვეში ჩვენი პარტიკონფერენცია უნდა შედგეს. იმ კონფერენციაზე უნდა აღიაროთ თქვენი შეცდომები...

ალექსანდრე გაბრაზებული წამოხტა:

— რაო?... — ხმამაღლა დაიძახა. — მე ჩემი ავტორიტეტი დავცე ჩემი ხელქვეითების თვალში?... არასოდეს!.. არასოდეს!..

ირაკლი არ ამდგარა.

— პირიქით, სიმართლის თქმით თქვენ ამდღედებით მათს თვალში და მაგალითს მისცემთ. ბოლოსდაბოლოს ამას მოითხოვს ჩვენი საერთო საქმე.

— არა, ეს ჩემი შეურაცხყოფა იქნებოდა... — მკაცრად უპასუხა ალექსანდრემ. — როგორ? როგორც ბავშვი გამოვიდე ჩემი შეცდომების კრიტიკით მათ წინაშე, ვინც პატივისცემით მეპყრობა? ეს ხომ იმისი აღიარება იქნება, არ ვვარგვიარ, გადამაყენეთო. განა პირველ მდივანს ეს სურს?

— არა, სრულიად არა, — უცებ უპასუხა ირაკლიმ. — ნუთუ ვერ გამიგეთ? მე არ მსურს პარტიკონფერენციაზე თქვენს შესახებ ვილაპარაკო. არ მსურს იმიტომაც, რომ ყველა სწორად როდი გაიგებს ჩემს ნაბიჯს. იტყვიან, ახალი ხელმძღვანელობა ძველ ხელმძღვანელობას ებრძვისო. თუ ვილაპარაკე, სიმართლე უნდა ვილაპარაკო. ჩვენ აქ იმიტომ აგვირჩიეს, რომ ამ პატარა, წვრილმან კინკლაობაზე მიღლა დავდგეთ, უფრო პრინციპულნი ვიყოთ.

— თუ დავთანხმდი და გამოვედი, თქვენ ჩემი გამოსვლით გსურთ ერთბაშად ორი კურდღელი მოჰკლათ; მე ჩემივე მეშვეობით გამაშავოთ და იმავე საშუალებით თავი აიმაღლოთ.

ამას კი არ მოელოდა ირაკლი, არ მოელოდა, ამ საუბარს ალექსანდრე თუ ასე დააპატარავებდა, პირადულს ვახდოდა. თუმცა გულში მაინც ერთგვარად გაამართლა. მათი საუბარი ალექსანდრემ შეურაცხყოფად მიიღო, ამიტომ თავის ნათქვამ სიტყვებს ანგარიშს არ უწევდა და ვერც აღელვებას იოკებდა. ირაკლიმ უკანასკნელად კიდევ სცადა იმ გულწრფელი ტონისათვის არ გადა-



ეხვია, რომლითაც ეს საუბარი დაიწყო, თუმცა უკვე იგრძნო, რომ პირველ მდგომარეობას ვერ აღადგენდა.

— მისმინეთ, პატიოსნებას გეფიცებით, ამჟამად თქვენს ადგილას რომ ვიყო, შევძლებდი ასეთი ნაბიჯის გადადგმას. გეთანხმებით, იოლი არ არის, მაგრამ ამჟამად, ჩემის აზრით, ეს ერთადერთი პატიოსანი გზაა. ნება მომეცით ამ ძნელ გზაზე ხელი გამოვიწოდოთ. მიიღეთ ეს ხელი, როგორც მეგობრული. მე პატივს გცემ თქვენს დამსახურებას პარტიის წინაშე. ბოლოსდაბოლოს პატივს გცემთ, როგორც ჩემს აღმზრდელ მასწავლებელს. და განა, ყველაფერი ეს ერთად აღებული, უფლებას არ მაძლევს თქვენთან გულწრფელი და გულახდილი ვიყო და თქვენგანაც ეს მოვითხოვო?! ნუთუ ასე გამოწვდილ ხელს არ მიიღებთ?..

ირაკლი წამოდგა. ალექსანდრემ გამომცდელი თვალით შეხედა. შემდეგ მიუახლოვდა, პირდაპირ დაუდგა, თვალი თვალში გაუყარა და დაბალი ხმით უპასუხა:

— რატომაც არა! — და პირველმა ხელი თვითონ გაუწოდა. ირაკლიმ სასწრაფოდ ჩამოართვა ხელი.

— ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ! — უთხრა ალექსანდრემ და ირაკლის ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, ალექსანდრემ მხოლოდ დასამშვიდობებლად გაუწოდა ხელი.

— ნახვამდის! — გაიმეორა ალექსანდრემ და გავიდა.

მიხვდა ირაკლი, ის საუბარი, რომლისკენაც ამდენი ხანია ისწრაფვოდა, არ მოხერხდა. დაძაბულობის ღრუბლები უფრო ჩამოწვა მათ თავზე.

ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ყურმილი ლილიმ აიღო. ამ დროს ოთახში მერიც შემოვიდა და ლილის საუბარს ყური დაუგდო. მიხვდა: ლილის მანანა ესაუბრებოდა; მხოლოდ ის ვერ გაიგო, რის შესახებ ლაპარაკობდნენ, ამიტომ ლილიმ ყურმილი რომ დასდო, შეეკითხა:

— რაო მანანამ, რა მინდაო?

— სოფელშია, იქიდან რეკავს. — უპასუხა ლილიმ. — ირაკლის გაუგზავნია გამოკვლევაზე.

— დედა, დედა, დედა, — შეიცხადა მერიმ. — ამ ირაკლიმ ყველას ტვინი არ აურია!

— რატომ, — შეეცადა ირაკლის დაცვას ლილი. — მე მგონია, მან ყველას თავისი ადგილი მიუჩინა.

— რა მიუჩინა!.. — აკაპასდა მერი. — ამას წინათ რაიკომიდან ისე ზრდილობიანად გამომისტუმრა, თითქოს ვიღაც უცხო გყოფილიყავი.

— ეხ, დედა, დედა!.. — ღმილნარევი საყვედურით მიმართა ლილიმ. იცოდა დედამისის ხასიათი, საჭირო იყო თუ არა, ყველა საქმეში გაერეოდა. თუმცა არავინ ეკითხებოდა, თავის აზრს მაინც იტყოდა. როდესაც აქ ალექსანდრე პირველობდა, კიდევ გაუდიოდა ასეთი საქციელი, მაგრამ ახლა...

ფეიქრებიდან დედამისის ხმამ გამოიყვანა.

— განა არ ვიცი, ირაკლის ასე რად ექომაგები? გგონია დამავიწყდა წარსული?..

ლილიმ ჩუმად ჩაილაპარაკა:

— რა საჭიროა იმისი გახსენება, რაც წავიდა და არასოდეს დაბრუნდება, არასოდეს...

მერის ლილის ნაღვლიანი კილოსათვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ა, როგორ იყო, ერთ საღამოს ჩვენი სახლის შემოსასვლელთან ატუ-  
ზულებს, შენ და ირაკლის თუნგით წყალი რომ გადაგასხით?

ლილის გაეღიმა.

— ყველაფერი უცნაური იცოდა, დედი. ერთი მითხარი, რას გვერჩოდი?

— აბა, მაშინ რას ვიფიქრებდი, ის გამხდარი და პალტოგამოხუნებული  
სტუდენტი რაიკომის პირველი მდივანი გახდებოდა და თავის ყოფილ მასწავ-  
ლებელს გაუსწრებდა!..

ლილი მოგონებებში შეცურდა, სახე წამოუწითლდა.

— ის მაშინაც გამოირჩეოდა თავის ამხანაგებში, — ჩურჩულით ლაპარა-  
კობდა, თითქოს თავის თავს ესაუბრებო. — დინჯი იყო, კეკიანი... ახლა რაც  
არის, შენც ხედავ. ჩამოსვლისთანავე ჩვენს რაიონში საერთო ყურადღება  
და სიყვარული დაიმსახურა.

— საინტერესოა, აქამდე ცოლი რად არ შეირთო?

— აი, ამ საკითხშიც გამოამქლავნა თავისი ნებისყოფა. ის ჩემსავით სულ-  
მოკლე როდი გამოდგა... ის სხვა ადამიანია, სულ სხვა ადამიანი...

მერი დაჟინებით დააქცერდა ლილის. რაღაცის თქმა უნდოდა, უცბათ ვერ  
გაბედა. ერთ ხანს შედგა. ლილიც ჩუმად იყო. ბოლოს დუმილი მერიმ დაარ-  
ღვია და შემპარავი ხმით ლილის მიმართა:

— არ გამიწყრე, ლილი... როგორ გითხრა... არ ამჩნევ, ირაკლისა და ალე-  
კოს შორის რაღაც მოხდა. როგორ გითხრა... შენ ირაკლის მეგობარი ხარ. უფ-  
რო მეტიც... უთხარი, რომ ალეკოს ნუ აუხიარდება...

მაგრამ ლილიმ დედამის სიტყვის დამთავრება არ აცალა.

— ხომ იცი, მე ამას არასოდეს ვიზამ...

მერიმ რადგან ერთი გაბედა, უკან არ დაიხია. ეს აზრი დიდი ხანია მის  
თავში მომწიფდა. სათქმელი ბოლომდე უნდა თქმულიყო. შუაზე როდი იცო-  
და თავისი აზრის შეწყვეტა.

— რატომ, ერთადერთს შენ შეგიძლია მათი შერიგება. ვახტანგს მივუ-  
ჩენდი, მაგრამ ხომ იცი მისი ხასიათი. ირაკლი ხათრს გაგიწევს, ალეკოს კი  
ნურაფერს ეტყვი.

— გაჩუმიდი, დედა!.. — უთხრა ლილიმ და თავის ოთახში შევიდა.

ამ დროს ალექსანდრეს შოფერი დათო შემოვიდა და მერის თავზე წამო-  
ადგა. დათოს ხელში ფუთა ეჭირა, ფეხსაცმელი ტალახში ამოესვარა. აქ შე-  
მოსვლამდე ფეხი კარგად გაეწმინდა, მაგრამ მისი ფეხის ნაფეხურები კრძალა  
იატაკს მაინც ემჩნეოდა.

მერიმ ფუთა ასწია, სიმძიმე გაუსინჯა, როგორც ჩანდა ეცოტავა და და-  
თოს საყვედურით მიმართა:

— ასე ცოტა?

— ასე თქვა, მორჩაო! — უბასუხა მშვიდად დათომ და ისეთი სახე მიიღო,  
თითქოს ეს ამბავი მას სრულიად არ ეხებოდა.

— რა მორჩაო, ბიჭო?

— ასე თქვა, ამის შემდეგ ნურააფერს ელითო...

მერი მოთმინებიდან გამოვიდა და დათოს შეუყვირა:

— დალაგებულად ილაპარაკე, შე ქარიყლაპიავ!..

— დალაგებულად მოგახსენებთ. — უბასუხა კვლავ დინჯად დათომ. —  
მე რომ „ნათელი გზის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თქვენი წერილი მი-  
ვუტანე, წარბები მოღუშა და ისე შემომიბღვირა...



— როგორ გაბედა იმ ჭირიანმა!.. — უფრო და უფრო კაპასობდა მერი. ხომ არ უნდა, ჩვენი რაიონი ცხრა მთას იქეთ დავატოვებინო!..

— შემომიბღვირა, — განაგრძო დათომ. — და ასე მითხრა: კაცო, რაიკომის ახალი მდივნის მაინც არ გეშინიათო. იბუზღუნა, იბუზღუნა... ეს ფუტა სანახევროდ გამიფსო. სხვაზე კი უარი თქვა. თან დაუმატა: მორჩა, ამის შემდეგ ფაა-ფუ!.. სწორედ ასე თქვა, ფაა-ფუ!..

— ფუ, დასწყევლოს ღმერთმა მაგის სახსენებელი. რაო, როგორა თქვა? — ფაა-ფუ!.. — გაიმეორა დათომ.

— მე მაგას ვუჩვენებ ფაა-ფუს!.. დამაცადოს... — ალბათ კიდევ დიდხანს იდუღღუნებდა, მაგრამ საათის ხმამ გონზე მოიყვანა. შესძლო თავის შეკავება. სადაცაა ალექსანდრე უნდა მოსულიყო სამსახურიდან. — ახლა წადი და ფუტა სამზარეულოში გაიტანე!

— მე, ქალბატონო მერი? — შეაპარა დათომ.

— შენც ფაა-ფუ, ჩემო ოქრო! — გესლიანად უპასუხა მერიმ. — ნუ გეშინია, ყველანი კარგები ბრძანდებით... ვიცი, ვიცი, რა ობიექტიცა ხარ. ნახევარს შინ დაიტოვებდი.

— პატიოსნებას გეფიცებით...

— ვინ მოგცა, ბიჭო, შენ პატიოსნება. ხომ გაიგონე, ფაა-ფუ!.. ჩქარა გაიტანე, აქ არავინ მოგვისწროს.

ახლა ბუზღუნის ჯერი დათოზე დადგა.

— კარგი, ჯანდაბას შენი თავი, — დაადევნა სიტყვა მერიმ და თან გაჰყვა, — გადავარჩევ და ჩაგაცეცხლებ...

ლილის ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

უცებ მყუდროება შემოსასვლელი კარის ზარმა დაარღვია. ზარის გაბმული რეკვით მიხვდა მერი, რომ ალექსანდრე აღელვებული იყო. სასწრაფოდ წამოხტა, დათო უკან გასასვლელიდან გააპარა და თვითონ კარის გასაღებად გაეშურა. ლილიც გამოვიდა. მასაც გაეგონა გაბმული ზარის ხმა.

ალექსანდრე მართლაც აღელვებული შემოვიდა ოთახში. შემოსასვლელში პალტოს გახდაც კი დავიწყებოდა. სავარძელში ჩაჯდა, ქუდში ხელი შეუშალა. მხოლოდ ახლა მოიხადა და იქვე მიაგდო. მერი და ლილი უხმოდ შესცქეროდნენ.

ალექსანდრემ პაპიროსი ამოიღო, გააბოლა და ყოველგვარი წინასწარი შესავლის გარეშე ღვარძლიანი კილოთი დაიწყო:

— მობრძანდა ახალი ხელმძღვანელი და ძველ ხელმძღვანელობას დაუწყო ბრძოლა. ჩხირკედელაობს, ყველაფერს ქექავს... წარმოიდგინეთ, წინადადება მომცა, გამოვიდე პარტკონფერენციაზე და ვთქვა, რომ ცული ხელმძღვანელი ვარ, უვარგისა...

— ჩემი სიკვდილი! — გააწყვეტინა მერიმ. მას თავისი დარდი ჰქონდა და ის დარდი ხმამალა თქვა: — ჩვენს ამ ახალ ბინას ხომ არ მოითხოვს?

— ალექსანდრე, — წყნარად უთხრა ლილიმ. — მე მგონია, საჭიროა, ახლა მაინც ფხიზლად შეხედო ყველაფერს. წარსულის იმ ქებასაც, რასაც მლიქვნელობით გავგონებდნენ.

— ოჰო, — დაცინვით მიმართა ალექსანდრემ ლილის, — არ ვიცოდი, ჩემს პატარა ცოლს ასეთი შესანიშნავი აგიტატორული ნიჭი თუ ჰქონდა, თორემ აქამდე ბიუროზე შტატგარეშე ლექტორად დავამტკიცებდი... — უცბათ რალაც მოაგონდა და მერის მიმართა: — დედა, ერთი ეს მითხარით, დღეს დათო სად გააგზავნეთ?

მერი ასეთ შეკითხვას სულ არ ელოდა, ამიტომ დაიბნა:

— მე... მე... არსად...

— არა, უთხარი. — ჩაერია ლაპარაკში ლილი. — თუ გაგზავნისა არ შე-  
გრცხვა, თქმისაც ნუ გრცხვენია.

— რა კილოთი მელაპარაკები? — შეუტია თავის ქალიშვილს მერიმ.

— სად გაგზავნა? — ლილი ალექსანდრეს მიუბრუნდა. — რომელიღაც  
კოლმეურნეობაში, სანოვავე მოატანინა.

— რაო?.. — წამოხტა ალექსანდრე.

არც მერიმ დაიხია უკან.

— მერე რა უქირს. განა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თავის რაიკო-  
მის მდივანს პატივი სცეს, დიდი ამბავი იქნება!..

ალექსანდრე აღელდა, ისე აღელდა, თავი ვერ შეიკავა და დაგროვილი  
ბოღმა ხმამაღლა გადმოანთხია:

— რას მიშვრებით!.. რა დღეში მაყენებთ!.. რად აძლევთ ჩემს მტრებს  
ხელში ასეთ საბუთებს ჩემს გასანადგურებლად!..

მერიმ ერთხანს გადასწყვიტა ჩხუბი დაეწყო, ისტერიკა აეტეხა, მაგრამ  
ლილის რომ შეხედა, განზრახვაზე ხელი აიღო. იცოდა თავისი შვილის ხასი-  
ათი, — ჯერ არაფერს იტყოდა, ხოლო თუ ალაპარაკდებოდა, მტკიცე იყო,  
შეურყეველი. სიბრაზისაგან ალექსანდრეს სახე წამოწითლებოდა. ასეთ დროს  
სჯობდა მათგან შორს ყოფილიყო. ამიტომ ხმა არ ამოუღია, ისე გაეცალა.

ალექსანდრე უხმოდ ჩაეშვა სავარძელში. აი, სანამდე დაცემულა მისი  
ავტორიტეტი. ამ დედაკაცს მისი სახელი როგორ ლაფში ამოუსვრია!..

ამ მძიმე ფიქრებში სადღაც შორიდან მოესმა ლილის ხმა:

— ხომ ხედავ, ალექსანდრე, რამდენი რამ გქონია სათქმელი!..

მაგრამ ცოლის სიტყვების შინაარსი ვერ გაიგო. მან მხოლოდ ერთი გადა-  
წყვიტა, თავისი სიღედრი აქაურობისათვის უნდა მოეცილებინა.

(გაგრძელება იქნება)





## მოკის ზოცნივზილი

### ზარი, რომელიც ისევ ზარიალვს

ახმურდება თთახში ზარი —  
გაეხედავ გარეთ... არავინ არი...  
უეცრად კიბეს სიცილით, ტაშით  
და კისრისტეხით ჩაირბენს ბავშვი.  
ჩაირბენს ბავშვი ცელქი და მარდი,  
ბავშვი, რომელმაც ზარი დარეკა...  
ოცი წლის წინათ  
მეც ამ ბიჭს ვგავდი  
გასაოცრად და გადასარევად.  
ოცი წლის წინათ  
მეც ამ ბიჭს ვგავდი,  
რომელიც ახლა მე არ მასვენებს,  
ოცი წლის წინათ.  
მეზობლის კარზე  
დამირეკია ზარი ასევე.  
დავუწყველივარ ხშირად ბებზეს...  
ცელქობას მაინც ვერ შეველიე.  
ახლა, როდესაც სიმშვილეს ვეძებ,  
როცა თთახში ლექსად ვწრიალებ,  
მეზობლის ბიჭი შედგება ცერზე  
და არ მასვენებს ზარის წკრიალით.  
დავუწყველივარ ალბათ ბებზეს,  
ასრულეზიათ ნატვრა ამგვარად —  
როგორც მათ კარზე, ახლა ჩემს კართან  
ერთი ანგალი-ვილაც დამღვარა.  
სამავიეროს მიხდიან დღენი  
ამ გასატყევი ბიჭუნას ხელით.

### მესტვირული

დადიოდი, ღიღინებდი კარდაკარა,  
ბევრჯერ ბოღმით გაიბერა სტვირი შენი,  
სტვირი შენი — სული შენი,  
საწუთროზე მაჯამებით მითქმა-მოთქმა,

ოხვრა იყავ, ცრემლი იყავ  
მუშაკთა და მიდამოთა —  
დადიოდი, ღიღინებდი კარდაკარა.

დადიოდი, ღიღინებდი კარდაკარა,  
ალათასა, ბალათასა —  
„დედი, ერთი კვერცი მომეც,  
ღმერთი მოგცემს ბარაქასა“.  
დადიოდი, ღიღინებდი კარდაკარა.

პური გქონდა გასალეწი —  
ცელს არავინ გაგაკარა.  
წყარო გქონდა ცივციველა —  
ღარს არავინ გაგაკარა.  
გიშრისფერი ღვინო გედგა —  
ქვევრს არავინ გაგაკარა...  
დადიოდი, ღიღინებდი კარდაკარა.

დადიოდი და სიმღერას,  
როგორც სიყრმეს, იმეტებდი —  
ვლენიკაცის გულს ავსებდი  
ზღაპრებით და იმედებით.

თეთრწვერამ და თეთრთმიანმა,  
ენატკბილმა, ენამწარემ  
საქართველოს ცხელი ლექსი  
ობოლივით შეიფარე.

გადაგიდგა გზად სიკვდილი,  
გულიც გთხოვა, ლექსიც გთხოვა —  
სიკვდილის წინ ქვეყანაზე,  
აბა, რა არ დაემხოვა.

მაგრამ როგორც სატევარი,  
გაშიშვლდი და ცერზე შედექ —  
სასიკვდილოდ გული დასთმე,  
ლექსი ველარ გაიმეტე.

ხალხში დაგრჩა სული წმინდა  
და სიმღერის შხეფი ცხელი...  
მე შენს სტვირთან მოვედი და,  
როგორც ბუხარს, ვეფიცხები.

დადიოდი, ღიღინებდი კარდაკარა —  
ბევრჯერ ბოღმით გაიბერა სტვირი შენი,  
სტვირი შენი — სუნთქვა შენი,  
აცრემლებმა, ატირებმა.

ძველი წყლული  
მაგ სტვირში გაქვს დამარხული,  
დავეუკრავთ და  
მკერდშიც რაღაც აგვტყვივდება.

### ოცის გომო ორღობეში

კაბაჭრელი, თმაგიშერა,  
ერთ მშვენიერ დღეს  
ორღობეში მიარხევდა წელს...  
და თვალები გამიშტერა —  
ეს იყო და ეს.

ახლა ალბათ არც ვახსოვარ,  
შეხიზვნია მთებს —  
ქმარიც ჰყავს და ორღობეში  
მურა ძაღლიც ჰყევს.

მე კი ერთხელ თმაგიშერამ  
ერთ მშვენიერ დღეს,  
ორივ თვალი გამიშტერა —  
ეს იყო და ეს.

### გალაღა მურაბით სავსე ძილაზე

მეზობლად ცხოვრობს ჭალარა ქალი —  
შვილებს მოელის ომიდან ჯერაც —  
როცა ეზოებს აწყდება ქარი,  
ვერ ისვენებს და შარაგზას ზევრავს.

დადის, ჩურჩულებს ოთახში ფრთხილად,  
აღულებს წყალს და ათეთრებს თასებს;  
თაროზე უდგას პატარა ქილა,  
მურაბითა და იმედით სავსე...

ასე ფუსფუსში გადიან წლები,  
ომში წასულებს მოელის ჯერაც —  
აღგება ღამით გაშლილი თმებით,  
თვალამღვრეული შარაგზას ზევრავს...

დადის, ჩურჩულებს რატომღაც ფრთხილად,  
თაროზე უდგას მურაბის ქილა.



## მთარ ჭილაქი

ყელზე მეკიდა ბრჭყვილა ეშვი,  
მიკვირდა წვიმა, მიკვირდა თოვლი...  
და რაც პირველად ვიგრძენი ჩემში,  
ეს იყო ლტოლვა და შიში ლტოლვის.

მე ვიგრძენ ლტოლვა და მოვიგონე  
ჩემი ღმერთი და ჩემი მითები,  
და ორაზროვანს ვკრიდი სტრიქონებს  
სამსხვერპლო ცეცხლზე დამწვარ თითებით.

მზეზე ვამბობდი — ეს არის ღმერთი.  
ზღვაზე ვამბობდი — ეს არის ღმერთი.  
ქარზე ვამბობდი — ეს არის ღმერთი...  
და არ ვიცოდი ვინ იყო ღმერთი.

მე ვგრძნობდი ლტოლვას და ამის გარდა  
სხვა არაფერი ყოფილა ჩემში.  
მე მივდიოდი საყვარელ ქალთან,  
როგორც ნადირთა სარბევად ტყეში.

და მაკვირვებდა ჩემი სხეული,  
უფრო ხმა, კიდევ უფრო თვალეები.  
მე არ ვიყავი ჯერ შეჩვეული  
ქვეყანას... მთვარეს ვცნობდი წვალებით.

და გაწეწილი მქონდა თმა-წვერი,  
მხოლოდ ნადირის თვალი მხედავდა.  
მე ყველაფერი ღმერთს მივაწერე:  
თუ ვერ შეეძლებდი, თუ ვერ ვბედავდი.

და გადიოდნენ დღეები ასე.  
გამიჩნდა მტერიც და საფიცარიც  
და ერთხელ, როცა ღმერთს ვკრიდი ქვაზე,  
უეცრად ჩემი თავი ვიცანი.

უეცრად თითქოს შეება კარი  
ჩემს ასე საწყალს და ბნელ გონებას.  
მე ვთქვი: ჩემშია მზეც, ზღვაც და ქარიც,  
ჩემშია მთელი ქვეყნის ქონება.

მე ვიხეთქავდი კლდეებზე მუხლებს,  
მე ვაგორებდი ხეებში ლოდებს,  
მე ვხარხარებდი, როდესაც უღრან  
ტყეში მხეცები ჩემს ხმაზე ძრწოდნენ.

მაგრამ მოვიდა გაქრობის ჯერიც.  
გაცივდა ჩემი მღვიმეს ნაცარი.  
მე სულ არ ვდარდობ და სადღაც მჯერა,  
რომ ეს ქვეყანა მე გაგაცანით.

### პორტი ჩემს ძმას

შემოდითდნენ პორტში გემები —  
კივილით, ბოლით და თოლიებით.  
ის მწესუმწირით ივსებდა ჯიბებს  
და მოაჯირზე იჯდა თავისთვის.  
იქნევდა ჩრდილებს და კრიალებდა  
დაჭიმულ ჯაჭვით დაბმული გემი.  
თავეებს ახლიდნენ ნავეები ნავეებს,  
ზიდავდნენ კასრებს მკაცრი კაცები.  
ყვიროდა ვილაც... და სველ თოკებში  
იხლართებოდა: ზღვა, ცა, ყველანი.  
და ლაპლაპებდა მზეზე მედღუზა  
და ანკესების გრძელი კისრები.  
ის მოაჯირზე იჯდა და შიშველ  
ფეხებს იქნევდა. სხვა არაფერი.  
სხვა არაფერი იცოდა მეტი,  
სხვა არაფერი უნდოდა მეტი.  
ოღონდ სიზმრებში ხედავდა მერე  
დანარჩენს, რასაც მისგან მალავდნენ.  
ზღვა ხმაურობდა და ხმაურობდა  
მარილის, ოფლის, ფიცრების სუნში...



მე ვარ ამ წუთას ყველაზე მაღლა,  
ქარხნის მილებზე და ცაზე მაღლა...  
მხოლოდ შენს გამო. — ასეთი ღამე  
მრავალი იყოს, ასეთი დაღლა.

კედელზე წვება ჩრდილები ჩემი —  
ხელების, თავის... კედელზე წვება.  
მე არ მგონია, რომ გულის ცემით  
ანდა რამეთი მაჯობონ სხვებმა.

მე არ ვყოფილვარ არასდროს ხარბი,  
მე არ ვყოფილვარ არასდროს ცუდი,  
მე არაფერი არ მახსოვს, ალბათ  
არ მიცხოვრია აქამდე წუთიც.

და მჯერა, ჩემში დარჩება მუდამ  
ეს უცნაური დღე და სიჩუმე.

შენი ოთახის შუქი მბეჭუტავი  
და შეკრეპილი თმები ბიჭურად.

ხეებზე მაღლა, სახლებზე მაღლა,  
ქარხნის მილებზე და ცაზე მაღლა...  
მხოლოდ შენს გამო, — ასეთი დამე  
მრავალი იყოს, ასეთი დაღლა.

•  
\* \*

მზე იყო, სიცხე... გატრუნულ ტოტებს  
არხევდა ქარი. ჩიტები ისხდნენ.  
მე უცებ ვიგრძენ, რომ მინდა ცოტა:  
ერთხელ შემთხვევით რამისგან გიხსნა.  
ჩიტები ისხდნენ და თითქოს ქარიც  
ჩიტების თხოვნით არხევდა ტოტებს.  
დღე ამთავრებდა თავის თავს წყნარად  
და მე ასეთი სურვილი მქონდა.

\*  
\* \*

გარეთ ისევ წვიმს და ჯერ აღრეა.  
გარეთ ისევ წვიმს და სულ იწვიმებს.  
მე ვგრძნობ, რომ მცივა და მენატრები,  
მაგრამ ვერ გხედავ, როგორც სიცივეს.

გარეთ ისევ წვიმს... სველი აბრები  
აშიშინებენ შერჩენილ სიცხეს.  
მეც აღარ მინდა სხვებს დავაბრალო  
ჩემი სიჩუმე და ხმაურს ვიწყებ.

შენთვის გავიდა დრო, რაც გავიდა.  
შენ დარჩი ჩემში, ჩემს წინ, ჩემს უკან,  
და მინდა, ისევ მოხდეს თავიდან,  
დღემდე ჩვენს შორის რაც მოხდა უკვე.

მე აღარ ვიტყვი: ჩამოვეხსნები!  
არც მახსოვს, ვის რა ვუთხარი გუშინ  
და ვაფათურებ სიცხიან ლექსებს  
შენს მხრებზე, თმებზე, მუხლებზე, სულში.

ნარბენი კაცის გულივით ფეთქავს:  
საათი, ქუჩა, ფოთოლი, წვეთი.  
შენ ხარ — აქამდე რაც უნდა მეთქვა,  
შენ ხარ — ოთახში ჰაერზე მეტი.

მე ყველაფერი მინდა თავიდან,  
როგორც დინება უნდა მდინარეს.  
შენთვის გავიდა დრო, რაც გავიდა,  
შენ მოგხმარდება დრო, რაც წინ არის.

კორუკლი ლირიკა

XV — XVIII ს.

ჩონ თხე ხვა

თოლიები კი სთმობენ ლელიანს  
და ალტაცებით შემომცქერაან.

უცებ დამათრო ღვინომ ტიალმა,  
ქვეყანა წაღმა დამიტრიალა.

ხან ხო

ჩემო დარდებო, მიდიხართ ჩემგან,  
მწკრივში ჩამდგარნი მიემართებით!

ღირს აქ ჭილოფი გამოვიტანოთ?  
მოდო, ფოთლებზე წამოვწვეთ ბარემ.

მწდევ, ერთი ჭიქა დამისხი კიდევ,  
რომ გავაცილო ჩემი დარდები.

ეგ ჩირაღდნებიც არა გვჭირდება —  
გუშინდელივით გვინათოს მთვარემ.

მინდვრის მხალი და იაფი ღვინო...  
არ დამიღონდე! მოიტა მალე!

კიმ სუ ჯან

სულ სადა ზდება ჩემი ცხოვრება  
და აჰა, ბოლოს რაილა დამრჩა:

ჩონ ჩხოლ

ძვირფასი წიგნი საგალობელთა,  
მცირე ზვარი და პატარა ბაღია.

ქვის ორი შიშველი ბუდა  
გზისპირთან შეგზვდებაჲ მუდამ.

და ყოველთვის რომ ჩემთან არიან,  
იგი მთვარე და ზენაქარია.

ებურვით ქარი და წვიმა,  
გრიგალის წყევლა და კრულვა.

გშურდეს! — არ უწყიან იმათ  
კაცთა განშორების ჭმუნვა.

კიმ უ კიუ

წვიმამ გადილო და ერთი ფერით  
განზავდა ტბა და ცის დასავალი.

გზა ჭეშმარიტი დევაგდე ერთხანს,  
გზა, არჩეული დასაბამიდან.

ნაეში მაქვს ღვინო და შეჭამადი  
და სათევზაოდ გზა მაქვს სავალი.

ვიხეტიალე მე უგზოუკვლოდ  
და ცთუნებებში წლები გავიდა.

გვიანდა არის აწ სინანული,  
რომ დეადექი იმ გზას თავიდან.



ლი ხონ ბო

ქიმ ჩხონ თხეველი  
გენერალ-მაიორი

ჩემზე ამბობენ: მშობლიურ მხარეს  
მოდისო, მაგრამ ვაი, რომ არა.

პარტახად იქცა ჩემი ვენახი,  
მოუვლელობით გაოხრდა ყანა.

იქ, ჩემს პატარა, პაპეულ ქოხში  
მთვარემ და ქარის ხმამ დაივანა.

კაცთა ცხოვრება სიზმრის მსგავსია,  
ჩაღად არა ღირს ქვეყნის დიდება.

სიბრძნე, სიმდიდრე, გვარიშვილობა...  
სიკვდილთან ყველა გაბედიტდება.

ამ ქვეყნად ერთი არის ხარება —  
მეგობრებთან სმა და დროსტარება.

იუნ სონ ღონ

ქიმ იონ

გამოვიძინე და ჰა, მარტოკა  
გზივარ და მთების მახარებს ცქერა.

გულით მიყვარდი, ხელმწიფავ ჩემო,  
მაგრამ სხვა იყო იმ გულის ძვერა.

არ მიგზავნიან წყალობას მთები:  
მაინც კი მათი ყურებით ვტკბები.

ყმაწვილი ვიყავ და სიყმაწვილე  
მე წარუვალა მეგონა მაშინ.

მაგრამ უჩუმრად წლები გასულა  
და თოვლისფერმა იძალა თმაში.

ღვინო შემასვით! ტკბილი სურვილით  
წარხდეს სიცოცხლის დღე  
მიწურვილი!

ლი ხვან

უცნობ ავტორთა ლექსები

მთები გაზაფხულზე მწვანით იმოსვიან,  
შემოდგომის ღამე შემკულია მთვარით.

და ბუნების ჩუმი, უხმო სასწაული  
კაცის გულში ბრწყინავს იღუმალი  
თვალით.

წყალში თევზია და ორბი ირას  
ჰკრავს...

ნუთუ ყველაფერი ეს შემთხვევით  
არის?

ძნელია კაცთა შორის გაძლება!  
ჰა, ისევ ვტკბები მიწის სურნელით.

მცირე ველი მაქვს და ყრუ ჭალაკი —  
მე სხვა სიმდიდრის არც ვარ  
• მსურველი.

ყველაფერი ეს დია ცოტაა,  
სამაგიეროდ ვარ უზრუნველი.

გზასთან შემდგარი ჭიხვინებს ჰუნე.  
გამოთხოვების დრო და ხანია.

მზე მიიწურა დასალიერზე...  
მოყვასო ჩემო, შენი მგვანია.

დღეს, საუკუნის ათასი დღიდან  
ყველაზე ავი დღეთაგანია.

ცუდია განა, ფრთაგაწაფული  
კრულა როცა დასტოვებს მიწას

სონ სამ გუნ

თუ კი შენ მკითხავ, რად გადავიქცევი  
სიკვდილის შემდეგ, — მე გეტყვი ასე:

გადავიქცევი პინლინის მთაზე  
ცამდე ატყორცნილ, ახოვან ფიჭვად.

თოვლმა დაფაროს ქვეყანა თუნდა,  
მწვანით მოსილი ვიდგები მუდამ.





და მაღალი ხის კენწეროდან  
ალტაცებული — სიმღერას იწყებს?

გზაჯვარედინზე კი, ცისკენ მაცქერად  
ზის და გულიანად ეცინება ბუდას.

მაგრამ შეხედოს — ქკვიანი თუა,  
რომ წადგომია თავს ბაბაჭუა.

სონ სონ

დე, ჩემი კენესა ქარიშხლად იქცეს  
და ცხარე ცრემლები წვიმად  
დამცვივდეს.

არ იცის ქალამ დაყვედრება,  
შური და ჭორი,  
და უზრუნველად ედინება

დე, იმ სამყოფლოს, სადაც შენ  
გძინავს,  
ის ქარი ლეწდეს, ის წვიმა აწვიმდეს.

მდინარე შორით.  
ოქროთი ვერვინ შეისყიდის  
ზუზუნს ქარისას

დე, გამოგადვიძონ, გული შეგიღონონ,  
მიტომ რომ ასე უღვთოდ გამწირე.

და არ მორჩილებს ხელმწიფებას  
შუქი მთვარისა.

ერთმა უსინათლომ მეგობარი თვისი  
ზურგზე შეისვა და ხილზე გასვლა  
უნდა.

არ ებუება დღეთ სიავეს  
მგოსნის დიდება,  
მე აქ სიბერე ღვინოსავით  
მომეკიდება.

და ჰა, ბონდის ხილით, ცათა შეწვევითა  
ორივე ბრმა გაღმა ნაპირს დაუბრუნდა.

თარგმნა თამაზ ჩხენკელმა



## ვიებნაშური ზღაპრები

### კამეჩი

ზეცის მბრძანებელმა, სამყაროს გაჩენის უამს, შექმნა დედამიწა, რომელიც შემდეგ მხეცებითა და ადამიანებით დაასახლა. ამ ცოცხალ არსებებს ხომ ჭამა უნდოდათ, ამიტომ მან ზეცის ერთ-ერთ მსახურს დაავალა, დედამიწაზე ჩაეტანა ბრინჯი, სიმინდი, ფეტვი, ლობიო, მიწის თხილი და სხვადასხვა ბალახი, ზოგი ხალხისათვის, ზოგიც ცხოველებისთვის.

ზეცის მფლობელის მსახური კარგა მოსული იყო, ღონიერი და დაუზარელი. სახის ნაკვთები ისეთი ჰქონდა, კაცს მკაცრი ეგონებოდა, მაგრამ გული კეთილი ჰქონდა. ოღონდ ეს კეთილი მსახური ცოტა დაბნეული და გულმავიწყი იყო.

ზეცის მეუფემ მას ორი ერთნაირი ყუთი გადასცა: ერთში მარცვლეული იყო, მეორეში კი სარეველას თესლი. მბრძანებელმა მსახურს დააბარა, ჯერ ხალხის გამოსაკვები მარცვლეული მოაბნეო.

მაგრამ გზაში მბრძანებლის შიკრიკს ჩვეულებრივი გულმავიწყობა ეწვია და როგორც კი მიწაზე ჩამოვიდა, ყუთები ერთმანეთში აერია.

ამიტომ პირველად მან ველური ბალახის თესლი მოაბნია. სარეველამ მაშინვე გაიზარა და ისე სწრაფად გავრცელდა, რომ მალე ადგილიც კი აღარ დარჩა მიწაზე. ცხოველებსაც ეს უნდოდათ. არხეინად სძოვდნენ ვაშლილ მინდორში, რაკი დარწმუნდნენ, საჭმელი არ მოგვაკლდება და იძულებულნი აღარ ვიქნებით მიწის დამუშავებას მოვკიდოთ ხელით.

როცა დაბნეულმა შიკრიკმა თავისი შეცდომა შენიშნა, მაშინვე დასცალა მეორე ყუთიც, რომელიც მარცვლეულით იყო სავსე. მაგრამ გვიანდა იყო. სარეველა ბალახი მეტი აღმოჩნდა. ზეციურ ქარს მარცვლეული უნდა გაეგრეულებინა და ველური ბალახი კი გაამრავლა.

დამწუხრებულმა მსახურმა ზეცას მიაშურა და მბრძანებელს თავისი საბედისწერო შეცდომა მოახსენა.

მალე ხალხის გოდებამაც მიაღწია ზეცას: „უფალო, — მოსთქვამდნენ ისინი, — ასე რად გავჭვირე? ნახე, რა უშველებელი საძოვრები და რამოდენა ბალახი აქვთ ცხოველებს, ჩვენთვის კი რა ცოტა გამოიმეტე. შიმშილით სული გვძვრება. გაჭირვებით ვცდილობთ ცხოველთა საძოვრები ჩავიგდოთ ხელში. რატომ არ მოგვხედავ, ღმერთო!“ მართლაც შავ დღეში ჩაცვივდა ხალხი, რადგან მეორე ყუთის დაცლისას ანგელოზი ისე ჩქარობდა, რომ სასარგებლო მარცვლეული, რომელიც ჩვეულებრივ მსხვილია და ადვილი დასათესი, სულ წვრილ-წვრილად დაიფშვნა. ასე რომ მათ დასათესად კარგა მძიმე ჯაფა უნდა გაეწიათ.



ზეცის მეუფემ ამ ვედრების მიზეზი რომ შეიტყო, საცოდავი გულმარცხი წყის მსახური სასტიკად დატუქსა და მალე სასჯელიც მოუფლინა — კამეჩად აქცია: „რაკი შენი ბრალია, რომ სარეველა უფრო უხვადაა გავრცელებული, ვიდრე ხალხისათვის საჭირო მარცვლეული, ამიერიდან მარადეამს ადამიანისათვის ურგები ბალახი ჭამე და ვერასოდეს გაეკარო ბრინჯის ყანას!“

ამიტომაც არ მისცა ზეცის მბრძანებელმა საღეჭი კბილები (კამეჩის ხომ ზედა კბილები არა აქვს). თან, რადგან ზეცის მსახურის შეცდომამ ხალხს ჯაფა გაუძნელა, ღვთის ნებით კამეჩი მთელი სიცოცხლე გლეხს უნდა დაეხმაროს მიწის მძიმე სამუშაოებში.

ამიტომ არის, რომ ადამიანი კამეჩს ერეკება, როგორც კი ის ბრინჯის მწიფე ყანას უახლოვდება. მაგრამ არ უნდა დაევიწყოთ, რომ ეს საცოდავი, ტლანქი შესაჩედაობის პირუტყვი წინათ ზეცის შიკრიკი იყო და ვეცადოთ კარგად მოვექცეთ გლეხის ამ კეთილ მსახურს, რომელსაც ერთმა წამიერმა შეცდომამ სამარადისო ცოდვა ჩაადენინა. აკი მთელი სიცოცხლე ამ შეცოდების მონანიებაშია!

## პალმის, ბეტელისა და კირის ამბავი

### ოქმულება

ვიეტნამში ერთი ასეთი ჩვეულება აქვთ: ნიშნობისა და ქორწინების დროს ახალგაზრდა ქალ-ვაჟს მიართმევენ ხოლმე პალმის ნაყოფს, ბეტელის<sup>1</sup> ფოთოლსა და კირს.

ჰუნგ-ვუნგ IV-ის მეფობის ქამს ცხოვრობდა ორი ძმა — ტანი და ლანი. ისეთი ლაშაზები იყვნენ და თანაც ისე საოცრად ჰვადნენ ერთმანეთს, რომ ძმების შემყურე, იმ მხარის ყველა მკვიდრს, გოაცებისა და აღტაცების მეტი არა დარჩენოდა რა. ძმებს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი. ასეთი მსგავსება და ბავშვობიდანვე ერთად გადატანილი ობლობა ამ სიყვარულს უფრო აძლიერებდა. რადგან ძმები სულ ერთად დადიოდნენ, მათ „სიამელ ტყუპებს“ ეძახდნენ. გონებისა და გულის გასამიღრებლად მათ, წინაპრების ადათის მიხედვით. ბრძენის ძებნა დაიწყეს. საბედნიეროდ ჩქარა იპოვეს კიდევ ასეთი ღვთისნიერი კაცი ლუუს ოჯახში.

ამ ოჯახში ცხოვრობდა მათი ხნის მზეთუნახავი ქალი, რომელსაც ზღაპრული სილამაზის თვალეები ჰქონდა. წარბები შავი, აბრეშუმის ჭიის ხვევრდოვანი ლაქების ფერისა. მშვენიერ ქალს ბრძენის ორივე მოწაფე შოუყვარდა და გადასწყვიტა უფროსს ვაჰყოლოდა ცოლად. მაგრამ რომელი იყო უფროსი? ცხადია, კდემამოსილი ქალიშვილი პირდაპირ ვერ შეეკითხებოდა ამას უცნობებს. მაგრამ ვახშმის დროს მან შეამჩნია, რომ ერთი ძმა მეორეს ბრინჯის ასაღებ ჩჩირებს სთავაზობდა. ეს კი უფროსობას მოასწავებდა.

მშობლები დასთანხმდნენ ამ ქორწილს და ლანმაც გაიხარა ტანის ბედნიერებით.

ტანი მთლად დაიმონა სიყვარულმა. მას უზომოდ უყვარდა თავისი მომხიბვლელი ცოლი, ხოლო საწყალი ლანი დროებით გადაივიწყა. უმცროსმა ძმამ მწარედ განიცადა ეს ამბავი. როცა ძმის სიყვარული მოაკლდა, ბედნიერი

<sup>1</sup> „ბეტელი“ მცენარეა, რომელიც პალმას ეხვევა გარშემო ლიანასავით. ქართულად მას „საღებ პილილს“ უწოდებენ. პალმის ნაყოფი ბეტელის ფოთლებთან ერთად საღებად არის გამოყენებული სამხრ. აღმ. აზიის ქვეყნებში, ისევე როგორც ჩვენში კვეი (მთარგმნელის შენიშვნა).

ცოლ-ქმრის გვერდით თავი არაფრად ჩასთვალა და გადასწყვიტა გაქცეულს უკაცურ ადგილას, სადაც ადამიანთა კიდევან დაიმშვიდებდა დამწუხრებულ გულს. ჯერ გათენებული არც კი იყო, როცა ვაიპარა. ბუჩქნარის ნაძმა დაფარა მისი კვალი. ბევრი იარა ლანმა, განვლო მინდვრები, ტყეები და ბოლოს მდინარის ნაპირს მიაღწა. შინიდან წამოსვლის შემდეგ არ დაუსვენია და გატანჯულს არც უფიქრია რაიმე საგზალი წამოეღო თან. მშვიერი ლანი მდინარეს ველარ გადავიდა და იქვე წყლისპირას მოეკეცა მუხლი. მდინარე სწრაფი და განიერი იყო. უმიზნო მგზავრი თავის განცდებს მიეცა და ცხარე ცრემლი ღვარა. დიდხანს, დიდხანს იტირა და ამ ველურ ნაპირას განუტევა სული.

ზეციური სამფლობლოს სულებს ხომ კაცთა წამებთა და სიხარულთაგან არა გამოეპარებათ რა? მათ დანახეს, როგორ კვდებოდა სიყვარულისაგან დამდნარი საწყალი ლანი და აქციეს იგი კლდედ, რომელიც შორიდან მოჩანს ამ სევდიან მიდამოში.

ტანი ჯერ კიდევ სიყვარულის ნეტარებას მისცემოდა. მაგრამ გავიდა ხანი და უფროს ძმას მოაგონდა უმცროსი. მსახურებს, მეზობლებს, მეგობრებს და ქალაქის მცხოვრებლებს უკვე რამდენიმე დღეა ლანი არ ენახათ და ვერც ის უთხრეს, საით წავიდა უმცროსი ძმა.

უსიამო წინათგრძნობა დაეუფლა ტანს, სინდისმა სულ უფრო და უფრო დაუწყო ქენჯნა, რადგან ძებნას შედეგი არ მოჰყოლია.

ტანი სინანულით აღივსო, მიატოვა ახალგაზრდა მძინარე ცოლი და ძმის საძებნელად გასწია. ყურადღებით ათვალიერებდა ყოველ კვალს, უხმობდა ლანს, მაგრამ ამაოდ. რამდენიმე დღე შეუჩერებლივ იარა; საშინელ დაღლას გამოუთქმელი სევდა დაერთო, შიმშილი ჰკლავდა. დიდი ვაი-ვაგლახით მიაღწია განმარტოებულ კლდის ძირას, შემდეგ უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და ზედ აცოცდა, იქნებ წვეროდან რაიმე დაეინახო. კლდეზე ასვლამ მას უკანასკნელი ღონე გამოაცალა. ის ჩამოვარდა და ნაცრისფერ ღორზე დალია სული. ზეციურმა სულებმა ის აქციეს მშვენიერ, სწორ, აშოლტილ პალმად, რომლის დიდი ფოთლები გაშლილ ქოლგას ემსგავსებოდა.

შინ დარჩენილმა ტანის დამწუხრებულმა მეუღლემ ბევრი იფიქრა და დარწმუნდა, რომ უმცროსი ძმის ძებნამ მიატოვებინა მის ქმარს ოჯახური კერა. რაღაც იღუმალმა წინათგრძნობამ აიძულა ქალი გაქცეულს დასდევნებოდა. და მესამეჯერ განმეორდა იმ ველურ ბუნებაში მარტოობის, დაღლილობისა და შიმშილის სურათი. მცხუნვარე მზეში გადაიარა ქალმა თები და ველები. ბნელი ღამით მას აკრთობდა უცხო მხეცების ყმილი, მაგრამ მაინც განაგრძობდა უიმედო ძებნას. ბოლოს დაღლილობამ და შიმშილმა ისიც მოსტება. ქალი შეუძინევლად მიიზიდა ხემ, რომელიც განმარტოებულ კლდეზე იყო აღმართული და რომლის მწვანე ფოთლები მზესავით კრიალებდნენ. ის მიუახლოვდა სწორედ იმ ადგილს, სადაც ტანი და ლანი დაეცნენ. თავის ძალ-გამოცლილი ხელებით პალმის ასხლეტილ ტანს შემოესხვია და წამოდგომა სცადა, მაგრამ ამ საბოლოო წადილის ასრულებსას სიკვდილმა შეახო ხელი. ზეციურმა ძალამ ის ბეტელად აქცია და ამით მარადისობას აზიარა.

ასე დაღუბა სიყვარულმა სამივენი.

გავიდა ხანი. ორი ძმისა და ცოლის ამბავი, მათი საარაყო ფერისცვალება შეიტყო კეთილშობილმა მოხუცმა მეცნიერმა. ზებუნებრივმა კურთხევამ და დიდმა სიყვარულმა ისე ააღელვა მოხუცი, რომ მათ საპატივსაცემოდ ააგო ტაძარი, რომელიც ძმათა თანხმობასა და მეუღლეთა ერთგულებას მიუძღვნა.

სწორედ ამ დროს ვიეტნამს საშინელი გვალვა დაატყდა თავს. მეცნარე-



ული სულ გადაწვა, მხოლოდ სასწაულებრივი პალმა და მასზე შემოხვეული ბეტელის ლიანი ჰყვოდნენ.

მეფე ჰუნგ-ვუნგი თავის ამალით ეწვია თანხმობისა და ერთგულების ტაძარს, რათა საკუთარი თვალთ ეხილა ეს სასწაული. მბრძანებლის მოსვლისას ორივე მცენარე თითქოს უფრო გალამაზდა, უფრო დაეტყო სიცოცხლის ძალა.

ამ სიცოცხლემ, რაც ასე საკვირველად გამოიჩინოდა გავრანებულ ბუნებაში, გააოცა მეფე და მისი მსლებლები. მეფემ მოაწყვეტინა პალმის კაკალი, შემდეგ ბეტელის ფოთლები და ორივე ერთად დაღეჭა. მათი გემო ძალიან სასიამოვნოდ ეჩვენა მეფეს და... ჰოი, საოცრებავ, — ლექვის დროს კირზე დაცემული ნერწყვი წითელ ლაქად იქცა.

აი რა შორეული ღროიდან მოდის ბეტელის მირთმევა ნიშნობისა და ქორწინების დროს.

ახალგაზრდა ქალ-ვაჟს შორის ბეტელის მიწოდება მოწონების პირველი ნიშანია. ერთი ვიეტნამური გამოთქმა ამბობს: ბეტელი ყოველი საუბრის დასაწყისია, ხშირად მას ნამდვილი სიყვარული და ნანატრი ქორწინება მოჰყვებაო.

პატივისცემის ღირსია სიყვარული და ერთგულება, პალმის ნაყოფის, ბეტელის ფოთლისა და კირის მირთმევა კი ამადლევებელი ჩვეულებაა, რომელშიც ჩათქმულია სურვილი, რომ ცოლ-ქმრის კავშირი მარადი იყოს სიკვდილამდის.

ფრანგულიდან თარგმნა მზია ბაქრაძემ





### შოთა შიძიშვილი

## ორი ენათმეცნიერი

აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი ეკუთვნიან იმ სახელოვან მეცნიერთა რიგებს, რომლებიც ღრმა კვალს ავლენენ მშობლიური მეცნიერების ხნულზე და რომელთა ნაღვავი თაობიდან თაობას გადაეცემა. ვინც იცნობს მათ საშეცნიერო ნაშრომებს, ვისაც მოუხსენია მათი მიმზიდველი და შინაარსიანი ლექციები, არ შეიძლება არ მოიხიბლოს ამ ადამიანებისა და კემპარიტი მეცნიერების ღირსებებით, არ შეიძლება არ განეწყოს ამ მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით აღჭურვილი ადამიანებისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით. ეს ხაერთო აზრია, და ამით აიხსნება გიორგი ახვლედიანისა და აკაკი შანიძის ფართო პოპულარობა როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მთელი საბჭოთა კავშირის სამეცნიერო საზოგადოებრობაში.

აკაკი შანიძესა და გიორგი ახვლედიანს არა ერთი და ორი ადამიანი დაუყენებიათ მეცნიერების გზაზე. მაგალითად, გ. ახვლედიანის მეცნიერული ავტორიტეტის ერთი მაჩვენებელი ისიცაა, რომ ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებში — მოსკოვსა და ლენინგრადში — მრავა-

ლი მკვლევარის საკვალიფიკაციო ნაშრომისათვის მიუციათ დასტური მისი რეცენზიების მიხედვით. მათ შორის არიან საზღვარგარეთელი მეცნიერებიც. ასე, გ. ახვლედიანმა, როგორც ოფიციალურმა ოპონენტმა, განიხილა ინდოეთიდან ჩამოსული ერთი ენათმეცნიერის კაპიტალური წიგნი — სალოქტორო დისერტაცია, რომელიც ეხებოდა ბენგალიურ ენას. ოპონენტმა არსებითი ვადამუშავება მოათხოვა დისერტაციისა და ავტორს მიუთითა მთელ რიგ ხარვეზებზე. დისერტანტმა გიორგი ახვლედიანის კრიტიკული შენიშვნების საფუძველზე გადაამუშავა თავისი დიდტანიანი შრომა და დაიცვა კიდევაც მოსკოვში გიორგი ახვლედიანის ოპონენტობით. ეს ერთი შეხედვით პატარა ფაქტი საბჭოთა მეცნიერების პრესტიჟის მაჩვენებელია (ინდოელი მეცნიერის გამოკვლევამ ინდური ენის შესახებ დასტური საბჭოთა მეცნიერთაგან მიიღო).

ქართული ენის, ზოგადი ენათმეცნიერების, ზოგადი ფონეტიკისა და ინდოევროპულ ენათმეცნიერების გრამატიკის დარგებში ა. შანიძისა და გ. ახვლედიანის ავტორიტეტულ სიტყვას

მთელ საბჭოთა კავშირში დიდი ანგარიში ეწევა. ა. შანიძე და გ. ახვლედიანი თბილისის საერთოშენიერო სკოლის ფუძემდებლები არიან. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, „ტფილისის სახ. უნივერსიტეტში ენათმეცნიერების შექმნა სამი პირის: პროფ. იოს. ყიფშიძის, პროფ. აკ. შანიძის და პროფ. გ. ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამშუხაროვ, უღროვლად გარდაცვალების გამო, უდიდესი ტვირთი ორს უკანასკნელს დააწვა“ („ქართ. და კავკ. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. 1937, გვ. 78).

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ბევრი დახვეწილი სპეციალისტი მუშაობს ქართული ენის, დასავლეთ ევროპისა და სლავური ენების დარგებში, — თითქმის ყველა მათგანს ავაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანის სამეცნიერო სკოლა აქვს გავლილი. ქართველურ და კავკასიურ ენათა ყველა გამოჩენილმა მკვლევარმა (დღეს — აკადემიკოსებმა, პროფესორებმა, დოცენტებმა) სამეცნიერო წრითაა ავაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანთან მიიღო.

ავაკი შანიძის დიდი დამსახურებას შეადგენს ქართული ენის გრამატიკული სისტემის კვლევა-ძიება. მრავალი ათეული წლის განმავლობაში დაუღალავი მეცნიერი მთელი სიღრმითა და სისავსით იკვლევს ქართულ გრამატიკულ კატეგორიებს, წარმოაჩენს ჩვენი ენის სპეციფიკურ მხარეებს, ავლენს ქართული ზმნის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას. მართალია, ა. შანიძის წინამორბედ ქართველ გრამატიკოსებს ცოტა არ გაუკეთებიათ ქართული გრამატიკის დარგში, მაგრამ ისინი მაინც ეგერეთოდებული „სასკოლო გრამატიკის“ ავტორები არიან და აქედან ვასაგებია, რომ მათ არც მოეთხოვებოდათ გრამატიკული მოვლენები წარმოდგინათ ისტორიულ ასპექტში, ღრმა მეცნიერული კვლევა ეწარმოებინათ ამა თუ იმ კატეგორიის დასადგენად. ა. შანიძეს გავლილი ჰქონდა შესანიშნავი სამეცნიერო სკოლა, მან თავიდანვე კარგად შეითვისა ისტორიული შედარებითი მეთოდოლოგიის პრინციპები და შემდეგ მარჯვედ გამოიყენა ისინი გრამატიკული ფაქტების ანალიზის დროს.

ა. შანიძემ 1920 წელს ნორჩ ქართულ უნივერსიტეტში დაიწყო დისერტაცია პრეფექტების შესახებ. ეს იყო პირველი დისერტაცია თბილისის უნივერსიტეტში. ამ ნაშრომში გარკვეულია ქართული ზმნის ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა — პირის საკითხი, რომლის ამოცნობაზეც დამოკიდებულია დანარჩენი გრამატიკული კატეგორიების რთულ ზღართებში გარკვევა. ამას მოჰყვა ცალკეული გამოკვლევები ზმნის სხვა მხარეების შესახებ. მაგალითად, შესანიშნავი ნაშრომია „ქართული ზმნის საქციევი“ (1927 წ.), სადაც დადგენილია ქართული ენის ერთი მეტად საყურადღებო თავისებურება —

ქცევა. გარდა ამისა, შანიძის მიერ დადგენილია გვარის ორი სახეობის, სტატუსის, კონტაქტის, სიტუაციის და სხვა კატეგორიები. მწკრივის კატეგორიის დასაბუთებამ კი კარგი ნაყოფი გამოიღო გრამატიკაში და მის საფუძველზე გაიკვია ზოგი ბნელით მოცული საკითხი. ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძველები“ (I) კამბიტალური წიგნია, სადაც თავმოყრილია ავტორის ხანგრძლივი მუშაობის შედეგები ქართული გრამატიკის დარგში.

ქართული ცოცხალი მეტყველების შესწავლა ა. შანიძის ყურადღების ცენტრში ადრევე იდგა. ჯერ კიდევ 1913 წელს მან რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მოამბეში გამოაქვეყნა პირველი მეცნიერული ნაშრომი თუშ-ფშავ-ხევისურული მეტყველების შესახებ. ფასდაუდებელი ამავე დასლო ა. შანიძემ ქართულ დიალექტოლოგიის სანდოდ ფიქსირებული დიალექტოლოგიური ტექსტების გამოაქვეყნებთ. 1931 წელს გამოცემული ხევისურული პოეზია ნიმუშია იმისა, თუ რა სიზუსტით და მრავალმხრივობით უნდა იქნეს ჩეწერილი ხალხური პოეზიის ტექსტი, რათა იგი გამოსადეგი იყოს როგორც ფოლკლორისტიკის, ისე ენათმეცნიერების მიზნებისათვის.

ქართველი მწერლების ენა და სტლი ჯერ კიდევ სათანადო სიღრმითა და სისავსით არ არის დამუშავებული. ამ სფეროშიც ა. შანიძის კოლაშს ეკუთვნის საყურადღებო გამოკვლევები, როგორცაა, მაგალითად, „ნიკოლოზ ბარათაშვილის ენა“, „ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიბერატური ქართულის დამკვიდრებისათვის“ და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ძიებები „ვეფხისტყაოსნის“ ენის სფეროში.

ქართული ენის სტრუქტურის მთელი სიღრმით შესწავლა შეუძლებელია ქართველური ენების — ზანურ-სვანურის გაუთვალისწინებლად (ზანური საერთო სახელია მეგრულ-ჰანურისა). ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით, კერძოდ, მეტად დასუელია სვანური მეტყველების მონაცემები. ა. შანიძემ ჯერ კიდევ 1923 წელს შეისწავლა სვანური ფონეტიკის ურთულესი საკითხი — უმლაუტი, რომლის გარკვევამ გააადვილა სხვა ფონეტიკურ-მორფოლოგიური მოვლენების ანალიზი.

დიდად დასაფასებელია ავაკი შანიძის ღვაწლი ქართული ენის ძველების მეცნიერულად შესწავლისა და გამოცემის დარგში. ჩვენმა სახელმწიფომ მეცნიერმა გააგრძელა ის ტრადიცია, რომელიც დანერგა ქართულ ფილოლოგიაში ნიკო მარმა. ცნობილია, რომ აკადემიკოსმა მარმა ამ ნახევარიოდ საუკუნის ქართლ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ძველი ქართული მწერლობის ძველთა მეცნიერულ-კრიტიკულად გამოცემის საქმეს. ვაიხსენოთ თუნდაც მარის ბრწყინვალე ფილოლოგიური გამოცემები — ხანთელის

ცხოვრება, ძველქართული სახობო პოეზიის ძეგლები, მეცხრე-მეთექვსმეტე საუკუნის სხვა მნიშვნელოვანი ტექსტების პუბლიკაციები... ა. შანიძემ საბჭოთა საქართველოში დააარსა გამოცემათა ისეთი სერიები, როგორცაა „ძველი ქართული ენის ძეგლები“ (აკადემია), „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“ (უნივერსიტეტი) და სხვა. ა. შანიძემ წამოიწყო ქართული ბიბლიის მეცნიერული გამოცემა, რაც დიდ კულტურულ-ისტორიულ მოვლენად უნდა იქნეს აღიარებული. ცნობილია, რომ დღესდღეობით ქართული დაბადების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა არ განხორციელებულა (ძველი გამოცემები არ არის დამაკმაყოფილებელი).

ასევე საყურადღებოა ქართული ოთხთაიის (სახარების) ტექსტის მეცნიერული გამოცემა, ოთხთაიისა, რომლის ენა ქართული სალიტერატურო ენის უძველესი ვითარების კარგი ამსახველია.

ა. შანიძის ფილოლოგიურ გამოცემათაგან ცალკე უნდა მოვიხსენიოთ პამეტი ძეგლები, რომელთა აღმოჩენა, გარკვევა და გამოშუქებულება ჩვენი მეცნიერის დიდ დამსახურებად მიჩნეულია. ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით ამგვარი ფილოლოგიური გამოცემები მეტად ფასეულია.

ფართო და მრავალმხრივია, აგრეთვე, გიორგი ახვლედიანის სამეცნიერო ინტერესები. მისი გამოკვლევები შეეხებიან ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემებს, ზოგადი და ქართული ენის საკანონო საკითხებს, ინდო-ირანულ ენებს, სლავისტიკას, კავკასიურ ენებს, ლექსიკოგრაფიას, სამეცნიერო ტერმინოლოგიის საკითხებს. ავტორის „ზოგადი ფონეტიკის სპეციალური“ (1949 წ.), სადაც შეჯამებულია მისი ფონეტიკური გამოკვლევები, საკითხების სიზალობა და სანაღოზო მასალით ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია საერთაშორისო ფონეტიკურ ლიტერატურაში.

ზოგადი ფონეტიკის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია გიორგი ახვლედიანის ნაკვლავი ფონოლოგიის დარგში, ფონოლოგიისა, რომელიც რუსული და საბჭოთა ენათმეცნიერების მიღწევაა. ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ფონოლოგიის სახით ფონეტიკა გაძლიერდება ახალი დარგით, რომელსაც უწერია ფონეტიკისა და, საერთოდ, ენათმეცნიერების განვითარებაში შეასრულოს არა ნაკლები როლი (თუ მეტი არა), ვიდრე ექვემდებარებულა ფონეტიკამ. გ. ახვლედიანის აზრით, ფონოლოგია კი არ აუქმებს, არ ცვლის ფონეტიკის საგანსა და მეთოდებს, არამედ შეაქვს ფონეტიკაში ახალი ობიექტი და სათანადო მეთოდი: აღწერილობითი ფონეტიკის იგი კვლევის ობიექტად უსახავს სამეტყველო ბგეროვნობათა ფუნქციონალურ ღირებულებას, ხოლო ისტორიულ ფონეტიკას — ენის ბგეროვნობათა ისეთ ცვლილებებს.

რომლებიც ვერ პოულობენ ახსნას წინააღმდეგობა ნეიტრალად, ე. ი. აკუსტიკურ-ფიზიოლოგიურად. გ. ახვლედიანს გარკვეული აქვს ფონემის სახესხვაობა, ფონემის ძლიერი და სუსტი პოზიცია, კორელაციური ოპოზიცია და ნეიტრალიზაცია, ფონემის ტოლფუნქციანი და უტოლფუნქციო სახესხვაობანი, ფონემთა თანამეფარებუბები და სხვა ძირითადი მნიშვნელობის საკითხები.

დიდი ამაგი დასდო გიორგი ახვლედიანმა ქართულ-ქართველური ენების ფონეტიკური სისტემის კვლევა-ძიებას. ქართული ბგერის ახვლედინისეული კლასიფიკაცია, დამყარებული მასალის მკაცრ და ღრმა ანალიზზე, მიღებულია მეცნიერებაში. ამ კლასიფიკაციის მოცემით საბოლოოდ დაძლეულია ის უსწორობანი თუ ცდომილებანი, რომლებიც დაშვებული იყო ამ დარგში როგორც ქართველი გრამატიკოსების, ისე უცხოელი მკვლევარების მიერ. ახვლედიანმა გააკრვია ქართული ბგერების ნიშანდობლივი თვისებებუბანი. ჩვენი ენის ფონეტიკური სისტემის ეს სპეციფიკა მკვლევარმა დაადგინა რუსული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური და სხვა ენების ბგერით შედგენილობასთან შედარებითი ანალიზის გზით. გ. ახვლედიანმა მოგვცა, აგრეთვე, აფხაზური ენის ბგერათა მეცნიერული კლასიფიკაცია, — აფხაზურისათვის დამახასიათებელია მეტად რთული და საინტერესო ფონეტიკური სისტემა.

ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციის პრობლემას არა ერთი მკვლევარი დაუინტერესებია. უნდა გარკვეულიყო როგორც მახვილის ადგილმდებარეობის საკითხი (ე. ი. სიტყვას რომელ მარცვალზე მოუდის მახვილი), ისე მახვილის რომელთის საკითხი (ე. ი. რა ტიპის მახვილია ქართულისთვის ნიშანდობლივი). პროფესორებს — შუხარდტს, დეეტერსს, დირს, მაგალითად, ინტერესებდათ ქართული მახვილის ლოკალიზაცია. მახვილის ტიპის გარკვევას ნ. მარმა გვერდი აუარა თავის ძველი ქართული ენის გრამატიკაში (1925 წ.), მაგრამ პარიზში ფრანგულად გამოქვეყნებულ ქართული ენის გრამატიკაში 1931 წ.) გამოთქვა აზრი, რომ ქართულისათვის დამახასიათებელია ტონური მახვილი. ე. ზელმერის ექსპერიმენტულმა ძიებებმა გვიჩვენეს, რომ სალიტერატურო ქართულს არა აქვს მკაფიოდ გამოხატული არც დინამიკური და არც მუსიკალური (ტონური) მახვილი, დომინანტა, ზელმერის შეხედულებით, მინც ტონური მახვილია. ქართული მახვილის საკითხი შედარებით-ისტორიული თვალსაზრისით განიხილა ა. ჩიქობავამ და დასკვნა, რომ უძველეს (მწერლობამდელ) ქართულში უნდა გვეპოვოდა ძლიერ დინამიკური, არაფიქსირებული (მოძრავი) მახვილი.





გ. ახვლედიანმა ქართული აქცენტუაციის კვლევის სფეროში გარკვეულმა შეიტანა. მისი დასკვნით, სალიტერატურო ქართულში დომინანტია სუსტი დინამიკური სიტყვათმახვილი, მაგრამ მასში ჩანს ტონურობის ელემენტიც. ეს სიტყვათმახვილი ძლიერ სუსტია, უფრო სუსტია, ვიდრე ფრანგულში. ამრიგად, დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ძალაშია „დინამიკურ-ტონური მახვილი“, როგორც ფიჭობის ახვლედიანი, და არა „ტონურ-დინამიკური მახვილი“, როგორც ფიჭობდენე ზელმერი და ფოგტი, მით უმეტეს, არა გვაქვს მხოლოდ „ტონური მახვილი“, როგორც ვარაუდობდა მარი.

გ. ახვლედიანმა შეასწორა, აგრეთვე, ნიკო მარის დებულება მახვილის ადგილმდებარეობის შესახებ. მარის აზრით, ქართულ სიტყვაში სამახვილო ნმოვანია ბოლოდან მეორე მარცვლი, ხოლო ოთხ, ხუთ და მეტმარცვლიან სიტყვებში ძალაშია ორი მახვილი — მთავარი და თანამახვილი. გ. ახვლედიანის დასკვნით, ორმარცვლიან სიტყვებში მახვილიანია ბოლოდან მეორე მარცვლი, ხოლო მეტმარცვლიანებში — ბოლოდან მესამე მარცვლი. ეს დებულება ამჟამად დიდსაბჭურად ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგად. როგორც გამოიჩვენა, ნ. მარის სალიტერატურო აქცენტუაცია გაუთანაბრებია იმ აქცენტუაციასთან, რომელიც გარკვეულ დიალექტებს ანასიათებს (კერძოდ, გურულს, რომლის უნებური გავლენა განიცადა ნ. მარმა, რამდენადაც მისი დედაცილო გურული იყო).

საყოველთაოდ ცნობილია გიორგი ახვლედიანის გამოკვლევები ინდოიარული ენების სფეროში. ოსური ენას, როგორც ინდოევროპულ ენათა ერთერთ შტოს — ინდო-ირანულის წევრს, მრავალი მეცნიერი იკვლევს, და ამ კვლევა-ძიებაში საბატიო ადგილი ეთობა გიორგი ახვლედიანის მიერ მიღებულ შედეგებს. ასე, მაგალითად გ. ახვლედიანმა ოსურის მიხედვით დაადგინა ხმულა დისიმილაციური გამქდერების კანონზომიერება, რომელიც გამოსადეგი აღმოჩნდა სხვა ენებისათვისაც. ოსური ენის კვლევა ჩვენი ენების თვალსაზრისითაც საეულისსმოა, რამდენად ოსურმა ისტორიულად შეითვისა კავკასიური ენათა ბგერითი სისტემა, ფონეტიკურად „გაკავასიურდა“. ეს მოწმობს კავკასიურ-ქართულ ენობრივ სინამდვილესთან ოსურის შეგუების ხანგრძლივ პროცესებს. ამ ურთიერთობათა კვლევის სფეროში გ. ახვლედიანის ფონეტიკური დაკვირვებები გაზიარებულია ინდო-ირანული ენათმეცნიერების გამოყენილი წარმომადგენლების მიერ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანის ღვაწლი ცნობილია, აგრეთვე, ქართული ლექსიკოლოგიისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის დარგებში.

ჯერ მოვიხსენიოთ ქართული დიალექტობრივი გიორგი ლექსიკონები, რომლებიც ეკუთვნის ა. შანიძის კალამს. ფართოდ ცნობილია მისი ნაშრომი „ვაეა-ფშაველას ლექსიკონი“, დართული პოეტის აკადემიურ გამოცემებზე. როგორც ვიცით, ჩვენი დიდებული პოეტის ვაეა-ფშაველას ენა მდიდარია ლექსიკით, რომლის ძირითადი მარაგია საქართველის მთის მეტყველების საგანძურიდან მომდინარეობს. ა. შანიძის მიერ შედგენილ ლექსიკონში გადაშლილია ქართული ხალხური ლექსიკის ეს ფასდაუდებელი მასალა. მანვე შეადგინა ხევსურული ლექსიკონი, რომელიც ერთის გაბურის ხევსურულ დიალექტოლოგიურ ტექსტებს, ინგილოური კილოს სიტყვის-კონა და სხვა.

დიდი ამაგი დასდო ა. შანიძემ სულხან-საბა ორბელიანის უკვდავი „ქართული ლექსიკონის“ წყაროების, შედგენილობის, რედაქციების, პუბლიკაციის საქმეს.

გ. ახვლედიანმა დაამუშავა ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგია, რედაქცია გაუკეთა გეოლოგიურ ტერმინოლოგიას; 1933 წელს გამოსცა „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, რომელიც დღესაც სამაგიდო წიგნად ითვლება. გ. ახვლედიანის კალამს ეკუთვნის (ს. იორდანიშვილთან ერთად) „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ და სასკოლო „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (ვ. თოფურისთან ერთად).

აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი იღვწიან ახალი ქართული ენის ნორმათა მოწესრიგებისათვის, სალიტერატურო ქართული პრაქტიკული საკითხების მოგვარება-ნორმალიზაციისათვის. ისინი, როგორც ნორმათა მოწესრიგებელი კომისიის წევრები, ათეული წლების მანძილზე ზრუნავენ ჩვენი მეტყველების კულტურის ამაღლებისა და განვითარებისათვის. არა ერთი და ორი ლიტერატურული ნორმა დაკანონებული და დადგენილია მათი პროექტებისა და წინადადებების მიხედვით. მაგალითად, ა. შანიძის პროექტის კვალობაზე მიღებული ნორმები: ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება, წოდებითი, ბრუნვის დაბოლოება, ევროპის ენებისადმი მიახლოება „ლა“ და „ლუ“ ჯგუფიანი სიტყვები (რეკლუტია, მალარია) და სხვ.

გ. ახვლედიანის ყურადღების ცენტრში დგას ფონეტიკის პრაქტიკულად გამოყენების დარგი, რომელსაც ლოგოპედია ეწოდება. ლოგოპედია ასწრებს ენაშრომლობის სხვადასხვა ფორმას (ენაჩლუნგობას, ენაბლუნგობას...), ამასვე უკავშირდება სურდობედაგოვაცა, რომელიც მოწოდებულია ყრუ-მუნჯეებს განუვითაროს ნორმალური ბგერითი მეტყველება. ლოგოპედია ეყრდნობა სამეტყველო და სასმენ ორგანოთა ანატომია-ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის მონაცემებს, დაკავშირებულია საერთოდ ფსიქოლოგიასთან. გიორგი ახვლედიანი დიდხანს ხელმძღვანელობდა

საქართველოს ლოკოპედურ ცენტრებს (პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში, ფუნქციონალურ-ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტში, ენის ინსტიტუტში...), წლების მანძილზე მრავალმა ასეთმა ენათმეცნიერმა გამოაწვრთა თავისი ნაყოფიანი შედეგება იმ მახაზე და იმ კვლევამების შედეგად, რომელსაც სათავეში ედგა გ. ახვლედიანი.

უდიდესი მნიშვნელობა აქვთ გ. ახვლედიანისა და ა. შანიძის სახელმძღვანელოებს. მათ ანალიზს აქვთ შევუდგებით.

გიორგი ახვლედიანი და აკაკი შანიძე, როგორც მოწინავე მეცნიერები, ყოველთვის ჩამული იყვნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, — ისინი არ არიან „კაბინეტში ჩამოშვებული“ მეცნიერები, თავისი მოწოდებით, ამავე დროს, საზოგადო მოღვაწეები არიან, ხალხის გულისთქმისა და პირ-ვარამის გამზარებენლი.

როგორც ითქვა, ა. შანიძე და გ. ახვლედიანი თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა ჯგუფის წევრები და მისი პირველი პროფესორები არიან. გ. ახვლედიანი უნივერსიტეტის დარსების პირველი დღეებიდანვე კითხულობს ზოგადი ენათმეცნიერების, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის, ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის, სანსკრიტის, რუსული დიალექტოლოგიის, ოსური ენის, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის და სხვა კურსებს, ა. შანიძე კი — ძველ და ახალ ქართულ ენას, ქართულ დიალექტოლოგიას, სევანურს, ძველ სომხურ ენას, არაბულს, ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკას და სხვ.

გ. ახვლედიანი და აკაკი შანიძე გახლავთ, აგრეთვე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელთა პირველი შემადგენლობის წამყვანი წევრები. ნორჩი აკადემიის ზრდა-განვითარებას მათ, როგორც მოწინავე აკადემიკოსებმა, დიდი ამაგი დასდეს. ვარდა იმისა, რომ ისინი — სხვებთან ერთად — პრესტიჟს უქმნიდნენ ქართული მეცნიერების ახალ კერას, მათ აკადემიაში სხვადასხვა დროს საპასუხისმგებელი თანამდებობებიც ეკავათ (ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოსი-მდივნის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარის, ენის ინსტიტუტის დირექტორის, და სხვ.).

გიორგი ახვლედიანი და აკაკი შანიძე „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ დამაარ-

სებლები არიან (1923 წ.). ეს საზოგადოებრივი საქართული საენათმეცნიერო საზოგადოების ცენტრი წლების მანძილზე, აქ გამოიწვრთა ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი, აქ იკვლევდა ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის საკითხები, ეწყობოდა მრავალრიცხოვანი ექსპედიციები, ვრცელდოდა ქართული ცოცხალი მეცნიერების მსალა...

1939 წელს პროფესორები ახვლედიანი და შანიძე თირჩის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად.

ა. შანიძე და გ. ახვლედიანი წევრები არიან მრავალი სამეცნიერო დაწესებულება-საზოგადოებისა (მაგალითად, შანიძე — პრაღის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა, ახვლედიანი — ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოებისა, ამერიკის ლინგვისტური საზოგადოებისა, და სხვ.).

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ამ ორ მეცნიერს ცხოვრების ერთნაირი გზა აქვს, ისინი ერთ საქმეს ემსახურებიან, ერთი მიზნისკენ ისწრაფვიან. ისტორიამ მათ დააკისრა თავიანთი სამშობლოში მეცნიერების ერთი დარგის მეთავეობა, მეცნიერების ჩამდენივე თაობისათვის გზისგაკვლევა, მათი აღზრდა სამშობლოსა და მეცნიერების სიყვარულის სულისკვეთებით. ასეთი ხვედრი ბევრს არ რგებია. ამასთანავე, გ. ახვლედიანი და ა. შანიძე თავიანთ მოწაფეებზე კეთილშოგველ ზეგავლენას ახდენენ, როგორც მაღალადამიანური ღირსების ადამიანები. კეთილშობილება, პრინციპულობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, მამულის სიყვარული, — აი რა თვისებებს ავითარებენ ისინი ახალ თაობაში, და ამიტომაც, რომ მათი მოწაფეები სამუდამოდ დავალებული არიან სახელოვანი მსწავლებლებისაგან უანგარო მზრუნველობისათვის.

სამავალითაც ამ ორი მეცნიერის ურთიერთ-დამოკიდებულება, ისინი სულიერი მეგობრები არიან და ხელისხელ ჩაკიდებული მიდიან ცხოვრების ნათელ გზაზე. ამ გზაზე მათ დიდ დამტკობებათა გადარება მოუხდათ, სიმწარეც უგემიათ, მაგრამ მხნეობა არ შენელებიათ. სულიერი მოუდრეკელობისა და მხნეობის საწინდარი კი ხალხის სიყვარულია, ხალხისმიერი აღიარება და დაფასება. ორივე მეცნიერი მშობლიური მეცნიერების აღორძინების მონაწილეა და მისი საუკეთესო ტრადიციების მტარებელი.



## გივი გვაგაჭკორი

### მაზანაშვილების ოჯახი

ქართლის ყველა სოფელი ერთმანეთს წავაგავს—თავისი ადამიანებით, ჩვევებით, ზედმეტი სახელებით, თავისი წისქვილებით, პატარა მოჩხრიალე მდინარეებით, თავისი ზენაქართა და ქვენაქართი, გზისპირ ჩარიგებული აღვის ხეებით, ვარდისფერი კრამიტით დახურული სახლებით, შემორჩენილი კოშკის ნანგრევებით, ერთი მთავარი ქუჩით და მიხვეულ-მოხვეული ორღობეებით, თავისი სკოლით, კლუბით, კოოპერატივით და პატარა სასაფლაოთი.

ასეთია მეჯვრისხევიც. თბილისიდან მეჯვრისხევში ჩასული ზინა მარკოზაშვილი მალე შეეჩვია იქაურობას. ყველა დედა წარმოიდგენს, როგორ გამოაცოცხლდა ქვეყნის თავის უფროს ქალიშვილს სოფელში. შორს დარჩა ორჯონიძის ქუჩა, ბავშვობა, სკოლა, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი... და ბავშვობისა და სტუდენტობის დღეები მხოლოდ ტკბილ და შორეულ მოგონებად იქცა.

კარგად ახსოვს ზინას თავისი პირველი გაკვეთილი. მართალია, იგი საკლასო ოთახში თამამად შევიდა, მაგრამ როდესაც მისკენ მიპყრობილი ოცდაათი წყვილი თვლის მზერა დაიჭირა, გულში ფარული შიში იგრძნო. ხმა აუკანკალდა და თითები აუთრთოლდა. მაგრამ ყოველივე ეს რამდენიმე წუთს გაგრძელდა მხოლოდ. ზინამ გული მალე დაიმშვიდა და გაკვეთილი შესანიშნავად ჩაატარა.

მალე შეეჩვია იგი იმ ადამიანებს, რომლებიც მის გარშემო ტრიალებდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ დახმარება გაეწიათ მისთვის, თუ კი დასჭირდებოდა. შეეჩვია პატარა ბავშვებს, რომლებიც ხშირად მეტად სასაცილოები იყვნენ, ცნობისმოყვარე მეზობლებს, საზოგადოებრივ საქმიანობას, სახლში ფუსფუსს და მრავალ ყოველდღიურ წერილმანს. შეეჩვია და ქალაქთან დამშვიდობებით გამოწვეული იდუმალი დარდი ვანგლილ დღეებს ვაატანა.

სოფლის საბჭომ პატარა ოთახი დაუთმო, რომელშიაც არაფერი არ იდგა, გარდა ერთი საწოლისა და მაგიდისა. სკამის მიგვიერთობს საწოლი

უწყვედა და მაგიდაზე შუალამედე წახრილი ზინა გულმოდგინედ ასწორებდა ირიბად დახატულ რვეულის ფურცლებზე ბავშვური ხელით გამოყვანილ სტრიქონებს. შემდეგ ღამის სიბნელეში დიდხანს ფიქრობდა განვლილ დღეზე, ზვალინდელი დღის გეგმებს აწყობდა და ფიქრებით მოღლილ-მოქანცული იძინებდა ბოლოს.

ასე გავიდა ოთხი თვე.

ზინამ ვანო მაზანაშვილი გორში გაიცნო, მასწავლებელთა რაიონულ კონფერენციაზე. ვანო მეჯვრისხევის საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა, ზინა კი იმავე სოფლის დაწყებითი სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. ერთ სოფელში მუშაობდნენ, მაგრამ ერთმანეთს საღმთაოც არ იცნობდნენ. ვანოს მოეწონა თბილისიდან ახლახან ჩამოსული ქალიშვილი. კონფერენციის დამთავრების შემდეგ მანქანაში ჩასვა და სახლამდე მიაცილა. შემდეგ უფრო დაუახლოვდა და ბოლოს პატარა ბარათიც მისწერა, რომ ელშიაც იგი დიდი რიდიოთა და მოკრძალებით ესაუბრებოდა ზინას თავის გრძნობაზე და მაზანაშვილების რძლობას, ოჯახურ სიბოძოსა და მყუდროებას სთავაზობდა. ზინას, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცია მაღალი და მხარბეჭიანი სპორტსმენისათვის, რომელიც მასთან შეხვედრის დროს მხრებში იხრებოდა და მორიდებით ესაუბრებოდა, მაგრამ ზინა, მიუხედავად იმისა, რომ სოფელს შეეჩვია, მეჯვრისხევში გათხოვებას მაინც არ აპირებდა.

მაგრამ როდესაც ზინამ უფრო ახლოს გაიცნო ვანო, საქმე სულ სხვანაირად წარიმართა. იგი მოხიბლა ვანოს ხასიათის სიმტკიცემ, მისმა სიკეთემ და პირდაპირობამ, დააფასა და შეუღლებაზე თანხმობა განუცხადა.

მაზანაშვილების ოჯახში შესულ პატარძალს მხოლოდ დედამთილი და მამამთილი დაუხვდა. კოლა და მარიამ მაზანაშვილებს ორი ქალიშვილი უყვებოდათ გათხოვებინათ და დაემინავებინათ, ხოლო თბილისში სასწავლებლად წასული სამი ვაჟიდან მხოლოდ უმცროსი ვანო დაბრუნებოდა სოფელს.

სამოცდაჩვიდმეტი წლის ბერეკაიე კოლა მავანაშვილი მეჯვრისხევეში და ქართლის ახლო-მახლო სოფლებში განთქმული მკვდელია. ოცი წელი იმუშავა კოლმეურნეობაში კოლამ. სოფლის გლეხკაცობას ახლაც მისი გამოკვეთილი ცული და წალი, ცელი და ნამძალი უჭირავს ხელში. ამიტომაც მავანაშვილებს ზედმეტ სახელად მკვდელიანთ ეძახიან სოფელში.

ბერეკაის თანხმობითა და დახმარებით ვანომ ახალი სახლის აშენება გადაწყვიტა, რადგან ძველში მხოლოდ იმითომ არ ღირდა ცხოვრება, რომ ძველი ერქვა. თანაც ძველი სახლი სოფლის შარავხასაც ამრუდებდა. და ბოლოს, ახალ ოჯახს ახალი სახლი უფრო შეეფერებოდა.

სახლის აშენება არც თუ ისე ადვილი საქმეა... აგრ უკვე სამი წელია ვანო და ზინა სახლს აშენებენ და ამ შემოდგომაზე ძლივს მოათავეს. სამი წელი გავიდა-მას შემდეგ, რაც თლილი ქვა და აგური მოზიდეს, საძირკველი გაჭრეს და კალატობა დაწყებული საქმე დალოცა. საძირკველში ხრდა ფული ჩაყარეს, ოჯახი დოვლათიანი იქნებოდა... ნელა ამოიყვანეს კედლები. ფანჯრები და კარები დაატანეს და სახურავი გადახურეს. შემდეგ სახლს ბოსელი და სათონეც მიადგეს და ამ ერთი თვის წინ შუაქველიც შელესეს. ახლა ფართო აივანს მოაჯირიდა აკლია.

ზინამ დაწყებითი სკოლიდან საშუალო სკოლაში გადაინაცვლა. ახლა სკოლაშიაც ერთად არიან ზინა და ვანო მავანაშვილები.

ზინა ყოველგვარ საშუალებას ხმარობს და შრომას არ ზოგავს იმისათვის, რომ ქართველი ბავშვი კარგად დაეუფლოს დიდი რუსი ხალხის ენას, შეისწავლოს რუს კლასიკოსთა შესანიშნავი ნაწარმოებები. მას ახლა ზურგს უმაგრებს ოთხი წლის პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება. ზინა ცდილობს ბავშვის უმანკო გულამდე მიიტანოს პუშკინისა და ლერმონტოვის მიერ ამღერებული მშობლიური ქვეყნის სიყვარული, ნეკრასოვის მოქალაქეობრივი პათოსი, ტურგენევისა და ტოლსტოის ჰუმანიზმი, კოლცოვისა და ტუტჩევის შემოდგომის მღვმარება და გაზაფხულის სიხარული...

ვანო რაიონში ფიზკულტურის სანიმუშო მასწავლებლად თითვლება. იგი ვაკეთებებს ყოველთვის შინაარსიანად და ხალისიანად ატარებს... იარაღებზე ვარჯიშის გარდა დიდი ადგილი აქვს დათმობილი ფიზკულტურულ თამაშობებს.

მავანაშვილებს თორმეტი მეყაედი ბაღი უჭირავთ. აქედან შვიდი მესადელი ვაზია. წელს შვიდჯერ აიცილა აპარტი და შვიდჯერ შეწამლა ვენახი ვანომ. მიწაზე მუშაობაც ეხერხება, ბარავს, თონის, რწყავს... სოფელში გაზრდილი კაცია!... განსაკუთრებით ბავშვებს უყვართ ეს მხიარული ახალგაზრდა კაცი, რომელიც მათთან ბავშვად იქცევა ხოლმე. ბავშვების წაბაძვით მამას, პატარა დათუნაც ხშირად "ძია ვანოს" ეძახის.

სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ახალშელსილ

ოთახებში დღივით ფუსფუსებს მავანაშვილებს ხელმარჯვე და მუყაითი რძალი. ოჯახში საქმეს რა გამოიღვეს...

თავისფარვარული ზინა მტერის ტილოთი წმენდს და აბრიალებს მაგიდებს, კარადებს, სკამებს, რადიომიმლებს... უხარია ახალი სახლი ზინას. საახალწლოდ ტელევიზორის დადგმასაც აპირებენ მკვდელიანი. საახალწლო ნაძვის ხეს დაუდგამენ ბავშვს, მრავალნაირი და მრავალფერი სათამაშოებით მორთულსა და აფერადებულს. ნაძვის ძირში დადგამენ დათოვილ, გრძელწვერიან, ცხვირგაწითლებულ და გრძელკომლიან თოვლის პაპას. დიდდა მარიამი გააკეთებს გოზინაყს და დათუნას სიხარულს არ ექნება საზღვარი...

ბედნიერი ახალი წელწადი გაუთენდება მავანაშვილებს. იგი ახალ სახლში გათენდება და მოიტანს ახალ სიხარულს, ახალ ოცნებებს, ახალ იმედებს...

დგას ჩარხისუბანში ახალი სახლი. მისი სახურავის ვარდისფერ კრამიტს ჯერ ხავსი არ მოსდებია, მის ქერს ჯერ აბლაბულა არ გაჰკარებია, მისი იტაკის ფიცრებისათვის ჯერ თავს კბილი არ ვაუჭრავს და მისმა კედლებმა ჯერ არ იცის რა არის ნესტი. ოთახებში ჯერ კიდევ დგას ახლადგარანდული ფიცრებისა და საღებავის მკვეთრი სუნნი. დილიდან საღამომდე მზე იდგია მავანაშვილების სახლს და ახალშელსილ კედლებზე თამაშობს ფანჯრებიდან შემოსული სინათლის ათინათი.

აივანი პატარა ბაღჩას გადაჰყურებს. ბაღჩის გადაღმა კოლმეურნეობის ფუტკარია. ბაღჩაში ბერის ხეხილია. დეკემბერში მხოლოდ ვაშლებს-ღა შერჩენია ყვითელი ფოთლები.

მზეზე თმება გაწოლილი ბამბურა ძალი, ჩემს ფეხის ხმაზე იგი ზანტად ახელს მაღლა მოქცეულ თვალს და ზანტადვე ხტუავს. მე მისთვის უკვე შინაური ვარ.

ნიავის წამობერავზე ნელა ქანაობენ აივნის ქერში ჩამოიცილებული ჯგოლები.

აივნის კუთხეში გდია გაქუქილი, პატარა საბარგო მანქანა.

ცელქი ბავშვია კოლა მავანაშვილის შვილი-შვილი.

გაალებენ ოთახის კარს თუ არა, პირველი ის გამოიხიბს ვარეთ. ვარდისფრად უფერადებს ლოყებს დეკემბრის სუსხს. კიბის თავთან პირველად ის ხვდება სტუმარსაც და ფოსტალიონსაც. სამი წლის დათუნას სწრაფად დაჰყავს სამთვლიანი ველოსიპედი მაგიდის გარშემო, თუმცა ფეხებს ჯერ კიდევ ვერ უწვდის პედალს. დათოს მუზობლის ბავშვებთან უყვარს თამაში, განსაკუთრებით ხომიზურის ტყუპებთან. იგი ახლა პატარა ატმის ხეებზეც აღის უკვე. პაპა კოლას სამკვდლოშიაც "ეხმარება" და სახლში ყოველთვის ნაწშირით ამოვანგლიშ ბრუნდება.

მაგრამ ამ ქვეყანაზე დიდდა მარიაზე უფრო ძლიერ არავის უყვარს ბავშვს, რადგან იგია მისი ბავშვური სულის პირველი მესაიდუმლო. პირველად დიდდა მარიაში აღმართა პატარა ბავშვის წინაშე ქართულ ზღაპრებში გაცოცხლებული საოცრებანი. იგი ანებიერებს და უსრულებს იმას, რასაც არავინ შეუძრავს დათოს. იგი ბავშვს თონში „ქვეყვრას“ უცხობს და მისთვის ჯობით ყოველთვის დააქვს ატმის ჩირი და ჩურჩხელა. კანის კალთაზე ხელჩაკიდებული უკან დასდევს დიდდას ბავშვი, მკერდში ეხუტება დაძინების წინ და ჰკოცნის მის დაძმქნარ ლოყებს...

უცხოება არ სცოდნია დათოს, მალე გამოიშინურდა.

პაწია თითებს მიცაცუნებს შუბლზე, თვალეზე, უღვაშებზე და გულიანად იცინის. დაუსრულებელი ტრიტიკებს „ძიას“ მეძახის.

მე ისეთ ასაკში ვარ, რცა ჯერ კიდევ შეხამუშება, როდესაც „ძიას“ მეძახის ბავშვი...

დათო ჩემი მუხლებიდან ჩადის და კატას მისდევს.

დამფრთხალი კატა ტანტის ქვეშ მიძვრება. ბავშვი ჩემს მუხლებს უბრუნდება.

კატა ვარეთ გამოდის, ზურგს მალა სწევს და იხმორება. შემდეგ ღუმელთან წეება, თვალებს სანახევროდ ხუპავს და კრუტუნებს.

ლულუნებს ღუმელი.

ბავშვი ფანქარსა და ქალაღს თხოულობს. ფანქარი და ქალაღი მოაქვთ.

დათუნას მიერ ქალაღზე დაჯღანბილი ინდიელების მიერ ქვიშაზე ჯახით გამოყვანილ ფიგურებს წააგავს. შემდეგ იგი ხელისგულს ქალაღის ფურცელზე დებს და კდილობს თავის ბავშვა თითებს ფანქრით შემოუაროს. ფანქარი თითსა და თითს შუა მოძრაობს. ბავშვს ელტუნება და კვლავ გულიანად იცინის.

შემდეგ მშობლები დათუნას აიძულებენ სკამზე შედგეს და ლექსები თქვას. ბავშვი თამამად იწყებს:

„წითელი ვაშლი ვაგორდა,  
დათუნა სკოლაში ვარბოდა...“

მაგრამ მალე ავიწყდება და ყველანი ვეზმარებით.

ბოლოს და ბოლოს დათუნას რეპერტუარი იწურება.

ბავშვი მალა ამყავს და შუბლზე ვკოცნი.

იგი პაწია თითებს ისევ მიცაცუნებს თვალეზე, ცხვირზე, უღვაშებზე და ისევ გულიანად იცინის...

მე ძლიერ მენანება ამ თბილი და ბედნიერი სახლის, ამ სინაზის, ამ სიმშვიდისა და მყუდროების მიტოვება, მაგრამ ჩემი წასვლის დრო მოვიდა.

მე ვიფრთხავ პიჯაკის გათეთრებულ კალ-

თებს, ბავშვმა რომ ფენსაცმელებით დათუნას და კარს ვაღებ.

კბინის თვითან ვემშვიდობები დათუნას და მივდივარ...

ავტობუსი ვადის მეჯვრისხევიდან.

შარავა დინჯად გადაქრეს ბატემა.

გავიარეთ ხელთუბანი და ბერბუკი.

შევდიეთ ვორში.

ვიღებ მატარებლის ბილეთს და ფანჯარასთან ვჯდები.

მატარებელი იძვრება.

თვალს ეფარება გორის ხუთკარიანი ციხის ქონკურები.

თვების იქით აცილებს დეკემბრის ჩამავალ მზეს მატარებლის ფანჯრის ჩარჩოში ჩასმული ქართლი. ერთმანეთში ირევა ყვითელი და ყავისფერი, მწვანე და შავი. წელში მოხრილი ადამიანებივით ვარბიან ნაცრისფერი ბურჭები. შორს მოჩანან ბორცვებზე შეფენილი სოფლები, თავმონგრეული კოშკები, მტკვარზე გაღებული თეთრი ხიდეზი და შარავზე მშავალი მზავრები.

შემდეგ დედამიწას ეპარება მწუხრი. აღმოსავლეთით გრძელდებიან გაშვილებული ხეების ჩრდილები. მატარებელი რომელიღაც ხილზე გადადის. მდინარის ზედაპირზე ეცემა განათებული მატარებლის ფანჯრების ანარეკლი. მატარებელი ჩერდება. მიდის. ჩერდება. ვასასვლელთან შეჯგუფული მგზავრები ხმაურით ჩადიან, ვიწრო ბილაკებზე მიიწევენ მათი წახრილი ლანდები და შემდეგ წყვილაღმი უჩინარდებიან.

ჩემს პარდაპირ, სკამზე, პატარა ბავშვი წითელ ფენსაცმელს პირში დასველებულ ფუნჩულა თითით აცილებს ლაქას. მე ვუყურებ, მეცივნება და დათო მახსენდება ისევ...

ახლა მეჯვრისხევი იძინებენ ალბათ.

ციმციმებენ სინათლები ჩარბისუბანში, ვარდისუბანში, შრომისუბანში, პატარა მეჯვრისხევი, მეჯუღისპირზე...

ახლა მავანაშვილების ოჯახში ისევ ღულუნებს ღუმელი ალბათ. როგორც წუხელ, თავის საწოლიდან მამის საწოლში გადაყვანას ისევ მოითხოვს ბავშვი. ალბათ ისევ გადაძირბს საბანს და ფეხების ტყაპატყუებით მირბის ახლავარანდულ იატაკზე.

შემდეგ ლოგინში დიდხანს იცინიან და საუბრობენ მამა და შვილი. შვილს უნდა, რომ მისი ნაძვის ხე ყველაზე დიდი იყოს, რომ მრავალი საახალწლო საჩუქარი მოუტანოს მამამ, რომ ყველა მეზობლის ბავშვი მიიწვიოს ნაძვის ხეზე...

შემდეგ ალბათ ძილს მინც თავისი გააქვს...

დაღლილ წამყამებს ჩუმად ეპარება ძილი და ბავშვი სიზმრების ლაყვარდოვან ბილაკებს მისდევს...

ძილი ნებისა, დათო...

მე შენ უსათუოდ გამოგიგზავნი საახალწლო საჩუქარს!..



საკა ჭელიძე

## ფერაიდანში

თავი პირველი

1927 წელს, ჩემს აწ განსვენებულ მეუღლესთან, ამბაკო ჭელიძესთან ერთად, ვიმოგზაურე ირანში და მოვიხანხლე ქართველები, რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ჯამათა ბედუკულმართობის გამო გადასახლებულნი იქნენ საქართველოდან.

ამ მოგზაურობის შესახებ ჩემმა მეუღლემ 1935 წელს გამოსცა წიგნი სათაურით: „ფერეიდანი — ქართველები“, რომელიც განმეორებით იქნა გამოცემული 1951 წელს.

საბჭოთა საქართველოდან მე ვარ პირველი ქართველი ქალი, რომელმაც ფერეიდანი ვნახე. მართალია ჩემს მეუღლეს ვრცლად აქვს აღწერილი ფერეიდნელი ქართველების ყოფა-ცხოვრება, მაგრამ მეც მინდა ამჟამად მკითხველებს გავუზიარო ზოგი რამ იქ ნახული და განცდილი, რაც ხსენებულ წიგნში არ არის. ჩემი მოგონებანი შეეხება 1926-27 წლებში არსებულ მდგომარეობას.

თბილისიდან 1923 წელს გავემგზავრეთ ირანში. განუსაზღვრელი იყო ჩვენი სურვილი — გვენახა ფერეიდანი, მაგრამ ამ სურვილს ჯერჯერობით გულში საიდუმლოდ ვინახავდით.

სხვა მიზეზს გარდა ამ განზრახვის განხორციელებაში ხელს გვიშლიდა ცუდი გზები და ის, რომ ირანში ტრანსპორტის საქმე მეტად ჩამორჩენილი იყო.

პირველ ხანებში ბანკი, სადაც იმჟამად ჩემი მეუღლე მსახურობდა, ორ დღეს არ მუშაობდა კვირაში, კვირასა და პარასკევს უწყობდნენ. ამ დღეებს თანამშრომლები ნებისამებრ იყენებდნენ.

ამბაკო და ალექსანდრე ჭელიძე (ჩემი მეუღლის ბიძაშვილი, ბანკის შოფერი) ხშირად დადიოდნენ სანადიროდ. ზოგჯერ მეც დაგვეყოდა.

მაგონდება ერთი შემთხვევა. კვირა დღე იყო, შესანიშნავი დილა გათენდა, დილა შემოდგომისა. მსუყე სურნელი, შეფერადებული ფოთლების შრიალი ხალისს ჰმატებდა ადამიანს.

ვიცოდი, ამბაკო და ალექსანდრე სანადიროდ გამგზავრებას აპირებდნენ. მშვენიერი დღით გახალისებულმა მეც გადაწყვიტე მათთან ერთად წასვლა.

მოგზაზღადეთ სანოვაგე და გზას გავუღვიეთ.

ქალაქს ორმოცდა ოთხთმეტი კილომეტრით დავმორბით. ავტომანქანა გზაში დაგაყენეთ და მახლობელ ბაღში შევედით. მე იქ დამტოვეს, თვითონ კი გორას შეჰყენენ, სადაც გარეულ ფრინველებზე უნდა ენადირათ. მე ვიდექი და გავცქეროდი მამიავალთ, როცა თვალს მიეფარნენ, მიდამოს თვალღებრა დაგუწყე.

ალტაცებაში მოვედი. ხეხილის მშვენიერმა ბაღმა მომაჯადოვა. აქ შემოდგომის პარაქიანობა იგრძნობოდა. სიმწიფისაგან ბროწეული და მსკდარიყო, ყურძნის მტკვნელები მზის შუქზე მარგალიტის მძივებოვით ელავდა. დიდრონი კომშები მადას ალექებდა. ნაყოფით დახუნძლული ხეები თითქოს შეპატრიკებოდნენ: მოდი, რაღას უყურებო! მეც ნელი დიდინით შევექცეოდი ბროწეულს, ყურძნის და სხვა ხილულს. ვერცკი შევიხსნე, როგორ აღმოვჩნდი ბაღის შუაგულში.

ხეზე დამაზად ასული ვაზი საქანელასაკით ძირს ეშვებოდა. ზედ ჩამოვჯექი, ოდნავ გაგაქანე, თვალები მივლულე და დიდინი განვაგრძე. უცებ ხმაური მომხსნა. თვალი გავახილე და შევკრთი: ჩემს წინ ბრვე ირანელი გაყვაცე აღმართულიყო, რაღაცას მეუბნებოდა, ხან მე მიყურებდა და ხან ჩვენს ავტომანქანას.

ძალიან შევშინდი, მაგრამ არ შევიმჩინე. ავდექი, მშვიდად გავაურე წინ და დავეწყე ძა-



ხილი: „ამბაკო, ალექსანდრე!“ კარგად ვიცოდი, ხმას ვერ მივაწვდენდი, მაგრამ მინდობდა კაცს ცოდნადა, რომ მარტო არ ვიყავი.

უცებ ჩქარი ფეხის ხმა მომესმა, გული სინარულით ამევსო, რადგან ჩვენები მეგონენ. მაგრამ სასტიკად მოგტყუდი, ჩვენების ნაცვლად სამი ირანელი ჯარისკაცი მოიჭრა ჩემთან აქლოშინებული.

შიშმა და გაკვირვებამ კიდევ უფრო შემიბყრო. ჩემმა გაოცებამ იმატა, როცა ერთი მათგანი ალექსანდრე მომვარდა და მომამბა ქართულად:

— ვინა ხარ, საიდან ხარ, საიდან იცი ჩვენებური? (ე. ი. ქართული).

იმედი მომეცა და სხაბასხუბით ვუბასუხე:

— საბჭოთა საქართველოდან ჩამოსული ქართველი ქალი ვარ, ჩემი ქმარი თეირანის ბანკში მსახურობს. ამჟამად იგი აქვეა, ახლავე მოვა.

გაოცებული მიტყუროდნენ, თითქო რაღაც წარმოუდგენელი ამბის მოწმენი გამხდარიყვნენ. მეც გავთამამდი და ვკითხე:

— თქვენ ვინა ხართ?

ჯარისკაცმა მიბასუნა:

— ფერეიდნელი ქართველი ვარ, სოფელ ვაშლოვანიდან, სახელად ალია მქვია.

ეს ჯარისკაცები თურმე მახლობელ სოფელში მიდიოდნენ. ჩემი ძახილი რომ გაუგონიათ, ფერეიდნელი ქართველი ქალი გვგონებოდა; უფიქრიათ: რაღაც უჭირსო, და მოსაშველებლად გამოიქცეულან.

ამ აოულოდნელი შემთხვევით ალტაცებულნი, ლაპარაკით ისე გავერთეთ, რომ ამბაკოს და ალექსანდრეს მოსვლა ვეღარც კი შევინშნეთ.

კაცის ფერი აღარ ჰქონდათ. ღურბინდით თურმე მამაკაცებს შორის დაუნახივართ და შეშინებული ჩემკენ გამოიქცეულან. როცა ჩემი თავგადასავალი გაიგეს, ბუკრი იცინეს. შემდეგ ყველანი მხიარული ბასით მანქანისკენ გავეშურეთ. ჩემს უნებურ მასპინძელსა და ჯარისკაცებს შესანიშნავად გავუმასპინძლით.

პურის ჭამისას სიცილით შევეკითხე ჩემს ირანელ მასპინძელს: ბაღში რა მითხარით-მეთქი. თურმე მეუბნებოდა, ბაღი ჩემიაო.

დიდხანს ვისაუბრეთ, ვიმხიარულეთ. როცა საღამოს გრილმა ნიავმა შეგვაქროლა, ავიშალენით. გულთბილად გამოვიწმევიდობეთ ერთმანეთს და ჩვენ-ჩვენს გზას გავუდევით.

1927 წელს, ბევრი ცდის შემდეგ, მოვახერხეთ ფერეიდანს გამგზავრება.

## თავი მეორე

ავტომანქანამ თითქოს უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, დაიქმინა და ნელ-ნელა შეუდგა აღმართს. ზემო მარტყოფს ვუხლოვდებოდით. ჩვენ წინ აღმართულიყო უზარმაზარი შოა, რომელიც ისე იყო დასერილი მ. ბეველ-მონვეული გზებით, რომ შიშმა აგოჩინა — ჩვენ ხომ ის გზები უნდა გავველო. დალილინი საამურმა ნიავმა გამოგვფიხნა. რაც უფრო წინ მივიწვედი, მით უფრო აჩქარებით გვიცემდა გული. გამოჩნდა აშოლტლი ხეები, რომელთა ქვეშ ბუჩქნარი შეფენილიყო. ალაგ-ალაგ მოშიშველებული პატარა კლდეები, წანწყარა, ვერცხლისფრად მოკამკამე ნაკადულები ანდამატის ძალით გვიზიდავდა. ილიმება ტყე, თითქოს დილის საამო ძილი ჩვენი მანქანის უჩვეულო ხმამ დაუფურთხოო. დილამ გამალა ფრთები, ამომავალმა მზის სხივებმა ზღაპრული სილამაზე შესძინა ჩვენ წინ ვადაშლილ არემატეს. მ:უხედავად ცუდი გზისა და სახიფათო მოგზაურობისა, თვითეულ ჩვენთავანს სურდა დიდხანს დამტკბარიყო აქ ყოფნით.


აი ზემო მარტყოფიც.

დაახ, მეცოდებიან/ჩვენი მოძმენი, მეცოდებიან, რომ ისინი არ არიან ჩვენს მზიურ საქართველოში, საბჭოთა საქართველოში, მაგრამ კიდევ უფრო შემეცოდებოდნენ, რომ ზემო მარტყოფი არ ჰგავდეს ჩვენს საყვარელ სამშობლოს. გადაცხედეთ ფერეიდნის სოფლებს და თვალწინ წარმოგიდგა კარგად შეკრული ლამაზი თავიგული. მთელი მხარე აქოჩრალი ტყეების სამოსში გახვეულიყო...

დღეს უჩვეულო ამბავი იყო აქ. თორმეტი სოფელი მოსულიყო მპარამის დღეების სადღესასწაულოდ. არაჩვეულებრივი ხმაური იყო სოფელში.

დავკვინავეს სეიფულა იოსელიანის სახლში, რომელიც სამი დიდი დარბაზისაგან შედგებოდა. ჩვენმა დანახვამ ხალხში ინტერესი გამოიწვია. განსაკუთრებით ქალები ვერ ფარავდნენ ცნობისმოყვარობას. სახლი აივსო ქალებით, რომელთა რაოდენობამ მოლოდინს გადააჭარბა. მთხვევს გავსულიყავი მინდორში, რათა უკეთ დავეჩანეთ.

მინდორში ვიდექი. ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. ქალებს ყოველ სურვილს ვუსრულებდი. ერთი ახალგაზრდა ქალი მომიახლოვდა, აუწერელი სინაზით შემომხედა, მის ლამაზ თვალებში



სოფელია ზემო მარტყოფი.

ცრემლი აკიაფდა, მერე მობრუნდა და სასოებით თქვა: დიდი საქართველოდან დიდი ქალი გამოგვიგზავნესო (დიდი ტანის ქალი გახლავართ). სიცხელი ვეღარ შევიკავე. ჩემმა სიცილმა ძინი უფრო გაათამამა. მომიხლოდნენ, ხელით მხებოდნენ, მკაცნიდნენ ხელზე, თუმცა მე არ ვანებებდი. შეკითხვებიც დამიწყეს: თუ იციან ჩვენზე დიდ საქართველოშიო? მე ვუბასუხე: ბედნიერ ქართველ ხალხს არასოდეს არ ავიწყდება, რომ მისი მოქმენი აქ, ფერეიდანში ცხოვრობენ-მეთქი. ბევრ მათგანს თვალზე ცრემლი მოაფინდა, სიხარულის შეძახილები გაესმა. შეკითხვოდნენ: რას იტყვი ჩვენზე, როცა დიდ საქართველოში დაბრუნდებით, ან კიდევ: დიდ საქართველოში ისეთი კარგი წყალია, როგორც აქ? თუ გაქვთ მეჩეთი, სკოლაო? ერთი მოხუცი ქალი მომიხლოდა, თვალზე ცრემლი მოიწმინდა, წელზე ხელი მომხვია და მითხრა:

— შეილო, იქ არ ვახსოვართ?

მე აღლევებისაგან სუნთქვა შემეკრა, ცრემლები ვეღარ დავფარე და გულში ჩავეხუტე მოხუც ქალს. მალე თავი შევკავე, გავიციე კიდევ, ცრემლები მოვიწმინდე, მშვიდი იერი მივიღე. მხიარულება განვაგრძეთ, ხუმრობა, სიცილ-კისკისი გაისმოდა.

ჩემი ყურადღება მიიქცია 13 — 14 წლის გოგონამ. გინახავთ ბუდიდან ონეგარი ზივის მიერ ამოყვანილი ლამაზი ბარტყი, რომელიც უთქმელი მწუხარებით შემოგვყურებთ, ან დიდი წვიმის დროს თავშეფარებული ბელურა, ანდა ნუკრი, რომელიც ეს-ეს არის დედას მოაწორებს და ჭიშომი სევდით გასცქერის სივრცეს? ასეთი ფიქრები აღმიძრა ამ გოგონას წყნარმა, მშვენიერმა თვალებმა, მიუახლოვდი, ხელი მოვხვიე, თვალეში ჩავეხდე და რაღაც მინდოდა მეკითხა, მაგრამ ქალემა არ მიატლეს. სხაპასხუბით მითხრეს გონჯია და არ მიეკაროო. მე გაკვირებულმა ვიკითხე: რატომ არის გონჯი-მეთქი. თურმე ამ ობოლ გოგონას სოფელი ზრდიდა, და მას უარი უთქვამს, როცა სოფელს მისი ხნიერ, უხვირო კაცზე ვათხოვება მოუსურვებია. ეს იყო მისი „სიკონჯე“! გული მეტკინა. მივიხდე გოგონასკენ. საბრალო პირქვე დამხოზილიყო, ჩადრი გადახდოდა და მშვენიერი ტანი მოუჩანდა. მივედი მასთან, დავიხარე და წამოვყენე. გულმა ჩაუკარი და გავიფიქრე: „ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი იქნებოდა ის, ბედნიერ საქართველოში რომ დაბადებულიყო“ — გოგონა გაახარა ჩემმა აღერსმა, ღვთაებრივი თვალეი მომაპყრო და ქვითინით მითხრა:

— ოჰ, რა კარგი ხართ! წამიყვანე იქ, დიდ საქართველოში, რომ იმ კაცს ცოლად არ მიმცენ, რომ მეც ვიცოდე წერა-კითხვა...

ამ გოგონას ბედმა დამაფიქრა. ფული ვაჩუქეთ მას... არც წამოსვლის შემდეგ, ისფაპანიდან, ვაკლებდით მზრუნველობას და ხელი შევეწყვეთ, რომ ცოლად ვაპყლოდა იმას, ვინც მოსწონდა.

გოგონები ისე გამითამამდნენ, რომ მხურავდნენ თავიანთ ჩადრებს და მამოწმებდნენ, რომელი ჩადრი მიხდებოდა. ერთმა გოგონამ, როდესაც თავის ჩადრს მახურავდა, უნებურად ხელი



მკრა თვალში; სულ—დაესილო I ჩემი თაოო—ტირლით იხახდა. შემდეგ მომიტანეს შავი აბრეშულის ჩადრი, დამახურეს და სიცილ-კისკისით მთელი სოფელი შემომატარეს.

### თავი მესამე

მე თითქმის სულ ქალბუში ვიყავი. მათთან ერთად ვსირნობდი, მათთან ვსაუბრობდი. ისინი გატაცებით მისმენდნენ, განსაკუთრებით მამინ, როცა „ღიდ საქართველოზე“ ვუამბობდი.

ერთმა მარტყოფელმა ხანში შესულმა ქალმა, რომელი ზებედიდან, ერთხელ ასე მომმართა: — კი ვიცოდით, რომ ის ჩვენი სამშობლო იყო, კი გვინდოდა იქ ცხოვრება, მაგრამ ახლა შენი ლაპარაკის შემდეგ, ყველას უფრო გვინდა იქ წასვლა.

მე ძალიან ამაღლევა ამ სიტყვებმა, თანაგრძნობით გავეღვიძე, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი უცბე მომიბრუნდა, გადააკისკისა და მითხრა:

— წამაგორეთ თქვენი საგორებლით (ე. ი. ატომანქანით) დიდ საქართველოში და რაც იყოს და იყოს, ერთ ზებერ კაცს იქაც ვიშოვი.

ყველას გაგვეცინა, მაგრამ ადვილად მისახვედრი იყო, თუ რა დიდი მწუხარება და ზედის ხამდურავი იმალუბოდა მის სიცილში. ხელი მოვხვიე და მოვეაღერსე, იგი შემინებული შედგა, ვამაჩერა, რაღაც ლოცვა წარმოსთქვა და გადამხევიდა.

მე ამან დამინტერესა და ვკითხე, რატომ ილოცე კონის წინ-მეთქი, ზებედიდან თურმე იმ-ტომ ილოცა, რომ ღმერთს მისთვის ქრისტიანის კოცნა ეპატიებინა...

უძლურია ჩემი კალამი აღწეროს ფერეიდნელი ქალების სიხარული: სანამ იქ ვიყავი, არც თვითონ ისვენებდნენ და არც მე მამლეფდნენ მოსვენებას, ყველას ჩემთან ყოფნა სურდა, ყველა მეხვეოდა.

ახალგაზრდა გოგონებმა მიმიპატიეს თავიანთ ზაღებში, სოფლიდან მოშორებით, მე ცხენით მოვიდოდი იქ წასვლა. ამის შესაფერი ტანისამოსიც ჩავიცკი, ეზოში დამხვდა ორი ერთიანობაზე უკეთესი ცხენი, რომელიც მოეყვანა იადულას, სეიფოლა იოსელიანის მსახურს ანუ ნოქარს, როგორც აქ უწოდებდნენ. იადულამ ერთ ცხენზე მიმითითა და მითხრა: ეს ცხენი ძალიან კარგია, მაგრამ საშიშია, ამაზე მე შეუჯდები. მე სიცილით ჩამოვარდები ეს „სამიში“ ზედაური და მარდად მოვახტი.

შუა აზიში შესანიშნავად გატარებდი ცხენს, მაგრამ ჩორთით მავალ ცხენზე კი არ გეჯდარჯარ. ეს ცხენი ჩორთით მავალი აღმოჩნდა; გული გავიმაკრე და უნაჯირზე ვავსწორდი.

ფერეიდნეში ქალს პირველად ხედავდნენ ცხენზე, ყველა გაკვირებული და ალტაცებული შემოიხტებოდა. ჩემი ცხენისობით განცვიფრებული იადულა ღიმილს ვერ იკავებდა.

დანიშნულ ადგილს მივუახლოვდი. კარგი სანახავი იყო იქაურთა: ლამაზად ტანაყრილი ხეები, პატარა ბუჩქები, მათ ქვეშ ნაირ-ნაირი ყვავილები მორცხვად გამოიყურებოდნენ. მიწვანი მდელის შუაგულში ნაკადული მოწანწვარებდა, ამ ლამაზ ფონზე მხიარულად დახტოდნენ გოგონები, რომელნიც საგანგებოდ გამოწყობილყვენენ სმირნაოქიან წითელ-ყიფით კაბებში. ალტაცებული ყიფინით შემოგვხვდნენ ისინი. იადულას ცხენი დაფრთხა. გაიტაცა მხედარი, ტლინკები აპყარა და მხედარი ძირს გადაშოჯდო. საბედნიეროდ, მიწა ახალი დახნული იყო და იადულა არ დაშავებულა. ქალების წივილ-კივილზე ჩემი ცხენიც ატოვდა, თავი ლამაზად აიქნია და სადავე გასჭიმა. მაგრამ მივასწარი, სადავე მოვსწიე და დაგტუქე. იგი შედგა, მე დრო ვიხელთე და ცხენიდან ვადმოხვტი.

სიცილ-კისკისით შემოეხვიენენ იადულას. იადულა გაბუზული იდგა. ქალებმა საყვედური დაუწყეს: შენი თავის მოვლა არ გკოდნია და სტუმარს როგორ მიხედავდიო. იადულამ შემომხედა, თავზე ხელი შემოირტყა და თქვა:

— ასეთი რამ შენ მოგსვლოდა, ხომ თავს მოგიკლავდი, რას იტყოდნენ იქ, — და გაიხედა შორს... სიერცემი...

წავედი იქ, სადაც ბურ-მარლი იყო გამართული. მშვენიერი, ხეხილით დაჩრდილული ადგილი შერჩათ ქალებს. მზის სხივები ოდნავ აღწევდა. მდელაზე მოწანწვარე ნაკადული აქ ოდნავ ფართოვდებოდა. ვამლილ ხალიჩაზე დაეღაგებინათ ცივი შერბითა<sup>2</sup>, დული<sup>3</sup>, ხორეშტი<sup>4</sup>, ბერიანი<sup>5</sup>, სამხაირი ფლავი, ტბილი ნამცხვარი, სალათა სიქანჯებინით<sup>6</sup> და სხვა. ფერეიდნელ

<sup>1</sup> სიტყვას „დაესილო“ („ზებედური“) ხშირად ხმარობენ ფერეიდნელი ქართველები.

<sup>2</sup> შერბითი — ტბილი სასმელი.

<sup>3</sup> დული — ტბილი ლიმონის წვენი და მაწვნით შეზავებული სასმელი.

<sup>4</sup> ხორეშტი — შემწვარი ცხვრის ხორცი.

<sup>5</sup> ბერიანი — დაკეპილი ცხვრის ხორცისაგან დამზადებული საჭმელი, კატელტის მსგავსია.

<sup>6</sup> სიქანჯებინი — თაფლივით ტბილი, სქელი საწებელი, რომელშიც აწებენ სალათას.

ქართველებსა და ირანელებს შორის კერძის შემზადების მხრივ განსხვავება არაფერია. ქრმისა და ხახვლებიც ირანულია.

ამაირად ნამდვილ მუსულმანურ ყაიდაზე გაგატარეთ დრო. გოგონებმა იმდერეს უსიტყვოდ მუსულმანურ კილოზე, იცეკვეს ისე, როგორც ირანელი ქალები ცეკვავენ — ტანის რხევითა და წეღის აქეთ-იქით გადახრა-გაღმობობით.

შემდეგ მე მოსოვის მეჩვენებინა მათთვის, როგორ ცეკვავენ დიდი საქართველოს ქალები. მე უმუსიკოაა მოვიმიზეზე, მაგრამ არ გამოვიდა და იძულებული გავხდი, მათი სურვილი დამეკმაყოფილებინა. დავუარე დავლური. უნდა გენახათ, რა ალტაცება გამოიწვია ჩემმა ცეკვამ! შოგი მათგანი ფუნდაფუნს დამდედა, ჩემთან ერთად უღლიდა წრეს. ხან მაღლა შეხტებოდნენ, ხელებს ასწევდნენ, თავს ზევით და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ტანს უკრავდნენ. შემომხევეოდნენ და რამდენიმე წამს გამემდებოდნენ, მერე გამეცლებოდნენ და კვლავ მეხევეებოდნენ, განაგრძე ცეკაო.

დაღლილი დავჯექი. თვალებით ძებნა დავუწყე სეიფოლას ქალიშვილს, სულთანას — ეს მხიარული გოგონა ახლა ჩემთან ერთად არ ცეკვავდა. თვალი მოვკარი: იქვე ხის ძირში მიმჯდარიყო. მისი ლამაზი თვალები სევდას დაენისლა. მიოჯახლოვდი და მოწყენილობის მიზეზი ვკითხე. სულთანა ადგილიდან წამოიჭრა, მომხეხია და ხმამაღლა აქეთიხდა. მე სახტად დავრჩი, თავი ავუწყვი. თვალებში ჩაგებდე და ვკითხე: ჩემო კარგო, რატომ სტირი-მეთქი? მან ცრემლიანი თვალები გამისწორა და ასე მითხრა:

— ჩვენო თვალის ჩინო, ჩვენო ყველავე, დღეს ჩვენთან ხარ, ჩვენთან უშუშრობ (ცეკვაე), ირი დღის შემდეგ წახვალ და ვეღარ გნახავთ...

ისე ირტყამდა ლოყებზე ხელს, გეგონებოდათ, საყვარელ ადამიანს გლოვობსო... გოგონებმაც მოიწყინეს. ბევრი ცხარე და უმანკო ცრემლი დაღვარეს. მეც ძლივს შევიკავე ცრემლი და ვუთხარი: — ჩემო კარგებო, დაახ, მე აქ ვერ დავრჩები, მაგრამ იქ თქვენზე ვიფიქრებ, არ დაგვიწყებთ და გინახულებთ კიდევ.

ახლაც არ მაგიწყებდა მათი სახეები, მაგონდება: მე და ჩემი მეუღლე ვუმღეროდით ქართულ სიმღერებს. როცა ჩვენ დავიწყებდით — „ქართველო, ხელი ხმაღს იკარ“, თვალები ანთებოდათ, ტუჩები აუთოთოდებოდათ, ნესტოები დაებერებოდათ და ერთხელ კიდევ გვაგრძნობინებდნენ, რომ ოინი ქართველები არიან, რომ მათ ვერ გასტეხს სულიერად ვერავითარი გაშირვება, როცა ვმღეროდით — „ახ, ნეტავი ჩიტი ვიყო“, ყველანი დიდ სიხარულს გრძნობდნენ, თვალები გაუბრწყინდებოდათ. ჩვენ ვხვდებოდით მათს უსიტყვო ნატვრას: გადატყუელიყვნენ ჩიტად, გაფრენილიყვნენ და ენახათ მშობლიური საქართველო. მებრალეობდნენ, რომ ეს ნატვრა მათთვის მიუწვდომელი იყო. მაკრყოლებდა, როცა გავიფიქრებდი: რა მეშველებოდა, რომ მეც მათი ბედი მიწვევოდა-მეთქი.

დავაწყნარე გოგოები, მოვეალერსე და მოვუწოდე კვლავ მხიარულებისაკენ. ერთი გოგონა, სახელად ფაიდა, მეტად ცოცხალი და საყვარელი ბავშვი, ცდილობდა ჩემს გვერდით დამჯდარიყო პურის ჭამის დროს. ამის ნებას არ აძლევდნენ თურმე. დიდი ცხვირსახოცი ხალიჩაზე დააფინა, აქეთ-იქით მიიხედა და სიცილ-ვედრებით მითხრა: „მე ცხვირსაწური (ცხვირსახოცი) ნამათ (ლამაზად) დავიფინე, დაჯექი!“, თან კაბაზე მებღუჭებოდა. იმ წუთშივე დავეშვი ცხვირსახოცზე. ბავშვურად გულწრფელი იყო მისი სიხარული, როცა მან გვერდით დავჯექი. მაღლობის ნიშნად ლოყა სახეზე მომაყრდნო და ამაყად გადახედა ამხანაგებს. ერთი მისი ტოლი გოგონა თურმე ეჯიბრებოდა ჩემთან დაჯდომასში, გამწარებული მიგარდა ფაიდას და ქაქანით მიაცარა:

— აი, მიწამ თან ჩავიტანა, რაი შენ ნამათ ეგ არ მოგიფიქრავ, შენ გონჯო და ეშმაკო! შემკრთალმა ფაიდამ თვისთვის ჩაილაპარაკა: ვაპ, ჩემო დაესილო თაოო, იადულამ გაიციხა და უთხრა:

— რაისით ხარ დავსილი, რა ნამათ მოგვატყუე და შენი ქენი: შენ, ჩემო დავ, ყორო (გოგო) კი არ ხარ, ეშმაკი ხარ. რავდენი (რამდენი) დაგოლონე (დაგვადონე).

მხიაროდა მათი ჩემდამი სიყვარული, რადგან ამ სიყვარულში გზედავდი მათს უსაზღვრო სიყვარულს მშობლიური საქართველოსადმი.

დღემ შეუმჩნევლად გაიარა, მზე უკანასკნელ სხივებს იკრებდა და ჩასასვლელად ემზადებოდა. სახლებში დასაბრუნებლად მოვემზადეთ. იადულა ისე იყო შემინებული ცხენზე მარცხის გამო, რომ არაფრით არ დამთანხმდა ცხენებით მგზავრობაზე. ყველანი ფეხით გაგულდეთ გზას სოფლისაკენ.

გზაში ორი ცხენოსანი ბახტიარი შემოგვხვდა, მშვენიერი წარმოსადგეი ქაბუკები, თოფ-იარაღში იყვნენ ჩაჩადარნი. ცხენები შეაჩერეს, თვითუღლი ჩვენთაგანი დაკვირვებით შეათვალიერეს, გაიცინეს, რაღაცა თქვეს და გზა განაგრძეს. იადულას გული მოუფიდა და გაბრაზებულად


დაუწყო ლაპარაკი. ბახტიარები შეჩერდნენ, სიცილის მიზეზი აუსხნეს იადულას: ამდენ ქალღმერთი კაცი მიჰყვებიო. ერთმა იმათგანმა ხუმრობით დააყოლა: ერთი, და ისიც არც თუ სასიამოვნო გარეგნობისო. ბახტიარებმა სიცილით განაგრძეს გზა.

იადულა მართლაც არ იყო კარგი გარეგნობისა, მაგრამ მისი მუდამ წრფელი, გულუბრყვილო ღიმილით გაბრწყინებული სახე მნახველზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა.

იადულამ ერთი შემთხვევა გვიამბო: ფერეიდნელ გლეხს გზაში ერთი ბახტიარი შეხვედრია. გლეხი მას ჯერ მოწიწებით მისალმებია, ცოტა რომ დაშორებია, ლანძღვა დაუწყოა. ბახტიარს ეს უცნაური ამბავი არ გამოეპარა თურმე, გააჩერა გლეხი და ჰკითხა: ან ის მოწიწებით სალაშქროს იყო, ან შემდეგ ლანძღვაო? გლეხს მედიდურად უპასუხნია: პირველი იმას ნიშნავს, რომ არ თქვა, ქართველი უზრდელიაო, მეორე კი იმას, რომ შენი არც სიყვარული მაქვს და არც შიშო. იადულამ თან დაიტრახა: თქვენ და, განსაკუთრებით, შენ რომ არ ყოფილიყავი, ორივეს ცხენებიდან ყირამალა გადმოვიტანდი და ვცემდო.

გზაში ხშირად გვევლემოდნენ სხვადასხვა სოფლის ქართველი გლეხები, მოწიწებით სალამს გვაძლევდნენ და გულთბილად მოგვეკითხებოდნენ.

სოფელს რომ მივუახლოვდით, ამბაკო და სეიფოლა ხანი შემოგვეგებნენ გლეხებთან ერთად.



მაჰარაშტის მისტერაები ზეჟო მარტოფში.

მათთვის ამბავი მიეტანათ, თითქოს მე ცხენიდან გადმოვვარდი. შემდეგ ჩემთან მოვიდა ადგილობრივი მთავრობის მიერ ჩვენს მეთვალყურედ მორჩენილი ორი ბახტიარი, რომლებმაც სინანული გამოსთქვეს, რომ ჩემი ცხენოსნობა ვერ ნახეს.

იადულა მათ მწყარალად შეხვდა და ჩაილაპარაკა:

— ძრიალ ნამათ კი უზნობენ ჩონი მეზობელი ბახტიარები ქართველისყე. მათ გეროვაც (კიდევაც) ქუვები უნდა დასცხო კაცმა თავი. რაც ეგენი აქ ყრიან, თოლიჩ ძილი აღარ შეიქნებას ჩემთვის.

სეიფოლა ხანის ეზოში აუცი აიდარა შემოგვეგება. სიცილით მითხრა:

— საარა! აწი ჩემი ცოლებიც ცხენზე შესხდომას მოითხოვენ, არ გამოუთ და ქომოთ (ქვემოთ) მიწისყე ყირამალ წამოვიდენ. მერე მე რაღა გქნა, მესამე ცოლის თხოვნა პირზე აღარ მომივა! — და გულთანად გადაიხარხარა.

შთაბეჭდილებით დაქანცულმა დავიძინე იმ ღამეს...

ფერეიდნემ ქართველები ყოველგვარ გაჭირვებასთან ერთად ცუდი მკურნალობის მსხვერპლიც ხდებოდა.

ერთი ოჯახიდან გამოვდიოდი გოგონებთან ერთად. დერეფანში ასეთ სურათს წაგაწყვიტეს. მან უკვე მანამდე კვიცი ოთხზე ფეხით დაეკიდათ თოკით. კვიცს თვალებში ცრემლები ჩაღვამოდა, ტურები უთრთოდა, ნესტოები ძალზე ებერებოდა და თავს აქეთ-იქით აწყვეტდა. რომ დავინახე, თავზარი დამეტვა. მაშინვე ფრთხილად ჩამოვახსნე და ჩალაზე დავაწვინე. კვიცმა შევებით ამოიხენე, თუმცა ეტყობოდა, რომ საშინელ ტკივილებს გრძნობდა. ცრემლიანი თვალებით შემომხედა, თითქოს მადლობას მიხდიდა. ვერ მოვითმინე, თვალებში ვაკოცე და ვთხოვე ქალებს, რძე მოეტანათ.

ეს სეიფოლა ხანის კვიცი იყო, მეზობელთან გადაემალა, რომ მე არ მენახა და არ შევეწუხებულყავი, მაგრამ შემთხვევით გადავწყარე.

რძე სასწრაფოდ მომიტანეს. კვიცს ძალით ჩავასხი რძე ბირში, შემდეგ კი თვითონ დალია. თურმე საცოდავს ხტომა-ნავარდის დროს ფეხის სახსრებში ძვლები ამოვარდნოდა. მიემართათ სოფლის ექიმბაშისათვის, რომელსაც ასეთი ღონისძიება მიუღია.

მეორე დღეს ვინახულე კვიციც და მისი მკურნალი კაციც. მე მას ვუსაყვედურე, როცა ის ნაწყენი წავიდა, ქალებმა მიამბეს, ის ყველაფერს არჩენს, მოტბილს, ამთელებს, თუ კი ღმერთს სურსო, ე. ი. ატყუებს ხალხს: თუ მორჩება, მისი სახელია, თუ არა და იტყვის, ღმერთს არ სურდაო.

სახლში რომ მივედი, ამბაკოს ვუამბე ყველაფერი. ჩვენს საუბარს ესწრებოდა ქარიშა, სეიფოლა იოსელიანის ნოქარი. მან ამოიხრა. მ: ვუბრუნდი და ვკითხვე:

— ქარიშ, რატომ ხარ დაღონებული, რატომ არაფერს იტყვი?

ის მორჩილად შემომყურებდა. უცებ ვკითხვე:

— რატომ შენ არაფერს ამბობ იმაზე, გინდა თუ არა დიდ საქართველოში წამოსვლა?

ქარიშას თვალები გაუბრწყინდა და უცებ მიასახა:

— მე საქართველოს ნახვა ისე მინდა, როგორც მოწყურებულ კაცს წყალი, მაგრამ ვიცო, რომ ეს ჩემთვის არ იქნება.

ვაჭყაცს თვალები ცრემლებით ავესო.

მეტად ამაყი, ჭკვიანი ვაჭყაცი იყო ქარიშა.

ერთ დღეს ჩემი საცოდავი კვიცის მოვლაში ვიყავი გართული, უცებ სეიფოლას ვაქმა ფათულამ შემოირბინა და ტირილით მითხრა: ჩქარა, ქარიშა კვდებაო. ელვის სისწრაფით წამოვვარდი და სახლისკენ გავიქეცი... შევეარდი იქ, სადაც ქარიშას უამრავი ხალხი ეხვია თავს. საცოდავს შავი სისხლი გადმოსდოდა პირიდან.

მარცხი ასე მომხდარიყო: სეიფოლას ცხენები წაჩხუბებულებყვნენ, სულ წიხლები დაეშინათ ერთმანეთისათვის. ქარიშას გაშველება მოედომებია, მაგრამ ერთ მათგანს წილი მუცელში ჩაერთვა.

ქარიშა ქალებს უწყურებოდა: ნუ სტირითო.

მე რომ დამინახა, თვალები გაუბრწყინდა, ოდნავ წამოიწია, მაგრამ ვერ შესძლო და ისევ დავარდა ლოჯინზე. მივედი, თავთან დავუჯექი და პირიდან წამოსული სისხლი მოვეწმინდე. მან ჯერ დიდხანს უყურა ღია კარს, შემდეგ მე მომხედა, უძლური ღმილი მოსწყდა ტურებზე და მითხრა:

— საარა, ჩემო დავ, ხო გითხარი, საქართველოს ნახვა ჩემთვის არ შეიქნება-თქო, სწორი გარ თუ არა?

ცრემლები ვეღარ შევიკავე, ნუჯეშისთვის ძალა აღარ მეყო. ქალების მოთქმა გულს მიკლავდა. დასტიროდნენ საბრალონი ჯერ კიდევ ცოცხალს:

— შე საწყალო და დავსილო ქარიშა, რაისთი დაუყენე თოლები (თვალები) შენს ბატატა შეილებს. ვილა შეიქნება მათი პატრონი, რაღაი ქნან იმ დავსილებმა. თვითონ შენც ბერი არა ხარ, ოცდაშვიდი წლის ძლივს იქნები. შენც თოლი ამ დუნიაზე გრჩების. ჯერ სიხარული არ გინახავს.

ზოგი მათგანი თავზე მიწას იყრიდა მეტის მწუხარების გამოსახატავად.

მეორე დღეს მე და ჩენმა მეუღლემ ვინახულეთ საწყალი ქარიშა, რომელიც უმკურნალობით კვდებოდა. მას მხოლოდ მლოცველი ქალები დასტრიალებდნენ და რიგ-რიგობით რაღაცებს ბუტბუტებდნენ.

მე და ამბაკო გამოვეშვიდობეთ ქარიშას. მას ძალიან გაეხარდა ჩვენი მისვლა. ჩვენი ხელი დიდხანს ეჭირა ხელში, არაფერს ამბობდა, მხოლოდ სასოებით შემოვკუყურებდა. ლაპარაკის ძალა არ ჰქონდა საცოდავს. ხელები აუკანკალდა, ტურები აუთრთოლდა. ბოლოს ობოლი ცრემლი მოსწყდა მის თვალებს, ღრმა მწუხარების კვალი დასტოვა მის გაცრეცილ დაწვებზე და ბაღოლიც დაეცა. თავი ოდნავ მოაბრუნა ჩვენსკენ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად გვითხრა:

— გმადლობთ, გმადლობთ, რომ ნახეთ საცოდავი თქვენი ძმები და დები, კარგად იყავით.

დიდხანს იცოცხლეთ. დიდ საქართველოში რო ჩახვალთ, საღამი უთხარით ჩვენს დებსა და ძმებს დიდ საქართველოში ნამაზია, აქ კი გონჯი, — და ისე მწარედ ამოიხრა, რომ ის ოხვრა, როგორც ოხვრა მთელი ფერეიდნელი ქართველები, დაღესაც მესმის.

### თავი მეოთხე

ზემო მარტყოფში მცხოვრებ თავადს, მატკული ხანი ონიკაშვილს შეძლებული ოჯახი ჰქონდა. ერთხელ მოვიდა ჩვენთან და გვითხრა:

— თქვენი პატივისცემა მიიღა, მობრძანდით ჩვენთან, ინახულეთ ჩემი ოჯახი. გამახარებთ მე და გაახარებთ ჩემს ოჯახსაც.

მე და ჩემი მეუღლე სიამოვნებით დავთანხმდით.

წავედით. ძვირფასი ხალიჩებით ჰქონდა მოწყობილი ოთახები. სიხარულით შეგვგებდა ყველა. თვით მატკული ხანს უჩვეულოდ უბრწყინავდა თვალები. მაგადასთან მიგვიწვიეს. უხვი სუფრა. მასპინძლის სტუმართმოყვარეობა ხალისს გვმატებდა.

მასსოვს, გვადღეგრძელა მატკული ხანმა:

— ძვირფასო აღამიახებო! სულით და გულით გვინდა პატივი გცეთ, რადგან ასე გვგონია, რომ ამით ცოტათი მაინც ვიკმაყოფილებთ ჩვენს დიდ სიყვარულს, მონატრებას სამშობლო საქართველოსადმი. იცოცხლეთ. გვიმზარელოს დმერთმა თქვენისთანა სტუმრები ჩვენი ძვირფასი საქართველოდან!

წუთით არ გვაშორებდნენ სიყვარულით სავსე თვალებს ჩვენი მოძმე ქართველები. ვგრძნობდით — ეს შედეგი იყო იმ განუზომელი სიყვარულისა, რომელიც მათ აკენიდანვე აჰყვათ, სიყვარული დედისადმი, რომლის მკერდასაც ისინი მოპკლიჯეს!

თავიდანვე შევნიშნე, რომ ქალები, გარდა მსახურებისა, არ ჩანდნენ. ველარ მოვითმინე და მატკული ხანს ვუთხარი:

— თავადო, რაშია საქმე, სად არიან დიასახლისებო?

გაეცინა და მითხრა:

— ასეთია წესი. მათ სტუმარი ვერ ნახავს.

გული მეტკინა, რომ ირანის ცის ქვეშ ცხოვრებამ თავისი გაიტანა და გადაავიწყვა ქართველებს, რომ ქართულ სუფრაზე დიასახლისი სანაკაულია, ურომლისოდ ლაზათი ეკარგება სუფრას. ვთხოვე თავადს ჩემთვის მაინც ეჩვენებინა ქალები, დამთანხმდა.



სურათი გადაღებულია სეფოლია იოსელიანის ეზოში.

დიდ დარბაზში შემიყვანეს. ისიც ძვირფასი ხალიჩებით იყო მორთული. იატაკიც ხალიჩებით მოედინათ. თვით ოთახი თითქმის ცარიელი იყო, მხოლოდ რამდენიმე ბალიში და მსუბუქი ელაგა. დარბაზში დახვდა ხუთი ქალი — ერთი მოხუცი, ოთხი კი ახალგაზრდა. ახალგაზრდა ქალები დანახვა ღიაში, ქართული ქალის მომხიბვლელი ეშხი ჰყვოდან მათში. ერთი წათვანი ბავშვს ძუძუს აწოვებდა; დამინახა თუ არა, ძუძუ ჩადრით დაიფარა.

მასპინძლები ფიზუე წამოდგნენ. უბრაღ თავის დაკვირთ მივესალმეთ ერთმანეთს. ყველა გაჩუმდა, არც მე ამოძლია ხმა. უხერხული სიჩუმე მოხუცმა ქალმა დაარღვია. მან გამაცნო თავისი თავი: იგი მატყულა ხანის მეუღლეა, ხოლო დანარჩენი — მათი მონაგარი. მთხოვა დამეღარიყავი. დაბალ სკამზე მიმითითა. აქაც გამიწყეს სუფრა: ხმელი ხილი, შავი ქლიავი, ჭურჭლი, ლამაზქებზე ტკიპილი ნამცხვარი, ფაფურის ხელაღნი სურებით დუღი და შერბეთი. ყველა დაკვირვებით მათვლიერებდა. მეც ღიმილით შეეჩერებოდი. სიჩუმე კვლავ მოხუცმა ქალმა დაარღვია და მითხრა:

— კარგი ვიქნია, დიდი საქართველოდან მოსულხარ ფერიდნის სანახავად, აქ ძალიან კარგი წყალი გვაქვს, დღეშიაზურ არ მოპოვება ასეთი. — მერე გადახვდა დანარჩენ ქალებს და მითხრა: — კი ვიცი იქ, თქვენს საქართველოშიც, ასეთი კარგი წყალი ყოფილა (სეიფოლა ხანს, რომელიც საქართველოში იყო ნამყოფი. ვამნა მათთვის საქართველოს შესახებ) ვიცი. — განაგრძობდა მოხუცი, — იქ ვამხურია (მეუღლის). იმდენი სწავლული ჰყოლია საქართველოს, რომ იქ ახალგაზრდა არავინ კვდება — ხელები აღმართა ზეგით და სასოებით წარმოთქვა: — დღერთი შეიწეოს საქართველოს — მერე თითქოს საყვედურით დაუმატა: — თუ ასეა, რატომ ადრე არ გაიგე, რომ მათი ნაგლეჯი აქ ვართ და არ მოგვეშველებ?

აცრემლდა მოხუცი მანდილოსანი, მის ნაოქიან ლოყაზე დაგორებულმა ცრემლმა ღრმა მწუხარების კვალი დასტოვა, ცრემლები მოიწმინდა, კვლავ ქალებს გადახვდა და თრთოლვით თქვა:

— ჩემი შაქრულა ინახულეხს დიდ საქართველოს ისე, როგორც სეიფოლა ხანმა ინახულა...

გუსხენდი მას და არაფერს ვამბობდი. მოხუცი ქალი კვლავ განაგრძობდა:

— რატომ ადრე არ მოდი? ნაშინ, როცა შენსავით ახალგაზრდა ვიყავი და თავი მიყვარდა? ესლა მე ბერი ვარ და მალე უნდა მოგვდე.

გამეკვირვა იმ გარემოებამ, რომ ამ საუბრის დროს არც ერთ ახალგაზრდა ქალს ხმა არ ამოუღია. ისინი უხმოდ, ღიმილით გვისმენდნენ. შემდეგ გავიგე, რომ ამით მოხუცისადმი ღრმა პატივისცემას გამოხატავდნენ.

მე და ჩემი მეუღლე ძალიან გამყოფილნი დაებრუნდით თავად ონიკაშვილების ოჯახიდან. იქ ისე წმინდად ლაპარაკობდნენ ქართულს, როგორც საქართველოში, ბევრი ვისაუბრეთ მათზე... ამბაკო დიდხანს იყო ჩაფიქრებული და მერე მითხრა:

— იცი, სარა, ჩვენი საცოდავი მოძებები ძალიან მებრალებიან, გული მტკიავა... ისინი ანაყად აცხადებენ: ქართველები ვართო, და ირანულ წესს კი ემორჩილებიან. ნიჭიერნი არიან. სწავლავანათლება თუ უშველით მათ. სკოლა უნდა გავუხსნათ.

მე ვავიზიარე მისი აზრი და საჩქაროდ შევედევით ზემო მარტყოფში სკოლის გახსნის საქმის მიგვარებას.

ოთხმა ძმამ, თავადებმა ონიკაშვილებმა ფიქცელი უარი განაცხადეს სკოლის გახსნაზე. ისინი ამბობდნენ, სკოლა გარყვნილებას შემოიტანსო, და დაკინებით მოითხოვდნენ, რომ სეიფოლა იოსელიანს და ჩვენ ამ საქმეზე ხელი აგვედო: არც ერთი ქართველი ბავშვი სკოლაში სასწავლად არ იგლისო. ეწყნა სეიფოლა იოსელიანს, გვეწყნა ჩვენც. სეიფოლა იოსელიანმა თავადებს პირში მიახალა: კარგი, ბატონებო, თუ ქართველი ბავშვები არ იგლიან ამ სკოლაში, ნუ იგლიან, ქურთის ბავშვები ისწავლიანო. სკოლის დაარსების შესახებ ლაპარაკს ვაჭარი აჯი აღდარაც დავწყო. რომ მოისმინა სეიფოლა იოსელიანის დაკინებული მოთხოვნა სკოლის დაარსების შესახებ, 12 წლის ფათულა ხანს, სეიფოლა იოსელიანის ვაჟს, უთხრა: ბიჭო, უყურე შენს აღას (მამაშენს), ბევრი ფული ჰქონია, ასეთი რამისათვის თავს იტკივებსო. ფათულას ბავშვური თვალები რისხვით აენთო და მიიახა:

— მამაჩემს ფული სიდან ექნება, ის ხომ ვაჭარი არ არის, რომ შენსავით ყველა დაატყუოს და დააღონოს ცოტა მოიცა, ნახავ რა მოგვით შენ და შენს ფულებს!

ამბაკო აღტაცებაში მოიყვანა ბავშვის განრისხებამ და მისმა სიტყვებმა. ფათულა მხურვალედ გადაჰკონა და გულში ჩაიხატა: ქართველია ჩვენი ბიჭი, ქართველის სისხლი უჩქექსო. ბოლოს ჩვენ ჩვენი გატიანეთ, მაინც არ შევეუბეთ არავითარ სამშრომებს, რომელიც ადგილობრივი ორგანიზაციებიდან იყო მოსალოდნელი და 1927 წელს ზემო მარტყოფში გავხსენით სკოლა.

ბევრი ვეძებთ ქართული ენის მასწავლებელი, მაგრამ ადგილობრივ ვერაფერს აღმოვაჩინეთ. გადავწყვიტეთ სწავლება დროებით ირანულ ენაზე ყოფილყო.

ახლოვდებოდა დრო ჩვენი ზემო მარტყოფიდან გამომგზავრებისა. გული გვიკვებოდა, რომ ვხედავდით, თუ რა იმედი ვიყავით ჩვენი საცოდავი მოძებნისათვის.

გადავწყვიტეთ ბავუვი წამოგვეყვანა იქიდან. იაღულას ოთხი-ხუთი წლის ძმა ჰყავდა, ზედ-მეტ სახელად კინკილას ეძახდნენ. როცა კინკილამ გაიგო, რომ იქიდან ბავუვის წამოყვანა გეინ-დოდა, გვეხვეწებოდა, მე წამიყვანეთო. ახლაც თვალწინ მიდგას მისი მუღამ მომცინარე სახე, შიკინი, ბავუვი გულწრფელობით სავსე თვალები. ერთხელ კაბაში ხელი ჩამავლო, ხუჭუჭა თავი უკან გადახარა, რომ ჩემთვის თვალებში კარგად შემოეხედა და მითხრა:

— წამიყვანე თქვენყვე; წყალს მოგიტან, ცხორს მოგიმწყეს!

ამ სიტყვების მოგონება დღესაც მომქმედებს ჩემზე და ცრემლსა მგერის...

არ დამავიწყდება ქალაქი მაშხუღა თავაზიშვილი. მეტად საყვარელი ადამიანი იყო. მის ოჯახში მოისმენდით წმინდა ქართულ ლაპარაკს. ალტაცება ვეღარ დავფარეთ, როცა მან მთელი ორივე ადგილები «ვეფხისტყაოსნიდან» ზეპირად გვითხრა. მაშხუღამ საღილად მიგვიწვია სიფო-ლა ხანი და ჩვენ. ტკბილად ვისაუბრეთ დილა-დან დაღამებამდე. გვართობდა მისი მშვენიერი სა-მი წლის ბიჭი, რომელიც ჩემს მეუღლეს მუხლებზე დაესვა და საალერსო სიტყვებს ეუბნებოდა. ქალაქი მაშხუღამ, დამტკბარმა მით, რომ მ.ს. შვილს ასე ვეაღერებოდით, გვითხრა:

— ამ ერთი ბიჭის მეტი არა მყავს, სიამოვნებით გაგატანდით, ოღონდ ვიცოდე, რომ ჩემსა-ვით უბედური არ იქნება!

ქალაქი მაშხუღას ოჯახში ამბაკომ ლექსი დაწერა და ნასაღილევს წაგვიყვითხა. ქალაქი მაშხუღას ნელი ქეთიანი აუბოხდა გულიდან, როცა ლექსი მოისმინა. ხოლო სიფოლა ხანმა მცირე დუმილის შემდეგ თვალცრემლიანმა თქვა:

— კაი იქნებოდა ამ ლექსში ასეთი რამაც ჩაგვართო: მოწყურებულს ისე არ უნდა წყლის დაღვევა, როგორც დავსილ ფერეიდელ ქართველებს დიდი საქართველოს ნახვაო.

ამბაკომ უბასუხა, ამ ლექსზე კიდევ ვიმუშაებ და შენს თხოვნას შევასრულებო.

როცა ჩვენი გამომგზავრების დრო მოვიდა, გადავწყვიტეთ ღამით წამოვსულ ყავით. არ და-წავიწყდება ის ღამე: მოკრიალებულ ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ. ნელი სიო ჰქროდა. ნამ-გალა მთვარე თ.თქოს ღიმილით გვაჯილდობდა. ეზო და ქუჩები სავსე იყო ხალხით, ყველას წწუხარება ეტყობოდა, თითქოს თან გვატანდნენ საქართველოში თავიანთ გულებს... განსაკუთრე-ბით ნაღვლობდა იაღულა, რომელმაც დიდხანს გვღია ფეხდაფეხ... დაუვიწყარია მისი უკანას-კნელი სიტყვები:

— ისფაჰანში თუ იქნებოთ, მალ-მალე მოგინახულებთ. როცა დიდ საქართველოში წახვალთ, თუ მე იქ ერთი წლის განმავლობაში თვენს (თქვენს) სანახავად არ მოვედი, თქვით: იაღულა, ის დევილი, ამ დღეინაზე ცოცხალი აღარ არის-თქო...

ცხარე ცრემლებით ვტიროდი მთელი გზა. სულ თვალწინ მედგა მოძმე ქართველების ნაღ-ვლანი, ცრემლით დანამული თვალები. თითქოს ეხლაც მესმის მათი სიტყვები: «გვინდა დიდ საქართველოში!»

ქვემო მარტყოფში იცოდნენ ჩვენი უკან დაბრუნების დღე. ჰასან ხანის კაცები დაგვხვდნენ გზაში. იგი მეორედ გვეპატივებოდა თავის სახლში. უარი ვეღარ ვუთხარით. დიდად ვახარებულნი დაგვხვდა ჰასან ხანი თავისი შვილებით... აქაც კვლავ ისეთივე შეხვედრები და სიხარული იყო, რო-გორც ყველგან, ფერეიდენში.

ქალების ნახვის ნება არ მომცეს, ისე კი ჰასან ხანის ვაჟმა რეზა ყული ხანმა ყველა ქალის სამყოფი ოთახები დამატარა. ქალების ბინა 10 — 12 ოთახისაგან შედგებოდა. მამაკაცების სამ-ყოფი ბინიდან მით განიარჩეოდა, რომ როგორც კარები, ისე ფანჯრები სქელი, თვალგაუვალი ფარლებით იყო დაფარული. საწოლი ოთახების შუაგულში აბრეშუმის ხალიჩებში შეხვეული ლო-გინებით ელაგა. როცა ერთი ოთახიდან მეორეში გავდიოდით, კარებზე დაკიდებული ფარლები შე-ფრხვოდნენ ნელი შრიალით. მოგვესმოდა, როგორ ეფარებოდნენ ქალები ფარებს. ამაზე თვით, რეზა ყული ხანს ეცინებოდა. ვთხოვე, თავისი ცოლი მაინც ეჩვენებინა ჩემთვის. მან თავიანთი უარი მითხრა. როცა კიდევ მომრძანდებით, მაშინ გიჩვენებთო.

ჰასან ხანის მსახურებმა ხონჩები შემოიტანეს. ზედ ოქროთი მოვარაყებული საუცხოო ვერ-ცხლის ტურტული ელაგა, ჩაითა და ტკბილეული სავსე. ასეთი რამ ზემო მარტყოფში არ გვინა-ხავს.

დიდი პატივით გამოგვაცილეს. გამოვიარეთ მშვენიერი ბაღი, რომლის გზამ ქუჩაში გამო-გვიყვანა. მე უნებურად უკან მოვიხედე და დაგინახე: თითქმის ყველა ფანჯრიდან ნახევრად სახიდაბურული ქალები იხედებოდნენ. მე ჰაეროვანი კოცნა გავუგზავნე, მათაც სასაუბოდ ხე-

ლი და მიქნის. თვით პასან ხანმა, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, მანქანამდე მოგვაცილებს იშვიათი პატივისცემა იყო ხანის მხრივ. დამშვიდობებისას პირობა ჩამოგვართვა, რომ მეორე ზაფხულს პირდაპირ მას ვეწვეოდით მთელი ზაფხულით და თან დაუმატა, რომ სეიფოლა ხანთან არ გაგვიშვებდა.

თავი მესამე

ისფაპანში თან ჩამოვიყვანეთ პატარა ბიჭი, რომელიც სოფელ ბოინიდან იყო. სახელად ემირი ერეკა, გვარად პაპიაშვილი. ჩვენ მას დავარქვით ამირანი — ქართველი ქართული სახელით დავამშვენეთ. უდიდესი მშობლიური სითბო ვაგრძნობინეთ პატარას მე და ჩემმა მეუღლემ. იგი მხოლოდმოდო მოულოდა საქართველოს გამოგზავრებას და მოსვენებას არ გვაძლევდა ბავშვური ცნობისმოყვარეობით, უამრავი შეკითხვებით.

ერთ საღამოს სახლის ბანზე ვისხედით. გრილმა ნიავმა ღამის მოახლოება გვამცნო. პატარა სკამზე დამჯდარი ამირანი ჩემს კალთაზე თვლებდა. უცებ დავინახე ჩვენსკენ მომავალი ჯარისკაცები, ამბაკოსაც დავანახე. პირდაპირ ჩვენკენ მოაშურეს, შეჩერდნენ ჩვენს წინ და თავაზიანი ღიმილით დავიწყეს ყურება. ერთი მათგანი გამოიყო სხეებს, უფრო მოგვიახლოვდა და გვითხრა:

— ჩვენ ქართველები ვართ, ფერეიდნელი ქართველები. აქ ჯარში ვართ. თქვენ დიდ საქართველოდან ხართ, ჩვენი სამშობლოდან. გაგვხარდება თქვენთან საუბარი.

მასწინე უზოში ჩამოვიდით და ხელი მხიარულად ჩამოვართვით ერთმანეთს. ამირანიც გამოიხიზლდა. აღარ ეძინებოდა. მისმა ტიტინმა კიდევ უფრო დავგვაახლოვა ჩვენ და ფერეიდნელი ჯარისკაციები.

სახლში მივიპატივეთ, პატივი ვეცით. წასვლისას ჩემმა მეუღლემ უთხრა:

— გამოიარეთ, როცა დრო გექნეთ, ვისაუბროთ ხოლმე. ჩვენც გვასიამოვნებთ და ვეცდებით ასევე გასიამოვნოთ.

კმაყოფილი წავიდნენ.

იმ დღიდან, სამი წლის განმავლობაში, დღე არ გაივლიდა, რომ რომელიმე მათგანს ჩვენთან არ შემოველო თუნდ ერთი წუთით და არ გვეკითხეთ, პარასკეობით კი ყველანი ერთად მოვიდოდნენ დილით და საღამომდე ჩვენთან რჩებოდნენ. ჩვენ ეუმასპინძლდებოდით და ვუყვებოდით საბჭოთა საქართველოს ამბებს, ვეთამაშებოდით ნარდს, ბანქოს, ვასწავლიდით ქართულ წერა-კითხვას და სხვა. ისინი შენატროდნენ ამირანს, რომელიც მალე ნახავდა საქართველოს. ამირანიც ბავშვური, მაგრამ ვერ გაურკვეველი აღტაცებით იღიმებოდა და ამაყად იტყოდა: — მე მივლივარ იქ.

ბანქოს თამაშის დროს ფერეიდნელი ჯარისკაცები ვერ ურიგდებოდნენ გამოთქმას: „შენ მოიგე, მე მოიგე“ და მუდამ ასე გვისწორებდნენ ამ სიტყვას: „შენ არ წაიგია, მე არ წაიგია“, და ღიმილით დაუმატებდნენ: ამ სიტყვას ჩვენ მაშინ ვიტყვით, როცა ძროხა ხზოს მოიგებსო. სიამოვნებას ვერ ფარავდნენ, რომ მათაც შეეძლოთ ზოგი რამის სწავლება ჩვენთვის.

ერთხელ ჩემი მეუღლე და ფერეიდნელი ჯარისკაცები ბანქოს თამაშობდნენ. მე და ამირანი მოშორებით ვიჯექით, ამირანს ვასწავლიდი ქართულ სიმღერას: „ახ, ნეტავი ჩიტე ვიყო“. მისი ბავშვური სიმღერა მახალისებდა. უცებ ამბაკოს ხმა მომესმა:

— სარა, ჩვენს მეგობრებსაც სურთ შეისწავლონ ეგ სიმღერა.

გამეცინა და ვუპასუხე: სიამოვნებით, თუ ვივარგებ მასწავლებლად-მეთქი. ამირანმა ჯერ მე შემომხედა გაკვირვებით, შემდეგ ჯარისკაცებს მიამხა:

— თქვენ რათა, თქვენ ჩემთან ხომ არ მოდიხართ?

ბავშვებს გავუჯვარდი და ამბაკოს გულხარი, დაუწყოთ-მეთქი.

უნდა ვინახათ ჯარისკაცების აღტაცება, ცოტა ხნის შემდეგ ხმაშეწყობილად რომ ვმღეროდი. ტკბილ სიმღერაში თითქოს დავიწყებოდათ, რომ საყვარელ სამშობლოს მოგლეჯილნი იყვენენ, მღეროდნენ ისეთი გატაცებით, გვგონებოდათ, საქართველოს ცის ქვეშ საამურ შრომაში ვართო მღერინო. ასე ვასწავლიდით ქართულ სიმღერებს, ქართულ წერა-კითხვას.

მეტად ამაყი და თავმოყვარე იყვნენ ჩვენი მეგობრები. ერთხელ მივდივართ ისფაპანის მთავარ ქუჩაზე — ლალიზარზე, თან გვახლავს სამი ჯარისკაცი. უცებ შემოგვხედა ორი ირანელი სამხედრო პირი. ერთმა მათგანმა ხელით ანიშნა ჯარისკაცებს, რომ მასთან მისულიყვნენ.

შეგვეშინდა, ჩვენი გულისთვის რაიმე უსიამოვნება არ შეხვდესო. ამიტომ გაფაციცებით ვადევნებდით თვალყურს მათს საუბარს. საუბარი თანდათან მწყვეტ ხასიათს იღებდა. ამბაკომ გადაწყვიტა ჩარეულიყო საუბარში. მეც წაყვევი.

მ.სვლისთანავე ამბაკომ მშვიდად იკითხა, რა მოხდაო. ოფიცერმა მედიდურად უპასუხა: ჩვე-





ნი ჯარისკაცები საშინლად დაისჯებიან მათთვის შეუფერებელი საქციელისათვის. ამბაკოს რა-  
ღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ერთმა ფერეიდნელმა ჯარისკაცმა დაასწრო: იგი ამაყად გასწორდა.

წელში, ოფიცერს ჯიქურ დაუდგა წინ და უთხრა:  
— ჩვენ ქართველები ვართ! ესენიც ქართველები არიან, მშობლიურ ქართულ ენაზე გვესა-  
უბრებიან. მათთან ყოფნა ღუნიას გვირჩევნა.

ოფიცერებმა დაკვირვებით შეგვათვალაირეს. არ ვიცი, ჩვენი პატივისცემისა თუ სხვა მიზეზის  
გამო თავი შეიკავეს, ერთმანეთს რაღაც ჩაულაპარაკეს, ბოლოში მოგვიხადეს და გაგვშორდნენ.  
ჩვენ გზა განვაგრძეთ. ამბაკომ უთხრა მათ: ხომ ხედავთ, თქვენი ჩვენთან სიარული სახეფათოა,  
ამით დისციპლინას არღვევთ, ცოტა რომ მოგვერიდოთ, სკობაიო. ერთმა ჯარისკაცმა, სახელ-  
დობრ, ნოურუხამ ამაზე აღმფრთხილები გვითხრა: რას ამბობთ, თქვენ ჩვენი ნუგეში ხართ — ჩვე-  
ნი საქართველოს ადამიანები. უთქვენობა თქვენი წასვლის შემდეგაც გვეყოფათ...

ამ შემთხვევამ უფრო ნათელი გახადა ჩვენთვის, თუ რა უბედურები იყვნენ ჩვენი მოძმეები  
უცხო ცის ქვეშ.

1926 წელს ქალაქ ისფაჰანში რომ ჩავედით, ფერეიდანში ჩვენი წასვლა უკვე აღარ შეიძლე-  
ბოდა, რადგან მოსალოდნელი იყო თოვლით გზების შეკერა.

სამაგიეროდ თვით სეიფოლა იოსელიანი წამოვიდა იქიდან ჩვენს სანახავად. მას თოვლმა  
მოუსწრო გზაში და ვეღარც ჩვენცენ წამოვიდა და ვეღარც შინ დაბრუნდა.

სეიფოლა ხანს ორი ნოქარი ახლდა თან, ერთ-ერთი ნოქარის პირით შეგვატყობინა თავისი  
ამბავი. ჩვენ თოვლის მკვალაგებმა და ეტლი გაუგზავნეთ. სეიფოლა ხანი ისფაჰანში ჩამოვიყუა-  
ნეთ, მაგრამ გზაში გაცივდა, მთელი ზამთარი ჩვენთან იფადმყოფა. ფეხზე ძლივს დავაყენეთ.

ისფაჰანში ხუთი ახალგაზრდა ბიჭი გვეწვია ფერეიდანიდან, სადღიო გაუწმარტეთ. მეტად მხი-  
არულად ეჩირათ თავი. მხიარულებამ მაშინ უფრო იმბატა, როცა ღვინით საკმაოდ შეზარბოშდნენ.  
ერთ მათგანს, ფარაჯი აღას, გაუტკბა ღვინო და მეორე დღესაც გვეწვია. ამბაკო სიცილით  
შეკითხა: „ღვინოს დაღვე? „აბა, რაის ვიქ. მზის გადახრამდე“ (როცა ყველა სპარსულ  
ლოცულობს). ამბაკომ მისდა განოსაცდელად თქვა: „მზე უკვე ჩადის“, ფარაჯი ალა არც კი და-  
ფიქრებულა, წამოიძახა: „ჩავიდეს, მეტი რა ესაქმების“.

ფერეიდელი ქართველი ახალგაზრდობა რელიგიურ წესებს თითქმის არ ასრულებდა.

### უპანასკნელი თავი

ექვსი წელიწადი გავიდა, რაც საქართველო არ გვენახა. ვისაც არ განუცდია სამშობლოს  
დაშორება, მგონი ის ვერც კი წარმოიდგენს იმ მღელვარებას, რასაც განიცდის ადამიანი სამ-  
შობლოში გამოგზავრების წინ.

განსაკუთრებით ამირანი ამკვლავებდა მალე გამოგზავრების სურვილს. ახლა ის უკვე ქარ-  
თულად წერდა და კითხულობდა. დიდი, ბევრმეური ასოებით გამოჰყავდა: „ამირან პაპიაშვილი,  
ქართველი ბიჭი“. უნდა გენახათ ჩვენი სიხარული, როცა უკვე გადაწყდა ირანიდან ჩვენი გამოგ-  
ზავრება. დღევ დანიშნა. გული უჩვეულოდ გვიცემდა. საქართველო, ახალი საბჭოთა საქართვე-  
ლო! ასე გვეგონა, ათეული წლები გვაშორებდა მათ.

ამირანმა რომ გაიგო, მივეგზავრებითო, მერცხალივით ატეკიკდა, ფატიფუციტ რაღაცას  
ქებნა დაუწყო. ყურადღება მაშინ მივაქციე ბავშვს, როცა ნისი ხმა აღარ მესმოდა. იგი კუთხეში  
მიმჯდარიყო და დიდი ამბით რაღაცას წერდა. შივედი და კვითხე, რასა სწერ-მეთქი. ამირანმა დი-  
დი ადამიანის სერიოზულობით შემომხედა და მითხრა:

— წერილს გწერ ბოინში.

მე გამეცინა. ფურცელი ავიღე და ხმამაღლა წაგიკითხე:

— „მე უკვე მივდივარ საქართველოში, პატარა საქართველოში კი არა, დიდ საქართველოში.  
მერე მოვალ და თქვენ წაგიყვანთ“.

მივეფერე ბავშვს და ვუთხარი:

— ჰო, გენაცავე, დაწერე, დაწერე და გაგავზავნოთ!

მან მადლიერი თვალებით შემომხედა.

ფერეიდნელ ჯარისკაცებს გაეგოთ ჩვენი გამგზავრების ამბავი და გულგახეტობები მო-  
ცვიდნენ.

— მართალია, მართალია, პატრონო? ასე მალე მიდიხართ? მართლა მიდიხართ? — ერთმანეთს  
აღარ აცლიდნენ შეკითხვას.

ამბაკომ დაამწვია ისინი და უთხრა:

— მივდივართ, ჩემო ძმებო, მივდივართ. ჩვენც ცოცხა ვართ, განა არ იცით, რომ სამშო-  
ბლოს მოცილებული ვართ რამდენიმე წელი? წაგალთ და მერე ისევ დაებრუნდებით და გინახუ-  
ლებთ.

მე სუფრას ვაწყობდი, თან ღიმილით ყურს ვუგდებდი მათ ლაპარაკს. როცა ამბავი მოსულიყო, სიტყვები უთხრა, ერთი მათგანი მე მომგარდა და მითხრა:

— მართალს ამბობს ამბავი? მართლა კიდევ მობრუნდებით და გვინახულვით? პასუხის ვაცემს ამირანმა დამასწრო:

— კი, კი გინახულვით, ნამდვილად გინახულვით.

მისმა ბავშვურმა პასუხმა ჯარისკაცებს, რომლებიც ტირილს ძლივს იკავებდნენ, ღიმილი მოჰგვარა.

ამბავი ამირანს თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— ყოჩაღ, ჩემო ბიჭიკო. შენ იქ ისწავლე და კაი ბიჭი გამოხვალ. შემდეგ დაუბრუნდები შენს მოძმეებს და მათაც ასწავლი, ხომ?

ბავშვს თვალები გაუბრწყინდა სიხარულისაგან, ხოლო ჯარისკაცებს ცრემლები წასკდათ. ყველანი სადილზე მივიწვიეთ. ვერ მოვახერხეთ წინანდელი მზიარული საუბრის გამართვა: ჩვენ აღტაცებული ვიყავით სამშობლოში დაბრუნების მოახლოების, ჯარისკაცებში კი ჩვენს გამგზავრება მწუხარებას იწვევდა. ამიტომ საუბარს თავი ვერ მოვაბით. ვფუსფუსობდით, ვეშხადებოდით, წუთები საათებად გვეჩვენებოდა. ფერეიდნელი ჯარისკაცები სამი დღე არ მოგვცილებიან. ამბავი ხუმრობით უთხრა:

— ძმებო, სამსახური არა გაქვთ? რა ამბავია? გაფიცვა ხომ არ გამოაცხადეთ ამ დღეებში? ერთმა მათგანმა, მუსტაფამ, უპასუხა:

— სამსახური სულ იქნების, თქვენ კი არა.

— კაცო, — ხუმრობა განაგრძო ამბავი, — როგორ თუ არ ვიქნებით?

— თქვენ კი იქნებით, მაგრამ ჩვენთვის... ჩვენთვის აღარ იქნებით...

მათმა მწუხარებამ ისეთი მწვევე ხასიათი მიიღო, რომ იძულებული ვახდით გამოვპარვოდით, რადგან მათთვის აუტანელი იქნებოდა ჩვენთან გამოთხოვება.

ეს იყო 1929 წელი, 18 ნოემბერი.

უსტა ჩემი კალამი გადმოგვით სიხარული, აღტაცება, თრთოლევა, მღელვარება, რაც გვიპყრობდა ჩვენ. როდესაც თბილისს ვუახლოვდებოდით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემო მკითხველო, ადვილად მიმიხვდები ამ განცდებს.

ახალი საქართველო, ახალი თბილ-სი! გრანდიოზული გარდატეხა, უდიდესი მშენებლობანი! ყველას ახალი ყველაფერს ვაყვარებდით, აღტაცებული ვიყავით. ადამიანები ამავად დადიოდნენ, დახ, ამავად. რადგან ის-ნი საბჭოთა ადამიანები იყვნენ.

არავის ემჩნეოდა უცმაყოფილება. ახალგაზრდობა, ბედნიერი ახალგაზრდობა სიხარულით და სიცოცხლის წყურვილით გულს ახარებდა.

ყველგან ისმოდა სიმღერები და სოციალისტურ სამშობლოზე!

გამოუთქმელი იყო საბჭოთა საქართველოში ჩამოსული პატარა ამირანის ბედნიერება.

მისთვის ყველაფერი უცხო და ახალი იყო. ვცდილობდით შესჩვიოდა ახალ ცხოვრებას. დაგვყავდა კინო-თეატრებში, სადანაც ყოველთვის აღტაცებული ბრუნდებოდა ხოლმე.

ამირანი ეგ. ნინოშვილის სახელობის სასწავლებელში შევიყვანეთ. ბავშვმა აქაც ნიჭი და უნარი გამოიჩინა. ყოველთვის ვახსენებდით, რომ მან უნდა ისწავლოს ფრიადზე და ფერეიდანს ნასწავლი უნდა დაუბრუნდეს.

ხანდახან სედიანი დიდანს იჯდა ხოლმე, ჩუმად. ჩვენც არაფერს ვეკითხებოდით, ტიცოდით, რომ ფერეიდანზე და თავის მოძმეებზე ფიქრობდა.

ამირანს საქართველოში პირველად თვალში მოხვდა ევროპულ კოსტუმებში გამოწყობილი მამაკაცები და მათთან თავისუფლად მოლაპარაკე უჩადრო ქალები. განსაკუთრებით ქალების მორთულობა აოცებდა და ხშირად ხელითაც ეხებოდა მათს კაბებს.

საახალწლო ნაძვის ხზე წავიყვანე ამირანი. აქ უამრავი ბავშვი, 'სახეგაბრწყინებული და ბედნიერი, გაჩირადლებულ ნაძვის ხეს სიმღერით უვლიდა გარს. ამირანი თითქოს შეშფოთდა ამ სანახაობით. თითქმის ტირილს აპირებდა და მაგრად ჩამჭიდა ხელი. მე გაეაზნევე, მივუღერეს და ვუთხარი, რომ საბჭოთა ქვეყანაში ბავშვები ასე მზიარულად ცხოვრობენ-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვს სახე გაეხსნა და ღიმილი აღებუქდა, ხოლო როცა ჩვენს წინ პატარა ცელქო გოგონა წაიქცა. ამირანი დაიხარა, წამოაყენა გოგონა და მასთან ერთად ბავშვებზე გაერა. ხშირად გადმოხედავდა ბავშვი და დამშვიდებული კვლავ მათთან თამაშს ვანაგრძობდა. როცა ბავშვებს ტყბილულს ურიგებდნენ. ამირანი გაფაცოცებოდა თვალყურს ადევნებდა საჩუქრების დარიგებას, აინტერესებდა მასაც მისცემდნენ თუ არა ამ საახალწლო საჩუქრებს. ხოლო როცა ტყბილული სახე პარკი მანაც მიიღო, მამ წვე ჩემსკენ გამოიქცა გახარებული.

შენ რომ მოვიდით, ჩემს მფულეს უყვებოდა:

— აი, აი რა იყო! იქ, ჩვენში, ასე არ არის! მერე აი, ესენი მოგვცეს! იქ ასე არ არის!!

ხვალ კიდევ წავალთ? — სხაპასხუბით ლაპარაკობდა ამირანი და იმეორებდა: — იქ ასე არ არის. ერთ საღამოს ამირანი უხასიათოდ დაბრუნდა სკოლიდან. როდესაც მიზეზი გკითხეთ, მან უხმოდ ამოიღო ჯიბიდან უღმერთოთა კავშირის წიგნაკი, მაგიდაზე დასდო და შემდეგ თქვა: მე ან წიგნს ჯიბეში აწი აღარ ჩავიდებ, ვინც რა უნდა მიყოს.

ბავშვი დაეაწყინარეთ და საწინააღმდეგო არაფერი ვუთხარით.

გავიდა ამის შემდეგ სულ მცირე დრო და ამირანი დარცხენილი, თვალბდახრილი მოვიდა ჩემთან და მომთხოვა წიგნაკი, რომელიც შემდეგ ჯიბიდან აღარ მოუშორებია. როცა ამ ამბავს მოგაგონებდი, მუდამ შერცხვებოდა.

ზაფხულოზით ამირანს პიონერთა ბანაკებში ვგზავნიდით, საიდანაც უხდებოდა თბილისში ჩამოსვლა დავალებებით. ბავშვი ძალზე ნასიამოვნები იყო ამ საქმიანობით, მისი თვალები სრულ კმაყოფილებას გამოხატავდნენ და სახეგაბრწყინებელი გვიყვებოდა იქ გატარებულ დღეებზე...

ასე გადიოდა დრო, ამირანი უკვე მეექვსე კლასში გადავიდა. ზაფხულის არდადეგებზე მისი ფერეიდანში გამგზავრება გადაეწყვეტით. მას ძალიან გაეხარდა...

მივიღეთ წერილი, სადაც გვწერდა: „საყვარელო ადამიანებო, მე უბედური ვარ, რომ ვეღარ ვალწევ თქვენამდე, რამდენჯერ ვცადე, მაგრამ ბედმა მიმუხთლა“...

... მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მე მაინც თვალწინ მიდგას მოძმე ფერეიდნელების ნაღვლიანი სახეები, მათი ჩამქრალი თვალები, რომლებიც მხოლოდ ერთი ნატვრით აინთუბიან ცეცხლივით: ნეტავი ჩვენც დიდ საქართველოში ვიყოთო.

ვინ იცის, ბევრი მათგანი უკვე ცოცხალი აღარ არის, საქართველოს ნახვის ნატვრა თან ჩაიტანეს საფლავში. მრავლის ნატვრა დარჩა აუსრულებელი.





### სიმონ ყაუხჩიშვილი

## მეზვიდე საუკუნის ნოველისტი იოანე მოსხი

მკითხველმა რომ ამთავითვე იცოდეს საქმის ვითარება, მოკლედ მოვახსენებ შემდეგს:

მეექვსე-მეშვიდე საუკუნეში ბიზანტიაში მოღვაწეობდა როგორც ასკეტი, მოგზაური და ლიტერატორი იოანე მოსხოსი. მის კალამს ეკუთვნის ნოველების კრებული, რომელიც ცნობილია ბერძნული სახელწოდებით ლიმონარი („მდელო“) და ლათინური სახელწოდებით პრაქტუმ სპირიტუალე („სულიერი მდელო“). ნოველების ეს კრებული არსებობს ქართულადც და მას ეწოდება „სამოთხე“.

ქართული კრებული „სამოთხე“ შეიცავს ნოველებს, რიცხვით ასზე მეტს (ბერძნული — ორასზე მეტს), რომლებიც გადმოგვცემენ ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდს, რომლებშიც აღწერილია ყოველდღიური თავგადასავალი, უპირატესად, ბერებისა და მონაზვნებისა. ამ ნოველების მიზანია ადამიანთა ახირებული თავგადასავლის გადმოცემით უჩვენოს გამაჯანსაღებელი გავლენა ქრისტიანული სარწმუნოებისა. ერთი სიტყვით, „სამოთხე“ წარმოადგენს „სულს მარგებელი“ მოთხრობების კრებულს. რომ „სამოთხე“ მართლა ასეთ მოთხრობებს ანუ ნოველებს შეიცავს, ამაში მკითხველი დარწმუნდება ქვემოთ მოყვანილი ნიმუშებიდან.

ეს ენარი ნოველებისა ახალი მოვლენა ბიზანტიურ მწერლობაში, რომელიც მე-4 — 5 საუკუნეებში უაღრესად საღვთისმეტყველო ხასიათისაა როგორც პროზაში, ისე პოეზიაში, და უკიდურესად გაურბის თავის ფურცლებზე ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ასახვას. ეს ახალი ენარი შემოიტანა მწერლობაში „იოანე მოსხოსმა“, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 550 — 634 წლებში.

აი, ეს ნოველები გვინდა დღეს გავაცნოთ ქართველ მკითხველს.

#### 1

მაგრამ რით არის გამოწვეული ჩვენი სპეციალური ინტერესი ამ ნოველებისადმი? გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

1. ამ ნოველების ავტორი („იოანე მოსხოსი“) ატარებს ისეთ სახელს, რომელიც საფუძველს იძლევა ვიქვით, რომ იგი არის იოანე მეხში, ე. ი. თავისი წარმოშობით მეხსი ანუ ქართველი. საიდან ჩანს, რომ იოანე მოსხოსი იყო „მეხში“, ე. ი. ქართველი? მისი სახელი მუდამ იწერება „იოანეს ო მოსხოს“. საკიროა გავიხსენოთ, თუ როგორ გადმოიცემოდა ძველად ადამიანთა სახლები. ცნობილია, რომ ძველად არ არსებობდა ადამიანის სახელწოდების აღნიშვნა სახელისა და გვარის მეშვეობით. გადმოსცემდნენ ადამიანის სახელს ერთი სიტყვით, მაგალითად: სოკრატე, არისტოფანე, პლატონი, არისტოტელე. როდესაც რომელიმე სახელის მატარებელი რამდენიმე პირი იყო, მაშინ ცდილობდნენ ეპითეტის, მეტსახელის მიმატებით განესხვავებინათ ერთი ადამიანი მეორე, ამთხრივე სახელის მატარებელი პირისაგან. ცნობილი იყო, მაგალითად, მეხუთე საუკუნის კომედიოგრაფი არისტოფანე, მაგრამ მესამე საუკუნეში მოღვაწეობდა აგრეთვე სხვა არისტოფანე, სახელგანთქმული ფილოლოგი, საუკეთესო გამოცემეული პომპროსის პოემებისა. კომედიოგრაფ არისტოფანესაგან განსასხვავებლად, ლიტერატურის ისტორიაში ამ მეორე არისტოფანეს ეწოდება: „არისტოფანე ბიზანტიონელი“, რადგან ის წარმოშობით ქალაქ ბიზანტიონიდან იყო.

ასევე იცნობს მწერლობა რამდენსამე „გრიგოლს“, ქართველს, თუ არაქართველს: ერთს ეწოდება „გრიგოლ ნაზიანზელი“ (ქალაქ ნაზიანზიდან იყო წარმოშობით), მეორეს „გრიგოლ განმანათლებელი“ (სომეხთა განმანათლებელი), მესამე „გრიგოლ ხანძთელი“ (რადგან მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია პირველ რიგში ხანძთასთან, სადაც მან მონასტერი და სკოლა დააარსა და რამდენიმე მოწაფე გამოზარდა) და ა. შ. დაეუბრუნდეთ ახლა იოანე მოსხოსს. რატომ უნდა დარწმუნოდა მას, სხვა იოანეებისაგან განსხვავებით, „მოსხოსი“? ბერძნულად Μ ε χ η-ს ორი მნიშვნელობა აქვს: 1) ერთი მნიშვნე-



ლობა „ელორტი“, „ნორჩი შტო“, შემდეგ: „ნორჩი ცხოველი“, „ხბო“; 2) მეორეა მისი ეთნოკური მნიშვნელობა: მე ს ს ი; ასე ეწოდა მესხთა ტომს, მაგ., სტრაბონთან, პლინიუსთან, პლუტარქესთან, პტოლემეს „გეოგრაფიაში“.

უნდა ითქვას აგრეთვე შემდეგვიც: სახელი „მოსხოს“ ჰქვია მთელ რიგ პირებს ძველ საბერძნეთში, მეხუთე საუკუნიდან მოცილებული ბოლო დრომდე. ლექსიკოგრაფები ფიქრობენ, რომ მათი ეს სახელი მომდინარეობს სიტყვიდან „მოსხოს“ — ხბო.

რაც შეეხება ჩვენს იოანეს, მეცხრე საუკუნის ცნობილი მოღვაწე ფილოზოს ფიქრობდა, რომ მისი სახელი იყო არა „იოანეს მოსხოს“, არამედ „იოანეს მოსხეს“, ე. ი. იოანე, შვილი მოსხოსისა. თუ ეს აზრი იქნებოდა მიღებული, მაშინ ისე გამოვიდოდა, რომ იოანეს მამას რქმევია „მოსხოს“ („ხბო“) და, მაშასადამე, იოანეს „მესხობა“ არაფერ შუაშია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში არ გაიზიარეს ფილოზოსის აზრი და იოანე მოსხოსის თხზულებათა გამომცემელნი ამტკიცებდნენ, რომ მას ერქვა „იოანეს ო მოსხოს“ და არა „იოანეს ტუ მოსხუ“. კიდევ მეტიც: ისინი თავიანთ განმარტებებში სწერდნენ — იოანეს ერქვა „მოსხოს“, რადგან იგი წარმოშობით მე ს ხ ი იყო, მაგალითად, იერ. როსვეიდი (1615 წ.) წერს... *Moschum a natione* („ეროვნებით“, „წარმოშობით“), ხოლო მეორე კომენტატორი ალოიზიუს ლიბომაუს ამბობს: *natione fortasse* („შესაძლებელია ეროვნებით“). ეს ცნობები მთაბრუნებენ მისი „პატროლოგის“ 87-ე ტომში.

2. მეორე გარემოება, რამაც გამოიწვია ჩვენი დღევანდელი ინტერესი იოანესადმი, არის შემდეგი. მიუხედავად იმისა, რომ იოანეს „სამოთხე“ სულის მარგბელი ნოველების კრებული ყოფილა, ხოლო ნოველები მწერლობის სრულიად ახალ ეპარს წარმოადგენს, მეცნიერება არ დაინტერესებულა იოანეთი იმ ზომით, როგორც ის იმსახურებს. მასზე სწერენ როგორც ასევე, როგორც მოგზაურზე, როგორც „სამოთხის“ ავტორზე, მაგრამ თუ რა სწერია ამ „სამოთხეში“, ამას არ ვხეიბან. ასე, მაგალითად, აკად. კ. კეკელიძეს შეჰყავს იოანე მოსხოსი ცნობილ ასკეტთა და მისტიკოსთა რიცხვში. ის წერს: „საკმაოდ შენახულა ამ პერიოდიდან (IV — X საუკ.) ცნობილ ასკეტთა და მისტიკოსთა თხზულებანიც, რომელთაგან, ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროების მიხედვით, შეგვძლია დანახელოთ შემდეგი: 1) ანტონი დალა... 6) იოანე მოსხი, რომლის თხზულებას *Λεγισμὸν resp. Παρῆσεις* ქართულად ეწოდება „სამოთხე“ (ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 517 — 518).

თვით კრებულს „სამოთხეს“ და მისი თავსებულ ნოველებს კ. კეკელიძე არც კი ეხება.

მე თვითონ ვარ ავტორი სპეციალური წიგნისა, სადაც განხილული მაქვს „ბიზანტიური პერიოდი ბერძნული ლიტერატურისა“ (თბ., 1949) და იოანე მოსხენებულაც ვარ მკვლევარი.

ცნობილი ბიზანტინისტი კ. კრუმბაჩერი თავის ფუძემდებელ შრომაში „ბიზანტიის ლიტერატურის ისტორია“ ერთ გვერდს უთმობს იოანეს და „სამოთხის“ ნოველებზე მხოლოდ იმას ამბობს, საშუალო საუკუნეებში ძალიან უყვარდათ მისი კითხვაო, თვით ნოველების ანალიზს ერთ სიტყვასაც არ უთმობს.

3. დასასრულ, ჩვენს დღევანდელ ინტერესს იოანე მესხისადმი აძლიერებს ის გარემოება, რომ უკანასკნელ წლებში ქართულ საბჭოთა მეცნიერებაში წამოყენებულ იქნა სრულიად სალი დებულება იოანე მესხზე, როგორც ქართული „ბალავარიანის“ ავტორზე (მ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, გვ. 290 — 312). ყველაზე მეტად ეს უკანასკნელი გარემოება გვაძლავს ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში ვაშლით მუშაობა იოანე მესხის „სამოთხის“ ტექსტის განოსაცემად<sup>1</sup>, მის შესადარებლად ბერძნულ „ლიმონართან“ და ქართული და ბერძნული კრებულების შედარების შედეგად იოანე მესხის ხელიდან გამოსული პირველდენის დასადგენი სამუშაოების ჩასატარებლად.

II

იოანე მესხის „სამოთხე“ მოღწეულია ჩვენამდე როგორც ბერძნულად, ისე ქართულად. ქართული „სამოთხის“ უძველესი ვარიანტი, ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი, მოღწეულია სინას მთის მეთათ საუკუნის ხელნაწერით, სადაც 92 ნოველია. მოღწეულია აგრეთვე რამდენიმე გვიანდელი ხელნაწერიც. ამ ხელნაწერების ერთიმეორესთან შედარება ამჟღავნებს საქმაოდ საგრძნობს განსხვავებას ნოველების ტექსტებში, აგრეთვე ნოველების რაოდენობის მხრივით. ასე, მაგალითად, მე-14 საუკუნის ხელნაწერში დამატებული ოციოდე ნოველია.

უძველესი ბერძნული ხელნაწერიც, ჯერჯერობით ცნობილი, თარიღდება აგრეთვე მეათე საუკუნით (Codex Marcianus class. 2,21) და შეიცავს 165 ნოველს.

შინაარსის მხრით ეს ნოველები ძალიან მოგვაგონებენ ბოკაჩოს ნოველებს. როდესაც ერთიმეორეს ვადარებთ იოანე მესხს და ბოკაჩოს,

<sup>1</sup> ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ იგი გამოსაცემად დამზადებული აქვს პარიზში. ილია აბულაძეს, რომელიც ამ მოკლე ხანში აპირებს მის გამოქვეყნებას.

იონანს „სამოთხეს“ და ბოკაჩოს „დეკამერონს“, უნდა გვახსოვდეს, რომ მათ აშორებს შვიდი საუკუნე. იონან მესხის დროს (550 — 634) ქრისტიანული რელიგიის საფუძვლები ჩამოყალიბებისა და განმტკიცების გზაზე, ბოკაჩოს დროს კი ეს საფუძვლები უკვე შერყეულია; იონანს დროს ქრისტიანობის განმტკიცების მიზნით ქვეყნის მესაქენი და გაბატონებული წრეები ჰქადაგებენ ასეტიზმს და ბრძოლას „სულის ცხონებისათვის“; ბოკაჩოს დროს კი „ღვაწლი სულის ცხონებისათვის“ სასაცილოდ არის აღებული და მზის სინათლეზე გამოტანილი რელიგიის მსახურთა გარყვნილება.

მიუხედავად ამისა, იონანს „სამოთხეს“ და ბოკაჩოს „დეკამერონს“ შორის ბევრი რამ არის საერთო, არსებითად რომ ვილაპარაკოთ, იონანს „სამოთხეში“ მოთავსებული ნოველები და ბოკაჩოს ნოველები საესეებით ერთნაირია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იონანს ნოველებში ბერსონაჟები იწყებენ გატაცებას ამქვეყნიური ცხოვრების სიამოვნებებით და ათავებენ მონანიებითა და სულის ცხონებაზე ზრუნვით; ბოკაჩოს გმირები კი იწყებენ და ათავებენ ამქვეყნიური სიამოვნებებით: მთელი მათი სწრაფვა იქითკენ არის მიმართული, რომ მოაწყონ ამქვეყნიური ცხოვრება თავიანთ სიამოვნოდ და სასიხარულოდ, და აწყობენ კიდეც.

ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია მოკლედ მიმოვიხილოთ იონან მესხის ნოველები.

იონანს ნოველებში მოთხრობილია უპირატესად ბერ-მონაზვნების ყოველდღიური თავგადასავალი. ზოგ ნოველაში გადმოცემულია სიხონ ბერის ზრუნვა მოყვასზე და გაქირებულ ადამიანზე, ბევრს მათგანში ასახულია ბერის შეცდენა „ეშმაკის“ მიერ და ხორციელი სიამოვნებით გატაცება; ხშირად გვხვდება ტიპი მეძავე ქალისა და ბრუში მამაკაცისა. აი, ზოგი ამ ნოველის შინაარსი:

1. იყო ერთი მღვდელი, რომელიც როცა უნდოდა მაშინ სწირავდა, გარკვეული საათი წირვისათვის არ ჰქონდა დანიშნული, თუმცა მთავრობის მიერ წირვის დრო განსაზღვრული იყო. მრევლმა უჩივლა მას ეპისკოპოსთან, რომელმაც დაიბარა ის მღვდელი და მოსთხოვა განმარტება. დახეთ ამ მღვდლის უსირცხვილობას აი, როგორ მკრეხელურად იმართლებს ის თავს: ცისკრის შემდეგ კვირა დღეს დაეჯექი საკურთხველიდან და ველოდი სულიწმიდის მოსვლას, და როდესაც ის მოვა და მოეფინება საკურთხველს, მაშინ ვიწყებ წირვას. ეხლა, როგორც თქვენ მიბრძანებთ, ისე მოვიქცევი: დაველოდო სულიწმიდის მოსვლას თუ არაო? რაღას ეტყოდა ეპისკოპოსი, როდესაც საქმეში სულიწმიდა ყოფილა გარეული!

2. იყო ყაჩაღთა ბრბო, რომელმაც გადაწყვიტა ერთ დედათა მონასტერს დასცემოდა და ვა-

ეძარცვა. ყაჩაღთა მეთაური ბერის ტანსაცმით გამოეწყო (იხილეთ ფარულად შემოიკრა წვივებზე), მიადგა მონასტრის მეკარეს და სთხოვა: მრცხვენია ქალაქში მივადგე რომელიმე ეკლესიას, და შემეშვი ღამე გავათიოთ. მეკარემ მოახსენა მონაზონთა დელოფალს. მონაზვნებმა „ბერი“ დიდის ამბით მიიღეს, თაყვანი სცეს, როგორც წმიდანს, ფეხები დაბანეს... რადგან მათი აზრით, ეს „ბერი“ წმიდანი უნდა ყოფილიყო. მისი ნაბანი წყალი ასხურეს ერთ დასწულეულ მონაზონს, რომელიც იქვე განიკურნა.

[აქ, რასაკვირველია, სასაცილოდ არის აღებული ბერის წმიდანობა: ეს ხომ ყაჩაღი იყო და, მიუხედავად ამისა, მისმა ნაბანმა წყალმა ისევე განკურნა სნეული, როგორც წმიდანის ნაბანი წყალი ჰკურნავდა!].

ყაჩაღთა მეთაური განაცვიფრა იმ სათნოებამ და სასწაულმა, რომელიც მონასტერში სუფევდა, და თვითონაც თავისი ამხანაგებითურთ ბერად აღიკვეცა (იხ. ქვემოთ, ნოველა 1).

3. იყო კონსტანტინეპოლში ახალგაზრდა ცოლქმარი. ქმრის ერთი მეგობარი, ვინმე წარჩინებული, ხშირად დადიოდა მათთან, რჩებოდა სადილად ან ვახშმად. ამ წარჩინებულის ასეთ ხშირ სიარულში იგი შეუყვარდა დიასახლისს და იმდენად მოედო ტრფობის ალი, რომ „დაეცა სნეულად“. ქმარმა მოიყვანა მკურნალები, რომელთაც გასინჯავს ავადმყოფი და დაასკენეს: „არა არს ამას თანა სენი ხორცი, არამედ გონებისა“. ქმარი ჩაიცივდა ცოლს, მითხარი რაშია საქმეო. იმანაც უთხრა: შენ რომ მეგობარი დავიდის, ის შემევიყარდაო. ქმარი წვიდა იმ წარჩინებულ ჰაბუტთან და ყველაფერი უამბო. ჰაბუტმა უბასუბა: ნუ სწუხარ, ღვთის შეწევნით მე გამოვასრულებ საქმესო. წვიდა, თმა მიიპარსა, კირით მოიწვა თმა, წვერ-ულვაში, წამწამები და წარბები. ასე დასახიჩრებული და თავშეხვეული გამოცხადდა თავის მეგობარ ცოლქმართან. როგორც კი დიასახლისმა დაინახა, თუ როგორ დამახინჯებულა ის მშვენიერი ჰაბუტი, მაშინვე „განაგდო ყოველი იგი გულისსიტყვა“, ე. ი. განშორდა ტრფობის გრძნობა, და ამ დღიდან ჰაბუტმა ფეხი ამოიკვეთა ამ ოჯახში (იხ. ქვემოთ, ნოველა 2).

4. სხვა ნოველაში მოთხრობილია, პირიქით, თუ როგორ მოიტყა სიხონ ქალწული, როდესაც იგი შეუყვარდა ვაჟს. ერთ ღამე ქალწულს მოსვენებას არ აძლევდა ვინმე წარჩინებული ვაჟი: იღვა ქალის სახლის წინ და მუდამ ელოდებოდა მის გამოსვლას, ისე იყო „წარტყვენიული ტრფიალებითა მისითა“. ქალი ველარ გამოსულიყო სახლიდან საკვირო საქმეებზე, საყიდლებზე, და გაბზრებულმა მოიხმო ის ვაჟი და ჰკითხა მიზეზი მისი იქ დგომისა. როდ-



საც ჰპატივსაცემად აღუხსნა, „წარტყვევნილი ვარ ფრი-  
ოდ სიყვარულთა შენითაო“, ქალი შეეკითხა:  
რა უფრო მოგწონს ჩემიო. ვაჟმაღ უპასუხა: შენი  
თვალის სილამაზე მატყვევებსო. მაშინ ქალ-  
მა მოიტანა ფხინი („რაჲ ქალის სასწორებელი“),  
ორივე თვალი ამოიხსნა, მიუყარა ჰაბუქს და  
უთხრა: აჰა, გაძენი ამათი სიყვარულითო. ჰა-  
ბუქი შეძრწუნდა, მოინანია თავისი საქციელი  
და ბერად აღიკვეცა (იხ. ქვემოთ, ნოველა 3).

5. ერთ მონასტერში იყო ერთი მეტად მორ-  
წმუნე და სათნო ბერი, „მოღუაწე ცხოვრებასა  
სულისა თვისისასა“. შეუჩნდა მას ეშმაკი, „ეწ-  
ყო მას სული სიძვისა“ და ისე მოაუძღვრა ამ  
ხორციელმა ნდომამ, რომ დაუთმო ეშმაკს და  
„შვიდი იგი სახლსა მეძვისასა“, რათა დაეცხრო  
გოლისთქმა. როგორც კი აისრულა „ნება თვი-  
სა“, მაშინვე შეეყარა კეთრი. და რომ დიანახა,  
თუ რა ვნება მოუტანა ხორციელმა ნდომამ, მა-  
შინვე დაუბრუნდა თავის მონასტერს, ჰმადლობ-  
და ლმერთს, რომ იხსნა ის საუკუნო სატანჯვე-  
ლისგან (იხ. ქვემოთ, ნოველა 5).

6. იყო ერთი გარყვნილი კაცი, სახელად შა-  
ულა (ბაბილა), და „ესხნეს მას ორნი მეძენი:  
ერთსა მას ეწოდა კიმატა და მეორესა ნიკოსა“.  
იი, ამათთან ატარებდა ის მიუღ დღეებს გარ-  
ყვნილ ცხოვრებაში. ერთ დღეს იგი შევიდა ეკ-  
ლესიაში, როდესაც მღვდელი კითხულობდა სა-  
ხარების ასეთ ადგილს: „შეგნიშნე, რამეთუ მუ-  
ახლებულ არს სასუფეველი ცათა“. ამ სიტყვებ-  
მა იმოქმედეს შაულაზე და მან ხელი აიღო გარ-  
ყვნილ ცხოვრებაზე.

III

რამდენადაც ჯერჯერობით გამოცემულიც კი  
არ არის ითანე მესხის ქართული ნოველები  
(ბერძნული გამოცემულია მინის „პატაროლოგი-  
ის“ 87-ე ტომში), ამდენად ჩვენი მსჯელობა  
მათს შესახებ მხოლოდ წინასწარი შეიძლება  
იყოს. და ეს ჩვენი წინასწარი მსჯელობა ითანე  
მესხის ნოველებზე შემდეგია:

1. ნოველების ქართული ენა საკმაოდ ძვე-  
ლი შთაბეჭდილებას სტოვებს. იმის გარდა, რომ  
გვხვდება ძველი ქართულის ისეთი დამახასიათებ-  
ელი ფორმები, როგორც, მაგალითად, „შე-  
ოდესმე-ასმინეს“, „შენ არს ეკლესია“, ლექსიკა-  
ში გვხვდება საკმაო სიძველის მაჩვენებელი  
სიტყვებიც. ასეთად მიგვაჩნია, მაგალითად, „გა-  
ნურქემბიეს“ (განჩემება — „მეკუთვნება“), გან-  
საკუთრებით კი: მწუხარე („ბრბა“, მწუხარი  
იყო თუალითა); აქედან ნაწარმოები ზნა: დაე-  
მწუხარდი („დავბრმავი“), დაჰმწუხარდი („დაბ-  
რმავი“); მიზეზი მწუხარების ჩემისა (ე. ი.  
„დაბრმავებისა“). არ დავგავიწყდეს, რომ თვით  
ხელნაწერი ჩვენ გვაქვს უკვე შეათვალი საუ-  
კუნისა და ნოველები უკვე გამოიცემა, უთუ-  
ოდ აღნიშნული იქნება, რომ ამ ხელნაწერს გა-

მოგოლი აქვს ზოგიერთი ბერტურბატორი და მს-  
შასადაძე, მისი ბირველ-დედანი კარგა ხნით  
აღრეა საძიებელი.

2. ჩვენ საშუალება გვქონდა შეგვედარებინა  
საკმაო რაოდენობა ქართული ნოველებისა შესა-  
ტყვის ბერძნულ ნოველებთან. ჯერ თავისთავა-  
დაც, ქართულ ნოველებს რომ კითხულობ, ისინი  
არ ტოვებენ თარგმანის შთაბეჭდილებას. მაგრამ  
იმის ვასარკვევად, ორიგინალურია თუ ნათარგ-  
მნი ესა თუ ის ნაწარმოები, არ კმარა მარტო  
ზოგადი შთაბეჭდილება (თუმცა ესეც არ არის  
გამოსარიცხი კრიტერიუმთა წყებიდან). საჭიროა  
სხვა საბუთიც. აი, ამ საბუთებს გვაძლევს ჩვენ  
ბერძნული და ქართული ტექსტების შედარება.  
ჯერ საბუთების ერთ წყებაზე, ბერძნული სი-  
ტყების გადმოცემაზე:

ა) ერთ ნოველაში ოთხჯერ გვხვდება სიტყვა  
„დეტალარი“, რომელიც ბერძნულია და აღნიშ-  
ნავს ერთ-ერთ თანამედრობის პირს. ბერძნულ  
ნოველაში მას უღრის „სტავროფილას“ (და  
არა „დეტერარის“).

ბ) ვითარმედ აღსრულა ერთი ძმათაგანი  
ჯერაკიუმელთაჲ (ე. ი. ერთი ბერი მო-  
ხუცთა თავშესაფარში გარდაიცვალა). შესატყვის  
ბერძნულ ნოველაში წერია, რომ იგი გარდაიცვა-  
ლა „ნოსოკომიონში“ („სადავდმყოფოში“). რო-  
გორც ჩანს, ამ დროისათვის (VI—VII საუკ.)  
ეს ორი ბერძნული სიტყვა სინონიმები იყო,  
უღრინდა იმას, რასაც შემდეგ უფრო ხშირად  
„ქსენონი“ ეწოდება.

გ) ერთ ნოველაში ნახმარი „ცანდალი“ (ბერძ-  
ნული *σανδαλον* — „სანდალი“), ხოლო ბერძ-  
ნულ ნოველაში ამ ადგილას წერია სხვა ბერძ-  
ნული სიტყვა „იპოლიმატა“ („ფეხსაცმელები“).

განივილით ეს სამი შემთხვევა: რას უნდა  
მოსწავებდეს ის, რომ საშსავე შემთხვევაში  
ქართულ ნოველებში გვხვდება ბერძნული სი-  
ტყები, ხოლო მათ შესატყვის ბერძნულ ნოვე-  
ლებში ეს ბერძნული სიტყვები კი არ არის.  
არამედ სულ სხვა?

ეს შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ შემდეგს:  
ქართულ ნოველებში ნახმარი ბერძნული სიტყვებ-  
ი ქართულ ენაში ხმარებული, უკვე მოქალაქეობა  
მომოგებული სიტყვები იყო. ქართული ნოველე-  
ბის დამწერს რომ ხელთ ჰქონოდა ბერძნული ნო-  
ველები და ისინი ეთარგმნა, უფრო მოსალოდნე-  
ლი იყო, რომ იგი იმ ბერძნულ სიტყვებს კი არ  
იხმარდა, რომლებიც ქართულ ნოველებშია, არა-  
მედ იმათ, რომლებიც ბერძნულ ნოველებშია,  
ე. ი. იხმარდა სიტყვებს „სტავროფილას“, „ნო-  
სოკომელი“, „იპოლიმატა“ (და არა: დეტალარი,  
ჯერაკომელი, ცანდალი). მაშასადამე, უნდა ვი-  
ფიქროთ, რომ ქართული ნოველები და ბერ-  
ძნული ნოველები ერთიმეორისაგან დამოუკი-  
დებლად არის დაწერილი. რასაკვირველია, ეს  
დებულება მიპოთეტურია, მაგრამ მაინც საყ-  
ვირველია, თუ ქართველი ნოველის ავტორი

ბერძნულიდან თარგმნის და წინ უდევს „ნოსოკომიო“, რატომ უნდა გამოიყენოს მან „ჯეროკომიო“, თუნდაც ეს უკვე მისი მშობლიური სიტყვა გამხდარიყოს: „ჯეროკომიონთან“ არ შეიძლება მას არ მოგონებოდა „ნოსოკომიო“, რომელიც იქვე ეწერა ბერძნულ ტექსტში!

ამ შემთხვევებზე კიდევ უფრო მეტის მტკიცე-ლია შემდეგი შემთხვევა. ერთ ბერძნულ ნოველაში მოხსენებულია ქალაქი „სკითოპოლისი“. ბერძნულ ნოველაში წერია: „სკითოპოლისი იყო პალესტინის მეორე მეტროპოლი“. მის შესატყვისს ქართულ ნოველაში კი წერია: „ბესას შინა ქალაქსა საკათალიკოსოსა“. ქართველი ნოველისტი რომ ამას წერდეს ბერძნული ნოველის მიხედვით, რატომ უნდა უწოდოს მან ამ ქალაქს „ბესა“ და არა „სკითოპოლისი“. საქმე ის არის, რომ ამ ქალაქის ადგილობრივი ებრაული სახელი იყოს *Beṣa*, ხოლო ბერძნული მას ემახდენს „სკითოპოლისი“. მაშასადამე, ქართული ნოველა რომ ბერძნულიდან იყოს ნათარგმნი, მთარგმნელი უფრო „სკითოპოლისს“ დაწერდა. მაგრამ ქართულ ნოველას წერს ქართველი (იოანე მესხი), რომელიც ადგილობრივი მცხოვრებია და იცის, რომ მას ეწოდება „ბესა“, ხოლო იგივე ავტორი ბერძნულად რომ წერს, ამ ქალაქს უწოდებს იმ სახელს, რომელსაც ბერძნები ეძახიან („სკითოპოლისს“).

ამგვარად, ეს განილული შემთხვევები (და ასეთი შემთხვევა მრავალია) გვაძლავს წამოვაყენოთ დებულება, რომ ეს ქართული ნოველები ორიგინალურია და არა ნათარგმნი.

მაგრამ მეორე მხრით ჩვენ გვაქვს აგრეთვე ისეთი ნოველები, რომლებიც ამეღავენგენ ბერძნული ტექსტის ვაგლენას.

ა) „ქუაბსა შინა სპილონისასა“ (ბერძნულად „სპილონ“ ნიშნავს „ქუაბს“).

ბ) „მახლობელად ელონ ქალაქსა, რომელსა ეწოდა ტონქიბა“ (ბერძნული „ტუ ნაიბა“ — ე. ი. მახლობლად ნაქიბისა).

გ) „მამასახლისსა წმიდისა ნიამასასა“ („ნეან“ — ახლისა).

ასეთი შემთხვევები, რასაკვირველია, გვაიძულებენ ვთქვათ, რომ ის ნოველები, რომლებშიც ეს ბერძნულში გვხვდება, ბერძნულიდან არის ნათარგმნი, ან ბერძნულის მიხედვით რევიზი-ქმნილი.

ჩვენი დასკვნა ამ საკითხში ასეთია:

ა) ქართული ნოველების ერთი ძირითადი წყე-ბა ორიგინალური ქართულია;

ბ) დროდადრო ბერძნული ნოველების კრე-ბული („ლიმონარი“) ივსებოდა და ქართული ნოველების კრებულს ან ემატებოდა ახალი ნო-ველები, ბერძნული შევსებული კრებულიდან ნა-თარგმნი, ან ძველი ქართული ნოველების რე-ვიზია ხდებოდა ახალი ბერძნული კრებულის მიხედვით, როგორც მაგალითად, მე-11 საუკუ-ნეში ოთხთავი „ხელახლა შეაჯერეს ბერძნულ ტექსტთან და მის მიხედვით გაამართეს.

გ) იოანეს ნოველებში ხშირად იხსენიება სოფრობი, იოანეს მოწაფე, მისი თანამგზავრი მოგზაურობათა დროს, შემდეგში — პალესტინის პატრიარქი. იოანე მესხი და სოფრომ პალესტი-ნელი ისე შეიღვრონ არიან დაკავშირებული ერთ-მანეთთან, რომ ერთ დროს „სამოთხეს“ სოფ-რომს მიაწერდნენ. ბუნებრივია, რომ ჩვენ ყუ-რადღებას ვაქცევთ იმ ზედწერილს, რომელიც აქვს ქართულ „ბალავარიანს“: გვითხრობდა ჩვენ ისაქ, ძე სოფრომ პალესტინელისაო. რამ-დენადაც „ბალავარიანის“ ბერძნულ პოემაში წერია, რომ „სულის მარგებელი“ მოთხრობა ბალავარზე და იოდასაღზე საბაწმინდის მო-ნასტრის ბერმა იოანემ მოიტანა ეთიოპელთა ქვეყნიდან (და იოანე მესხი საბაწმინდელი ბე-რი იყო) და რამდენადაც „ბალავარიანში“ არ-სებული მოთხრობები თავისი სტილითა და ეპიკით ენათესავება „სამოთხის“ ნოველებს, ამ-დენად ყურადსაღებია ის დებულება, რომ „ბა-ლავარიანისა“ და „სამოთხის“ ავტორი არის ერთი და იგივე პირი — იოანე მესხი, რომელიც წერს ერთსა და იმავე დროს ქართულადაც და ბერძნულადაც!

აქ არ შეიძლება არ მოვიგონოთ, თუ რას ამბობდა ე. კრუმბაჩერი „ბალავარიანის“ შესა-ხებ. მისი აზრით: 1) ბერძნული „ბალავარიანი“ (მისი პირვანდელი ბირთვი) შეთხზულია საბა-წმინდის უძველეს მონასტერში იოანე ბერის მიერ, VII საუკუნის პირველ ნახევარში; 2) „ბა-ლავარიანი“ დაწერილია იმ დროს, რადესაც წინ წამოიწია პოპულარულმა ქრისტიანულმა ლეტერატურამ. მაშინ კითხულობდნენ კირილე სკითოპოლელის ხალხურ ლეგენდებს და იოანე მოსხოსის პოპულარულ ასეტიკურ ნაწარმოე-ბებს, „სამოთხის“ კრებულს რომ შეადგენენ (ე. კ რ უ მ ბ ა ხ ე რ ი, ბიზანტიის ლტ. ისტო-რია, გვ. 887 — 888).

1 დაწვრილებით იხ. III. Нуцубидзе, К происхождению греческого романа „Варлаам и Иоасаф“. თბ., 1956, გვ. 94 — 142.




ნახატები ლადო გუდიაშვილისა

## 1. ყაჩალთა ბრბო

გვითხრობდა ჩუენ მამათაგანი ვინმე ესევეთარსა საკვირველსა:

იყო მახლობელად ანტიოქია ქალაქსა მონასტერი დედათა, რომელსა შინა იყოფებოდა ას-სამოცი ქალწული. და იყო მონასტერი იგი მოზღუდვილი და შეკრძალულ და იყვნენ მას ქუეყა-ნასა ათორმეტნი ავაზაკნი ბოროტნი და განთქმულნი.



და დღესა ერთსა განიზრახეს ღურთერისა, რაითამცა მონასტერი იგი გამოტყვევნეს. მოუწოდა მთავარმან ავაზაკთამან მოყუსთა თვისთა და პრქუა მათ:

— განიზრახეთ, რომლითა ღონითა შევიდეთ მონასტერსა მას.

და თქუა ერთმან მათგანმან: — გარე შემოვლო მე და უკუეთუ ვბოო ნაპარაღი, შევიდე მუნით, ანუ სარკუმლით.

და პრქუა: — არა რა იცი და ვერცა ამით ღონითა შეხვიდე მონასტერად.

და თითოეულმან მათგანმან წარმოთქუა ღონე თვისი.

პრქუა მათ ყოველთა: — არა იცით და ვერცა შეხვალთ მით ღონითა.

მაშინ პრქუეს ავაზაკთა მთავარსა მას:

— შენ ვითარ გნებავს ვითარ შევიდეთ.

ხოლო მან პრქუა:

— შევიმოსო მე სამოსელი მონაზონთა და დავიდგა ჩაფხუტი თავსა ჩემსა, კუნკული, და დავფენ თმანი ჩემნი მას შინა, და შევისხნე მე სამხარნი საფარველად ჩემდა, ხოლო ხრმალი დავიკრა

ბარკალსა ჩემსა და მივიდე მათსა მწუხრი, ვითარცა მონაზონი უცხო, და ვარქუა მეკერესა: უცხოებისა ჩემისათვის მრცხუენი შემოსლვად ქალაქად ეკლესიად, არა მნებავს შემოსლვა დედათა შემთხუენისათვის, არამედ ყუე სიყვარული ღმრთისათვის და მაცადე მე, რაითა დავადგრე ღამესა ამაჲ შინაგან ბჳეთა მათ მონასტრისათა, და განითად წარვიდე გზასა თვისსა.

ესე ზრახვა ბოროტი თქუა მოყუსთა თვისთა და მათ სთნდა და პრქუეს:

— კეთილდა განგიზრახავს, ყუე ეგრე.

ხოლო იგი მივიდა და პრკეა კარსა, ვითარცა არს ჩუეულემა მონაზონთა. და პრქუა მას ყოველი იგი სიტყუა, რომელი მოუწნადა.

ხოლო მეკრემან, რა ესმნეს სიტყუანი ესე, შეიწყნარა, ვითარცა მონაზონი ღირსი და შემკული ყოვლითა სათნოებითა, წარედა და აუწყა დედოფალსა. ხოლო მან ბრძანა შემოყვანება მისი შინა და მოუწოდა ყოველთა დათა, იკურთხნენ მისგან, და ბრძანა მოღება წყალისა, და დაპბანნეს ფერხნი მისნი ყოველთა დათა და წარიღეს ნაბანები იგი, ვითარცა ევლოგია და ვითარცა საკურნებელი სენთა.

იყო მონასტერისა მას შინა და ერთი ქუმდებარე მრავლით ჟამითგან. ხოლო დამან მან, რომელი ჰმასახურებდა მას, წარიღო ნაბანისა მისგანი და ასხურა მას სარწმუნოებით, და მუნთქუესვე, ვითარ იგი სათნო უჩნდალა, განიკურნა უძლეური იგი, აღღვა ფერხთა თვისთა ზედა და მივიდა ავაზაკისა მის, ხოლო დათა მათ, ვითარცა იხილეს იგი და ცნეს მიზეზი განკურნებისა მისისა, ერთობით ვითარცა ერთითა პირითა აღიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს:

— კურთხეულ არს უფალი, რომელმან ყვის სასწაული კურნებათა წმიდათა მისთა მიერ.

ხოლო ავაზაკმან მან ვითარ იხილა საქმე იგი და ესმა დედათა მათ დიდებისა მიცემა, დაეცა მას შოში და ძრწოლა და შეძრწუნდა სული მისი და დავარდა იგი პირსა ზედა თვისსა წინაშე მათ დათასა და იწყო აღსარებდა, ვითარმედ:

— უწყის მხოლომან ღმერთმან, რამეთუ მე კაცი ვარ ცოდვილი და მთავარი ავაზაკთა, რომელნი აწ მყირდლა ხილვად არიან, რამეთუ მოვლენ იგინი ამას ღამესა, რათამცა გამოტყუნეს მონასტერი ესე თქუენი. არამედ ნუ გეშინი. რამეთუ არა უტეო მათ ბოროტისა ყოვად თქუენდა. რამეთუ ამისთვის ქმნა ღმერთმან სასწაული ესე ჩემ მიერ, რათა იხსნეს სული ჩემი წარწყმედისაგან.

და ვითარცა თქუა ესე, გამოიღო მახვილი თვისი და დაავდო იგი წინაშე მათსა.

ხოლო ქალწულთა მათ ვითარცა ესმა სიტყუანი ესე და იხილეს მახვილი იგი, შეიპყრნა შიშმან. და დაადგრეს ღამე ყოველ ფსალმუნებასა შეძრწუნებულნი დიდად. და ვითარ იყვნეს იგინი ლოცვასა მას, ამა ესერა მოიწია კრებული იგი ავაზაკთა და დადგეს ბჭეთა ზედა მონასტრისათა. ხოლო მთავარი იგი მათი განვიდა და უთხრა მათ ყოველივე, რა იგი იქმნა მის მიერ და რა იგი ყვეს ქალწულთა მათ. და მერმე პრქუა მათ:

— ამიერიტგან არღარა ვიყო მე ავაზაკ და არცაღა ვმსახურო მე ეშმაკსა, არამედ შეუდგე მე ქრისტესა და ვიქმნე მონაზონ. და ამა ესერა მიმიცემეს თქუენდა ყოველი მონაგები ჩემი, წარაგეთ იგი ვითარცა გნებავს და წარუედიტ მშვიდობით.

მაშინ ყოველთა მწუგეს და პრქუეს მას:

— უკუეთუ ბოროტსა და მას ცხოვრებასა გეზიარენით და წინამძღურობა შენი სათნო იყო ჩუენდა, ამა ესერა ამიერიტგან ჩუენცა დაუტეოთ ავაზაკობა, და არა განგეშორნეთ და დაავდგრეთ შენთანა. და ვითარ იგი მაშინ ავაზაკობასა შინა ერთად ვცხოვნდებოდეთ, ეგრეთვე აწ აღვილოთ უღელი მონაზონებისა ერთობით შენ თანა.

მაშინ ყოველთა ერთბამად დასთხოვნეს მახვილნი მათნი და დაუტევეს ავაზაკობა, და იქმნეს მონაზონ და კეთილად აღასრულეს ცხოვრება მათი.

## 2. ქალის დასნეულება ტრფოვის ბაგო

გვითხრობდა ვინმე, ვითარმედ ჭაბუკი ვინმე იყო დისპანთა ზედა მეფისათა და იყო იგი ქმნულ-კეთილ ფრიად. და ესუა მას მეგობარი კაცი შერაცხილთაგანი კონსტანტინეოლის და ესუა მას ცოლი ჭაბუკი. და ვითარცა მოვიდის ჭაბუკი იგი, შეიწყნარის მეგობარმან მისმან სიყვარულით და მოწოდებდეს ისტუმრის. რამეთუ ერთობით ჭამედ ცოლითურთ მას კაცისათ სიყვარულითა უბიწოდ.

და დაყოვნებასა მას მისსა მათ თანა შეუჯდა დედაკაცსა მას გულის-სიტყუა ჭაბუკისა მისთვის, და ვერ ცნა. და იცვიდა თავსა თვისსა და არა რა პრქუა მას, არამედ ითმენდა იგი შრომით. და ვითარცა წარვიდა ჭაბუკი იგი ჩვეულებისაებრ თვისისა, ხოლო დედაკაცი იგი გულის-სიტყუათაგან დაეცა სნეულად, და ქმარმან მისმან მოიყვანა მკურნალნი. და ვითარცა განიხილეს იგი, პრქუეს ქმარსა მისსა:

— არა არს ამას თანა სენი ხორცთა, არამედ გონებისა.

ხოლო ქმარი მისი დაუჯდა მის თანა, ევეღრა ფრიად და პრქუა:



— მითხარ მე, რა არს საქმე შენი.

ხოლო იგი შეძრწუნდა და პრცხუენა პირველად და არა აღიარა. ხოლო უკანასკნელ აღიარა და თქუა:

— შენ იცი უფალო ჩემო, გინა თუ სიყვარულითა, გინა თუ მარტივობითა მოიყვანნი აქა პირნი ჭაბუკთანი და მე, ვითარცა დედაკაცსა, შემემთხვა გულის-თქუმა ჭაბუკისა მისთვის, რომელი არს დიასპანთა ზედა.

და წარვიდა ქმარი მისი ჭაბუკისა მის და პრქუა მას:

— შენ უწყი, ვითარ შევიყუარე და შენისა სიყვარულისათვის შევიყვანი სახიდ ჩემდა და ცოლისა ჩემისა თანა სჰამიდა.

ხოლო მან პრქუა:

— ეგრეთ არს, უფალო ჩემო, ვითარცა პბრძანე.

ხოლო მან პრქუა:

— აჰა ესერა გულის-თქუმასა შეუპყრის იგი.

ხოლო მას ვითარცა ესმა ესე, შეწუნა ფრიად, რამეთუ შევრულ ფყო იგი სიყვარულითა მი-  
სითა, და პრქუა მას:

— ნუ იურვი, რამეთუ ძალ-უც ღმერთსა შეწუნა შენი.

ხოლო წარვიდა ჭაბუკი იგი და დაიყვინა თმა მისი და მოიღო კირი და იცხო თავსა და პირსა მისსა, ვიდრემდის მოსწუნა წარბნი მისნი და წამწამნი; და წარვიდა მისგან ყოველი შუენიერება პირისა მისისა, და იქმნა იგი ვითარცა გონჯი მრავალგამისა, და შეიხვია თავის-სახუ-  
ეველი და შვივიდა სახიდ მის კაცისა, და პოეა დედაკაცი იგი მდებარე და ქმარი მისი მჯდომარე მის თანა. და მოიხადა თავის-სახუეველი იგი მისგან და უჩვენა მათ პირი თვისი და თავი და თქუა:

— გან-რა-გეშორე თქუნგან, ესრეთ შემქმნა მე ღმერთმან.

ხოლო დედაკაცმან მან ვითარცა იხილა შუენიერებისა მისგან ვითარსა უშუერებასა მიწე-  
ნულ იყო, დაუკვირდა მას ფრიად. და იხილა ღმერთმან საქმე მისი და განაშორა დედაკაცსა მას ბრძოლა იგი და მუნთქუესვე აღდგა და განაგდო ყოველი იგი გულის-სიტყუა.

მაშინ ჭაბუკმან მან მიიყვანა ქმარი მისი თვისაგან და პრქუა მას:

— აჰა ესერა, ცოლსა შენსა თანა არა რა არს ენება მადლითა ღმრთისათა. ხოლო ამიერი-  
გან არღარა ჩხილოთ პირი ჩემი.

ესე არს ნიჭი სიწმიდისა და დადება თავისა სიყვარულისათვის და მიგება კეთილის წილ-  
კეთილი.

### 3. ერთი ქალწული და მისი მოტრფიალე ჭაბუკი

იყო ვინმე ქალწული კმნულ-კეთილი, დაყუდებულ იყო სახლსა შინა თვისსა. და იყო იგი ფრიად მოსწრაფე სულისა თვისისა ცხორებად მარხვითა და მღვიძარებითა, და გლახაკთა მოწყალებითა. ხოლო ეშმაკი, რომელი მარადის ეშურებინ ცხორებასა კაცთასა და განჰმზადებს საფრხესა, უნდა მონადირება ნეტარისა, მისცა და შთაუგდო ჭაბუკსა ვისმე შერაცხილთაგანსა სული მისი. და წარტყვენულ იქმნა ტრფიალებითა მისითა, და მოვიდეს იგი ყოველთა დღეთა და დაჯდის კართა ზედა მის ქალწულისათა. და აწუხებენ მას მრავლითა სიტყვითა ლიქნისათა. უკუეთუ გაჰოვიდის მსახური მისი რომლისამე სახმრისათვის, სტანჯავნ და გუემნ მას ვინებითა და რისხვითა და მრავალფერითა ყუედრებითა. და ოდესმე არა განტუტევის იგი გამოსლვად გარე, და არცა ქალწული იგი. და ვითარ იხილა ქალწულმან მან აღძრვა იგი და იღზრზინება ჭაბუკისა მის, მიავლინა და მოუწოდა, ხოლო იგი აღდგა მსწრაფლ და წარვიდა სიხარულით. ჰგონებდა, ვითარმედ ნება მისი აღასრულოს.

და ვითარ შევიდა სახედ მისა, პრქუა მას ქალწულმან:

— ძმაო, რამათვის მარებებ მე დღითი-დღედ და შემაწუხებ, და არა უტეობ მსახურსა ჩემსა განსვლად გარე და არცა მე.

მოუგო მას ჭაბუკმან და პრქუა:

— შეშმაკისა გეტყვი შენ, დედოფალო ჩემო, რამეთუ წარტყვენულ ვარ ფრიად სიყვარულითა შენითა, და ოდეს სადა გიხილი, აღტყვიანის ცეცხლი გულსა ჩემსა.

მაშინ პრქუა მას ქალწულმან მან:

— რომელი ადგილი უფროის გიყუარს პირსა ჩემსა.

პრქუა მას ჭაბუკმან მან.

— შეუნიერება თუალთა შენთა მარებებს მე და ამას წარუტყვენავს გონება ჩემი. და ვითარ ესმა ესე მას, პრქუა:

— მგებდ მე.

და მოიღო. ფხინი და აღმოიყარნა ორნივე თუალნი მისნი და მოუყარნა და პრქუა მას:

— წარვედ აწ და განძედ მავათითა სიყვარულითა.

ჭაბუკმან მან ვითარ იხილა საშინელი იგი საქმე, შეძრწუნდა და შეიყარა იგი შიშმან და სინანულმან, რამეთუ მიზეზითა მისითა აღმოიხანდა ნეტარმან მან თუალნი თვისნი. მყის განვიდა უდაბნოდ სკიტედ და მონაზონ იქმნა.



## 4. მეძვირი ქალი მარიამი და მისი მოძევა

ბერნი ვინმე ორნი მონაზონნი განვიდეს ელონ ქალაქით წარსვლად ტარსუნდ. და ვითარცა შემწეობდა, შევიდეს იგი ფუნდუქსა ერთსა დადგომად მას შინა და განსუენებად სიციხისაგან. და პოენეს მუნ შინა სამნი ჭაბუკნი შემავალნი ელონდ. და ჰყვა მათ ქალი ერთი მეძავი.

მაშინ ბერნი იგი დასხდეს ერთეკრძო ღუქანსა. და ერთმან მათგანმან აღმოიღო მახალაკისაგან თვისისა წმიდა სახარება და იწყო კითხვად მას შინა.

ხოლო მეძავმან მან, რომელი იყო ჭაბუკთა მათ თანა, ვითარცა იხილა ბერი იგი, რომელი იკითხვიდა სახარებასა, დაუტევნა ჭაბუკნი იგი და მოვიდა და დაჯდა ბერისა მის მახლობელად და ისმენდა სიტყუათა მათ წმიდისა სახარებისათა.

მაშინ შეპრისხნა მას ბერი და პრქუა:

— რაღა დიდ არს ურცხვიანობა შენი, საწყალობელო, რამეთუ არა შეიკვიმე მოსლვად და დაჯდომად მახლობელად ჩუენსა.

მიუგო მეძავმან მან ლმობიერად ბერსა და პრქუა:

— ნუ წმიდაო მამაო, ნუ შეურაცხ-მყოფ მე, რამეთუ დაღაცათუ საცე ვარ მე ყოველითა



სიბილწითა და უშუქულოებითა, არამედ არა განგდო უფალმან ჩუენმან და ღმერთმან ყოველთაგან დედაკაცი იგი, მსგავსი ჩემი, რომელი მოვიდა მისა.

მიუგო ბერმან და პრქუა მას:

— იგი არლარა დაადგრა ცოდვასა ზედა თვისსა.

მერმე მიუგო მეძავმან მან და პრქუა:

— და მეცა ვესაჱ ჰესა ღმრთისა ცხოველისასა, ვითარმედ ამოერთგან არცაღა მე მივაქციო ცოდვათა ჩემთა.

მაშინ დაუტევნა ჭაბუკნი იგი და ყოველივე რაცა აქუნდა და შეუდგა იგი ბერთა მათ. და მათ წარიყვანეს იგი და შეიყვანეს ქალწულთა მონასტერსა მახლობელად ელონ ქალაქსა, რომელ-

სა, ეწოდა ტონქიება. და გამოვიდა იგი სრულად მონაზონად სათნოდ ღმრთისა.

და მე ვიხილე იგი ფრიად მოხუცებული და პირისა მისისაგან მესმა ესე, რამეთუ ტირილით მითხრა მე და სახელი ერქუა მარიამ.

## 5. ფრიად მოსწრაფე ბერი

ამბა პოლოხრონიოს ხუცესი ბანდუკლეს მონასტრისაჲ მითხოვდა, ვითარმედ:

— კრებულსა ჩუენსა შორის იყო ძმაჲ ერთი ფრიად მოსწრაფელ და მოლუაწელ საქმესა მონაზონებისასა და ცხოვრებასა სულისა თვისისა. და ეწყო მას სული სიძვისაჲ ძლიერად, ვიდრემდის მოაუძღურა და, ვითარ ვერღარა დაუთმო, წარვიდა იგი იერიქოდ, რაჲთა აღასრულოს ნებაჲ თვისი. და ვითარ შევიდა იგი სახლსა მეძავისასა, რაჲთაჲცა დააცხრო გულისთქუმაჲ თვისი, მეყსა შინა განკეთებულ იქმნა ყოველი გუამი მისი. და ვითარცა იხილა თავი თვისი ვნებასა მას შინა, მუნთქუესვე მიაქცია თვისად მონასტრად, ჰმადლობდა ღმერთსა და იტყოდა, ვითარმედ:

— ღმერთმან სახიერებითა თვისითა მომივლინა მე სწავლად ქუე, რაჲთა იქსნეს სული ჩემი საუკუნოდსა მისგან სატანჯუელისა და შეჰმატა მან სათხოებასა და მადლობასა შინა ღმერთისასა და აღესრულა.





## მოთაჩ მიზინიოვიდი

# საქართველოს ისტორიის საკითხები თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში

მრავალი წლის წინ აჰმედ ვეფიქ ფაშამ, დიპლომატმა, ოსმალეთის დიდ ვეზირად ორჯერ ნამუყოფმა, ოსმალეთის პირველი პარლამენტის თავმჯდომარემ, შიღერის, შექსპირისა და მოლიერის მთარგმნელმა, გამოაქვეყნა ერთი შეხედვით თითქოს და უმნიშვნელო წიგნი სრულიად უწყინარი სათაურით— „ოსმალური დიპლეკტი“. ამ წიგნში აჰმედ ვეფიქ ფაშა ოსმალურ ენას განიხილავს, როგორც თურქული ენის მხოლოდ ერთ-ერთ დიალექტს. თურქული ენა კი, მისი აზრით, კრებადი ცნებაა, რომელიც მოიცავს აგრეთვე ჩადათაულთა, უიღურთა, კალაჩებისა და სხვათა ენებს. ამრიგად, ვეფიქ ფაშას მიხედვით, არსებობს ერთი მთლიანი, დიდი და ვრცელი თურქული ენა, გავრცელებული ხმელთაშუა ზღვის ნაპირებიდან, ვიდრე ტიბეტის საზღვრებამდე.

ვეფიქ ფაშას ამგვარი მტკიცებანი წარმოადგენენ გასული საუკუნის სამოციანი წლების ოსმალეთის მილიტერალი ინტელიგენტების — „ახალგაზრდა ოსმალებს“ პირველი პოლიტიკური ჯგუფის წევრთა მიერ შექმნილი იდეოლოგიური ტრადიციის გაგრძელებასა და გაღრმავებას. „ახალგაზრდა ოსმალებს“ ჯგუფის მთელი მოღვაწეობა კი გამსჭვალული იყო მისწრაფებით — აღედგინა იმპერიის ყოფილი დიდება და ოსმალეთისათვის დაებრუნებინა „დაკარგული“ ტერიტორიები. ჯგუფის წევრთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ახალი ოსმალური ლიტერატურის ფუძემდებლები და ენის რეფორმატორები იბრაჰიმ შინასი და ნამიქ ქემალი. ორივენი წვრილ ფეოდალთა წრიდან გამოვიდნენ, ევროპული ლიბერალიზმის გავლენის ქვეშ აღაზარდნენ და თურქეთისთვისაც ევროპული ყაიღის რეფორმებს მოითხოვდნენ არა ამ რეფორმების ბურჟუაზიული მიმართულების გამო, არამედ იმიტომ, რომ, მათი აზრით, ასეთი რეფორმები აიყვანდა ოსმალეთს ევროპის სახელმწიფოთა ძლიერების დონემდე და შექმნიდა „დაკარგული“

ქვეყნების კვლავ დაპყრობისათვის ხელსაყრელ პირობებს. თავის ერთ-ერთ სტატიაში შინასი ხაზს უსვამდა იმ აზრს, რომ ოსმალების წინაპართა მიერ მოპოვებული დიდება შეიძლება შენარჩუნებული იქნეს მხოლოდ დასავლეთის მოხერხებული მიზაქვით.

იმ დროისათვის ოსმალეთის მმართველ და ფეოდალურ წრეებში ყველაზე უფრო მტკივნეულად ყირიმისა და კავკასიის „დაკარგვას“ განიცდიდნენ და „ახალგაზრდა ოსმალებს“ ევროპული ყაიღის რეფორმები, უპირველეს ყოვლისა, ყირიმისა და კავკასიის დასაპყრობად სურდათ. „ოსმალთა მახვილი მაგნიტის ისარივით მუდამ ჩრდილოეთისაკენ არის მიმართულნი“, — წერდა შინასი.

„ახალგაზრდა ოსმალებისათვის“ გარკვეული იყო ის, თუ რა სურდათ მათ, მაგრამ ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო წარმოდგენა იმ ძალებზე, რომლებსაც დაეყრდნობოდა მომავალში მათი „განახლებული“ იმპერია. იმპერიის „განმაახლებლებში“ მერყეობდნენ ისლამიზმსა და ოსმანიზმს შორის. პირველი გულისხმობდა ოსმალეთის სულთან-ხალიფას, ანუ ერთსა და იმავე დროს ოსმალეთის საერო და სასულიერო მმართველის ხელისუფლების ქვეშ მსოფლიოს ყველა მუსლიმანის გაერთიანებას, ხოლო მეორე — სახელმწიფოს ძლიერების აღდგენისათვის შინაგან წინააღმდეგობათა მოსპობას იმპერიის ყველა ქვეშევრდომის ოსმალური პატრიოტიზმით გაქვინთვის გზით.

შინასის და ნამიქ ქემალის მიმდევარმა აჰმედ ვეფიქ ფაშამ კი მოსინჯა ახალი „საერთო ელემენტი“ — საერთო თურქული ენა, რომელიც ვითომც გავრცელებული იყო ბოსფორის ნაპირებიდან შორეულ აღმოსავლეთამდე.

საკითხი არსებითად შინასის მიერ იყო წამოყენებული. ოსმალეთის იმპერიაში მე-19 საუკუნის შუა წლებამდე ოსმალური ენა ჯერ კიდევ

მდაბიოთა ენად ითვლება. წარჩინებულნი ოსმალურ უცხო ენებს — სპარსულს, არაბულსა და ფრანგულს ამჯობნიებდნენ. შინაში მითითოვრა მოქალაქეობის უფლება ოსმალურისთვისაც ასე დაიბადა „ენის“ საკითხი თურქთა ეროვნულ შეგნებაში, რამაც სულ მალე გაავლო ზღვარი თურქებსა და არათურქებს შორის. სწორედ ამიტომ თანამედროვე თურქიზმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა იუსუფ აქჩურამ შინაში უწოდა „ოსმალთა თურქი, რომელმაც პირველმა შეიგონა თურქიზმი“. ვეფიქ ფაშამ კი გააფართოვა ოსმალური ენის საზღვრები, წარმოადგინა რა ის თურქული ენის ერთ-ერთ დაილექტად.

ამჟელ ვეფიქ ფაშას ლინგვისტიკური ძიების საფუძველზე დასკვნებს აკეთებს, ამჯერად უკვე ისტორიის დარგში, ჰუსნი სულიეიმან ფაშა, ისიც რეფორმატორი და „ლიბერალი“ და ამავე დროს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სერბთა და ჩერნოგორიელთა წინააღმდეგ გაგზავნილი დამსჯელი ექსპედიციების მეთაური.

გენერალი ჰუსნი სულიეიმან ფაშა სამხედრო სასწავლებელში მასწავლებლად ყოფნის დროს წერს „თარიხი ალემს“ ანუ „მსოფლიო ისტორიას“, რომელშიც ამტკიცებს თურქული ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ყველა ხალხის ისტორიულ ერთიანობას, ვითომცუ ეს ხალხები შეადგენენ ერთ გრს საერთო ისტორიით. ასე აკავშირებს იგი ჩინურ წყაროებში მოხსენიებულ ჰუნგ ჰუს ტომსა და ევროპაში მოსულ ჰუნებს, რომლებსაც აგრეთვე თურქებს უწოდებს და ამგვარი ხერხით ცდილობს დაადგინოს თურქთა როლი მსოფლიო ისტორიაში. ეს იყო უკვე ამჟარად გამოყვეთილი თურქიზმი. თურქთა საერთო წარსულის შესახებ სულიეიმან ფაშას მიერ გაკეთებული დასკვნის შედეგად წარმოიქმნა პოლიტიკური პროგრამა, რომელიც მოითხოვდა ამ ხალხთა მომავალშიც გაერთიანებას და მათთან ერთად სახელმწიფოს შექმნას. იი გზა, რომელსაც დაადგინა „ახალგაზრდა ოსმალთა“ იდეოლოგიური მემკვიდრეები ოსმალეთის იმპერიის დიდების აღდგენის საშუალებათა ძიების დროს.

სულიეიმან ფაშამ გაილაშქრა დადგენილი ისტორიული ტრადიციის წინააღმდეგ, როდესაც თურქეთის ისტორიას იწყებდნენ ოსმალეთით, ე. ი. მხოლოდ მე-13—14 საუკუნეებით, და თურქეთის ისტორიის საწყისი ხანა გადაიტანა ჩვენი წელთაღრიცხვის წინა საუკუნეებში. აქედან გამომდინარე, მან გაილაშქრა აგრეთვე ტერმინი „ოსმალთა“ წინააღმდეგ და ამტკიცებდა, თურქებს არ შეიძლება ოსმალური გუწოდოთ.

ის, რასაც ამტკიცებდნენ ვეფიქ ფაშა და სულიეიმან ფაშა, მხოლოდ მათი შემოქმედლების ნაყოფი არ ყოფილა. მართალია, სულიეიმან ფაშა თავის „მსოფლიო ისტორიაში“ ილაშქრებდა ევროპელ ავტორთა წინააღმდეგ, რომლებიც, მისი აზრით, მცდარ ცნობებს იძლეოდნენ თურქთა შესახებ, მაგრამ ეს ეხებოდა იმ ისტორიკოსებს, ვისაც

ჩინგის-ყანი და თემურ-ლენგი, ისევე, როგორც ჰუნები, არ მიაჩნდათ თურქებად და თურქეთის ისტორიას იწყებდნენ ოსმანის ტომის ანატოლიაში დამკვიდრებით. სინამდვილეში კი როგორც ვეფიქ ფაშა, ისე სულიეიმან ფაშა ზოგიერთი ევროპელი ავტორის და, განსაკუთრებით, გერმანელ აღმოსავლეთმცოდნეთა თეორიების, პოპულარიზატორებს წარმოადგენდნენ ოსმალთა შორის. ხოლო გერმანელ აღმოსავლეთმცოდნეთა თეორიები კი ისევე, როგორც მათი კოლეგების ნაშრომები ევროპის მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებში, წმინდა იმპერიალისტურ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. იმ დროს, როდესაც კოლონიების დაპყრობით დაინტერესებულნი იყვნენ იმპერიალიზმი თავისი მისწრაფების დაფარვას „აღმოსავლეთის საკითხისადმი“ ბისმარკის მოჩვენებითი ინდიფერენტული დამოკიდებულებით ცდილობდა, გერმანელი აღმოსავლეთმცოდნეები შეუდგნენ თურქეთისა და, საერთოდ, მახლობელი აღმოსავლეთის შესწავლას. შემთხვევით არაა ის გარემოება, რომ თურქეთის უგრესი ისტორია დაწერილია გერმანულ ენაზე ჰამერის მიერ, ხოლო ავსტრია-უნგრეთის ქვეშევრდომმა ვამპერიმ შექმნა თეორია ერთიანი თურქული ჯგუფის ნების არსებობის შესახებ.

ვამპერის თეორიის საფუძველზე გერმანელებმა ოსმალეზზე ადრე გააკეთეს პოლიტიკური დასკვნები. გერმანელ აღმოსავლეთმცოდნეთა კვალდაკვალ თურქეთს გერმანელი გენერლები ეწვივნენ. მათ უკვე აზრად ჰქონდათ ისლამიზმთან ერთად თურქიზმის გამოყენება. გერმანიის პოლიტიკურ ჭრებში თვალათლივ წარმოუდგათ ახალი თურქული იმპერია, რომელიც უახლოვს ხანში გახდებოდა გერმანული პოლიტიკის იარაღი აღმოსავლეთში.

არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ გერმანიის ფელდმარშალი გრაფი ჰელმუტ ფონ მოლტკე, პრუსია-საფრანგეთის ომში გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ პირველის საველე შტაბის უფროსი და გერმანიის ჯარების ფაქტიური მთავარსარდალი, 1842 წელს ოსმალეთის არმიის ინსტრუქტორად ყოფნის დროს დაბეჯებით ურჩევდა ოსმალებს შებრუნებულიყვნენ აღმოსავლეთის უნაპირო სივრცეებისაკენ, იქითკენ, საიდანაც ოდესღაც მოვიდნენ მათი წინაპრები, და იმპერიის დედაქალაქი სადამე კონიაში ან კიდევ უფრო აღმოსავლეთით გადაეტანათ; მაშინ ხომ გერმანია სულ ადვილად დაეპატრონებოდა სტამბოლსა და სრუტეებს! აღმოსავლეთის სივრცეები, მოლტკეს აზრით, ყველაზე უფრო შესაფერისი ბაზა იყო ოსმალეთის ყოფილი ძლიერების აღსადგენად. მოლტკეს რჩევა სულ მალე ჩამოყალიბდა გერმანიის გენერალური შტაბის კონკრეტულ გეგმად; ეს იყო აღმოსავლეთისაკენ გერმანიის არმიების წინსვლის გეგმა.

ამრიგად, თავისი წარმოქმნის დღიდან თურქიზმი არსებითად ემსახურებოდა არა ოსმალე-





თის ეროვნულ ინტერესებს, არამედ წარმოადგენდა ევროპის იმპერიალიზმის იარაღს, რომლის დახმარებითაც იმპერიალისტური უღლისა და უცხო ძალის ბატონობის ქვეშ უნდა მოქცეულიყო როგორც აღმოსავლეთის მრავალი ხალხი, ისე თვით ოსმალეთიც.

ასე აღვივებდა თურქიზმს გერმანიის იმპერიალიზმი. მაგრამ მის შემდეგ, რაც გერმანიამ მარცხი განიცადა პირველ მსოფლიო ომში, თურქიზმი მემკვიდრეობად გადაეცა ინგლისსა და საფრანგეთს, რომლებიც არანაკლები ყურადღებით იხილავდნენ თურქიზმის გამოყენების საშუალებებს ამეამად უფვე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქიზმს გამოუჩნდა ახალი დასაყრდენი ამერიკის შეერთებული შტატების სახით. მაგრამ თურქიზმის დოქტრინა და სტრატეგიული გააზრება დარჩა ისეთივე, როგორც იყო ჯერ კიდევ გერმანულ ფელდმარშალ ფონ მოლტკეს დროს.

ამერიკის აგრესიული პოლიტიკისათვის მახლობელ აღმოსავლეთში თურქიზმი ნამდვილ მიზნებად იქცა. ამიტომ იყო, რომ ამ რამდენიმე წლის წინანდ ამერიკული ვაშთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა — თურქეთი გადაჭიმულია ზღვითაშუა ზღვიდან სინ-ცხიანის შუაგულამდე, და მოითხოვდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ თურქიზმის გამოყენებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; ხოლო ვინმე ოგოუზ თურქანი სტამბოლურ ფრანგულ გაზაჟში „ლა რეაუბლიკ“ აცხადებდა, რომ „თურქებს თურქეთსა და ანკარაში შეუძლიათ და უნდა მიიღონ კიდევ მონაწილეობა აზიაში ამერიკის პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში“.

ამრიგად, თურქიზმი აშკარად წარმოადგენს ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში მყოფ აგრესიულ დოქტრინას, მიმართულს უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ასეთ პირობებში თურქიზმის ძირითადი მიზანია „დამტკიცოს“ თურქეთის უფლება აღმოსავლეთის სივრცეებზე. ზოგჯერ მათ თანამედროვე თურქმა ისტორიკოსმა თავს იღვა ამ უფლებების „კანონიერების“ დამტკიცება, რათა ამით იდეოლოგიური ბაზა შეუქმნას ამერიკის აგრესიულ პოლიტიკას მახლობელ აღმოსავლეთში.

აეთივე ის ძირითადი სოციალური დაკვეთა, რომელიც მიიღო თურქეთის რეაქციულმა ისტორიოგრაფიამ.

როდესაც დაუმტკიცებლის დამტკიცებას ცდილებენ, მაშინ ხელს იღებენ ყოველგვარ ლოგიკაზე, თვალს არიდებენ ფაქტებს, ლაპარაკობენ უკან მოუხედავად. სწორედ ასეთ მგომარეობაში აღმოჩნდა თურქეთის ისტორიოგრაფიაც.

ამ მხრივ საგულსხმოა თურქეთში გამოკეშული ზოხტომიანი „თარიზი“, რომელიც თფიკიანურ გამოკეშად ითვლება, შედგენილია ავტორთა კოლექტივის მიერ და განკუთვნილია სახელ-

მძღვანელოდ ყველა ტიპის სასწავლებლებს და დაწესებულებებისთვის. ავტორთა ჩანაფიქრით ეს უნდა ყოფილიყო ისტორია, რომელიც დაამტკიცებდა თურქთა წამყვან როლს მსოფლიო ისტორიაში. მე-4 ტომის პირველსავე გვერდებზე ავტორები წერენ: „მსოფლიო ისტორიაში თურქთა გარდა არ არსებობს სხვა რასა, რომელსაც დაეარსებინოს ისეთენ მრავალრიცხოვანი და დიდი სახელმწიფოები. სწორედ თურქებმა შექმნეს ევროპისა და აზიის სამთავროების, სამეფოებისა და იმპერიების უმრავლესობა, დაწვებული ისტორიაში ცნობილი პირველი შემერული სახელმწიფოთი (4000 წ. ქრისტეს წინ)“.

ასე ერთი ხელის მოსმით გათურქდა და თურქთა სამფლობელოდ იქცა მრავალი სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, თურქეთში დაიწყეს მტკიცება, ვითომც მთელი ამიერ-კავკასია, ჩრდილო კავკასია, შუა აზია, ციმბირი და ვოლგისპირეთი თურქეთის საუკუნო სამფლობელოებს წარმოადგენდნენ. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის ისინი თურქეთის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების ისტორიად განიხილავენ, ხოლო ოსმალეთის ისტორიად, როგორც თვით თურქთა, ისე მათ ინგლისელ და ამერიკულ მფარველთა მიერ იხატება თავდაცვითი ბრძოლების ისტორიად. აქედან გამომდის, რომ ამიერიდან ჩვენ აღარ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, მავალითად, ოსმალთა შემოსევებზე საქართველოსა თუ სომხეთში, არამედ, პირაქით, ადგილი ჰქონია მხოლოდ ქართველთა და სომხთა შესევას ოსმალეთში, იმის მიუხედავად, რომ ბრძოლები საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა! ესეც აფაფერი. მთელი კავკასია ხომ თურქული ყოფილა, ე. ი. სიდაც უნდა ყოფილიყო ბრძოლა — ახალციხესთან, თბილისთან თუ ერევანთან, — ქართველები და სომხები მომხდურნი ყოფილან, ხოლო თურქები — დამხდურნი.

ყოველივე ეს არც ხუმრობაა და არც უფიციის შეცდომა. ამას წერენ ადამიანები, რომელთაც ზნირად შეცნიერული ხარისხები აქვთ და მათს მიამიტობაში ექვს ვერ შევიტანთ. საქმე გეჰქვს გარკვეული მიზნით ჩადენილ, მოფიქრებულ გაყალბებასთან. მართლაც, „თარიზი“ სახელმძღვანელო წიგნია, ამ წიგნით ასწავლიან სკოლებში, ამ წიგნის იდეებზე ზრდიან ახალგაზრდობას, რომელმაც მომავალში უნდა შეავსოს თურქეთის არმიის მეომართა რიგები. ამ მომავალ ჯარისკაცებს კი — ყველას უკლებლივ უნდა ჰქონდეს აკვიატებული აზრი — დაიპყროს მიწები აღმოსავლეთში, შექმნას „დიდი თურქეთი“. ხოლო ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოისპონ თურქულ სამყაროში შემოქრილი ქართველები და სომხები, რომლებიც წინ ელობებიან თურქთა წინსვლას. აი მიზანი, რომლის გამოც მთელი კავკასია თურქთა ისტორიულ კუთვნილებად გამოცხადდა. იმას აღარ დავიდ-

ვენ — დაუჯერებს თუ არა ვინმე ასეთ „ქეშ-მარტებს“. თურქისტების აზრით, ჯარისკაცისათვის აზროვნება არც არის საჭირო; ჯარისკაცი, უპირატესეს ყოვლისა, უნდა იყოს ფანჯიკოსი და მანიაკი, ვინაიდან არც ერთი და არც მეორე არ საჭიროებს საბუთების წარდგენასა და ლოგიკურ მსჯელობას. ამიტომ მიხდა, რომ მაუზინის სისტემის შაშხანებით შეიარაღებულმა თურქეთის არმიამ პირველ მსოფლიო ომში თავი შეკვლა კაიხურ ვილჰელმ მეორის ინტერენტებს, ამიტომაც იგი ახლა ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში.

მაშ ასე, თურქები თურმე იბრძოდნენ თავისივე ტერიტორიების დასაყრდენად. მაგრამ თურქეთს დაპყრობანი მარტო ამ მზრთვ კი არ ყოფილა საგულანსნო. ყურთ რომ დაუჯერებს სტამბოლისა და ანკარის უნივერსიტეტების პროფესორებს მეჰმედ ფუად ქეფერულუს, ისმილ ჰაყი უშუნჩარშილის და ოსმან თურანს, „კაცობრიობის ისტორიას ახასიათებს ორი სახის წყობილებას: სამართლიანი და არასამართლიანი. თურქებს ახასიათებდათ „სამართლიანი“ წესწყობილება, ხოლო ყველა სხვა ხალხებს, რომლებიც მათ გარშემო ცხოვრობდნენ როგორც კავკასიაში, ისე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე — „არასამართლიანი“. ამიტომ თურქ-ოსმალებს შეჰქონდათ თურმე სამართლიანობა ყველგან, სადაც კი ისინი ფეხს დაადგამდნენ. ხომ ამტკიცებს უკვე მოხსენიებული „თარიჰი“, რომ „თურქი ერა წარმოადგენს მეტროპოლი სულის მქონე ყველაზე უფრო სრულყოფილ ერს“. ასეთი მსჯელობიდან გამომდინ, რომ ოსმალთა დაპყრობები კი არ ყოფილა, არამედ ადგილი ჰქონია მხოლოდ წესრიგისა და სამართლიანობის დამყარებას, ხოლო ხალხს თავის ნებით გადადიოდა ოსმალთა მხარეს. ისმილ უშუნჩარშილი თავის მრავალტომიან ოსმალთა „ოსმალების ისტორიას“, რომლის უკანასკნელი ტომები ვერ კიდევ არაა გამოსული, პირდაპირ ამბობს — ოსმალო თურქები არამუსლიმანი ხალხების მიმართ სამართლიანნი იყვნენ, ისინი გადასახადებს უმსუბუქებდნენ დაპყრობილ მოსახლეობას, რომელიც ოსმალთა მოხსენიებულ ნადგურდებოდა აუტანელი გადასახადების გამო და მით იკებდნენ მის გულს.

თუ ისეთი „ბედნიერება“ იყო თურქთა დაპყრობანი, როგორც ამას უშუნჩარშილი გვიხატავს, მაშ რაღა ვუყოთ ჩინგის-ყაენსა და თემურ-ლენგს, ანდა, ვთქვათ, ჯელოლდინს — ისინი ხომ თურქულმა ისტორიოგრაფიამ გამოაცხადა „დიდ თურქებად“, ადამიანებად, რომლებიც ასახიერებდნენ თურქულ სულს. აქაც უკან არ დაუხევათ — ჩინგის-ყაენი, თემურ-ლენგი და ჯელოლდინი თურქეთის სულთანებისთვით ერთად გამოაცხადეს კაცობრიობის გეთილიმყოფელებად. ეროვნულ გმირებად. თურქეთის ისტორიულ პირთა ენციკლოპედიის „თურქ მეჰპურ-ლარის“ (ცნობილი თურქები) ავტორის იბრაჰიმ

ალაედინ გიოგსას აზრით, თემურ-ლენგიც კი არაა „მეტად ჰკვიანი“ და განათლებული მმართველი. მიუხედავად იმისა, რომ მან ბევრი სისხლი აღდგარა, იგი იყო ღვთისნიერი და მფარველი და შეცნობიერებს, პოეტებს და, საერთოდ, ნიჭიერ ადამიანებს“. თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში ასევეა დახასიათებული ჩინგის-ყაენი, ჯელოლდინი და მრავალი სხვა დიდი და მცირე დამპყრობელი.

ფუად ქეფერულუ, უშუნჩარშილი და ოსმან თურანი „თარიჰის“ თვალსაზრისითან შედარებით უფრო რეალურად უდგებიან საგნებს. მათ კარგად ესმით, რომ დღევანდელ სამყაროში არც ისე ადვილია ვინმე დააჯერო, ვითომც უშემერთა სახელმწიფო თურქულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამიტომ ისინი იძულებული არიან უკან დაიხიონ და შედარებით რეალურ საფუძველს დაეყრდნონ. სინამდვილეს კი მოეყვართ მე-9—10 საუკუნეებამდე, როდესაც მხსლობელ აღმოსავლეთში, კერძოდ, დღევანდელი ირანისა და, ნაწილობრივ, ანატოლიის ტერიტორიაზე, შეიქმნა თურქ-სელჯუკთა სახელმწიფო. სელჯუკები რომ თურქები იყვნენ, ამაზე არავინ კამათობს და ვერც შეეცაძაება თურქ პროფესორებს, მაგრამ თუ რამდენად კულტურული იყო თურქ-სელჯუკთა სახელმწიფო, ამას შეიძლება მეტი შევიტანოთ და საჭირო საფუძველიანადაც. მეტად დაბალი სოციალური, ეკონომიური და კულტურული განვითარების დონეზე მყოფი მომთაბარე მეჯოგე თურქები ირანის ტერიტორიაზე შესვლისთანავე თვით აღმოჩნდნენ დაპყრობელთა დიდად განვითარებულ კულტურის ზეგავლენის ქვეშ. დაევშვათ ერთი წუთით, რომ სელჯუკთა სახელმწიფო მართლაც წმინდა თურქული სახელმწიფო იყო ეთნურადაც და კულტურულადაც, ასეთ შემთხვევაში მაინც ირდევდა თურქისმის ძირითადი პრინციპი, რომ თურქები წარმოადგენდნენ კულტურის შემოქმედნი და მათგანისზედელ ძალას მახლობელ აღმოსავლეთში. თუკი თურქები მოვიდნენ ისეთ მხარეში, სადაც უკვე არსებობდნენ სახელმწიფოები, ხოლო თვით თურქებს კი ასეთი პოლიტიკური ორგანიზაცია არ გააჩნდათ, გამოიღის, რომ სოციალური, ეკონომიური და კულტურული განვითარების დონით თურქებს აქ მოსახლე სხვა ხალხებთან შედარებით არა თუ არავითარი პრიორიტეტი არ ჰქონიათ, არამედ, პირიქით, ჩამორჩებოდნენ კიდევ მათ. ცხადია, ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ თურქები რაიმე მათგანისზედელ ან წესრიგის დამამყარებელ ძალად მოგვევლინენ. ამიტომ თურქისმის მიმდევარი ის თურქი ისტორიკოსები, რომლებიც არ იზიარებენ აშკარად აბსურდულ მთის ძველ აღმოსავლეთის ქვეყნების თურქულობის შესახებ, მიმართავენ სხვა ხერხს — უარყოფენ სახელმწიფოთა არსებობას მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე, მათ შორის



კავკასიაში. აქ კი ყველაზე დიდ და ძლიერ სახელმწიფოს საქართველო წარმოადგენდა. ამიტომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, უარყოფენ ადრეულ პერიოდში საქართველოს სახელმწიფოს არსებობას. ქვერულუ, მაგალითად, საქართველოს ისტორიას ყოფს ორ პერიოდად — ლეგენდარულ და ისტორიულ პერიოდებად. ჩვენს წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნემდე საქართველოსათვის ყოფილა ლეგენდარული პერიოდი და მხოლოდ მე-9 საუკუნის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოს ისტორიაზე. მაშ რას წარმოადგენენ კავკასიის ხალხები მე-9 საუკუნემდე? ამაზე „პასუხს იძლევა“ ოსმან თურანი. მისი თქმით მთელი ამიერკავკასია წარმოადგენდა რაღაც ქაოსს და დასახლებული იყო მცირე კავკასიური ტომებით, რომელთაც ერთმანეთთან არ ჰქონდათ დამყარებული რასიული თუ ლინგვისტური კავშირი. „ამის გამო, — დასკვნის ოსმან თურანი, — ქართველებს, ისევე როგორც მათს მეზობლებს, ჯერ კიდევ არ შეეძლოთ გამოჩინილიყვნენ ისტორიულ სარბიელზე. პირველი ისტორიული ცნობები ქართველების შესახებ გაჩნდა მე-7 საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ბიზანტიელები დასახლდნენ კავკასიის სანაპიროზე და ამ რაიონის მოსახლეობას შორის გაავრცელდა ქრისტიანობა“. ოსმან თურანი ქართულად მიიჩნევს ამიერკავკასიასა და საქართველოში არსებულ მდგომარეობას და გადადის თურქთა მორგანიზებულ რაიონს დახასიათებაზე. „ყველამ იცის, — წერს თურანი, — რომ კავკასიაში თურქების ისტორია იწყება ბევრად უფრო ადრე, ვიდრე სხვა ხალხებისა და ქართველების ისტორია. უკანასკნელ დრომდე თურქების ისტორია წარმოადგენს ამ რაიონის ისტორიის საფუძველს“; „არის გარკვეული ცნობები იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე თურქები ცხოვრობდნენ კავკასიაში“, „დიდი ხნის განმავლობაში ამ რაიონში მოსახლეობდნენ ჰუნები. როგორც ვეროპაში, ისე კავკასიის სამხრეთ ნაწილში, ირანსა და აღმოსავლეთ ანატოლიაში, ისინი აქაც გადმოსახლდნენ. წყაროებიდან ჩვენ ვიგებთ, რომ ჰუნების შემდეგ კავკასია გადალახეს ბულგარელებმა, საზირისა და ალაჩერის ტომებმა, რომლებიც დასახლდნენ ყარსის მიდამოებში. სომეხი ისტორიკოსი ხროფალი მოზოი (აღბათ მოსე ხორენელი. — ი. გ.) აღნიშნავს, რომ 460 წლისათვის აქ ცხოვრობდნენ ბულგარელები, ხოლო 463 წელს ალაჩერის ტომი დასახლდა კავკასიაში. ალაჩერის ტომი სელჯუკთა დროს შეადგენდა უმრავლესობას სამხრეთ კავკასიაში... კავკასიის მთელ ისტორიაში პირველ და უკანასკნელ მსხვილ პოლიტიკურ ორგანიზებულ მასას წარმოადგენდნენ თურქი ხაზარები“.

ძლიერი, გაერთიანებული საქართველოს არსებობას თანამედროვე თურქული ისტორიოგრაფია შემდგომი პერიოდისათვისაც უარყოფს. სა-

ქართველოს მეფეები თითქმის ყოველთვის სენიბიან არა კირალის (კაროლი) ტიტულით, როგორც უწოდებენ თურქები ქრისტიანულ ქვეყნების ყველა დამოუკიდებელ მეფეს, არამედ ბეის (ბეგის) ტიტულით, ბეი კი ვასალია, ცენტრალური მთავრობის მიერ დანიშნული მისალი თანამდებობის პირი. ამით ხაზი ესმება იმას, თითქმის საქართველო მუდამ იყო რომელიმე მუსლიმანური ქვეყნის და, ცხადია, უმთავრესად თურქეთის მორჩილი.

უარყოფენ რა საქართველოს ძლიერი და სუვერენული სახელმწიფოს არსებობას, თურქი ისტორიკოსები ვერ „ამჩნევენ“ ისეთ ისტორიულ მოვლენებსაც კი, სადაც საქართველოს მონაწილეობა აშკარა და მნიშვნელოვანი იყო. განაწარმოვდგენელი არ არის ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის განხილვა ისე, რომ არ გაითვალისწინოთ საქართველოს როლი მისი შექმნის პროცესში? ცნობილია ამ იმპერიის ქართული (ლაზური) ეთნიური შემადგენლობა და მკვიდრო პოლიტიკური კავშირი საქართველოსთან. როდესაც უზუნაჩრბილი ეხება ტრაპიზონის იმპერიას და საკმაოდ ადვილია იმეტი იხილავს მას დღიდან დაარსებას, ე. ი. მე-13 საუკუნის პირველი წლებიდან, იხსენიებს იმპერიის ყველა მეზობელ სახელმწიფოსა და სამთავროს, ცდილობს გაარკვიოს იმპერიის დამოკიდებულება მათთან. აქ ჩვენ ვკითხვობთ ნიკეის იმპერატორ ლასკარისზე, ანატოლიის სელჯუკთა სახელმწიფოს მმართველ გაის ულ დინ კეი უსტრეზე და მრავალ სხვაზე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი საქართველოზე.

დამახასიათებელია ის რუკებიც, რომლებიც თან ერთვის თურქი ისტორიკოსთა შრომებს. თუ ამ რუკებზე იხმაგრება სიტყვა საქართველო — იხმაგრება უმთავრესად გეოგრაფიული ვაგებით ანდა, თუ ლაპარაკობენ პოლიტიკურ ერთეულებზე, აღნიშნავენ ქართლს, კახეთს, იმერეთს, გურიას, მაგრამ გაურბიან საქართველოს ხსენებას. ხოლო ერთ-ერთ რუკაზე, რომელიც მოთავსებულია „თარიჰის“ მე-3 ტომში და გვაძლევს 1699 წლის შემდგომი დროინდელი ანატოლიისა და კავკასიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ სურათს, დასავლეთ საქართველოს დასავლეთი ნაწილი აღნიშნულია ჩერქეზების სახელწოდებით, ქართლი, კახეთი, იმერეთი და საქართველოს სხვა კუთხეები კი საერთოდ წარწერის გარეშე დატოვებული (აღბათ „თარიჰის“ ავტორებს ამით უნდოდათ ეთქვათ — უპატრონო სივრცეებია თურქთა საბატონოდ განკუთვნილი. — ი. გ.), ხოლო საქართველო აღნიშნულია მცირე ტერიტორია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ირიალეთის ქედის მონაკვეთზე.

ამრიგად, მისდევენ რა თურქიზმის პრინციპებს, თურქი ისტორიკოსები წარსულს წარმოგვიდგენენ ისე, თითქმის კავკასიაში არასდროს არსებულა არავითარი ძლიერი ორგანიზებუ-

ლი ძალა სახელმწიფოს სახით. ასეთი არ ყოფილა არც საქართველო. „ოსმალეთის სახელმწიფოს პირისპირ არასოდეს მდგარა ძლიერი საქართველო. საქართველოს ფეოდალური მმართველები საქმეებში ერთდენდნ ან როგორც სპარსელების, ან როგორც რუსების ხელისშემწყობნი“ — წერდა მეჰმედ ფულ ქეფერულუ.

მაგრამ თუ საქართველო არასოდეს არ ყოფილა ძლიერი, მაშინ რაღა ყოფილა რუმის სასულთნო? განა ბასიანის ომში საქართველომ არ გაანადგურა ოსმალთა სათაყვანებელი რუქნ ედდინის ლაშქარი? ამ ლაშქარში ხომ გაერთიანებული იყო წინა აზიის ყველა თურქული სახელმწიფოთა თუ სამთავროს ძალები და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენ მიწერე და დიდ ბრძოლაში სძლიეს ქართველებმა თურქებს! მაშინაც კი, როდესაც საქართველო მცირე სამთავროებად იყო დაქუცმაცებული, ოსმალეთმა ვერაფერი გააწყო ცალკე ქართლ-კახეთთან და ცალკე იმერეთთან. აშპინძისა და ჩხერის ბრძოლები დღევანდლამდე დარჩა ოსმალთა იარაღის შერტყევნის სიმბოლოდ...

როგორც დავინახეთ, თურქულმა ისტორიოგრაფიამ საქართველოში სახელმწიფოს შექმნის ისტორიული ფაქტი გადმოიტანა გვიანდელ ხანაში, საერთოდ უარყო ძლიერი ქართული სახელმწიფოს არსებობა შემდგომ პერიოდშიც და გამოაცხადა — თურქების ისტორია წინ უსწრებს ყველა სხვა ხალხის ისტორიას კავკასიაში. ასეთ პირობებში ოსმალეთი იხატება როგორც გაბატონებული ძალა კავკასიაში, როგორც მისი კანონიერი მფლობელი.

მაგრამ თურქი ისტორიკოსები ამითაც არ კმაყოფილდებიან. თურქიზმის ერთგულებს სურთ დამატეიკონ ოსმალეთის სრული პრიორიტეტი არა მარტო სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის, არამედ აგრეთვე კულტურის დარგშიც. მათ სურთ დამატეიკონ, რომ ოსმალეთი არა მარტო მთავრანობელი და წესრიგის დამაყარებელი ძალა იყო კავკასიაში, არამედ კულტურის შემოქმედელი და შემომტანიც. საამისოდ მათ წამოაყენეს თავიებური თეორია კავკასიაში კულტურის ვაკუუმის არსებობის შესახებ.

შუა საუკუნეებში საქართველოს კულტურის განვითარების მაღალი დონე, ქართული ქრისტიანობა, ქართული დამწერლობა დადებით გავლენას ახდენდა საქართველოს მეზობლებზე, კერძოდ, კავკასიონის ქედის როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კალთებზე მცხოვრებ ხალხებზე. მატერიალური კულტურის მრავალი შეხანაშნავი ძეგლი დღევანდელი ჩაჩნეთ-ინგუშეთის, დაღისტნის და სხვა ტერიტორიებზე, ჩვენამდე მოღწეული წარწერები ქებულებ ყაბარდულ, ინგუშურ და სხვა ენებზე, უსწრებულ ქართული ასოებით, მოწმობენ ქართული კულტურის გავლენას მთის ხალხთა კულტურის

განვითარებაზე. მართლაც, სრულიად წარმოუდგენელია კულტურის გარეშე არსებობა ომ ხალხებისა, რომლებიც მიხვდებოდნ იყვნენ ისეთ კულტურულ არეში, როგორც კავკასია იყო; და არა თუ კავკასიონის სამხრეთ (მით უმეტეს იქ, სადაც კავკასიონი შვე ზღვას ეკვრის), არამედ მის ჩრდილოეთ ფერდობებზედაც. ეს წარმოდგენელია კულტურულად ისეთ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოს გვერდით, როგორც იყო საქართველო! ეს მით უმეტეს წარმოუდგენელია იმით მიმართ, ვინც ფეოდალური საქართველოს ტერიტორიაზე სახლობდა და მოღვაწეობდა ქართულ სახელმწიფოებრივ სარბიელზე.

როგორც დავინახეთ, თურქიზმის მიმდევარნი ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ უარყონ ქართული სახელმწიფოებრიობა, ქართული კულტურა როგორც წარსულში, ისე აწყაში. არც ისაა შემთხვევითი, რომ ისტორიულ რუქებზე ცდილობენ არ აღნიშნონ საქართველოს სახელი. ძალიან არ მოსწონთ მათ, სავალითად, აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს დამოკიდებულება. აღმოსავლური წარმოშობის წყაროებში (ყველაში უკლებლივ), რომლებიც შუა საუკუნეების პერიოდს ეხებოან, აფხაზეთისა და საქართველოს ცნებები ერთმანეთს ემთხვევიან, ისინი სინონიმებადაა ქვეული. ქართველთა მეფეებს ხშირად აფხაზეთა მეფეებს უწოდებენ. სრულიად გასაკვირი მიზეზების გამო ეს არ მოსწონთ თურქიზმის მიმდევრებს და, აი ოსმან თურანი, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, ხელმისაწვდომია და კარგად არის ცნობილი აღმოსავლური საისტორიო ცნობები, ვერ უარყოფს, რომ აღმოსავლურ წყაროებში საქართველო და აფხაზეთა სწორედ ასეა მოხსენიებული. ამიტომ ის ცდილობს სხვა გზით დაარწმუნოს მკითხველი იმაში, რომ ამ ორ ცნებას შორის საერთო ანაფერია, — კერძოდ, იშველებს რასობრივ თეორიებს, რომლებიც თურქიზმის მოძღვრების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენენ, და აცხადებს, რომ ამ დამთხვევას სინამდვილეში არ ჰქონია არც ენობრივი და არც რასობრივი საფუძველი.

როდესაც ოსმან თურანი ასე „გაუსწორდა“ საქართველოს ერთ მხარეს, ქეფერულუმ დაიწყო მტკიცება, რომ გავრცელებული აზრი მეგრული-სა და ლაზურის ერთიანობის შესახებ მოკლებულია საფუძველს.

თანამედროვე თურქეთში გამოჩნდა კიდევ რამდენიმე, რანგით უფრო მცირე, ავტორი, რომლებიც თავიანთ ნაწერებში იმავე აზრებს ატარებენ. აქ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მოვიხსენიებთ ვინმე იაპია ოქჩუს, რომელმაც არც ისე დიდა ხანია, რაც გამოაქვეყნა წიგნი სათაურით „რუსეთ-თურქეთის ბრძოლის ისტორია“. მთელი წიგნი თავიდან ბოლომდე ისტორიის უხეში გაყალბებაა. იაპია ოქჩუ უყურადღებოდ არ ტოვებს საქართველოსაც. ოსმალთა სისხლიან



თარეშს საქართველოში ოქჩუ „საქართველოს ყველაზე უფრო ბედნიერ და მშვიდ პერიოდს“ უწოდებს. ოსმალთა მიერ საქართველოს დაპყრობებს ქართველები თურმე კმაყოფილებით ხედებოდნენ. ეს, თუ ოქჩუს დაეუგდებთ ყურა, გასაგებიცაა, ვინაიდან თვით ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი თურქული წარმოშობისა ყოფილა, თურქები ყოფილან, მაგალითად... იმერლები (?!).

ოქჩუ განაგრძობს ამგვარად მსჯელობას და აცხადებს, რომ მე-19 საუკუნის რუსეთ-თურქეთის ომებში, როდესაც რუსეთი გამოდიოდა ქართველებისა და სომხების განმათავისუფლებლად, ადგილი ჰქონია თურქთა ტერიტორიების დაპყრობას, რომელთაც შემდეგ უკანონოდ უწოდებენ სომხეთს და ა. შ.. ოქჩუს აშფოთებს საბჭოთა საქართველოს დღევანდელი საზღვრე-

ბი, რომლებიც მას მეტად ვრცლად მიაჩნია, ვინაიდან შიგ მოქცეული ყოფილა თურქთა კუთვნილი მიწა-წყალი (?!).

ჩვენ აქ აღვნიშნეთ მხოლოდ ცალკეული, დამახასიათებელი მოსაზრებანი, რომელთა გავრცელებასაც ცდილობს თურქიზმით გაედენთილი თანამედროვე თურქული ისტორიოგრაფია.

დასკვნა ერთია: ეს მოსაზრებები და „თეორიები“ ემსახურებიან ახალი ომის იდეოლოგიური მომზადების საქმეს, ომისა, რომლის მეშვეობითაც თურქიზმი ცდილობს განახორციელოს მისი დიდი ხნის ოცნება — კავკასიის ხალხთა დაპყრობა და დამონება. ახალი ომის იდეოლოგიური მომზადების საკითხებისადმი კი შეერთებულა შტატების იმპერიალისტურ წრეებს არასოდეს გამოუჩენიათ გულგრილობა და მფარველობაც კიდევ თურქიზმს.



## მიხეილ კეკელიძე

# ერთი ღებადი ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან

ქართული კულტურის დაუღალავმა მოამაგემ ზაქარია ჭიჭინაძემ ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ რამდენიმე ძვირფასი ბიოგრაფიული ცნობა გამოაქვეყნა. იგი დიდი სისათუთით კრებდა ამ მასალებს და შთამომავლობას უნახავდა. მაგრამ პოეტის შემდეგი დროის ბიოგრაფიები და ქართული ლიტერატურის მკვლევარები ხშირად უნდობლობით უცქეროდნენ ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებს.

ასეთი დამოკიდებულება ზ. ჭიჭინაძისადმი საფუძველს მოკლებულია. ამჟამად ჩვენ პოეტის ძეგლისა და ერთი ლექსის ისტორიას გვინდა შევეხოთ.

ზ. ჭიჭინაძემ 1885 წელს გამოცა წიგნაკი ნ. ბარათაშვილზე, 1890 წელს კი პოეტის ლექსები (მეოთხე შეცვებული გამოცემა), რომელსაც დართული აქვს გამოცემლის მიერ შედგენილი „ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია“. ამ გამოცემაში ზ. ჭიჭინაძემ პირველად შეიტანა პოეტის ორი ლექსი „ძრწოდე კავკასო“ და „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“, აგრეთვე აღნიშნა, რომ ნ. ბარათაშვილისათვის მის მეგობრებს ძეგლის დადგმა ჭქონდათ განზრახული.

1891 წ. „ივერიაში“ (№ 2) ახალ ამბებში მოთავსებულია ხელმოწერილი რეცენზია ნ. ბარათაშვილის ჭიჭინაძისეულ გამოცემაზე. აი როგორ საყვედურს გამოთქვამდა რეცენზენტი: „ჩვენ მოვეციდა მეოთხე შეცვებული გამოცემა თ. ნ. ბარათაშვილის ლექსებისა“. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული ლექსებს წინ უძღვის მკირე წერილი, ბიოგრაფიის მავარი, მაგრამ ამ ბიოგრაფიაში პოეტის მამის მელიტონ ბარათაშვილის შესახებ უფრო ბევრი ლაბარაკია, ვიდრე თვით პოეტის გამო. ამას გარდა გამოცემელი ისე უბოდვოდ ეკიდება თავის მოვალეობას, რომ ამბობს, მავალითებარ, რომ ბარათაშვილი ქ. განჯაში გარდაიცვალა 1845 წ. 9 ოქტომბერს. 1849 წ. ტფილისში გამართეს ხელისმოწერა და მისის ძეგლის ასაგებად 600 მან. შეკრიბეს. ფული მიიბა-

რეს თ. მამუკა ორბელიანს, ფული ორბელიანსვე დარჩა, ბარათაშვილისათვის კი არა გადაუცია რაო. ამბობს ამას და არაფრით ასაბუთებს ამ თავის ნათქვამს.

ამას გარდა ლექსთა კრებულში ორი ლექსია სულ ახალი დაბეჭდილი და არსად კი არ არის ნათქვამი, თუ საიდან გამოსქებნა გამოცემელმა ეს ლექსები, რადა ჰგონია ბარათაშვილისად და რა საბუთი აქვს ხელში, რომ ეს ლექსები ბარათაშვილისაა. ერთს ლექსს ეწოდება „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ და, ჩვენის აზრით, ბარათაშვილის მუზასი არა ატყვიარა, აზრი, შინაარსიკ-კი ამტკიცებს, რომ ძნელად თუ ნ. ბარათაშვილს დაეწეროს. მეორე პატარა ლექსის შესახებ გამომცემელი ამბობს, რომ ეს ლექსი დაწერილია კნ. მართა ერისთავის თასზეო და იმისასკი არას გვეუბნება, ამ თასზე წარწერილს ლექსს ბარათაშვილის გვარი აწერია, თუ არა. აი ეს ლექსი:

ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის,  
ბედნიერი ვარ მე, თასი:  
სამღერალო ვარ ტურფა ხელთ  
და მოსალხინო მართასი!  
მოვედით, სევდით მაშვრალნო,  
გასვათ სასმელი ღმერთასი,  
და მყის ვიქარვით გულისა,  
ვით ერთი, ჭიირი ათასი“.

ზ. ჭიჭინაძე პოეტის გარდაცვალების თარიღში მხოლოდ ერთი დღით შეცდა (პოეტი გარდაიცვალა 1845 წლის 10 ოქტომბერს), რაც შეეხება ნ. ბარათაშვილის ძეგლსა და ლექსების საკითხს — ის სავესებით მართალია და სასაყვედურო არაფერი აქვს. იმავე წლის „ივერიის“ მესამე ნომერში ზ. ჭიჭინაძემ რეცენზენტს ასეთი პასუხი ვასცა: „ივერიის“ მეორე ნომრის ამბებში, სხვათა შორის, დაბეჭდილია შემოკლებული მიმოხილვა ნ. ბარათაშვილის ლექსების მეოთხე გამოცემისა: ამ ამბის დაწერიი ეჭვს აცხადებს ბა-



რათაშვილის ორს ლექსზე, რომელნიც ახლა დაბეჭდვა. ასევე ეჭვით უმზერს ბარათაშვილის სახელობაზედ შეკრებილ 600 მან., რომელიც 1849 წ. შეუკრებიათ და ამ ფულით ბარათაშვილის ძეგლის დადგმა სდომებიათ, მაგრამ ეს ვერ მოხერხებულა და ფული თავ. მამუკა ორბელიანს დარჩენია. ამ ამბების საბუთი: ნ. ბარათაშვილის სახელობაზედ რომ 1849 წ. 600 მან. შეუკრებიათ, ეს ნამდვილი ცნობაა, ეს ამბავი ჩვენში არავინ იცოდა, მხოლოდ 1884 წ. გამოაცხადეს გაზ. „დროებაში“, იმ შენიშვნის დამწერის სახელი აღარ მახსოვს კარგად. ცხადი საქმეა, რომ ეს ცნობა სანდო კაცს რომ არ მოეტანა, უიმიოსდ „დროება“ არ დაბეჭდვად. ეს ცნობა ბან ი. მუხრანავიამაც კარგად უნდა იცოდეს.

ბარათაშვილის პირველი ლექსი „ლაშქრობა ქართველთა კავკასიაზე“ დაბეჭდილია 1859 წ. „ციცკარში“ ბარათაშვილის სრულის სახელისა და გვარის მოწერით. ეს ლექსი პირველს გამოცემაში არ შეტანილია, რადგანაც ბარათაშვილის ლექსად არ უცენიათ გამოცემულს. პ. უმიკაშვილისაგან ასე შევიტყვე. ამის გამო მე ვითხებ „ციცკარის“ რედაქტორად ნამყოფს ბ-ნ ი. კერესელიძეს და მან გადმომცა, რომ ეგ ლექსი მე თვით ბარათაშვილის ხელთაწერიისაგან ვაღაპებე „ციცკარში“. ხელთაწერი გრ. ორბელიანს დაეუბრუნე კუთვნილებისამებრ, რადგანაც ბარათაშვილის ყველა ლექსი გრ. ორბელიანს მიძლედაო. ...მეორე პატარა ლექსი პირველად დაბეჭდეს 1887 წ. გაზ. „თეატრში“. ეს ლექსი „თეატრის“ რედაქციაში კნ. ნინო ორბელიანს წარმოედგინა და ბარათაშვილის სრულის სახელისა და გვარის დაწერით არის დაბეჭდილი. ...ჩემი შეცდომა აქ მხოლოდ იმაში ვახსლავთ, რომ საიღამაც რა ლექსი გადმოვებე და ან რამე ცნობა მოვყვანე, იმათ თავდაპირველი წყაროების სათაურები სქოლიოთი მაინც არ აღვნიშნე“.

აქ მოყვანილი ყველა ფაქტი სწორია, მხოლოდ თარიღები და რამდენიმე დეტალი დასაზუსტებელი. „ძირწოდე კავკასია“ რომ ნ. ბარათაშვილის ლექსია, ეს ამჟამად სასვებით დადასტურებულია და მასზე აღარ შევჩერდებით. რაც შეეხება მეორე ლექსს — „ვლოკავ დღეს ჩემის გაჩენის“, ის დაბეჭდილია არა 1887 წლის, არამედ 1888 წლის „თეატრის“ № 30-ში (გვ. 337) და რედაქციის ისეთი შენიშვნა ახლავს: „ეს ლექსი დაწერილია თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან კნ. მართა ერისთავის თასზედ და ჯერ არასდ დაბეჭდილა. ჩვენ დიდს მადლობას ვუცხადებთ კნ. ნინო ორბელიანისას და ვისურვებთ, რომ სხვებმაც მიჰბაძონ პატივცემული კენიანს და ყველა ამისთავს ძეგლ, დაუბეჭდავი ლექსები ჩვენ წარჩინებულ მწერალთა ვახაოლან მკითხველ საზოგადოებათა საკუთრებად, რითაც ისინი დიდს სამსახურს გაუწევენ ჩვენს მწერლობას და მომავალ შთამომავლობას“.

ეს ფაქტი დადასტურებს იმას, რომ ზ. ჰიჭინაძეს შემთხვევით არ შეუტანია ზემოდასახელებულ ორი ლექსი ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულში.

პოეტის უღროო გარდაცვალებით შეწყუხებული ჩვენი მოწინავე საზოგადოება მაშინვე შეუდგან. ბარათაშვილის ლექსების გამოცემისათვის ზრუნავს და ძეგლის აგებასაც. ამისათვის ზრუნვა ჯერ კიდევ 1847 წელს დაუწყებიათ. 1884 წელს გაზ. „დროებაში“ უკვე იყო გამოქვეყნებული ამის დამადასტურებელი ცნობა. იგივე ცნობა 1893 წლის „ივერიაში“ (№ 130) განმეორებით გამოაქვეყნა ნ. ი. ალექსი-მესხიშვილმა, რომელიც წერს: „მაშაჩემის იაკინთე დიმიტრის-მე ალექსი-მესხიშვილის ქალღმებრივით ეს გათვე „1847 წელსა იეტომბრის 23 დღესა მე, ქვემოთ ამისა ხელის მომწერმან, მივიღე იაკინთე დიმიტრის-ძის ალექსი-მესხიშვილისაგან ოცდაათი თუმანი თეთრი ფული შეწვენილი სხვადასხვა გვამთავან გარდაცვალებულის ნიკოლოზ მელიქონის-ძის ბარათაშვილის პამიატნიკის აღსამუწებლათ. პოდპოლოტენიკი მაკარი ჯამბაკურიან-ორბელიანი“.

ეს ხელწერილი, რომელიც 1847 წლით არის დათარიღებული, სასვებით დადასტურებს იმ გარემოებას, რომ ზაქ. ჰიჭინაძე საბუთს ეყრდნობოდა, როცა პოეტისათვის ძეგლის დადგმა შესახებ სწერდა. ამ ხელწერილთან ერთად ნ. ალექსი-მესხიშვილმა გამოაქვეყნა ალექსანდრე ონიკაშვილის პირადი წერილი ალექსანდრე თუმანიშვილისადმი. წერილი დაწერილია რუსულად და. სამწუხაროდ, უთარღობა, მაგრამ, ჩვენი აზრით, იმავე წელს უნდა ეკუთვნოდეს, როცა ორბელიანის ხელწერილია გაცემული. იგი ეხება უკვე მოგროვილი 460 მანეთის იაკინთე დიმიტრის-მე ალექსი-მესხიშვილისათვის გადაცემის საქმეს.

ალ. თუმანიშვილის ეს წერილი გაუგზავნია ი. ალექსი-მესხიშვილისათვის და მის ერთ გვერდზე მიუწერია: „იაკინთე, ალექსანდრე ონიკოვის მმართველს მე ოცდაერთი თუმანი და იმას მოუწერია ჩემთან ეს წიგნი და გამოუგზავნია ოცდახუთი თუმანი, რომელსაც ამასთანავე გავგზავნი. დანარჩენს ფულს მოგართმე 1 სეტკემბერს, так как время терпит ამ წიგნის ძალი“.

მ. ორბელიანის ზემომოყვანილი ხელწერილისა და ა. ონიკაშვილის პირადი წერილის „ივერიაში“ დაბეჭდვა 1893 წელს დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან გადმოსვენებასთან. ქართული პრესა ფართოდ უთმობდა ადგილს ყოველ ცნობას, რომელიც პოეტის ცხოვრებას ეხებოდა. თვითონ დოკუმენტების გამოქვეყნებელი ნ. ალექსი-მესხიშვილის ბარათის პირი გავუგზავნე „დროებას“ რედაქტორს ი. გ. მაიახელს. ვგონებ, მაშინ დაიბეჭდა. მაინცდამაინც დაბეჭდილი რომ ყოფილიყო, არ იქნება ურიგო ხელახლა დაიბეჭდოს, როგორც არის ხელწერილი მამუკა ორბელიანისა, ეგრეთვე ონიკაშვილის და თუმანიშვილის წერილებიც“.



ამრიგად, ზ. ჭიჭინაძის ცნობით და ნ. ალექსი-მესხიშვილის მიერ გამოქვეყნებული წერილებით შემდეგი ფაქტები დასტურდება: 1. ნ. ბარათაშვილის ლექსი მართა ერისთავის თასზედ („გლოცავ დღეს ჩემის გაჩენის...“) პირველად დაიბეჭდა „თეატრის“ 1886 წლის № 30-ში. რედაქციის ლექსი წარდგენილი იყო პოეტი ქალი ნინო ორბელიანის მიერ. ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულში პირველად ის შეიტანა ზაქ. ჭიჭინაძემ (1890 წ.). მისი გამოცემიდან ლექსი სხვა გამოცემებშიც შექონდათ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კრებულში, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აღნიშნავს რა საფუძველით მიანდათ ეს ნაწარმოები ბარათაშვილისეულად (ამის მიზეზი ის იყო, რომ თვითონ ზ. ჭიჭინაძემ არ ჰქონდა წყარო მითითებული). 2. სწორია ზ. ჭიჭინაძის ცნობა, რომ ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილს გადაწყვეტილი ჰქონია პოეტის გარდაცვალების პირველსავე წლებში დაედგათ ძეგლი მისთვის. ამ მიზნით ფულის შეგროვებაც დაუწყიათ 1847 წელს (ზ. ჭიჭინაძე შეცდომით 1849 წელს აღნიშნავს). 3. ნ. ალექსი-მესხიშვილის მიერ მამის არქივში შენახული და გამოქვეყნებული ალ. ონიკაშვილის პირადი წერილით, რომლის ადრესატია ალ. თუმანიშვილი, მოტივდება, რომ დაახლოებით იმავე დროს ქართველ საზოგადოებას განუზრახავს უდროოდ გარდაცვლილი ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულის გამოცემა და ამ მიზნითაც შეუგროვებიათ ფული. სამწუხაროდ, არც ერთი ეს განზრახვა არ განხორციელებულა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამის მიზეზი შეგროვებული თანხის სიმცირე უფრო იყო. ეჭვი არ უნდა გვებარებოდეს იმაშიც, რომ შეგროვებული ფული, რაკი მისი გამოყენება ნ. ბარათაშვილის ძეგლის ასაგებად და ლექსთა კრებულის გამოცემისათვის აღარ მოხერხდა, გადაეცა მელიტონ ბარათაშვილის ოჯახს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ლ. მელიტონი პოეტის ბიძას გრიგოლ ორბელიანს სწერდა: 14 იანვარს (წერილი დათარიღებულია 1846 წლის 19 იანვრით) რამდენიმე ქართულმა მოციყარეთ თავი რევაზ ანდრონიკაშვილთან სადილზე. ყაფლანს (ორბელიანს) ვთხოვეთ ემღერა „სულთ ბოროტო“. რადგან ლექსი არც მან, არც ჩვენ არ ვიცოდით ზეპირად, ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენი ხარჯით გამოგვეცა

დასასრულ, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ზ. ჭიჭინაძის ცნობები, რომელთაც ის იძლევა ქართულ მწერლობასა და ქართველ მწერლებზე (ყერძოდ, ნ. ბარათაშვილზე), უაღრესად ანგარიშგასაწეველია და უმრავლეს შემთხვევაში სანდოა. საკმარისია გავისხენოთ ბესიკის საფლავის ქვაზე გაკეთებული წარწერა, რომელიც პირველად ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა და ბოლო დრომდე მის ქუშიშვიტებში ეჭვი შეჰქონდათ. რუმინეთში ბედნიერი შემთხვევის გამო ნახულმა ბესიკის საფლავის ქვამ საცნობიო დაადასტურა ზ. ჭიჭინაძის ცნობის სისწორე. ეს პატარა შენიშვნაც იმაზე მიუთითებს, რომ ცნობილი ქართველი მწიგნობრის საფლავისებო ცნობები ნ. ბარათაშვილზე ნამდვილ ფაქტებს ემყარება.



თუ მ. ორბელიანის ხელწერილი და ალ. ონიკაშვილისა და ლ. მელიტონის წერილები ფულის მოგროვების ერთსა და იმავე ფაქტს ეხება, მაშინ გასაკრევეია, რით არის გამოწვეული მათ შორის წინააღმდეგობა. ლ. მელიტონი აღსატურებს, რომ 1846 წლის 19 იანვრისათვის უკვე იყო შეგროვებული 100 მან. ამ თანხით უნდოდათ გამოეცათ პოეტის ლექსთა კრებული. შემოსული ფულით ძეგლი უნდა დაედგათ ნ. ბარათაშვილისათვის, ხოლო თუ რაიმე გადარჩებოდა — პოეტის მშობლებისათვის გადაეცათ. მ. ორბელიანის ხელწერილი კი (1847 წ.) მარტო ძეგლის აგებას შეეხება, ხოლო ა. ონიკაშვილის წერილი მარტო პოეტის თხზულებათა გამოცემას. თანაც ამ უკანასკნელ საბუთებში დასახელებული თანხა ერთად არ აღემატება 760 მანეთს.

აქ ორი რამ არის დასაშვებ: ან ლ. მელიტონის წერილში თქმული „пожертвовано“ სხვადასხვა პირთა მხოლოდ თანხმობას ნიშნავს ფულის შეწირვაზე და ნაღდად ის არ ჰქონდათ შეტანილი, რამაც მეორე-მესამე წელსაც გასტანა და თანდათანობით გროვდებოდა იაკინთე ელესო-მესხიშვილთან (ნ. ბარათაშვილს ნათესავად მოხვდებოდა), ან პოეტის ბატონისმცემელთა ორი ჯგუფი მოქმედებდა.

ჩვენ პირველი შესაძლებლობა უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია.







## წმინდა გიორგი

### ცეკვავი განსვლილი შექსპირი

საბალეტო ხელოვნების პირველი კლასიკოსი ნოვერი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ცდილობდა შეექმნა შექსპირული სიღრმისა და მასშტაბის სპექტაკლი; ეწადა ცეკვა გამოყენებინა აღამიანის შინაგანი ცხოვრების გამოსახატავად. მას არ დაუდგამს შექსპირის არც ერთი ნაწარმოები; მიუხედავად ამისა რიჩარდ III-ისა და ჰამლეტის გენიალურმა შემსრულებელმა დავიდ გარიკმა ნოვერს „ცეკვის შექსპირი“ უწოდა.

ნოვერი შესძრა თანამედროვე ინგლისელი და ფრანგი ტრაგიკოსების სტენიურმა შემოქმედებამ. გარიკის თამაშის ფსიქოლოგიურმა სიღრმემ, მისი გამომსახველობამ ნოვერი მიიყვანა პანტომიმის ყოვლისშემძლეობის აღიარებამდე. ამის შემდეგ იწყება მისი ძიებანი დრამატული ცეკვის შექმნის სფეროში. დღემდე ჩვენ არ ვიცით, რაოდენ სრულყოფილად შესძლო მან თავისი მიზნების განხორციელება საბალეტო სპექტაკლში, სამაგიეროდ დასტოვა კლასიკური წიგნი „წერილები ცეკვაზე“.

იტალიაში კი 1818 წელს სალვატორე ვიგანო როსინის მუსიკაზე დგამს შექსპირის „ოტელოს“. სტენდალი აღტაცებაში მოსულა ამ დადგმით. იგი ხედავს ცეკვის იმ იდეალს, რომელსაც საუკუნის მანძილზე ეძიებდნენ ბალეტის ყველაზე დიდი მოღვაწენი. თავის შთაბეჭდილებებში „რომი, ნეაპოლი, ფლორენცია“ სტენდალი ვიგანოს „დიად მუნჯ პოეტს“ უწოდებს, ხოლო წიგნში „როსინის ცხოვრება“ ფრიად საინტერესო დეტალებს გადმოგვცემს.

სტენდალი აღიარებს როსინის მუსიკისა და ვიგანოს ბალეტის სტილთა თავისებურებებს. როსინის მუსიკის უპირველესი ღირსება — სტენდალის თქმით — განსაკუთრებული ცეცხლოვნება; ეს არის ვულკანი, მაგრამ ძალა მისი თანაბარია, არ არის მასში შეუჩრდილები, გადასვლები სინაზიდან სიკუშტზე, სიმკაცრიდან თავშესაქცევზე. ვიგანომ მეტი გენიალობა გამოიჩინა



ფიცის სცენა შესამე მოქმედებიდან.

თავის ბალეტში, რომელიც თამამად დაიწყო ცეკვა „ფორლანით“. მეორე მოქმედებაში მან ძალზე გონებასახვილურად შეიტანა მოზრდილი სცენა „ფაქიზ კეთილშობილ სტილში“. ეს არის სცენა ღამის ღვინისა, რომელსაც ოტელი თავის ბაღში მართავს. აქ იწყება მისი ეკვიპანობა. ბალეტის ბოლომდე — დასძენს სტენდალი — მე არ მიგრძენია მოყვრება საშინელი ან მძლავრი ძალისა.

ცხადია, ძნელია აქედან კაცმა რაიმე სურათი აღადგინოს ბალეტისა. ერთი კი ნათელია: სტენდალი ამ ბალეტში ხედავს უფრო მეტ მრავალფეროვნებას და მრავალმხრივობას, ვიდრე როსინის მუსიკაში. ვიგანოს შეუქმნია ერთგვარი საცეკვაო შესავალი „ფორლანო“ (დასაწყისში მზიარული, ცოცხალი ცეკვა, რომლის მეორე ნაწილი აღსავსეა მეღანქოლით), რომელშიც, ალბათ, სურდა გადმოეცა ვენეზია და განწყობილებათა ცვალებადობა.

ბალეტის პირველი კლასიკოსებიდან მოყოლებული მსოფლიოს საუკეთესო მოცეკვავეების სურვილი იყო, გაეხსნათ შექსპირის ღრმა ხასიათები, გადმოეცათ მისი ტიტანური ძალა, სახეების მრავალმხრივობა და ფსიქოლოგიური სიღრმე. არსებობდა რაღაც შინაგანი ლტოლვა შექსპირისაკენ, რომლის ცეკვაში განცდა იქნე-



ბოდა საბალეტო ხელოვნების მაღალი, ახალი საფეხური. და ჩვენ ახლა შეგვიძლია თამამად წარვსდგეთ მსოფლიო საბალეტო შექსპირიანაზე ვ. ჰაბუკიანის მიერ დადგმული „ოტელიო“.

ვ. ჰაბუკიანის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული მრავალი შემოქმედებითი სიახლე საბჭოთა ბალეტში. ჩვენი დროის დიდი მსახიობი გ. ულანოვა წერდა ამ რამდენიმე წლის წინ: „ჩვენ გვაქვს რიგი სპექტაკლებისა, რომლებიც, უშუალოდ, წარმოადგენენ საბჭოთა ბალეტის გარდამავალ ეტაპებს. პირველ რიგში ეს, რასაკვირველია, „მთების გულია“, სპექტაკლი, რომელიც ყოველი მხრივ, შინაარსითაც, მისი გამომსახველი ფორმითაც ცეკვაში, წარმოადგენს ასეთ ეტაპს“.

როცა ჩაქრნენ საბალეტო ხელოვნების დიდი ჩირაღდნები, ბალეტი დაადგა წმინდა ტექნიკური საცეკვაო ელემენტების სრულყოფის გზას. მამაკაცის როლი თანდათან ღაეცა და, ერთი გაგვიცვლილი შენიშვნის თანახმად, „იგი დაეშვაგესა კატაპულტს, რომელსაც ევალება მოცეკვავე ქალის ზე ატყორცნა და ფრენისას მისი დაპერა“.

შემდგომ ეპოქებში ბალეტმეისტრები ცდობდნენ მოცეკვავე მამაკაცისათვის მიენიჭებინათ ქმედითი და მნიშვნელოვანი როლი, მაგრამ მაინც ყველაფერი დამოკიდებული იყო თავით მსახიობის პირად თვისებებსა და მონაცემებზე. თავის დროზე არ ჰყოლიათ შესაფერი პარტნიორები მარია ტალონის, კარლოტა გრიზს, ანა პავლოვას. ახლაც ძალიან ძნელია დადგე ულანოვას გვერდით, რომლის შემოქმედება ნიმუშია ფილოსოფიური განზოგადოებისა და პოეტური სიფაქიზისა, თუ შენს არსებაში არ ატარებ ასეთსავე მნიშვნელოვან, შესაძლოა სხვა, მონაცემებს. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ძნელია გამოინახოს ისეთი სხვა მეორე მოცეკვავე მამაკაცი, რომელიც თავისი პირადი ღირსებებით — ტემპერამენტით, ცეკვის მამაკაცური საწყისით, შემოქმედების გმირული სულით ედრებოდეს ვახტანგ ჰაბუკიანს.

„მთების გულში“, „სინათლეში“, „გორდაში“ ვ. ჰაბუკიანი პოულობს თავის თავს, როგორც შემოქმედი გმირული სპექტაკლებისა. გმირის ვაჟკაცური შემართების, მისი ამაღლებული სულის გადმოცემა იყო მთავარი შემოქმედების ამ ეტაპზე. და არა მარტო მამაკაცის როლის გაზრდა. ბალეტში დამკვიდრდა მამაკაცური საწყისი, მისი ჟინი, მცხუნვარე



„მაკრიტანული ცეკვა“ მეორე მოქმედებიდან.



რე ვენბა. იგი ამ სპექტაკლებში გამოდის, როგორც განმგებელი, შემოქმედი, წარმმართველი ძალა. ეს ისტორიული სიახლე, ახალი ეტაპი ბალეტში ემყარებოდა კლასიკური საბალეტო ხელოვნებისა და ხალხური საცეკვაო ფოლკლორის თამამ შერწყმას. ამასთან არც ერთი მთავანი არ დარჩა სპექტაკლში წმინდა სახით. ხალხური ცეკვა ბალეტში შევიდა არა როგორც ეთნოგრაფიული ნიშანი, არამედ სახეცვლილი, გამდიდრებული კლასიკური ელემენტით, ხოლო თავის მხრივ მოხდა კლასიკური ნახანის გაბედული ტრანსფორმირება. ყოველივე ამას ვახსენებ უპატივით უმორჩილებდა აზრისა და სულიერი ცხოვრების გამოხატვის ამოცანას.

ეს წერილი არ ეკუთვნის ბალეტის სპეციალისტს. ერთი ძველი რომაელის გამოთქმისა არ იყოს: „სწავლულებმა იციან პრინციპები ხელოვნებისა, ვალწურთნელნი კი განიცდიან მას“. ამიტომ სწორედ უშუალო განცდაზე (რომელიც ხშირად სუბიექტურია), შთაბეჭდილებაზე იქნება ავტენტული ზოგიერთი აზრი. საბალეტო ხელოვნება უადრესად პირობითია, მცხი აღქმა მრავალი პირადი თვისებით არის განპირობებული და ამიტომ ამომწურავი ახსნა ასეთი ნაწარმოებისა რაციონალისტურად ძალზე ძნელდება.

უპირველესად ეს არის მთლიანი სპექტაკლი, სადაც ქორეოგრაფია, მხატვრობა, მუსიკა ემსახურება ერთ ძირითად ამოცანას: გადმოცემული იქნას შექსპირის გმირების სამყარო, მათი ემოციები, ვნებათა დიდი ჭიდილი, გრძობათა ქარტეხილი. ამავე დროს ეს არის ნამდვილი ქართული, ეროვნული ნაწარმოები, მაგრამ ნაციონალური ნიშნები საგანგებოდ კი არ არიან შეტანილი მასში, არამედ თვით შემოქმედთა შინაგანი ბუნებაა ეს და იმიტომ ასე ორგანულია ამ სპექტაკლი.

პირველი სურათი. შავი ხავერდით შემოსილი სცენა...

შექსპირის თეატრ „გლობუსში“ ფერებს სიმბოლიური მნიშვნელობა ენიჭებოდათ: შავი ფერი გამოხატავდა მწუხარებას და ტრაგიკულობას, თეთრი — გულბრყვილობას, სიწმინდეს...

აქ კი ს. ვირსალაძე, როცა ოტელოს და დედემონას პირველი უღრებლო წუთებია, იძლევა შავ ფონს, მაგრამ ეს სიმბოლური ნაწინააღმდეგობა არაა. ამ შავი ფერით ს. ვირსალაძე აღწევს, როგორც, სცენური სივრცის გაფართოებას. ეს ფონი ღრმია და უსასრულობის შთაბეჭდილებას ქმნის. და როცა გამოანათებს დედემონა (ვერა წინააღმდეგ), თეთრ სამოსელში მორთული, ჰეაროვანი, მაშინვე გრძობით თუ რა სიმსუბუქე, გამჭვირვალეობა და რელიეფურობა მიანიჭა მხატვარმა გმირს ამ ფონის შექმნით. როგორც არილი, ლოგვრინის გედი, ისე მოსტურავს დედემონა

შავ ფონზე: მუსიკაში ისახება დედემონის თემა, ამაღლებული, ნაზი და პოეტური, პასტორალიური ელფერისა. ოტელოსა და დედემონას პირველი შეხვედრა აღსავსაა სულიერი კდემომოსილებით, მათი ცეკვა, ვარსკვლავებით მოვლვარე ცის ქვეშ, აგებული რბილ ტონებზე, ლირიულ დუეტზე, არის პირველი თრთოლვა მათი შინაგანი, უსაზღვრო სიყვარულისა და ახლა გრძობით, რაოდენ ღრმია მხატვრის ჩანაფიქრი, უსასრულობის შთაბეჭდილებას რომ იძლევა. დედემონას და ოტელოს სული შვერწყა ურთიერთს და, ოცნებით აღტაცებულნი, ისინი თითქოს მოსწყდნენ მიწას და გააყვინენ ამ ოცნებას მიღლა. ეს ფართო აღქმა სამყაროს რენესანსული სულის გამოვლინებაა, ეს არის შექსპირის თვლით დანახული სამყარო. პირველ სცენებშივე ვიგრძენით, თუ რა ჰარმონიაა დამყარებული მხატვრობას, მუსიკასა და შემსრულებლებს შორის.

თავისუფლება და სილაღე ყოველი სცენის გაფორმებაში. საერთოდ ტრაგედიის პირველ ნაწილში ხაზგასმულია ოტელოსა და დედემონას თავისუფლება:

„და ეს იცოდე, შენც, იაგო, რომ ჩემს ცხოვრებას, ცის ფრინველივით თავისუფალს, არ შეეხუთავადი. ხელშეწყობაც რომ მოენიჭათ ოკეანეზედ“.


ეს თავისუფალი სივრცე ჩვენს წინაშე იშლება მას შემდეგ, როცა ნელა იწევა ფარდა. ეს შავი ფარდაც ეხამება გარემოს, ვინაიდან იგი იმიტაცია როდია ნამდვილი ფარდისა, არც ნახაზში, არც შევულებში. შავ ფარდაზე ენერგიული, ძლიერი მონასმებია თეთრ ფერში. ეს მოულოდნელი კონტრასტი ელვასავით ანათებს ფონს და მხატვრის მღელვარებას, მის მშფოთვარე ბუნებას ამხელს. მთელი სპექტაკლი გაფორმებულია ორ-სამ ფერში, არც ერთი ზედმეტი აქსესუარი — რენესანსული ვენეციის აღმშენებელი, მხოლოდ ლომის სილუეტი ფარდაზე. ეს კეთილშობილური სიმკაცრე, ამაღლებულობა, პოეტურობა მრავალმხრივ განსაზღვრავს კიდევ სპექტაკლის სტილს და უადრესად შეესატყვისება ამ ტრაგედიის კონცეფციას. შავ ფონზე სავამრისაა გამოჩნდეს გმირი და მისი კოსტუმი უკვე აელვარდება, თითქოს უხილავმა ელვამ ხავერდზე რაღაც ფერი წაუსვა. გგონიათ: სცენაზე გამოდის არა პერსონაჟი, არამედ ფერი. ერთ ფერს ემატება მეორე, მესამე, ჩნდება მრავალი კოსტუმი (ამდენად მრავალი ფერი) და არასოდეს არ ირღვევა ფერთა შეხამება. იქნება დახვეწილი ფერადონება, სადაც ყოველი ფერი თამაშობს თავის როლს. კოლორიტის ეს სრული შეგრძნება აძლევს ფერწერლობის იერს სცენებს. თავბრულამხვევე, მასობრივი ცეკვების



დროსაც კი, როცა მოცეკვავენი სწრაფად იცვლიან ადგილს, არ ირღვევა ერთიანობა გამშისა. მთავარ გმირთა კოსტუმები კი ძალზე ძუნწადაა შესრულებული. ესაა თავისებური აქცენტები. ყურადღება კონცენტრირებული უნდა იყოს მათზე. აქაც ისევე, როგორც სპექტაკლის გაფორმებაში, ორი-სამი ფერია გამოყენებული.

ცხადია, ოტელოს ამალელებული ბუნების, პოეტური სულის ტრაგედიის გადმოცემა შეუძლებელი იყო მხოლოდ ცეკვით, რაოდენ სრულყოფილიც არ უნდა ყოფილიყო იგი. ამ დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პანტომიმას, რომელიც უმთავრესად გამოხატავს გმირის სულიერ მდგომარეობას. ვახტანგ ჭაბუკიანის სახე, თვალები, ხელები უაღრესი გამოხასიახვლობით ხასიათდებიან. მაგრამ ჭაბუკიანის პანტომიმა განსხვავდება დრამატული მსახიობის პანტომიმისაგან. იგი უპირველესად მ დ ე რ ა დ ი ა, იგი არის ეჭო მუსიკისა და ფიჭრისა, ზუსტად ეთანხმება მუსიკალურ რიტმს. აქედან ბუნებრივი ვაგრძელება ცეკვისა. ამიტომაც, რომ ამ სპექტაკლში მიღწეულია საოკარი სინთეზი მიმისა (რომელიც თავისი არსებით რელისტურია) და ცეკვისა (რომელიც თავისი არსებით პირობითია). ეს სხვა სპექტაკლებშიც იყო შესამჩნევი, მაგრამ ახლა უფრო მაღალ ხარისხშია აყვანილი.

პანტომიმა გამოხატავს იმას, რაც ამ წუთში ხდება, ან რასაც ამ წუთში განიცდის გმირი. ამიტომ დროის მხრივ იგი ძალზე განსაზღვრულია. უაღრესად ძნელია წარსული ამბის გადმოცემა. ძველ რომში, ავგუსტების ეპოქაში არსებობდა მიმისტო სკოლა, ე. წ. „სალტაცია“. აქედან გამოსული მსახიობი დაუფლებული იყო წარსულისა და მომავლის გამოსახატავს. რომელი მაყურებელი მას ჩინებულად უგებდა, ვინაიდან ტრადიციული იყო ეს შესტი და ბავშვობიდანვე შესისლხორცებული.



სცენა პირველი მოქმედებიდან

ახლა ასეთი რომ წარმოუდგენელია. ამიტომ „გამოვლილ ჭირთა“ თხრობა სენატში ჭაბუკიანმა მოქმედებაში გადაიტანა. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ემშვიდობება მომავლადი დედა პატარა მავრს და ყელზე უკეთებს ცხვირსახოცს, თუ როგორ იბრძვის მტრებთან ოტელო, როგორ ატყვევებენ მას...

სპექტაკლში ორი ემოციური მწვერვალია: ერთი სრული, აბსოლუტური ბედნიერებისა და მეორე უკიდურესი მწუხარებისა, გახლებული უბედურებისა. ბედნიერებით გაიცისკოვებული ცხოვრება ოტელოსი და დეზდემონასი ნაჩვენებია პირველ სურათში. დეზდემონა იჩიქებს ღვთისმშობლის გამოსახულების წინ და დაიფიცებს, რომ არასო-



დეს უღალატებს ოტელოს. ამ წუთებში ოტელოს სიყვარული უკიდურეს საზღვარს აღწევს, იგი თითქოს ჰკარგავს წონასწორობას... ნუთუ ადამიანი შეიძლება ეზიაროს ესოდენ სიყვარულს! ეს არის ატაცებული კაცის საბედისწერო სიყვარული, რომელიც ქატიატროფით უნდა დამთავრდეს. მაღალი პოეტური განწყობილება კიდევ უფრო სრულყოფილსა და დახვეწილ განვითარებას პოულობს კურთხევის სცენაში... ქაიო-შეგლები ვარდებით ჰფენენ გზას, მუსიკაში ჩნდება ახალი თემა—ისევე გამჭვირვალე, ოღონდ ოღონდ სევდიანი. ამას ისევ ერთვს, ვარია-ციაში, დეზდემონას პირველი თემა. დეზდემონა ცეკვავს და მას მოჰყვება ოტელო, ხელები რკალად შემოუხვევია მისთვის, ისე რომ არ ეხება. თითქოს ფრთხილობს, სუსტმა ნიაგმაც არ შეარჩიოს მისი სატრფო. წმინდა, ღვთაებრივი სიყვარული ოტელოსი აქ სრულად არის გამოვლენილი, ეს სულაერი ზეიმი კულმინაციას აღწევს მეორე მოქმედების ჩართულ სცენაში, ქორწილში.

ოტელოს ლეიტმოტივი ვითარდება ტეხილ ინტონაციაში, დიდი ინტერვალებით, იგონებობა მშფოთვარე, მოუსვენარი ბუნება, რაღაც ბუნდოვანი წუხილი. ეს ლეიტმოტივი განიცდის მრავალ ცვლილებას, ბედნიერების წუთებში იგი ნათელია და მშვიდი. ქორწილში, მავრიტანული ცეკვის დროს, იგი ხდება საზეიმო, ამაღლებული. როცა ოტელო დაინახავს, რომ მავრიტანული ქალები ცეკვავენ მშობლიურს, იგი, ამ უმაღლესი ნეტარების ეპოს, საოცარი, ბავშვური დიმილით სახეზე, იწყებს ცეკვას როგორღაც მირცხვად. ამ უბრალო, ერთფეროვან, მხოლოდ რიტმზე აგებულ ცეკვაში აღტაცებული უმანკო სული ზეიმობს. იგი მადლობას უხდის თავის ღმერთებს, რომ ასეთი დიდი სიყვარული განაძლევდნენ. ბრწყინვალედ არის გაგებული სტრიქონები:

ეხლა რომ მოვკვდე, ჩემს სასურველ ბედს შევეკრები;

რადგან ჩემს სულსა, ეხლა სავესს ნეტარებითა, ვგონებ უცნობი ბედის-წერა აღარ არაგუნებს ესეთს უზომო სიტკბობას.

ოტელო სწყვეტს ცეკვას და აღტაცებული ეალერსება დეზდემონას ხელს...

ეხლა ჩვენთვის ნათელი ხდება თუ რა მიმემ, აუტანელი იქნება მის არსებაში „მწვანე თვალა სახარელი ქმნილების“ გაღვივება... ამ სექტაჯლის უმთავრესი ღირსება ისაა, რომ აქ გადმოცემულია არა მარტო წმინდა, ამაღლებული ოტელოსა და სულმდაბალი იაგოს ბრძოლა, არამედ თვით ოტელოს შინაგან სამყაროში წარმოებული ტიტანური ბრძოლა. ამაღლებულისა და მდაბლის ბრძოლა ვახტანგ ჰაბუციანის ცეკვას, მის პანტომიმს აძლევს ახალ თვისებას: ძალასა და

ენერგიასთან ერთად, მის გამოხედვაში უსახლეო სევდა ისაფურებს.

ტლანქი, უხეში გრძნობა ეკვისა თანდათან იღვიძებს მასში. ამ ქვენა-ინსტიქტების მატარებელი იაგოს მუსიკალური ლეიტმოტივი ხასიათდება წყვეტილ, კუთხოვანი განვითარებით. მელოდია მოულოდნელად წყდება და რიტმულად ნაწვევდება. მომდევნო სიტუაციებში ეს ლეიტმოტივი ღებულობს მარშისებურ იერს. ზურაბ კიკელიძის მიერ ბრწყინვალე პარტნიორია ვ. ჰაბუციანისა; ცინიზმი, სარკასტული ბუნება საუკეთესოდ არის გადმოცემული კასიოსთან ცეკვაში, როცა იგი ცნებრსახოცს უფრიალებს თავზარდაცემულ ოტელოს. ამ ცნებრსახოცის ფრიალში თითქოს მიისმის იაგოს ხარხარი... ჯერ სუსტი ალი ეკვისა არ გაღვივებულა...

მესამე მოქმედება, უნაპირო სიგრცე. კვლავ ბუნების უსაზღვროებისა და სილალის შეგრძნობა... მაღალ ანაბზე ფრიალებს დროშა, ეტყობა ზღვიდან უბერავს ქარი...

პირველი შეცხადება ოტელოსი თითქოს დაეხრა, მაგრამ ეკვი იზრდება და ებრძვის მის სიწმინდეს. ვ. ჰაბუციანი გადის სცენის სიღრმეში, შემობრუნდება, სახე შეცვლილი აქვს. წამით შეჩერდება. უცებ, ხელბავშვილი, თეთრი მოსახამის ფრიალით, გროგალივით მოჰქრის დაბაზისაკენ. ყოველ წამს ახლოვდება, უფრო და უფრო იზრდება მისი ნაკეთები, სახე, თვალები... არ შეიძლება უნებურად ამ დროს შინაგანად არ შეიჩხეთ და უკან არ დაიხიოთ. ოტელო საბოლოოდ ირწმუნებს დეზდემონას ღალატს. გაღმწვდა: უნდა მოკვდეს დეზდემონა. ფიცის სცენა დადგმულია ძალზე ექსტრემულად, ოტელოს მუსიკალური თემა უკიდურეს დაძაბულობას აღწევს, სცენის მივლ სივანზე გრიგალივით დადრწის იგი, გახელებული იტაცებს თან იაგოს და ზეცის ძალების წინაშე ფიცს დებს (მაგრამ მთავარ ცეკვას სძინავს ჰაბუციანის სულში). როცა ამოდის ბნელი შურისძიება, ოტელო ნელა იწყებს წაღმა-უჭულმა სიარულს, მუსიკის რიტმი მძაფრდება, ვ. ჰაბუციანი-ოტელო აწყდება კედლებს, მას არ ჰყოფნის სიგრცე, ყველაფერმა დაკარგა პროპორციები, ერთმანეთს „აეშალა ცა და ქვეყანა“, ვ. ჰაბუციანი იგლოვს თეთრ მოსახამს, მიი სწული სულის საყნად ქეულა, იწყებს თავდავიწყებით ცეკვას. ეს არის განაწამები სულის ცივილი. მთელი სცენის მოედანზე უგლის ჰაბუციანი წრებს და ბოლოს ერთ ადგილზე იწყებს ბრწყინვალე ელევაციას — მაღალი ბრუნვით ნახტომებს, თითქოს სურს ავიდეს მაღლა, სულ მაღლა და აღარ დაბრუნდეს ცოდვით მიწაზე. აღელვებულ ზღვაში ხშირად უნახავთ, როგორ აქრილა მძლავრი სვეტი ჰაერში. ეს სვეტი ბრუნავს, ადის მაღლა და მაღლა, თითქოს აღარასოდეს დაეშავებო, და უცებ ეცემა ზღვის ზედაპირზე, შემდეგ უხილავი ძალები კვლავ

ასტყორცნიან ჰაერში ახალ გიგანტურ სვეტს...  
 აი ასეთი შეღარება ებადება კაცს, როცა ამ  
 წუთებში უყურებს ჰაბუკიანის ცეკვას... ცნობ-  
 ბამიხილი ოტელო ეცემა ძირს... ნელ-ნელა  
 ეშვება დაბლა, ცხრება მისი მელლოდიც, ჩნდება  
 იაგოს თემა... და მართლაც, შემოდის იაგო,  
 წეგბა ძირს და მოხობავს ოტელოსაკენ. შექსპი-  
 რის ცნობილი მკვლევარი ე. დაუდენი შენიშ-  
 ნავს, რომ თუ კი აღამიანის სულს რაიმე კავ-  
 შირი აქვს ცხოველებთან, მაშინ ოტელო ენა-  
 თესავება მისი ქვეყნის უდაბნოს ლომს და  
 იაგო კი შეუქმნია იმ ძალას, რაც იმალება გვე-  
 ლის გამოხედვაში...

... შემდეგ წამოიმართება იაგო, გულზე დაად-  
 გამს ფეხს ოტელოს და ყორანივით გადაედარე-  
 ბა მას. მარჯანიშვილის ცნობილი მიზანსცენაა,  
 მაგრამ იმდენად ზის ეს სცენის რიტმში და გან-  
 წყობილებაში, რომ ეს შემოქმედებითი დასეს-  
 ხება გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. ეს  
 არის სპექტაკლის მეორე ემოციური მწვერვალი.

ამ როლში ე. ჰაბუკიანს ისეთი ბრწყინვალე  
 გამოხატებები აქვს, რომ უნებურად მოგაგონდე-  
 ბათ კოლრიჯის სიტყვები: „ნახო კინი ოტელოს  
 როლში, ეს იმას ნიშნავს, რომ იკითხო შექსპირი  
 ელვის შუქზე“.

მრავალ მკვლევარს შენიშნული აქვს, თუ რა  
 როლს თამაშობს შექსპირის შემოქმედებაში მუ-

სკია. ოტო ლუდვიგი შექსპირის პიესების სტრუქ-  
 ტურას ხსნის მუსიკის მეშვეობით. შექსპირის  
 კონტრასტულობა ხასიათებში და სიტუაციებში  
 მას ესმის წმინდა სიმფონიურ პლანში. სწორედ  
 ეს სიმფონიზმი ვნებებისა არის გადმოცემული  
 ამ სპექტაკლში. შექსპირის კონტრასტულობა  
 გადმოცემულია ბიანკასა და კასიოს სცენებში,  
 რომლებიც ენაცვლებიან ოტელოსა და დეზდე-  
 მონას სცენებს (თუმცა, იქნებ არ იყოს  
 საჭირო ყველა სიუჟეტური ხაზის დაცვა და  
 სპექტაკლის გადატვირთვა). მაგრამ განსაკუთრე-  
 ბით ბრწყინვალე კონტრასტულობაა მეოთხე მო-  
 ქმედების დასაწყისში. მესამე მოქმედება დას-  
 რულდა ოტელოს ღრმა სულიერი მშფოთარე-  
 ბით და დებრესიით. იხსნება ფარდა, შავი ხავერ-  
 დის ტანსაცმელში მორთული ქალები (სინათლის  
 ინფილდა ქმნის სიღრმის შთაბეჭდილებას) ნე-  
 ლა, საზეიმოდ და როგორც ნაღვლიანად ცე-  
 კვავენ. ეს ცეკვა „უდრეს“, როგორც ხორალი  
 (ე. ჰაბუკიანს შეუძლია ნოვერის მსგავსად თქვას:  
 „მე კორდებალეტს ვიყენებ, როგორც ანტიკურ  
 ქოროს“). შემოდის ე. ჰაბუკიანი-ოტელო დამძიმე-  
 ბული, თავის ფიქრებში წასული, სევდიანი და  
 დამწუხრებული. ერთი გამოხედვა საკმარისია,  
 რომ შეგვცხადოს მისმა უბედურებამ. აქ არ არის  
 საჭირო არავითარი ჟესტი, არავითარი ცეკვა.  
 ჩვენ „გვესმის“ ოტელოსი, ვინაიდან სული კარ-



ფანალი.



ნახობს სახეს... დიდი ინგლისელი რეჟისორი გორდონ კრეგი ოცნებობდა სცენაზე გამეფებულიყო პოეზია, დუმილი და... გენიალური თავი.

ვ. ჰაბუკიანიმა გადმოგვცა ადამიანის სულის სიდიადე, სიყვარულის ყოვლისშემძლეობა ისე მძლავრად, ისე რენესანსულად, რომ სახე გაიზარდა სულიერი სიფაქიზის, ადამიანის კეთილსაწყისებში რწმენის სიმბოლოდ. მან ამოიცნო არა მარტო შექსპირის ტრაგედიის ფილოსოფია, არამედ იგრძნო მისი ქვეტექსტები, მისი მეტაფორები.

უკანასკნელ სცენაში, როცა დეზდემონას მუსიკალური დახასიათება უფრო ელეგიურ ინტონაციებს იღებს, ხოლო ოტელოს ლეიტმოტივი უწყვეტ ხაზში ვითარდება და ერთგვარად უახლოვდება ქართულ გლოვას (კომპოზიტორი ა. მაჭავარიანი შემოქმედებითად იყენებს ქართულ მელოსს. მაგრამ მისი ინტონაციები არ ატარებენ რაიმე ლოკალურ-ეთნოგრაფიულ სახეს. მთლიანად მუსიკა გაეღენთილია ქართული ტემპერამენტით, ნაციონალური სულით), ჩვენ გხედავთ ჩინებულად ამოხსნილ მეტაფორას. დეზდემონა მღერის ბედკრულ ბარბარეზე, რომელიც ლეღვის ხის ძირს ტირის (ლეღვის ხე სატრფოს მიერ მიტოვებული

ქალიშვილის სიმბოლოა). დეზდემონა იწყებს ცეკვას, თავი გვერდზე გადაუხრია და ჩვენში ცოცხლდება სურათი:

ლეღვის ხესთან ზის საბრალო,  
კენესი და ოხრავს,  
უმღერეთ ნერგს, მწვანე ნერგსა.  
ხელი გულზედ დაუღვია,  
დაბლა იხრის თავს...  
უმღერეთ ნერგს,  
ნერგსა, ნერგსა.

ნელა ირწევა ნისლივით სუსტი დეზდემონა და ახლოვდება მისი საბედისწერო ქამი...

ვ. ჰაბუკიანის ოტელოში უკანასკნელად ხდება გამონათება; ეს არის აქამდე განუცდელი გრძნობა სამყაროსა და ადამიანისა, ბედნიერებისა და სიკეთისა, სიყვარულისა და ერთგულების ჰარმონიისა.

აი ასეთი ღრმა გააზრებით ამთავრებს სპექტაკლს ვ. ჰაბუკიანი. ამ სპექტაკლში მან მიიღწია ახალ საფეხურს — პირდაპირ შექსპირული ძალით შეუტრწყა ერთმანეთს გმირული და ლირიული სული, და ამით დაამტკიცა, რომ იგი ისეთივე ფაქიზი ლირიკოსია, როგორც გმირულ-რომანტიული შემოქმედ.



## პაპი ბაქრაძე

### კინემატოგრაფისტის ჩივილი

დიდ კინემატოგრაფიას შემოქმედ რეჟისორთან ერთად კარგი მათემატიკურიც ქმნის. „კარგ მათემატიკს კარგი გამოგონე უნდაო“, ამბობს ქართველი კაცი და იმ პარაფრაზის გულისხმობს, ხელოვანსა და აუდიტორიას შორის აუცილებლად რომ უნდა არსებობდეს. მაგრამ ზოგჯერ ცუდ მათემატიკს ცუდი გამოგონე ჰყავს და ეს იმ წერილებითაც დასტურდება, რომლებსაც ხშირად რეჟისორები და ავტორები (მათემატიკითა უმარაგლესობა არ იმახსოვრებს ფილმის შემქმნელი კოლექტივის სხვა წევრებს) მათემატიკითაგან ღებულავენ: ამ ბარათებში გამოქვეყნებულია დიდი ინტერესი და სიყვარული კინემატოგრაფიისადმი, მაგრამ ამ გრძობას ზოგჯერ თან ერთვის მეტისმეტად დაბალი გეგმონება და უმეცრებაც. აქ წამოიჭრება ერთობ აქტუალური საკითხი მათემატიკის დახვეწილი გამოყენების გამოუმუშავებისა, რომელსაც ქართველი კინემატოგრაფისტები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. პირიქით, ზოგიერთს მათემატიკითა წერილები დემიანოვრად აქვს მომარჯვებული. პროფესიული კრიტიკის წინააღმდეგ, (თუკი ასეთი სადმე გამოჩნდებოდა) — ამოყრის ჯიბიდან ან უჯრიდან უმარავ წერილებს და ამტკიცებს: ჩემი ფილმი ხალხს მოსწონს და მეც მისთვის ვქმნი. კრიტიკის კი ინტრიგად ჩასთვლის და უდრტვიწველად განაგრძობს მდარე კინოსურათების გადაღებას. იმას კი არ უფიქრდება, რომ ყოველი მათემატიკის წერილი ხალხის ობიექტურ მრწამსად არ გამოდგება.

ზოგადეა ქართველი კაცის გეგმონებას რუსთაველი, საბა ორბელიანი, ნიკო ბარათაშვილი, ვეპა ფშაველა და სხვანი ხეწდნენ და რანდავდნენ. მერე და საწყენი არაა, როცა ასეთ კაცს ზოგიერთი მხატვრულად და იდეურად ღარიბი ფილმი მოსწონს? ეს კი იმის დაწინაურებაა, რომ ჩვენ ვერ გამოვუმუშავეთ დახვეწილი კინემატოგრაფიული გეგმონება მათემატიკის.

რისი ან ვისი ბრალოა ეს? კარგის გვერდით ჯერ კიდევ მხატვრულად სუსტ ფილმებს ვიღებთ, რომელთაც საერთო სახალხო აღტაცება ვერ გამოიწვიეს და მეორე, პრინციპული კინოკრიტიკა არა გვაქვს. ნამდვილი კინოკრიტიკა მათემატიკის ავისა და კარგის გარჩევაში დაეხმარებოდა, ასწავლიდა და განუმარტავდა, ხოლო სპეციალისტ კინემატოგრაფისტებს ქართული კინოხელოვნების მაგისტრალურ გზის გამოძიებაში მიეშველებოდა.

თვალის ერთი გადავლებითაც კარგად დარწმუნდებით, რაოდენ სტანდარტული კინორეჟისორები ქვეყნდება ჩვენს ქურნალ-გაზეთებში.

I რეცენზენტი: „მენახშირე შიტუას კოლორიტიული სახე შექმნა აკ. კვანტალიანი“.

II რეცენზენტი: „პაპა აბარკას როლში მოხუცი მშველდის დასამახსოვრებელი სახე შექმნა მსახიობმა გ. შავგულიძემ“.

III რეცენზენტი: „მონადირის მიონუს კოლორიტიული, რამდენადმე რომანტიკული სახე შექმნა ფ. სახიროვამ“.

IV რეცენზენტი: „Колоритный и яркий образ создает актер Г. Шавгулидзе“.

სხვადასხვა რეცენზენტი, სხვადასხვა გაზეთი, სხვადასხვა წლები, მხოლოდ ტონი და დამოკიდებულება მსახიობის ნამუშევრისადმი ერთნაირი, უცვლელი.

განა მართკ მსახიობებისადმი მიმართავენ ასეთ არაფრისმთქმელ ფრაზებს რეცენზენტები? მსგავს დღეში არიან ფილმის შემქმნელი კოლექტივის სხვა წევრებიც. მაგალითად, ოპერატორებისათვის არსებობს ფორმულა: „ქების ღირსია ფილმის ოპერატორის ნამუშევარი“, ხოლო ფილმები ასეთ იარაღიყებს ატარებენ: „მოუხედავად ზოგიერთი ნაკლავანებისა, ფილმი ქართული კინემატოგრაფიის საინტერესო ნაწარმოებია“.

ეს არაფერი. ზოგჯერ კუროზებსაც ამოკითხავთ. ერთი ქურნალისტი, გვარად ს. მამასახლისი, წერს „ჩვენი ეზოს“ შესახებ: „მხატვრული





ფილმი მისი პირველი კადრიდანვე იწყება. ალბათ რეცენზენტს ჰგონია, რომ არსებობენ ფილმები, რომელნიც მე-20 ან 104-ე კადრიდან იწყება. ს. მამასახლისი ამას არ დაჯერდა და გააგრძელა ფილმის „პროფესიული ანალიზი“. ჩვენნი ეზო ბოლო წლებსი ქართული ფილმებიდან გამოირჩევა მდიდარი და მრავალფეროვანი ხმაურებით, იქნება ის კარის ჭრალი თუ კბეხებზე ახმაურებული ნაბიჯები, ბავშვების ჭრიაპული ეზოში თუ სასურავზე მოსიარულის ფეხის ხმა. რა არის ეს, პასეილი ხმის ოპერატორის ნამუშევარზე თუ სერიოზული მსახელობა კინემატოგრაფიის ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე? თურმე სერიოზული მსახელობა, რადგან რეცენზენტს ფილმი მოსწონს და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გამარჯვებად თვლის.

აბა, რა უნდა მისცეს ასეთმა „კინოკრიტიკამ“ ან შემოქმედელს, ან მაყურებელს? და რა ვახაკვირია, თუ რომელიმე კერძო წერილში უპრეტენზიო მაყურებელი კინემატოგრაფიის არცოდნას ამჟღავნებს?

ჩვენი დიდტანიანი ჟურნალები რომ უფრო გულსყუროთ ექცეოდნენ კინემატოგრაფიას, ჩვენი მწერლები რომ ხანდახან ფილმების გამოც მსჯელობდნენ, მაშინ იქნებ კინოკრიტიკა და ქართული კინოხელოვნების ისტორიის შესწავლის საქმეც წინ წაგვეწია.

ეროვნული კინოკრიტიკის უქონლობასთან ერთად სცენარისტთა ნაციონალური კადრის უყოლობასაც ვუჩივით ჩვენ.

აბა, საიდან უნდა აღეძრა ახლგაზრდა კაცს სცენარისადმი ინტერესი, როცა თითქმის არცერთი ქართული სცენარი არ უნახავს დაბეჭდილი. მართალია, იგი ფილმს ნახულობს, მაგრამ სცენარსა და ფილმს შორის საკმაოდ დიდი განსხვავება და კინოსურათი სცენარის წერის ტექნიკაზე ცუდად იძლევა წარმოდგენას.

რატომღაც პროზას ან დრამატურგიაში ხელმოკარულ კაცს დაბეჯითებით სჯერა, სცენარს დაუწერო, და მოზღვადა სტანდარტული რეცეპტების მიხედვით დაუწერილი სცენარები.

ურთუო არ იქნება ზოგიერთი მათგანის შეხსენება.

რეცეპტი პირველი: რაიკომის პირველი მდივანი ან შვებულებაშია ან ავად არის. მეორე მდივანი კი ბიუროკრატია და დოკუმენტოსი, ყოველივე ახლის მოშიში. რომელიმე კოლმეურნეს ან მუშას რაციონალიზატორული წინადადება აქვს. მეორე მდივანს არ სჯერა ამ წინადადებისა. იწყება კონფლიქტი. ამასობაში შვებულება ან ავადმყოფობა გაივლის, პირველი მდივანი ბრუნდება და ამბავი კეთილად მთავრდება.

რეცეპტი მეორე: კარგ პარტიულ მუშაკს ობიექტული ცოლი ჰყავს და რატომღაც მი-

სი გაგონის ქვეშა მოქცეული. უმნიშვნელო პერიპეტეზების შემდეგ პარტიმუშაკი შეიცნობს თავის შეცდომას და კრებაზე თვითკრიტიკით გამოდის.

რეცეპტი მესამე: მუშის ან კოლმეურნის შვილი აუცილებლად მუყაითი, ჭკვიანი და თავზანია. პროფესორის, ქარხნის დირექტორის, კოლმეურნეობის თავმჯდომარის შვილი კი ზარმაცია, უმეცარი და უზრდელი.

უტყუარი ნიშანი ახლგაზრდის მორალური დაკნინებისა ავტომობილისადმი სიყვარულია.

რეცეპტი მეოთხე: ქმარს არ სწამს ცოლის ნიჭიერება მეცნიერებას ან ხელოვნებაში. ამიტომ ოჯახში კონფლიქტია. არის მესამე პერსონაჟი, რომელსაც ქალი „პლატონურად უყვარს“, სჯერა მისი ნიჭიერებისა და ყოველნაირად ეხმარება მას. ქმარი ეცვიანობს (დაშვებულია ოჯახიდან გაქცევა). ერთ მშვენიერ დღეს ქალი დისერტაციას დაიცავს, ან რომელიმე სპექტაკლში მთავარ როლს შეასრულებს. ქმარი მიხედვება, თუ როგორ ვერ აფასებდა ცოლს. ცოლი ქმარს ამატიებს დანაშაულს და შერიგდებიან. „პლატონურად შეყვარებული“ კი განდება ქმრის მეგობარი.

ასეთი შინაარსის სურათებს ეკრანებზეც შეხვდებით, ისინი გემოვნებას უჩლუნგებენ მაყურებელს და ჭეშმარიტ ხელოვნებას აფიწყებენ. ჯერ ქართულ რეცეპტებში ქართული ფილმების დიალოგისადმი საყვედური არც კი ამოგვიკითხავს, მიუხედავად იმისა, რომ მას დ. კლდიაშვილისა და პ. კაკაბაძის მკითხველი ისმენს.

კარგი დიალოგის დასაწერად ამა თუ იმ ხალხის ეროვნული ხასიათის, ზნე-ჩვეულებათა ზედმიწევნით ცოდნა აუცილებელი. სცენარისტი კარგად უნდა იცნობდეს თავისი პერსონაჟის ინდივიდუალურ ხასიათს, თვისებას, რომ მართალი რეაქცია გამოხატოს დიალოგით ამა თუ იმ მოვლენისადმი. ყოველ კაცს ფილმში თავისი სალაპარაკო ენა უნდა ჰქონდეს. სცენარისტს უფაქიზესი ნიუანსების გამოქმენა უნდა შეეძლოს, რომ მაყურებელს ის სხვაობა აგრძნობინოს, რაც ქალის, მამაკაცის და ბავშვის ენაში არსებობს.

აბა, რა უნდა უთხრან მაყურებელს პერსონაჟებმა, რომელნიც ასე მეტყველებენ:

„ზაქარი: როგორ, თქვენ უკვე მიდიხართ? ნატა: როგორ, თქვენ ჩვენთან არ წამოხვალთ?“

ი რაკლის ხმა: მამა, როგორ, შენ არ დასწერ „აბესალომს?“

(„ეთერის სიმღერა“)

ეს რეალიკები სხვადასხვა ეპიზოდიდანაა ამოკრეფილი. არავითარი განსხვავება: მამაკაცი, ქალი, ბავშვი, განსხვავებული ბედის, ხასიათის, ასაკის ადამიანები ერთნაირი სტანდარტული ფრაზებით ლაპარაკობენ.

ნამდვილი კინოდრამატურგია დიალოგის მაქსიმალურ ინდივიდუალიზაციას მოითხოვს.

დიალოგი სიუჟეტის განვითარებას უნდა ეხმარებოდეს, პერსონაჟის ხასიათს და შინაგან სამყაროს უნდა ხსნიდეს. უფრო მეტიც, პერსონაჟის ენის მიხედვით მკურებელს იმის განსაზღვრაც კი უნდა შეეძლოს, რომელ საზოგადოებრივ ფენას ეკუთვნის მოსაუბრე.

ზოგჯერ მოხდენილ ერთ ფრაზას გაცილებით მეტის თქმა შეუძლია. ვიდრე უნიათოდ დაწერილ მთელ მონოლოგს. განა ბაზარში ნანახი პატარა აბრა, წარწერით: „აქ იყიდება ბაზრის სიმაყე — პამიდრის ჩითილი“, მისი დამწერის ბუნებაზე უფრო ვრცლად არ მეტყველებს, ვიდრე ზოგიერთი ფილმის თავმომაბუნებელი დიალოგი?

ასეთ ლაზათთან ფრაზას იშვიათად იბოვნის მკურებელი ჩვენს ფილმებში.

პერსონაჟის მართალი მოქმედებისა და მეტყველებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონფლიქტს. თუ კონფლიქტი ყალბი არაა, პერსონაჟი სიტუაციის მიხედვით მოქმედებს და მეტყველებს.

საერთოდ, სცენარის ლიტერატურულ ღირებულებას მეტად მკითხველად ექცევა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველი კაცი ახლა სცენარს ლიტერატურის თავისთავად დარგად თვლის. თუ რომანის ან პოემის წერისას მწერალი ყოველ სიტყვას უკირაკიტებს, დიადად ზრუნავს მისი მხატვრული სრულყოფისათვის, სცენარი სასხვათაშორისო საქმედ მიაჩნია და თავს მაინცდამაინც არც იწუხებს.

ალბათ მწერალი სცენარის წერისას ასე ფიქრობს: სცენარი არ იბეჭდება, ე. ი. მას ფართო მკითხველი არ ჰყავს. სცენარის თხრობითი ნაწილი ეკრანზე მოჩანს და ვერვინ გაიგებს, რო-


გორი ენითაა იგი დაწერილი; დიალოგის დასრულებისას აუცილებლად გადაკეთდება და ამიტომაც დიდი შრომის დახარჯვა არც კი ღირსო. ჩვენი დიდტანიანი ჟურნალები სცენარებსაც რომ ისე გულუხვად ბეჭდავენ, როგორც რომანებს ან მოთხრობებს, იქნება სცენარისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ბოლო მოღებოდა. იქნება ავტორებიც ღრმად ჩაკვირვებოდნენ სცენარის ენას, დიალოგის გამართვაზეც ეზრუნათ და ის ახალგაზრდობაც დაეინტერესებიათ, რომელიც ლიტერატურაში ახლა იღვამს ფეხს.

კიდევ ერთი მეტყველებელი საკითხი ქართულ კინოტერმინოლოგიის უქონლობაა. ქართულად დაწერილი სარეჟისორო სცენარი ბილინგვას წარმოადგენს, რადგან კითხვისას „უხვად შეგებდებათ“ „стык“, „тележка“, „затемнение“, „шторка“ და სხვანა. ამა თუ იმ ტერმინს ვისაც როგორ უნდა, ისე თარგმნის. მაგალითად, „затемнение“ ზოგისათვის „დაბნელება“ და ზოგისთვისაც — „დაჩრდილება“.

ვინმემ რომ ქართულად კინოტექნიკისადმი მიძღვნილი წიგნის დაწერა მოინდომოს, დიდი სიძნელის წინაშე აღმოჩნდება, რადგან პროფესიული კინოტერმინოლოგია დაუდგენელია.

დადგა დრო ჩვენი ენათმეცნიერებისა და კინემატოგრაფისტების ერთად შეკრებისა და ქართული კინოტერმინოლოგიის საკითხებზე მოლაპარაკებისა.

თუ გვინდა, რომ კინომატოგრაფიის ორდობეში არ ჩავარდეთ, ეროვნული კინოკრიტიკაც უნდა შეექმნათ, კინომკოდნობაც, ქართული კინომატოგრაფიის ისტორიაც დაწეროთ, კინოხელოვნების მაგისტრალურ გზებზეც მოვილაპარაკოთ და გემოვნებადახვეწილი მკურებელიც, სცენარისტთა და კინოტექნიკოსთა ნაციონალური კადრიც უხვად გავზარდოთ.





მიხეილ შავიშვილი

ატომის ენერგია აღამიანს ემსახურება

ოთხში, რომელიც ფიზიკურ ლაბორატორიას წააგავს, დღას ერთი შეხედვით არც თუ ისე საყურადღებო ხელსაწყო. ხელსაწყოს წინა ნაწილში დატანებული აქვს პატარა მრგვალი მიწები. ისინი ხან წითელი ფერის შუქით ინთებიან და ხან შწყენეთი; ხელსაწყო მათეულითაა შეერთებული ერთი შეხედვით უბრალო მომცრო აპარატთან. გარეგნული შეხედვაობის უკან ამ შესანიშნავი ხელსაწყოების სასწაულებრივი ძალა იმალება. ჩვენს წინა საბჭოთა მეცნიერების უახლესი მიღწევა — ე. წ. „დანადგარი „გ“, რომელიც იხმარება რადიოაქტიურ ნივთიერებათა მიერ გამოცემული იმპულსების შესაჯამებლად. მისი ნახვა შეიძლება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტალური კარდიოლოგიის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ ნიშანდებული ატომების ლაბორატორიაში.

ატომის ენერგია სულ ახალ და ახალ გამოყენებას პოულობს მეცნიერების სხვადასხვა დარგში: ბიოლოგიაში, მედიცინაში, მეტალურგიაში, ქიმიკაში და ა. შ.

თვალსაზრისით პერსპექტივები გადაიშალა იმ ექიმების წინაშე, რომლებიც ნიშანდებული ატომების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეტოდიკას ეუფლებიან. ნიშანდებული ატომების მეშვეობით შესწავლება ძარღვებში სისხლის დენის სიჩქარე, რაც მკურნალებს საშუალებას აძლევს განსაზღვრონ სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებანი. ისინი აგრეთვე ადვილდებენ ტვინის სიმსივნის დროს ზუსტი დიაგნოზის დასმას და წარმოადგენენ თვალის და კანის დაავადებათა შემთხვევებში დიაგნოსტიკურ და სამკურნალო საშუალებას. აღამიანის სამსახურში ჩაყენებული ნიშანდებული ატომების შემწეობით შესაძლებელი გახდა იმის დანახვა, რაც სწავლულთათვის წინათ მიუწვდომელი იყო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტის ნიშანდებული ატომების ლაბორა-

ტორია საბჭოთა კავშირში ასეთი სახის ერთადერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა. ამჟამად აქ მიმდინარეობს მუშაობა ჰიპერტონულ დაავადებათა წარმოშობის მექანიზმის, გულის დაავადებისას მისი კუნთების ფოსფორულ შენაერთთა დინამიკის და ბავშვის გულის დაავადების დროს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციების შესასწავლად.

დღე პრაქტიკულ ინტერესს იწვევენ მეცნიერთა გამოკვლევები, რომლებიც ეხებიან ტვინის ქსოვილის ფოსფორულ ცეკლას ჰიპერტონული დაავადების დროს. აწ განსვენებული პროფ. მ. დ. წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით აქ შეიქმნა ცხოველთა ჰიპერტონული დაავადების „მოდელი“. იმ მომენტში, როცა სისხლის წნევა მაღლა იწევდა, ცხოველის ტვინის ქსოვილში შექონდათ ფოსფორის რადიოაქტიური იზოტოპი. დანადგარ „ბ“-ს საშუალებით მეცნიერმუშაკები განსაზღვრავდნენ ტვინის ქსოვილის ფოსფორულ შენაერთებში რადიოაქტიული ფოსფორის ჩართვის სიჩქარეს.

გამოკვლევებმა ცხადპყვეს, რომ ჰიპერტონული დაავადების დროს ფოსფორულ შენაერთთა შემადგენლობა ტვინის ქსოვილებში დაქვეითებულია, ხოლო ფოსფორულ შენაერთთა ცვლა — გაძლიერებულია. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ჰიპერტონული დაავადების მკურნალობისას ორგანიზმში ფოსფორის რადიოაქტიური იზოტოპების შეყვანას შეუძლია მნიშვნელოვანი თერაპიული ეფექტი მოგვეცეს.

ინსტიტუტში გრძელდება მუშაობა ჰიპერტონული დაავადების აღმოცენების მიზეზების შემდგომი შესწავლისათვის და მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების შემუშავებისათვის.

ნიშანდებული ატომების გამოყენებაში, — ამბობს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვალენტინა სერგოვ ასული გვანცელაძე, — მედიცინისათვის უზრუნველყო ავად-



მყოფის გასინჯვის ყველაზე უბრალო და ხელმისაწვდომი მეთოდი. საბჭოთა მეცნიერების ხელში აღმოჩნდა ახალი შესანიშნავი საშუალება, რომელიც თვალსაჩინოდ ზრდის ადამიანის უნარიანობას სხვადასხვა მიმე დაავადებათა ბრძოლაში.

გვიან საღამომდე არ წყდება მუშაობა ნიშანდებული ატომების ლაბორატორიაში. მის ერთ-ერთ ოთახში მეცნიერ-მუშაკი ნ. ა. ტურდიანი ავირდება იმ ბაჰის გულის კუნთის ბიოქიმიურ ძვრებს, რომლის სხეულში შეყვანილია ფოსფორის რადიოაქტიული იზოტოპები. რამდენიმე წნის წინათ ბაჰის ამოცალეს ფარისებრი ჯირკვალი, რამაც გულის კუნთის დაავადება — მიოდისტროფია გამოიწვია. გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს გულის კუნთის დაავადების დიაგნოსტიკისათვის.

კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივს დასახული აქვს მუშაობის ვრცელი გეგმა, რომელიც დაფუძნებულია ნიშანდებული ატომების გამოყენებაზე. ისე, მაგალითად, იოდის იზოტოპების დასაზღვრებით დიანთეზა ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა დიაგნოზები. რადიოაქტიული იოდით ჩატარდება აგრეთვე ამ დაავადებათა მკურნალობა. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ასეთი მკურნალობის დროს შესაძლებელი ხდება მეტად სასურველი შედეგების მიღწევა.

საქართველოს მეცნიერები საბჭოთა კავშირის სხვა მეცნიერებთან ერთად იღწვიან, რათა ფართოდ გამოიყენონ ატომური ენერჯია სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის, სამარწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესებისათვის.

დღე ინტერესს იწვევს საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ გაწეული მუშაობა იმის შესასწავლად, თუ რა ზეგავლენას ახდენს წყალტუბოს განთქმული რადიოაქტიული წყლები ექსპერიმენტულ ატრერიოსკლეროზის მიმდინარეობაზე და სხვა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიოსმა ა. ზურაბაშვილმა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. ნანეიშვილმა მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმარეს ტიწნაზე სხივური დაზიანების მოქმედების შესწავლას. მათმუნებზე და ძალზეზე ჩატარებული მავალრიცხოვანი ცდების შედეგად მათ დაადგინეს, რომ რენტგენის სხივებით ან რადიოაქტიული კობალტის გამამა-სხივებით ცხოველის თავის გაშუქება იწვევს შესამჩნევ სტრუქტურულ ცვლილებებს მის ცენტრალურ ნერვიულ სისტემაში. ეს ცვლილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედარებით უფრო ახალგაზრდა ცხოველებში. მეცნიერთა მიერ დადგენილ მთელ რიგ კანონზომიერებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სხი-

ვური დაზიანების გამო დაავადებულია მკურნალობისათვის.

ფიზიკის ინსტიტუტის მიერ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს ცენტრალური საფეიქრო ლაბორატორიასთან ერთად ჩატარებულია კომპლექსური გამოკვლევები აბრეშუმის ქიის ქუბრების ხელოვნური მოკვდინებისა და კონსერვაციების შესაძლებლობისათვის რადიოაქტიული გამამა-გამოსხივების საშუალებით. დადგენილია, რომ ამ დროს აბრეშუმის ქიის ქუბრა არა თუ არგავს გამოფრენის უნარიანობას, არამედ მუმიფიცირდება და პარკის გახსნისათვის ყველაზე კარგ მდგომარეობას ინარჩუნებს.

დღე ინტერესს იწვევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნარეთა დაცვის ინსტიტუტის გამოკვლევები ვაზისა და ციტრუსოვანი ბაღების სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის დარგში. ამ მუშაობას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლ. ყანჩაველი. ნიშანდებული ატომების მეთოდის გამოყენებაში ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებს შესაძლებლობა მისცა ყურადღება მიექციათ და გამოეცნოთ მეცნარეებისა და მიკროორგანიზმების ისეთი უწყრილმანესი პროცესები, რომლებიც აქამდე დავიწყებისათვის სავსებით მიუწვდომელი იყო. ყოველივე ეს დიდ პერსპექტივებს შლის ერთერთი სახიფათო ავადმყოფობის — „მალსეკოსავან“ ლიმონის ხეების დაცვის ეფექტური ღონისძიებების გამოშუშავებისათვის. აკად. ლ. ყანჩაველმა ჩაატარა აგრეთვე მნიშვნელოვანი კვლევითი მუშაობა, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებზე მეცნარეთა ფოსფოროლოგანული ინსექციონების ზემოქმედების დადგენა. ქართველი მეცნიერის ამ მუშაობის შესახებ ნაწილობრივ ნაამბობი იყო ენეფაში მოწუხობილ გამოფენაზე „ატომური ენერჯიის გამოყენება მშვიდობიანობის მიზნებისათვის საბჭოთა კავშირში“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტი რადიოაქტიულ იზოტოპებს იყენებს ენაზის გავრცელებული ავადმყოფობის — ქლოროზის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების შესასწავლად. ანასტასის ჩაისა და სუბტროპიკულ მეცნარეთა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები ჩაის მეცნარის ზრდისა და სიცოცხლის უნარიანობის პროცესში უფრო დროულ ჩაწვდომისათვის იყენებენ ბირთვულ გამოსხივებებს. ამ მიზნით მათ მოაწვევს ნიშანდებული ატომების ლაბორატორია.

სინეთური და ნატურალური სურნელოვანი ნივთიერებების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ზონალური საცდელი სადგურის ბიოფიზიკურ ლაბორატორიაში დადგმულია აპარატურა, რომელიც შესაძლებლობას



ძლიერად ატომური ენერჯია გამოყენებულ იქნას სუბტროპიკული ეთერზეთოვანი კულტურების აღმოცენების კონტროლისათვის, მათი აგროტექნიკის სრულყოფისათვის.

ამ აპარატის გამოყენებით მეცნიერმუშაკები დაკვირვებებს აწარმოებენ მცენარეებში ნიშანდებული რადაიქტიული ფოსფორის მიღებასა და გადაადგილებაზე, ადგენენ მათზე სხვადასხვა სასუქების ზემოქმედების როლს.

ამ ცდების შედეგად მიღებული პირველი მონაცემები მოწმობენ, რომ ფოსფორი ერთი-ორი დღის შემდეგ უკვე ნაწილდება მცენარეებში და გროვდება, უმთავრესად, მცენარის ფოთლებში, რაც მეტად მნიშვნელოვანია ეთერზეთოვანი კულტურების ფესვგარეშე კვების წარმოებისათვის. ასეთ კვებას, როგორც ცდებმა ცხადჰქვეს, დიდი უპირატესობა გააჩნია ძირეულ კვებასთან შედარებით, რომლის დროსაც ნიადაგში შეტანილი ფოსფორი მცენარეებში შედის მხოლოდ ერთი ან ორი თვის შემდეგ.

ნიშანდებული ატომების დაზარებით საცდელი სადგურის მეცნიერმუშაკები განაგრძობენ სუბტროპიკულ ეთერზეთოვან კულტურებში ფოსფორის და სხვა სასუქების შეტანის საშუალებების დამუშავებას მოსავლიანობის გადიდებისა და მათი ძვირფასი სურნელოვანი ზეთების ხარისხის ამაღლების მიზნით.

ფიზიკისა და მედიცინისა და მევენახეობის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტების მეცნიერმუშაკთა ერთი ჯგუფის მიერ შესრულებულია ძვირფასი გამოკვლევა ზოგიერთი ალკოჰოლიანი სასმელების თვისებებზე გამმა-სხივების მოქმედების განსაზღვრისათვის. ამ ჯგუფმა დაადგინა, რომ ამ სხივების მოქმედების შედეგად ახალი ღვინოები დაიჭარბებით ღვინდებიან და ჩვეულებრივად წლობით მიმდინარე მათი ხელოვნური დაღვინების პროცესი მთავრდება რამდენიმე

დღეში. ამასთან ღვინოების ორგანულ-მეტაბოლური თვისებები არა თუ უარესდება, არამედ უმჯობესდება.

საბჭოთა მეცნიერების ხელში რადაიქტიული ელემენტები აღმოჩნდნენ ნოვთიერებათა შემადგენლობის შესასწავლ ნამდვილ საშუალებად. ისინი ხელს უწყობენ მთელი რიგი ქიმიური პროცესების ინტენსიობას, შესაძლებლობას იწვევიან შევისწავლოთ უწყვილიანი ლითონის ნაკეთობანი და შევამოწმოთ ახალი ლითონის შენადნობთა ხარისხი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში აკად. ი. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით რადაიქტიული იზოტოპები გამოიყენებიან ზოგიერთი ცილოვანი წარმოქმნების გზების შეცნობისათვის, ნიშანდებული ატომები მეცნიერ ქიმიკოსებს ეხმარება ზოგიერთი მარილის დნობადობის გამოსარკვევად.

საქართველოს ჰიდროენერგომშენებლები ნიშანდებულ ატომებს იყენებენ ცემენტის გამაგრებისა და მასში კალციუმის გახსნის ლოკალიზაციის პროცესების შესასწავლად.

რესპუბლიკის სამრეწველო დაწესებულებების სპეციალურტბთან შემოქმედების მეგობრობაში მეცნიერმუშაკები ეძებენ ლაბორატორული გამოკვლევების სიზუსტისა და ხარისხის ამაღლებისათვის, ახალი მანქანების გამოცდისა და უშიშროების ტექნიკის გაუმჯობესებისათვის ბირთვული გამოსხივების პრაქტიკულად გამოყენების გზებს.

საქართველოს მეცნიერების მოვლევება ატომური ენერჯიის სამშვიდობო მიზნებისათვის გამოყენების სულ უფრო და უფრო ფართო გასაქანს პოულობს. იგი უფრო ნაყოფიერი გახდება მას შემდეგ, რაც მწყობარში ჩადგება ექსპერიმენტული ატომური რეაქტორი, რომელსაც ამჟამად აშენებენ.

## მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი

ა. შ. შ. ჩიკავას უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ბევრი ქირურგიული ინსტრუმენტი გამჭვირვალე პლასტმასისაგან მზადდება. მათს უნდააღიაროს ამრგვალებენ, რათა დაზიანებისაგან უზრუნველყონ ნაზი ქსოვილები. ეს ინსტრუმენტები იხმარება სხვადასხვა ოპერაციის დროს ტვინის არეში. მათი ღირსება ის არის, რომ ისინი სინათლეს არ არეკლავენ, ე. ი. თვალს არ სჭირან ქირურგს და ამავე დროს საოპერაციო ადგილის კარგად დანახვის საშუალებას იძლევიან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ბერლინის ერთ-ერთმა ინსტიტუტმა

დაამზადა მსოფლიოში სიდიდით მეორე რადიოტელესკოპი, რომლის დიამეტრი 36 მეტრია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. აქ მზადდება გასაბერი გადასატანი მაიკროტუბი. ასეთი მაიკროტუბი ისე მსუბუქია, რომ მისი წადება ექსპურსიაზეც კი შეიძლება. ამავე დროს მის ასამოქმედებლად საკმარისია ატომანქანის ელექტრომომწყობილობა.

მიუნხენში კარლ შენკმა გამოიგონა სათავალი, რომელიც სატელევიზიო გადაცემებს სამ განზომილებას იძლევის.

ეგვიპტე ერთ-ერთ ავიაქარხანაში ეგვიპტელმა სპეციალისტებმა დაამზადეს პირველი

ეგვიპტური თვითმფრინავი „გუმპურია“ („რესპუბლიკა“). იგი წარმოადგენს მონოპლანს 145 ცხენისძალიანი ძრავით და შეიძლება გამოყენებულ იქნას სასწავლო ფრენისა და საჰაერო საფოსტო სამსახურის დროს.

ი ა ბ ო ნ ი ა. აქ აშენდა 570 ტონიანი ხომალდი-ავტომატი, რომელსაც საათში 15 კილომეტრის სისწრაფის განვითარება შეუძლია და რომელსაც მართავს ერთი კაცი.

ი ნ გ ლ ი ს ი. აქ წარმოებს მუშაობა მომცრო ელექტროსადგურის შესაქმნელად. ამგვარი ელექტროსადგური მოქმედებაში მოჰყავს ქიმიურ რეაქტივის, რომელიც ხდება ისეთ პატარა სათავსოში, რომ თავისუფლად შეიძლება მისი გულისჯგბეში ჩადება. ამჟამად კეთდება 10 კილოვოტის სიმძლავრის „ჯიბის ელექტროსადგური“. მეცნიერთა აზრით, „ქიმიური ელექტროსადგურები“ დროთა ვითარებაში სამრეწველო მნიშვნელობას შეიძენენ.

ი ტ ა ლ ი ა. არქეოლოგმა კარლო ლერიჩმა აღმოაჩინა არქეოლოგიურ გამოკვლევათა გადვილები ახალი მეთოდი. აღუშინის მილის მეშვეობით სამარხების სიღრმეში უშვებენ ავტომატურ ფოტოაპარატს, რომელიც იქ ფოტოგადაღებას აწარმოებს. ამის შემდეგ ნათელი ხდება — ღირს თუ არა სამარხის გათხრა.

მსოფლიოში ყველაზე პატარა მაგნიტოფონი გაკეთებულია იტალიაში. 250 მმ სიფართოს, 140 მმ სისქისა და 150 მმ სიმაღლის ამ მაგნიტოფონზე შესაძლებელია 40 წუთიანი გადაცეპის ჩაწერა.

შ ვ ე ე ი ა. ამას წინათ სტოკჰოლმში მოეწყო ტელეგადაცემა თვითმფრინავიდან, რომელიც იმყოფებოდა 6 ათასი მეტრის სიმაღლეზე.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი. აქ შეიქმნა ტრაქტორი-ამფიბია „რინო“, რომელიც მოძრაობს გზატკეცილზეც, ქვიშიან და ჭაობიან ადგილებშიც, ღრმა წყალზეც. მას შეუძლია დაძლიოს აგრეთვე 15 გრადუსიანი აღმართი და განავითაროს სიჩქარე — 70 კილომეტრი საათში.

უ ნ გ რ ე თ ი. 1958 წელს უნგრეთში დამთავრდება პირველი ატომური რეაქტორის მშენებლობა. სამშენებლო სამუშაოები ხორციელდება ვადაზე 6 თვით აღრე.

ჩ ე ხ ო ს ლ ო ვ ა კ ი ა. ქარხანა „მოდერატორმა“ დაამზადა ახალი სამედიცინო აპარატი, რომელიც უმტკივნეულოდ ბურღავს კბილს.





ჯავახი ლეშავა

ახალწლის ღამით

ბებრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტე ახალ წელს მარტო შევხვედროდი. ეს იმიტომ, რომ მინდოდა ჩემს სიცოცხლეში პირველად სუფრაზე ხელოვნებისა და ჩემს შესახებ გულწრფელად მელაპარაკა. ბებრი ნათესავი, მოყვარე და მეგობარი მოვიმდურე. შემადგენლობა ცოლოურს გავისტუმრე, წინ ღორის დიდი, მოხარშული თავი დავიდე, ერთი დოქი ღვინო მოვიდგი, სხვადასხვა ყალიბის სასმისები შემოვილაგე, რადიო ჩავრთე და დაეწყო ლოდინი ღამის 12 საათს. შევაგეს სასმისი და მივაყურე. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... თერთმეტი, თორმეტი. ავდექი ფეხზე.

- გილოცავთ ახალ წელს, მეგობრებო!
- მაღლობელი ვარ, შენი ჭირიმე!
- გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს, აბა მე, თქვენ იცით.

ამ მოლოცვისთანავე გიგრძენი პირველი დიდი უხერხულობა. ვილაცას ხომ უნდა გადავხვეოდო და გადამეკონა! მაგრამ ვის? უკან დახევა აღარ შეიძლებოდა, ადვარტეი ღორის თავს პირობითად ევისიხი და ვეამბორე დრუნჩხე.

პირველმა უხერხულობამ რომ გაიარა, მეორე დიდი დადებითი მხარე აღმოვაჩინე ჩემს სუფრაზე: თამადად, რა თქმა უნდა, მე ვიქენ არჩეული, რამაც განსაკუთრებით განახარა, რადგან ჩემთვის არასასურველ სადღეგრძელოს ვერავინ მომახვევს თავზე.

— ამხანაგებო! დავიწყე მე, — ნება მიბოძეთ ამ პირველი სასმისით შევხვა ახალი წლის სადღეგრძელო. დაე, ამ ახალ წელს ჩვენი მრავალი გამარჯვებები მოეთანოს ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე. აბა ყველამ ერთად დავლიოთ. გაამოთ.

ღორის თავს ცალი ყური მოვათაღე, რადგან ყურს მაინც არ მივადებდა და შევექცევი. შემდეგი სადღეგრძელო რაღა ვთქვა? ვფიქრობ და ვერ მომიფიქრებია, რადგან ისეთი სამაგალითო სუფრა მაქვს. არავინ არ ხმაურობს. ვასკენი: როდესაც სუფრაზე ხმაურია და ღვინის დაძალება, თამადისთვის გაცილებით სუბოთა: სანამ ხალხი ხმაურობს, თამადას საშუალება ეძლევა მორიგი სადღეგრძელო მოიფიქროს. ამ სიჩუმეში კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მთელი სუფრა პირში შემომტყუროდეს. სხვა გზა არ არის, ავდექი, ყანწი ავადეს და დავიწყე:

— ძვირფასო მეგობრებო, სმენა იყოს და გაგონება! მე მინდა წარმოვსთქვა ჩვენი კინოხელოვნების ძვირფასო სადღეგრძელო. გაუმარჯოს ჩვენს კინოხელოვნებას, რომელმაც წარუშლელი, დაუფიწყარი და სახელოვანი ფილმები გამოიტანა საბჭოთა ეკრანზე. გაუმარჯოს მის ნიჭიერ შემოქმედთ. გაუმარჯოს იმ კინომუშაეებს და მათ შორის ახალგაზრდობას, რომელთაც რამდენიმე შესანიშნავი ფილმი გადაიღეს, რომელთა ნაწარმოებებმა არა მარტო ჩვენი, არამედ უცხოეთის მოწონებაც დაიმსახურეს. მაგალითად, ჩვენმა ერთ-ერთმა ფილმმა კანში...

...  
— ის ვინაა, რომ ვერ ეტყვა კანში? მოქალაქეებ, თქვენ საქეიფოდ ხართ მოსული თუ საინტრიგანოდ?..

- ...
- რაო, „ქალის ტვირთი“ არ მომწონსო? ვინ გიშლის მერე, ადექი და დაწერე.
- ...
- მაყურებელს არ მოსწონსო?
- ...



— თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, მაყურებელს რომ ვუყუროთ, სად წაგვიყვანს.

...  
— „საბუღარა“ თუ ვნახე? ვნახე, მერე რა გინდა შენი..

...  
— ქოთნებს რატომ ამტვრევსო? რა გენაღვლეება შენ, თუ ძმა ხარ, მისია და ამტვრევს. ისე უქნია, ცეცხლი წაუკიდებია იმ სახლისთვის.

...  
— რაო, რაო, მასეთ სცენარს შენც დაწერ? რატომ არ წერ მერე..

...  
— გრცხვენია? მაგი კარგია, თუ გრცხვენია.

...  
— კაცო, ქოთნების მეტი არაფერი არ გინახავს იმ კინოში?

...  
...  
— ამხანაგო, რომ იძახი „მაგდანას ლურჯა“ და „ჩვენი ეზო“ კარგაიო, მაგათზეც ხომ ამ-ზობდნენ, იტალიურს გავსო.

...  
— ის ვინდაა, რომ იძახის, ჯობია იტალიურს გავდეს, ვიდრე არაფერს არ გავდესო?

...  
— რაო, „ისინი ჩამოვიდნენ მთებიდანს“ გავსო?

...  
— ახლა ამანაც დამიწყო: სცენარის ბრალიაო!!!

ვატყობ. საკმე ცუდად მიდის. სიმთრალე შემომეპარა, ვესიხის მეორე ყურიც მოვათაღე და ღვინოს შევაცოლე. ოთახი დაირწა, ოთახთან ერთად მეც. დაფთვური. რას იტყვის საზოგადოება? ერთი პატარა შესვენება ამაშენებს. ვაცხადებ შესვენებას. — ვიმღეროთ, მეგობრებო, სმა გავაგრძელოთ? კარგი, ოღონდ ცოტა წავიმღეროთ.

— აბა, ერთი ჩემი საყვარელი სიმღერა:

„გურიის მთები დაუთოვია, ვარალეეე,

ჩემს შეყვარებულს სხვა უთხოვია, ვარალეეე“..

— თუ ძმა ხარ, ცოტა მომერიდე, ხომ იცი, ახლა მთრალე ვარ და რას ვაკეთებ, არ ვიცი.

...  
— ახლა თეატრი დამიწყო ამან. ჯერ არ ყოფილა თეატრის სადღეგრძელო!

...  
— კარგი, კარგი, მეგობრებო, გაუმარჯოს ქართულ თეატრს!

...  
— გამაგიჟებს ეს კაცი, ბიჭო, გადასარევი მსახიობები თუ გვყავს და შესანიშნავი რეჟისორები, მეტი რაღა გინდა?

...  
— ქართული პიესა? მაგას რა მნიშვნელობა აქვს ქართულია თუ მესოპოტამური, ხომ ნახულობ და გსიამოვნობს..

...  
— „გურიის მთები დაუთოვია“ არ მომწონსო? მაგი არც მე გამხარებია, წასვლას ვაპირებდი გურიამი.

...  
— ჰო, პიესაზე ლაპარაკობ?

...  
— კაცო, ღმერთი არ გწამს? რა ვიცი მე, რატომ იკლავს თავს ან ერთი ან მეორე, მოიკალითაგიო, უწერია დრამატურგს და რა ჰქნას საწყალმა მსახიობმა.

ლაპარაკს აღარ მაცლიან, ვყვირი და ძლივს ვაგონებ სუფრის წვერებს.

— მეგობრებო, ნუ მისწრებთ წინ, კომპოზიტორების სადღეგრძელოსაც დაეღვე. გაუმარჯოს ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას, ჩვენს კომპოზიტორებს გაუმარჯოს!





— რაო? რადიომიმღებთან ყველა ვზივართ, რა მოხდა მერე?

...  
— ქართული სიმღერების მეტი რა არის, შე კაცო.

...  
— მრავალკამიერს და ურმულს დამუშავება არ უნდაო? კი მაგრამ შენ რომ მოდექი ამ ჩვენს კომპოზიტორებს და ამუშავებ, კარგია?

...  
— ეს ვიღანაა, ფეხის ხმას რომ აყოლია და იძახის ქართული ოპერა არ გვაქვსო, „დაისი“ და „რუსთაველი“ რაღა აბა.

...  
— ახალიო? შენ ყველაფერი ახალი გინდა, ძმაო, ვიღაცა ხარ. თუ არ არის ახალი ოპერა, გვექნება!

...  
— მანამდე არაფერი მეტკინოს? მადლობელი ვარ, შენი ჭირშიე.

...  
— ახლა ბალეტის გინებაც არ დამიწყო, თორემ გადავირევი!!!

...  
— აა, მოგეწონა? მადლობა ღმერთს! მეგობრებო, გაუმარჯოს ქართულ ბალეტს! ყველამ შეესით? გაამთო.

— ძვირფასო მეგობრებო! ახლა მე მინდა ამ პატარა სასამისით და დიდი გრძნობით შევსვა ჩვენი სახელოვანი მწერლობის სადღეგრძელო. გაუმარჯოს დიდ ქართულ ლიტერატურას, ჩვენს სახელოვან მწერლებს: პოეტებსა და პროზაიკოსებს. ჩვენს მომავალ ნიჭიერ ახალ თაობას. ვუსურვოთ მათ დაეცვათ ჩვენი დიდი წინაპრების ლიტერატურული ტრადიციები და უფრო მაღლა აეზიდონ ჩვენი ლიტერატურის სახელი...

...  
— რაო, თქვენ რა სთქვით მანდ?

...  
— იცოცხლე, ბებრი უნიჭო გვირევიანო?

...  
— თუ ხათრი გაქვს, ახლა კრიტიკის დრო არ არის, თუ ქეიფია, ვიქეიფოთ!

...  
— რაო, შენი აზრით?

...  
— თუ ძმა ხარ, შენს აზრს თავზე ნუ გვახვევ. გამოდი და ილაპარაკე, თუ ბიჭი ხარ.

...  
— ნუ ყვირი და ნუ გვაშინებ, ამხანაგო, რა ჩემი ბრალია, თუ ზოგიერთის წიგნებით გატენილია მაღაზიის თაროები და არაფერ ყიდულობს... მე მგონი, ეს არ არის მართალი!

...  
— რაო? თვითონ არ დადიან ასეთი ავტორები მაღაზიებში და გაყიდული ჰკონიათო?

...  
— ის ვინ არის, რომ იძახის, რატომ სცემენ ყოველ წელიწადს, თუ არ იყიდებო? შენ კაცო, მოგზავნილი ხომ არა ხარ, ალბათ იმიტომ არ იყიდება, რომ ძვირია.

...  
— რაო, რაო? ტყუილა გატანდნენ და არ წაიღე?

...  
— ახლა პროზაიკოსებსაც მიაღდექი? ვის გულისხმობ შენ...

...  
— არ მითხრა, თუ კაცი ხარ, ვერ შევინახავ ნამუსს.

...  
— შენ რომელი ხარ, რომ ღრიალებ მანდ, სულ არ გკითხულობ ნაგ ავტორებსო.

...  
— ეს ვიღამ თქვა, ალბათ თვითონ ავტორებიც არ კითხულობენ, თორემ რომ იცოდნენ ზაგ რა სწერია, რავა გამომცემდნენ?! ჩემდა!

ერთი სიტყვით, ვატყობ სუფრა ამერია, სჯობს საუბრის თემა გამოვცვალო. ჩანგალს საინზე ვაკაკუნებ და რაც ძალი და ღონე მაქვს გაკვივი.

დავთვერი, მინდა კიდევ ბევრი ვილაპარაკო, ვედაო ამ ხალხს, ლაპარაკს რომ არ მაცდობან აშკარად მჯობნიან. დამცინიან კიდევაც.

— ვინ არის მანდ, „ტოლუმბაშო ჩანჩალო“ რომ წამოიწყო?

აქეთ-იქით ვიცქირები, ოთახში არავინ არის... ნუთუ ყველანი წავიდნენ... და მაგონდება, რომ ჩემს გარდა სუფრაზე არც არავინ ყოფილა. ვაგლახ, რა ტყუილ-უბრალოდ გავიწამე თავი. ვაგლახ, რამხელა შეცდომა მომივიდა: ეს მე ვიჯექი გაორებული, გასამებული და გაასებული სუფრასთან? ვიჯექი და არაფერი არ მითქვამს გულწრფელად? ხოლო ვინც ამბობდა, ლაპარაკს არ გვაცლიდი?

ვაგლახ, რომ თავიდან ვერ დავიწყებ, მაგრამ არა უშავს, ერთი სადღეგრძელო კიდევ დამრჩა სათქმელი:


— ამხანაგებო, გაუმარჯოს თამადას, რომელმაც დღევანდელი სუფრა ასე ჩაგვატარებინა, ჩვენი თამადა...

მე მინდა ვთქვა ყოველივე გულწრფელად, ყოველივე ის, რაც მაწუხებს და როგორი წარმოდგენაც მაქვს ჩემსავე თავზე, რას ვფიქრობ ჩემს შესახებ, მაგრამ, საბედნიეროდ, ისეთი მთვრალი ვარ, ენას ვერ ვაბრუნებ პირში.




ხელოვნება მოითხოვს მსხვერპლს.

ნახ. გ. ფიცხალავასი



უტექსტო ხუმრობა დ. ერისთავისა



პინგ-პონგის მოყვარული.

ნახ. თ. შახინაძე

### აღმოსავლური გაყვანილობა

## სხვადასხვა სახის საბჭოთაო სახელმწიფოს ნაშრომები უცხოეთში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ, რომელსაც გაცხოველებული ურთიერთობა აქვს უცხოეთის ბევრ სამეცნიერო დაწესებულებასთან, მიიღო საზღვარგარეთ გამოხული საყურადღებო ქართველოლოგიური ნაშრომების ახალი პარტია.

ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებული საკმაოდ მდიდარი მასალაა წარმოდგენილი ჟურნალ „ორიენს ხრისტიანუსის“ 1957 წლის მორიგ ორმოცდამეერთე ნომერში (მეოთხე სერიის მეხუთე ტომი).

ჟურნალის ერთ-ერთ რედაქტორს იოზეფ მოლიტორს ამ ტომში ორი ნაშრომი ეკუთვნის. ერთი მათგანია აღიშნის ცნობილი ქართული ოთხთავის ლათინური თარგმანის გავრცელება. ტექსტი მოყვანილია მარკოზის სახარების მეშვიდე თავამდე. სამეცნიერო აპარატში გათვალისწინებულია ყველა ვარიანტი ობიზისა და ტბეთის ოთხთავებისა, აგრეთვე თბილისის ხანმეტი პალიმფსესტის, გრაციის სინური ხანმეტი ლექციონარისა და თბილისის ჰემეტი პალიმფსესტის ფრაგმენტებისა. მთარგმნელს ამ ნაწილში, მათეს სახარების ტექსტთან შედარებით, ზოგი სიტყვისა და გამოთქმის თარგმანი ახალი რედაქციით გაუმართავს. ამიტომ ბოლოში ამ ცვლილებათა გასათვალისწინებელი ფორმების სისადაც უმატებს.

ი. მოლიტორის მეორე ნაშრომია „ხანმეტი ფრაგმენტები. ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის ტექსტის ისტორიისათვის“, რომელშიაც მკვლევარი იყენებს ლათინურ ენაზე თარგმნილი მათეს სახარების მასალას, აგრეთვე მის მიერვე გამოქვეყნებული ხანმეტი-ჰემეტი ტექსტების მონაცემებს და აწარმოებს მათს შედარებითს შესწავლას. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამავე მეცნიერმა 1956 წელს ლუვენში (ბელგია), სერიაში „კორპუს სკრიპტორუმ ხრისტიანორუმ ორიენტალიუმ“ („აღმოსავლეთის საქრისტიანო მწერლობის სერია“), რომლის ერთ-ერთ ქვესერი-

ას წარმოადგენს „ძველი ქართული ძეგლები“ („მონუმენტა იბერიკა ანტიკვიორა“), ქართულ და ლათინურ ენებზე გამოაქვეყნა „წარწერების, ბიბლიისა და მამათა თხზულებების ხანმეტი და ჰემეტი ტექსტები“.

ნაშრომის მეოთხე თავში (სულ ოთხი მომკრო თავისაგან შედგება) ი. მოლიტორი შეისწავლის ამ ტექსტების დამოკიდებულებას სომხური და სირიული ვერსიების ტექსტებთან და ფრიად საყურადღებო სურათს წარმოგვიდგენს: შედარებულ ნაწყვეტებში 6 არმენიზმი აღმოჩნდა და 16 სირიზმი. ამ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კულტურის ისტორიისათვის.

აქვეა მოთავსებული მ. თარხნიშვილის ნაშრომი „ქართული სასულიერო პოეზია და მისი დამოკიდებულება ბიზანტიურთან“, რომელიც წარმოადგენს ცნობილი მკვლევარის პავლე ინგოროვას წიგნის „გიორგი მერჩულეს“ მეორე ნაწილის რეკონსტრუქციას.

ამ ნაშრომს ავტორი მონუმენტურს უწოდებს. იგი მოკლედ გადმოსცემს წიგნის პირველი ნაწილის შინაარსს; აღნიშნავს, რომ ეს ნაწილი ეხება „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების და რომ ამ სახელწოდებაში მთელი მავინდელი დასავლეთ საქართველო იგულისხმებოდა, აგრეთვე ტაო-კლარჯეთის ისტორიას, ავად. ნ. მარის თეორიის ტაო-კლარჯეთის ეთნიკური რაობის შესახებ ფანტასტიკურს უწოდებს და მართებულად მიიჩნია პ. ინგოროვას მსჯელობა. თან დასძენს—მცდარობა ავად. ნ. მარის ვარაუდისა „არძანენს“ და „არტანუჯის“ იგივეობის შესახებ (ნაწილი-ბრივ ამაზე აფუძნებდა ნ. მარის თავის თეორიას) ჯერ კიდევ ბელგიელმა პროფესორმა ე. გარტიზმა დაამტკიცა 1946 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში — „მასალები ავთანგელოსის წიგნის შესწავლისათვის“.

შემდეგ ავტორი გადადის ჰიმნოგრაფიული ნაწილის გარჩევაზე და საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს მთელ მასალას. მეცნიერების მტკიცე



მონაპოვრად მიაჩნია ძველი ქართული ლექსთ-  
წყობის გამოდგრა პ. ინგოროყვას მიერ და სწო-  
რად თვლის მისი მსჯელობის გეზს. მკით-  
ხველს აცნობებს ქართული სალექსო ტერმინე-  
ბისა და ფორმების აზრს, ძველი ქართული პო-  
ეზიის ძირითად სახეებს და ყოველივე ამას სა-  
თანადო მაგალითებითაც ასურათებს. აგრეთვე  
მიმოიხილავს აქამდე ნაკლებად ცნობილ იმ ჰიმნ-  
ნოვარების მოღვაწეობას, რომლებიც პ. ინგო-  
როყვას წიგნში არიან წარმოდგენილი.

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს მკვლევარი  
ლექსის „ქება ბეთლემისაჲს“ ავტორის  
შესახებ. ამ ლექსის სტრიქონების პირველ ასო-  
ვების მიხედვით იკითხება „ფილიპე — ბეთლემი“  
და პოეტი მათე საუტუნის მოღვაწედ არის ცნო-  
ბილი. ნაშრომის ავტორს კი მიაჩნია, რომ ფი-  
ლიპეს კავშირი უნდა ჰქონოდა პალესტინაში  
სწორედ ბეთლემის მახლობლად მდებარე, ამ  
რადენიმე წლის წინათ აღმოჩენილ ქართულ  
საგანსთან (იხ. ამის შესახებ „ლიტ. გაზ.“,  
№ 24, 1956 წ.), რომლის ქართული და ბერძნუ-  
ლი წარწერები დადასტურებენ, რომ ტაძარი VI სა-  
უკუნისა უნდა იყოს. ამიტომ შესაძლებლად  
თვლის, ამ ლექსის შეთხზვის დროდ, სულ უკა-  
ნასკნელი, VIII საუკუნე მიაჩნთ ცნობას.

ქართული სასულიერო პოეზიის ბიზანტიურ-  
თან დამოკიდებულების შესახებ მსჯელობისას  
მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქართულ ძლისპირებს  
არავითარი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეთ  
ბიზანტიურ პოეზიასთან. იგი მიაჩნია ადგი-  
ლობრივ, ქართულ ნიადაგზე წარმოშობილად და  
უძველესი წარმართული ხანინად მომდინარედ.  
ოღონდ გვიანდელ, ბიზანტიურ ეპოქაში ჩამო-  
ყალიბებულ ჰიმნებსა და იამბიკოს ფორმას კი  
ბერძნულის გავლენით გაჩენილად თვლის.

ავტორის მოჰყავს პ. ინგოროყვას წიგნში მო-  
ცემული ჰიმნების ბერძნულ-ქართული პარალე-  
ლები, ანალიზს უკეთებს მათ და ხაზს უსვამს,  
რომ კარდინალ პიტრას მიერ XIX საუკუ-  
ნის მეორე ნახევარში აღმოჩენილი ბიზანტიური  
სასულიერო პოეზიის ლექსწყობა შუა-საუკუ-  
ნებშივე კარგად ყოფილა ცნობილი საქართვე-  
ლოში. მისი აზრითაც, ბიზანტიური პოეზიის ნი-  
შეუშების თარგმნისთან დაკავშირებულ, თავიდანვე  
უნდა დასმულიყო საკითხი ტექსტის შესაბამისი  
საგალობლების ან გადმოტანის, ანდა მათთვის  
სრულიად ახალი მელოდიების შექმნისათვის.

ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის  
შექმნის დასაწყისად ავტორს მიაჩნია V საუკუნე,  
როცა ღვთის მსახურება ქართულ ენაზე იქნა  
შემოღებული. ეს პოეზია ისევე ძველია, რო-  
გორც ქართული პროზა. სალექსო საზომები  
ნაწილობრივ ადგილობრივი, უძველესი ქართუ-  
ლია, ნაწილობრივ კი სირიულ-ბიზანტიური ყა-  
იდისაა; მაგრამ ავტორი აქვე დასძენს: თვით  
ბიზანტიური პოეზიის მარცვლდის ფორმა მზო-

ლოდ აღმოსავლური მსგავსი პოეზიის გავლენით  
უნდა აიხსნას და ბერძნულ ენაზე სასულიერო  
საგალობლების პირველი მოხვედრებიც ნამდვი-  
ლი სირიელები ანდა ელინიზებული აღმოსავლ-  
ელები იყვნენ.

ეურნალის საბიბლიოგრაფიო ნაწილში მოთავ-  
სებულია ი. მოლიტორისაგან მოზრდილი რეცენ-  
ზიები, რომლებიც შეეხება მ. თარხნიშვილის  
მიერ გერმანულად ნათარგმნ პროფ. კ. კეკელი-  
ძის „ქართული სასულიერო მწერლობის ისტო-  
რიას“, პროფ. ე. გარიტის მიერ გამოქვეყნებულ  
„სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილ-  
ობას“ და პროფ. დ. ლენგის წიგნს „ქართულ  
წმიდანთა ცხოვრებანი“ (მტრ. „ცისკარი“, № 2,  
1957, გვ. 152). ავტორი აღტაცებით მიესალმე-  
ბა ამ ნაშრომების გამოხვლას და მათ მიიჩნევს  
დიდ შენაძენად მეცნიერებისათვის.

დამატებით ერთი უნდა შევნიშნოთ. დ. ლენ-  
გის ხსენებული წიგნი, რომელიც დიდი ხანი არ  
არის, რაც მივიღეთ აქ, სამწუხაროდ, ძველი  
ჩვენი ჰაგიოგრაფიული ძეგლების სრულ ტექს-  
ტებს არ შეიცავს და ორიგინალიდან ნათარგმნი  
ნაწყვეტები, სადაც საჭიროა, ავტორისეული  
ტექსტითაა გადაბმული. რასაკვირველია, უკე-  
თისი იქნებოდა ეს მასალა უფრო სრულიად  
ყოფილყო წარმოდგენილი, როგორც სალიტე-  
რატურო ნიმუშები, მაგრამ ამ სახითაც კარგ სა-  
სახურს გაუწევს ძველი ქართული მწერლობით  
დაინტერესებულ პირთ უტხოვთში.

ცნობილი გერმანული ბიზანტინოლოგიური  
ეურნალი „იციანტინიმე ციხეშირფტის“ 1957  
წლის მორიგ 50-ე ტომის წიგნების მიმოხილვის  
განყოფილებაში მოთავსებულია მოკლე რეცენ-  
ზია პროფ. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით კრი-  
ტიკულად გამოკეცილი „ქართლის ცხოვრების“  
პირველი ტომისა. რეცენზენტი, უპსალის (შვე-  
დეთი) უნივერსიტეტის მუშაკი ე. გრენი განიხი-  
ლავს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შესწავ-  
ლისა და გამოკემის საკითხებს. იგი აღნიშნავს,  
რომ „ქართლის ცხოვრება“ 1849-58 წლებში ზო-  
გა ნაკლებ ხელნაწერის მიხედვით ფრანგულ  
თარგმანითურთ გამოისცა აჯად. მ. ბროსემ შეგ-  
დგე ე. თაყაიშვილმა ცალკე გამოაქვეყნა ე. წ. მა-  
რამისეული (XVII ს.) ხელნაწერი, ხოლო, 1942  
წელს პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა — ანა დედოფ-  
ლისეული (XV ს.) ნუსხა. პროფ. ს. ყაუხჩიშვი-  
ლის გამოკემა, რეცენზენტის თქმით, აღარმოად-  
გენს მეცნიერთა დიდი ხნის ნატურის ფარსულე-  
ბას, რადგან ყველა ხელნაწერის მიხედვით დად-  
გენილ ტექსტს სრული კრიტიკული აპარატი და  
აგრეთვე შენიშვნებიც ახლავს. ე. გრენი ხაზს  
უსვამს, რომ ახალი გამოკემის ტექსტი ძალიან  
განსხვავდება აჯად. მ. ბროსეს ტექსტისაგან — ბევ-  
რი ისტორიული ფაქტი სრულიად სხვა გასუქე-  
ბით წარმოგვიდგება და უდიდესი მნიშვნელობა  
აქვს საქართველოს გარდა, ბიზანტიის ისტო-  
რიის შესწავლისთვისაც. დასასრულ, ავტორი ძე-

ლიან საქიროდ და სასურველად თვლის მეორე ტომისა და მთელი ტექსტის რუსული თარგმანისა და შეიძლება პოლე გამოქვეყნებას.

ამვე ნომერშია ცნობა, რომ პროფ. მ. ბრიერს ჟურნალში „კაიე არქეოლოგიკ“ („არქეოლოგიური რეველუბი“) ფრანგულად გამოქვეყნებია წერილი დეტროიტში დაცული ერთი ქართული ნაქარგობის შესახებ, რომელიც წარწერის მიხედვით გვიან ბიზანტიურ ხანას ეკუთვნის და ფანასკერტიდანაა.

საყურადღებოა აგრეთვე ცნობა, რომ სოფიაში ეპისკოპოს იონას ბულგარულ ენაზე მეორე შეეცხებულ გამოცემად გამოუშვია თავისი წიგნი — „ბაჩკოვოს მონასტერი“, რომელიც დავით ილიაშვილის მიმის დროს დააარსა ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ გრიგოლ ბაქურაიანისქემ. ჩვენში ეს მონასტერი ცნობილია პეტრიწონის სახელით და იგი თავის დროზე ქართული კულტურის დიდ კერას წარმოადგენდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ ახლახან მიიღო აგრეთვე ინგლისელი მეკლევიანის მორის ბოურას წიგნი „შთაგონება და პოეზია“ („Inspiration and Poetry“), რომლის ერთი კარგა მოზრდილი ნარკვევი მიძღვნილია „გეფხისტყაოსნისადმი“. ამ ნარკვევის მოკლე, მაგრამ აღდრთოვანებული შეფასება ჩვენს მკითხველს მოაგონდება კიდევ ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის დ. მ. ლენგის წერილიდან (იხ. „ცისკარი“, № 4, გვ. 148-9). რაც შეეხება თვით ავტორს, იგი გამოჩენილ მეკლევიანად ითვლება ინგლისში. მის კალამს ეკუთვნის წიგნები: „ვერგლიუსიდან მილტონამდე“, „საგმირთა პოეზია“ (რომელშიაც კიდევ აქვს განხილული „გეფხისტყაოსნის“ საკითხები), „რუსული პოეზია“ (ორ ნაწილად), „სიმბოლოზმის შემკვიდრობა“ და სხვ.

თვით წიგნი „შთაგონება და პოეზია“ თორმეტი ნარკვევისაგან, ანდა, ესეისაგან შედგება. პირველი ნარკვევი ეხება შთაგონების როლს შემოქმედებაში. მომდევნო ნარკვევები როგორც დროის, ისე სივრცის მიხედვით ერთობ ფართო ასპარეზს მოიცავს. ავტორი განიხილავს პორაციუსის ოღებს, დანტეს დამოკიდებულებას პროვანსელი ტრუბადურის არნო დანიელის (დაახლ. 1150 — 1200 წწ.) პოეზიისადმი, პორტუგალიელი ვისენტეს (დაახლ. 1470 — 1540 წწ.) სიმღერებს, ჯონ მილტონის პოემის „მორკინალი სამოსონის“ ფონსა და აღნაგობას, ცნობილი გერმანული პოეტის ჰელდერლინის (1770 — 1843 წწ.) პიმნებს, პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიას, ერთ დროს გავლენიანი ინგლისელი ხელოვნებათმცოდნისა და კრიტიკოსის უოლტერ პეიტერის (1839-94 წწ.) შემოქმედებას, აგრეთვე გვიან-

დელი ინგლისური კრიტიკული რეალბიზმის ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ტომას პარდის (1840 — 1928 წწ.) ლირიკული პოეზიის ნიმუშებს.

ასეთ თემატიკურ გარემოში განიხილავს მ. ბოურა შოთა რუსთაველის პოემას, მისი დროინდელი საქართველოს ძირითად მამოძრავებელ იდეებს, რუსთაველის დამოკიდებულებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ სამკარობთან, ხაზს უსვამს მის თვითმყოფლობასა და დიდ ჰუმანიზმს; „გეფხისტყაოსნის“ როგორც მთავარ იდეებს, ისე ცალკე რეალიებს მსოფლიო პოეზიის სახელგანთქმულ ნიმუშებს აღარებს და თითქმის ყოველთვის რუსთაველს უფრო მაღლა აყენებს როგორც პოეტურად, ისე ღრმა იდეურად და ჰუმანური თვალსაზრისით.

მართალია, მეკლევიანს ხელს უშლის ქართული ენის უცოდინარობა, რის გამოც, ცხადია, ფრიად შეზღუდულია, როგორც თვით პოემის წმინდა პოეტურ ღირსებათა შესახებ მსჯელობისას, ისე მდიდარი რუსთაველოლოგიური ლიტერატურის მიღწევათა გათვალისწინების საქმეშიაც; მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ იგი ძირითადად სწორად განჭვრეტს და აფასებს ჩვენი პოეზიის სწორუპოვარი წარმომადგენლის შემოქმედების შესანიშნავ მხარეებს.

ავტორი თვითონაც მწვავედ გრძნობს ამ დამარკოლების სერიოზულობას და თავის ნარკვევს „გეფხისტყაოსნის“ შესახებ მობოდიშებით იწყებს. მას შეგნებული აქვს, თუ რაოდენ საფრთხილია ორიგინალის ენის უცოდინარად პოეზიის შესახებ მსჯელობა, მაგრამ თუ ლირიკული პოეზიის ნიმუშების მიმართ სჯა თარგმანების მიხედვით ხშირად არადამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა, თხრობის ნიმუშებში მეკლევიანს უფრო ფართო ასპარეზი რჩება — მას შეუძლია შეაფასოს მიყოლოლი ამბის ხანიათ, თვით თხრობის მანერა, თხზულების აღნაგობა და ნაწილობრივ მაინც განჭვრეტს პოეტის პირად მიდრეკილებას; აგრეთვე გაითვალისწინოს ზოგი რამ იდეათა განვითარებისა და მათი პოეტური ასახვის სფეროები.

მეკლევიანს მარჯობა უორდრობისეული ინგლისური თარგმანის 1938 წელს გამოქვეყნებულ მოსკოვურ გამოცემასთან ერთად ხელთ ჰქონია პროფესორ შალვა ნუცუბიძის რუსული თარგმანი (1941 წლის გამოცემა). იგი აღნიშნავს: ინგლისური პროზაული და რუსული გალექსილი თარგმანების ამ უცხოურ სამოსშიაც რუსთაველის პოემა იმდენად მომჯადობელობა და იმდენ მომზიბლავ საკითხს აღძრავს, რომ არ შეიძლება არ გამოხზაუროს კაცო, თუნდაც რომ არ შეგვეცინოს ჩაწვდვით ენის მთელ იმ სინათლეს, რომელსაც მიაწვრენ მას თავყვანისმცემელი და რაიც გვიხსნის მიზეზს, რად ინარჩუნებს იგი ქართული კლასიკური მწერლობის მიუწვდომელი ნიმუშის სა-

ხელს შეიდ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში.

შემდეგ ავტორი გადადის რუსთაველის გინაობასა და ეპოქის მოკლე დახასიათებაზე, აღნიშნავს რუსთაველის დიდ ნაქიზობასა და განსწავლულობას და მსჯელობს პოემის დაწერის თარიღის შესახებ. მისი აზრით, „ვეფხისტყაისანი“ შეთხზული უნდა იყოს 1198 — 1207 წლებს შორის.

მ. ბოურა დიდ პოეტურ მიღწევად მიიჩნევს პოემის ერთობიანი ოთხტაგოვანი სტროფებით გამართულობას და განსაკუთრებით მიაქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ რუსთაველს მხოლოდ ორ და სამმარცვლიანი რითმები აქვს გამოყენებული, რაც ჩვეულებრივ ყოველ ენაში დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

ამ ხანაში, ავტორის თქმით, ევროპისა და აზიის პოეზიაში შესამჩნევი ძვრები ხდებოდა. მართალია, გაბატონებული იყო ეპოსი, რომელიც კვლავ საგმირო საქმეა თხრობის ემსახურებოდა, მაგრამ მისი ტონი და განწყობილება კი ცვლილებას განიცდიდა. დიდებისა და პატივის ძიების თემას ნელ-ნელა ეპარებოდა რომანტიკული სიყვარულის ახლებური გავება, რომლის თანხმადაც, გმირები ვინმე მიუწვდომელი პანორეის თაყვანების ნიშნად რას არ სჩადიდონენ. ეს თემა უკვე ჩანს ძველ გერმანულ „ნიბელუნგთა თქმულებაში“, რომელიც დაახლოებით XII საუკუნეში ჩამოყალიბდა, და ფრანგულ ეპოსში, ასევე მოხდა აზიაშიც, სადაც პოეზიაში სპარსეთი პირველობდა, — ფირდოუსიდან აღებულ საგმირო თემებში ნიზამმა სიყვარულის ახალი გაზრება ჩააქსოვა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოეტთა განწყობის შეცვლას თავისი სოციალური საფუძველი მოპოვებოდა. სიყვარულის თემამ ფეხი მოიკიდა სამეფო კარზე და პრავანსულ პოეტთა და ეპიკოსების მავრთა შემოქმედებაში ერთგვარი იდეალური სახე მიიღო. სატრფო წარმოდგენილი ჰყავდათ ყოველგვარი სათნოებისა და სიმშვენიერის განხორციელებად, რომელიც უდრტეხველ და თავგანწირულ სამსახურს მოითხოვდა. მ. ბოურას აზრით, ასეთი იყო იმ ეპოქის სული, რომელშიაც იშვა რუსთაველის „ვეფხისტყაისანი“.

მკვლევარი ჩერდება რუსთაველის ხანის საქართველოს აღზევებულ მდგომარეობაზე როგორც სულიერი კულტურის სფეროში, ისე პოლიტიკურ ასპარეზზე. ქართული ფილოსოფიისა და ხელოვნების აყვავების ხელისშემწყობ ძალედ, ზოგი სხვა მკვლევარის მსგავსად, იგი მიიჩნევს, ერთი მხრით, სპარსულ პოეზიას ფირდოუსის, ნიზამისა და სხვათა სახით, მეორე მხრით კი — ბიზანტიიდან მომდინარე გავლენას განსაკუთრებით ფილოსოფიის დარგში, რაც გამოიხატა ნეოპლატონისტ ფილოსოფოსთა შრო-

მების შეთვისებაში. მ. ბოურა დასძენს რუსთაველს სწორედ ამ ორმა მძლავრმა მოვლენამ დაჩინა ღრმა კვალი.

აქ, ჩვენი აზრით, შეიძლება უფრო მეტი ხაზგასმით თქმულიყო ავტორზე, რომ XI—XII საუკუნეებში საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური მდგომარეობის მაღალ დონეს გარე გავლენებზე უფრო შინაგანი სოციალური ძვრები უწყობდა ხელს და წინა თაობების მიერ ხანგრძლივი დარის მანძილზე შემზადებული საკუთარი მტკიცე კულტურული საფუძველიც მოეპოვებოდა. აღნიშნული ქართული ორიგინალური მწერლობის ისეთი ნატიფი თხზულებანი, როგორცაა შუშანიკის, აბო თბილელის, გრიგოლ ხანძთელის, ქვითიმე და გიორგი ათონელის ცხოვრებანი, ჰინოგრაფიული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშები არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიო ლიტერატურის სხვა ანალოგიურ ძეგლებს. ქართულებს შესანიშნავი მეკვიდრეობა ჰქონდათ მატერიალური კულტურის, მხატვრობისა და მუსიკის დარგებშიაც.

ნიშანდობლივია, რომ ქართველი მოღვაწენი რუსთაველამდე გაცილებით ადრე დაეუფლენ იმდროინდელი ბიზანტიისა და აღმოსავლეთის დაწინაურებული აზროვნების მნიშვნელოვან მონაბოვრებს და არა მარტო გაამდიდრეს მშობლიური მწერლობა შესანიშნავი თარგმანებით, რომელთა რაოდენობის მიხედვითაც, გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, ძველი ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი პირველთაგანია მსოფლიოში, არამედ თვითონაც შეიტანეს მსოფლიო კულტურის საგანძურში თავისი წვლილი. აშკარაა რუსთაველი და რუსთაველის ეპოქა, უპირველეს ყოვლისა, კანონზომიერი შედეგი იყო ქართული საზოგადოების ბუნებრივი ზრდისა და განვითარებისა. ყოველივე ეს ავტორს, ჩანს, მთელი სისრულით გათავისუფლებული არა აქვს, ალბათ იმის გამოც, რომ სათანადო ინფორმაცია აკლია.

შემდეგ ავტორი მოკლედ გადმოსცემს „ვეფხისტყაისნის“ სიუჟეტს და ამბობს, მშვენივრად ჩაფიქრებული და ჩამოყალიბებული მითხრობათ. თხრობის მთავარ სიუჟეტურ ქარგაში ჩართული ტარიელის ნაამბობის შესახებ აღნიშნავს, აქ რუსთაველი გამოყენებული აქვს ხერხი, რომელიც ისევე ძველია, როგორც „გილაშემიანი“ და „ოდისეა“ და რომელიც ეპიკოს პოეტებს ძალიან უყვარდათ. ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობაში ხედავს ტრადიციული ტიპის გმირულ წყვილს, რომელშიაც ერთი თუ უფრო წინ არის წამოწყებული, მეორე არანაკლებ წარწყმეტილი. დაახლოებით ასევე განიხილავს ქალთა წყვილსაც: თინათინი ჩამორჩება ნესტანს, მაგრამ ავთანდილის საგმირო საქმეთათვის წაქეზების მეტი როლიც რომ არ ჰქონოდა, მაინც მნიშვნელოვანი ფიგურა იქნებოდა.

ბოურა განიხილავს პოემის შესავალში წარმოდგენილ რუსთაველის პოეზიის თეორიას და ყურადღებას მიაქცევს პოეტის იმ აზრს, რომ მისი დარბაისლური მიზნისათვის მხოლოდ გრძელი პოემა შესაფერისი. ასეთი მიზნადსახელუება კი დამახასიათებელი იყო იმ ეპოქისათვის როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, რუსთაველისაგან „ლექსთა გრძელთა“ დაცვა მოკლეს წინააღმდეგ, მკვლევარის შეხედულებით, მეტყველებს ხალხური ტრადიციის სისარგებლოდ და საკაროს საწინააღმდეგოდ და უჩვენებს, რომ საქართველოში, ისევე როგორც საფრანგეთსა და გერმანიაში, ერთგვარი ქიშპობა არსებობდა ამ ორ მიმართულებას შორის პოეზიაში. რუსთაველი გრძელ თხზობას არჩევს, როგან იგი უფრო ფართო საზოგადოებისათვისაა გამიზნული და უფრო ბევრისა და სერაიოზულის მომკვლევია არის.

მკვლევარს ნიშანდობლივად მიაჩნია ის გარემოება, რომ, მართალია, პოეტი ნაწილობრივ ამჟღავნებს თავის სიყვარულს თამარისადმი და მისი სიყვარულით შთაგონებული თხზავს, მაგრამ არა აქვს განზრახული პირდაპირ აქოს იგი. ის თავის სიყვარულს გამოხატავს პოემით, რომელიც სიყვარულის უმაღლეს ფორმას უმღერის. აქ, ავტორის აზრით, უეჭველად მოგვაგონდება დანტე. ორივეს პოეზიები, ერთადერთი ბანოენისადმი იდეალური სიყვარულიდან წარმოშობილი, დიდ ტილოდ გადაიქცევიან და, თუმცა რუსთაველის სამყარო უფრო შეზღუდულია, ვიდრე დანტეის, სიყვარულის თემა „ვეფხისტყაოსანში“ უფრო ღრმად და კონცენტრირებულადაა წარმოდგენილი, ვიდრე „ღვთაებრივ კომედიაში“.

რუსთაველისეული სიყვარულის გაგება, გამოთქმული სტროფში, „ეთქვა მიჯნურობა პირველი...“, პლატონური სიყვარულის აღიარების დამდასტურებლად მიაჩნია მ. ბოურას, ოღონდ მის კრებოში მისი ეპოქის დამახასიათებელ გამოთახილებსაც ხედავს და ამით, როგორც ის ამბობს, რუსთაველი არა ერთხელ მოგვაგონებს არხო დანიელისა და ყოფი რუდელის მსგავს პროვანსულ პოეტებს. სიყვარულის ასეთი გაგება დანტეზე შორსაც მიდის, ხოლო 27-ე სტროფში („არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა ვირთა, მალვა...“) გამოთქმულ შეხედულებათა უახლოეს პარალელად ესაზნელ მავრ პოეტთა პოეზია მიაჩნია და მოჰყავს კიდევ ერთი მათგანის, იბნ ზაიდუნის, ნაწერიდან მართლაც განწყობილებით მსგავსი ციტატი.

მკვლევარი აღიარებს, თითქმის შეუძლებელია ვთქვათ, სად ჰპოვა რუსთაველმა ეს თავისი აზრები. ალბათ ბერძნული პლატონიზმი ერთი წყარო იყო, არაბული წარმოშობის, ოღონდ სპარსეთის გზით შემოსული პოეზია — მეორე, მაგრამ არ შეგვიძლია გამოვრიცხოთ შესაძლებლობა, რომ ზოგი შეხედულება მისი საკუთარი იყო და რომ იგი თვითონვე დამოუკიდებლად

მივიდა სხვა უცხოელ პოეტთა დასკვნებისგან რასაკვირველია, ნარკევის ავტორი უფრო ახლოს რომ იცნობდეს ჩვენი ერის ისტორიას და ქვეყნის იმდროინდელ მდგომარეობას, უკანასკნელ აზრს ასე ვარაუდის სახით აღარ გამოთქვამდა და უფრო სხადაც იქნებოდა მისთვის ჩვენი გენიალური პოეტის თვითყოფილი.

ავტორი შემდეგ აღნიშნავს, რომ რუსთაველს სიყვარულის თავისებური გაგება კონკრეტულ მოქმედებაში აქვს წარმოდგენილი გმირთა შორის დამოკიდებულების სახით: ტარიელის ნესტანისადმი სიყვარულისა და ავთანდილის თინათინისადმი სიყვარულის სახით. მაგრამ ქალთა და ვაყაცთა შორის სიყვარულზე არანაყლებ მძლავრ გრძნობად მიაჩნია მკვლევარს ავთანდილისა და ტარიელის მეგობრობა, რომელიც უანგარო თავდადების შესანიშნავი მაგალითებითაა დასურათებული. „ვეფხისტყაოსანი“, მ. ბოურას აზრით, თავგანწირვისა და ერთგულების მოძღვრებაზეა აგებული და სიყვარული ამა თუ იმ ფორმით თითქმის ყოველი მისი ფურცლიდან გამოჰსქვივის.

სიყვარულის იდეისათვის უპირატესი როლის მინიჭება საკმაოდ საბუთს აძლევს ავტორს ამ პოემას რომანი უწოდოს. იგი ადარებს იმ ეპოქის დასავლურ-აღმოსავლურ სხვა პოეტურ რომანებს და დასკვნის, რომ ბევრი რამ უგავს კიდევ მათ, მაგრამ ყურადღებას ამახვილებს „ვეფხისტყაოსნის“ სწორედ იმ მხარეებზე, რომლითაც იგი შირაყბა იმდროინდელ რომანების ტრადიციას.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის მაშინდელ პოემებთან შედარებისას „ვეფხისტყაოსანს“ სამი ნიშნით გამოჰყოფს ავტორი. პირველი თავისებური დამახასიათებელი თვისება „ვეფხისტყაოსნისა“ ის არის, მ. ბოურას აზრით, რომ მასში სიყვარულის ავტორისეული გაგება ისეა გაბატონებული, როგორც თითქმის არც ერთ სხვა პოეტურ რომანში. აქ ეს გაგება ცხოვრების სრულყოფილ სისტემადაა ჩამოყალიბებული. ეს კი არც „ნიბელუნგთა თქმულებას“, არც მაშინდელ ფრანგ და სპანელ პოეტებს არ ახასიათებს. თვით არტურ მეფის ციკლის ტრისტან და იზოლდას ანდა ლანსელეტისა და ჯინევრას ადრინდელ თქმულებებში, რომლებშიაც რაინდული ვენებიანი სიყვარული ტრაგიკულადც კი ბოლოვდება, სიყვარული არ ჩანს იქ ასახული მთელი სამყაროს მთავარ მამოძრავებელ ძალად. ავთანდილისა და ტარიელის მეგობრული სიყვარულისთანა მაგალითები ხომ კიდევ უფრო იშვიათია. რუსთაველის ორიგინალობა ის გახლავთ, რომ სიყვარულს უყურებს არა როგორც რაღაც არანაორმაღურს, არამედ როგორც ძალას, რომელიც გამოავლენინებს ყოველივე საუკეთესოს მათ, ვისაც იგი დაუფლებიათ, აღნიშნავს მკვლევარი.

მეორე ორიგინალური თვისება ის არის, რომ



„ვეფხისტყაოსანს“ განსაკვიფრებლად აკლია ერთი ელემენტი, რომლითაც გაქვნილია თითქმის ყველა სხვა ეპიკური რომანი—სახელდობრ, ზებუნებრიობის ელემენტი. „ნიბელუნგთა თქმულებაში“ ზიგფრიდის ქედის მსგავსი ამბავი, ანდა ფრანგული პოეზიისა და დანიური თქმულებების მაგალითებისნაირი ეპიზოდები, ისევე როგორც ნინაშის ზღაპრული ამბები, უცხოა რუსთაველისათვის. რუსთაველი ამ მხრეც თითქმის რეალისტურია.

რუსთაველის შესამე თვისებად მკვლევარო თვლის რეალობის განსხვავებულ აღქმას ფრანგ პოეტებთან შედარებით. აქ დაპირისპირებულია რუსთაველის ჯანსაღი გრძნობა ადამიანურისაღმის და მათი მიდრეკილება — ყველაფერს განყენებულისა და ალგორითმისაკენ უქციონ პირი. ფრანგულ ეპიკურ რომანში ხშირია ალგორითმი და ამის კლასიკური ნიმუშია „ვარდის რომანი“. რუსთაველის გმირები, მიუხედავად მათი მღალაი მგრძნობელობისა, ვაკილებით უფრო ახლო არიან ნორმალურ ადამიანებთან, ვიდრე ფრანგთა გმირები.

მკვლევარი შემდეგ „ვეფხისტყაოსანს“ ადარებს მისი დაწერილან თითქმის სამი საუკუნის შემდეგ, იტალიაში აღორძინებული პოეტური რომანის — ბოიარდოსა (1434 — 94) და არისტოს (1474 — 1533) ნიმუშებს. აღნიშნავს, რომ აქაც არის მსგავსება სიყვარულის კულტსა და მოქმედ პირთა გმირულ მოქმედებაში, მაგრამ ამით თავება მსგავსება. იტალიელებს რომანი რეალობისაგან თავის დაღწევის საშუალებად მიაჩნიათ და სწორედ ამ ფანტაზიის სამყაროს უფრო აფასებენ. ასევე იყო ბიაშიც იმავე ხანებში. ავტორს მაგალითად მოჰყავს უზბეკი პოეტის ალიშერ ნავოის (1441 — 1501) „ფარაბი და შირინი“. ყოველივე ეს კი ძალიან იყო დამორბეული რუსთაველის დარბაისლობისა და სერიოზულობისაგან, დაქნს მ. ბოურა.

ნარკვევის ავტორისათვის რუსთაველის დამოკიდებლობა და ორიგინალობა სრულიად აშკარაა. საერთოში „ესე ამბავი სპარსულისა“, რომლის შემცველი სტროფი ზოგ მკვლევარს ინტერპოლაციად მიაჩნია (თვით მ. ბოურა არ სთვლის მას ჩართულად), მკვლევარი ექვს გაზოთქვამს, განა მართლა იმას ნიშნავს, რაც პირდაპირ არის აქ ნათქვამი? მისი აზრით, როცა რუსთაველი თავის პოემას „სპარსულ ამბავს“ უწოდებს, უფრო სავარაუდოა, რომ იგი გულსხმობს სპარსულ გემოვნებაზე, ე. ი. მაღალ პოეტურ ფორმაში პოემის გაწყობას, ვინაიდან მასინ სპარსეთი დიდ კულტურულ ძალას წარმოადგენდა და რუსთაველს მხოლოდ ამ აზრითა აქვს ნახმარი ეს სიტყვებო. ამასთანავე მ. ბოურას არ ავიწყდება სხვა მკვლევართაგან შემჩნეული დანარჩენი საბუთებიც: ის, რომ

სპარსელები არასიმპატიურად არიან განწყობილნი; რომ ეს „სპარსული“ ამბავი საქართველოს ვარდა სხვაგან არსად ჩანს; რომ „ვეფხისტყაოსანისათვის“ სრულიად უცხოა მუსულმანური აღმოსავლეთის პარამხანა და ქალის ჩაკეტილობა, პირიქით, ქალი კაცის თანასწორადაა გამოცხადებული და არა მარტო თანასწორად, ზოგ შემთხვევაში უფრო მაღლა მდგომადაც. რუსთაველის ნათქვამი — „ლევკი ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ზვადია“ — მ. ბოურას, ზოგი ვაიმკვლევარის საწინააღმდეგოდ, სრულიად არ მიაჩნია ლატონ სიტყვად და ნესტანს, თინათინს, ასმათს, ფატმანს რუსთაველის დროის ქალთა ღირსეულ, სწორ, ანარეკლებად თვლის. მკვლევარი ხაზს უსვამს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ, მართალია, რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ საქართველოს არც კი ახსენებს და მოქმედება გადატანილია ინდოეთს, არაბეთსა და ჩინეთში, მაინც გამოსტყვივის ავტორის დიდი პატრიოტიზმი, სამშობლოსათვის თავდადებული სამსახურის მოვლუბის გრძნობა.

„ვეფხისტყაოსანი“, მ. ბოურას თქმით, ისეთი თხზულებაა, რომელიც ორივე — აღმოსავლეთის და დასავლეთის — მხარეს იცქირება და ამასთანავე საკუთარ ეროვნულ ხასიათსაც ინარჩუნებს. ყველაზე უფრო ემჩნევა ეს იდეალური სიყვარულის თავისებურ გაგებას. ეს პრობლემა პროვანსელების და დანტეს თხზულებებშიც გვხვდება, მაგრამ რუსთაველი თავის კრდოს ვაკილებით უფრო მძლავრ ფორმებში ჩამოაყალიბებს, რადგან თავის ფილოსოფიას ძალიან უახლოვებს თვით მოქმედებას. არ არის საუკუნი, რომ მის მიერ წარმოდგენილი სამყარო, პოეტის პირად გამოცდილებაზეა დაფუძნებული.

მკვლევარი აღნიშნავს მეთორმეტე საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა ცდას, იმაზე უფრო ღრმა საფუძველი მოენახათ თავიანთი ტრადიციული რწმენისათვის, ვიდრე ამას ეკლესია სთავაზობდათ „მათ, ჩანს, აიღეს სიყვარულის ქრისტიანული ცნება და დასვეს საკითხი, რას ნიშნავდა იგი თავისი წმინდა ფორმით; პასუხი კი იყო არა შეწყალება (charity), რომლის შესახებაც, ბოლოს და ბოლოს, ნეოპლატონისებრ არც არაფერი აქვთ ნათქვამი, არამედ — ინდივიდუუმის ამადლებული სიყვარული“. ასეთი შეხედულება კი ისევე ძველია, როგორც პლატონი.

მ. ბოურა შემდეგ განიხილავს რუსთაველის დამოკიდებულებას რელიგიასთან და ნიშანდობლივად ეჩვენება სრული გულგრილობა პოეტისა ქრისტიანული დოგმების მიმართ. მკვლევრის აზრით, რუსთაველი ძალიან ახლოსაა პანთეიზმთან. იგი მზეს უქექრის როგორც ღვთის ემანაციას, როგორც შუქის წყაროს, სულისათვის შუქისა და ძლიერების ნიშნოლს. ასეთი რწმენა კი სრულიად არ მომდინარეობს ქრისტიანული ეკლესიის მამათა სწავლებიდან, არამედ რუსთა-

ველის წინამორბედნი ივლიანე განდგომილი და მისი ფილოსოფოსები უნდა იყვნენ. თავის შეხედულებათა სისარგებლოდ მ. ბოლუას უხედა მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის“ ციტატები.

რუსთაველა აღიარებს, რომ საგმირო საქმეებია ადამიანების ცხოვრების მთავარი მიზანი და სათანადოდ ასურათებს კიდევაც ამ თავის ფილოსოფიას. „მარგალიტი თბოლი, ზელისხელ საოგმანები“ მ. ბოლუას ესმის როგორც ძველი, საგმირო თქმულება, რომელიც ზეპირსიტყვიერებრივად და არა საკარო თემატიკიდან უნდა ჰქონდეს აღებული პოეტს. ალბათ ამიტომაც, რომ იყენებს რუსთაველი საგმირო პოეზიის ზოგიერთ საყოველთაოდ გავრცელებულ მოტივს, ოღონდ ახლებურ გაზარებას კი ანიჭებს მათ. ასეთი მოტივების მაგალითად მიაჩნია მ. ბოლუას გმირთა მეგობრული წყვილები: აქილევსი — პატროკლოსი, გილგამეშ — ენკიდუ, როლანდ — ოლივერი, ჩვენნი ტარიელ — ავთანდილი და „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო ადგილების საფუძველზე ჩინებულად ასურათებს პოემის ამ შესანიშნავი მეგობრული წყვილის ურთიერთობას.

საგმირო პოეზიის მეორე ტრადიციულ მოტივს ხედავს მკვლევარი ერთგული მსახურის ტიპის გამოყენებაში ასმათის სახით, რომელიც ისეთივე თავდავიწყებული ერთგულებით ემსახურება ნესტანს და მის მიჯნურს ტარიელს, როგორც მელორე ეგმეოსი და მოხუცი ვალია ევრიკლეა ემსახურებიან „ოდისეაში“ თავიანთ პატრონებს.

საგმირო პოეზიის კიდევ ერთი დამახასიათებელი მოტივი — გმირებისაგან ნადირთა დახატვა, განსაკუთრებით ლომ-ვეფხეებისა, მ. ბოლუას აზრით, „ვეფხისტყაოსანშია“ იჩენს თავს, ოღონდ აქ ტარიელის მიერ ლომ-ვეფხვის მოკვლა უფრო რთულ პირობებშია წარმოდგენილი: იგი ამას ჩადის არა უბრალო თავგამოჩენისა და მკლავდონიერობის გულისათვის, არამედ პირადი მძღვარი მიზეზი აღძრავს.

არანაკლებ საყურადღებოდ მიიჩნევს მ. ბოლუა ტარიელის პირველად გამოჩენის ამბის აღწერას პოემაში. უცნობი გმირის გამოჩენის მოტივი ძალიან ზშირია საგმირო პოეზიაში, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ეს ეპიზოდი ფრიალ ორიგინალურიყო, აღნიშნავს ავტორი.

როგორც მკვლევარი ამბობს, სიცილი ხანდახან საგმირო ეპოსის პერსონაჟებსაც არ ზოგავდა და ეგებ რუსთაველმა ძველი გადმოცემით

ისარგებლა ავთანდილის ერთგვარად აღიარებით. თავგადასავლის აღწერაში ფაქტმანთან. პოეტს აშკარად სახუმარო კილო აქვს აღებული ფაქტმანის მიმართ და მისი მსუბუქი, დამკინაფი მილი ავთანდილსაც სწვდება. მაგრამ რუსთაველი ისევე არ კიციხავს არც ერთს, როგორც ოდისესს არ ამუნათებს ჰომეროსი კირკესა და კალოპოსთან სარკელის გაზიარებისათვის.

მ. ბოლუა აღნიშნავს, რომ, თუმცა ძირითადად სიყვარულის კულტს (აქვე უნდა გულისხმობდეს ავტორი მეგობრობასაც) მიუძღვნის თავის პოემას რუსთაველი, იგი ამაღლებული ამის შესანიშნავად მოყოლის ოსტატიც არის და საგმირო ეპოსის წარმომადგენელ პოეტებს ექიმება თავზეხელაღებული, სამამყო საქმეთა მიმზიდველად თხრობაში. ამის ჩინებულ მაგალითებად მიაჩნია მკვლევარს ტარიელის შებმის ეპიზოდი ხატაელებთან და ქაჯეთის ციხის აღება სამი ძმობილის მიერ.

დასასრულ, ავტორი ხაზს უსვამს მომხიბლავი შედარებებისა და მეტაფორების სიუხვეს პოემაში, პოეტის განსაკუთრებულ უნარს ერთი-ორი შტრიხით მკაფიოდ და რეალურად გამოხატოს სურათი, აგრეთვე იშვიათ ენამკვეთობასა და აზრის ეთილმოზილებას. მ. ბოლუას ნარკვევი მთავრდება სიტყვებით, რომლებიც მშვენივრად გამოხატავს ავტორის აზრს და კარგადაც ასურათებს რუსთაველის ბუნებას. პოემა რომანულია იმ აზრით, რომ იგი ასახავს ისეთ ცხოვრებას, როგორც რუსთაველის ნატვრაა და როგორც მას წარმოუდგენია, „მაგრამ განსხვავება რუსთაველსა და რომანების მწერალთა უმრავლესობას შორის ის არის, რომ მაშინ, როცა ისინი უმთავრესად ვართობისა და თავის შეყოფისათვის წერენ, რუსთაველს წარმოდგენილი აქვს მოძღვრება, თითქმის სახარება. ერთი მხრით სიყვარულის პლატონური მოძღვრების გმირულ მოქმედებასთან შერწყმით, მეორე მხრით კი რეალობის დარბაისლური გრძნობით იგი გვიჩვენებს როგორი უნდა იყოს მისი ადგილი ცხოვრებაში. მისი შეხედულებით, იგი უნდა არსებობდეს რეალურ სამყაროში და უნდა უკავშირდებოდეს საქველო საქმეებს. რომანების ფრანგ და სპარს მწერლებზე უფრო ბეჯითად და უფრო საფუძვლიანად ამუშავებს თავისი მოძღვრების აზრს რუსთაველი და გვიჩვენებს, რა მოხდებოდა, ადამიანებს რომ ამ რწმენით ეცხოვრათ“.





# ამსტრია

## სტუფან ცვაიზის საზოგადოება

ვენაში დაარსდა სტუფან ცვაიზის საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს მწერლის ეპისტოლარული წერილებისა და დღემდე ნაკლებ ცნობილ ნაწარმოებთა გამოქვეყნებას. საზოგადოება გამოსცემს აგრეთვე მწერლის შესახებ არსებულ ბიოგრაფიულ და ესეისტურ ნაშრომებს, იქმნება ს. ცვაიზის არქივი და ბიბლიოთეკა.

## ბავშვები „დაარღვივს“ ნეიტრალიტეტში

ამას წინათ ვენაში მოეწყო თანამედროვე ეგვიპტის ხელოვნების გამოფენა, ერთი განყოფილება დაეთმო ბავშვების ნახატებს, რომლებიც ასახავენ პორტ-ხაიდზე ინგლისელ-ფრანგი ინტერვენტების თავდასხმის სახინელებას. როგორც „ნიუ ციურსერ ცაიტუნგი“ იუწყება, ლონდონისა და პარიზის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა ვენაში პროტესტი განაცხადეს ბავშვთა ამ ნახატების წინააღმდეგ — ესაა მხატვრული პროპაგანდა, რომელიც არღვევს ავსტრიის ნეიტრალიტეტს.

## აუშ

## მოღმარნიშებული „ფაუსტი“

კინორეჟისორი ფრანკ ტაშლინი იღებს „ფაუსტის“ მოღმარნიშებულ ვარიანტს. ახალ ფოლმს ერქმევა „იშმაკი ჯიბეში“.

## ჯუშეპე ვერდი-ფრანგი მსახიობი ქალი ყოფილა

გაზეთში „ნიუ რეპუბლიკ“ მოთავსებულია ჩიკაგოს უნივერსიტეტის ლექტორის ნორმანის და კოლორადოს უნივერსიტეტის პროფესორის სლინის წერილი. ავტორები გულისხმობენ გამოთქვამენ ამე-

რიკელი სტუდენტების დაბალი კულტურული დონის გამო.

ამ ორ უმაღლეს სასწავლებელში კითხვარის დაგზავნის შემდეგ გამოირკვა, რომ მსოფლოში ცნობილ 20 ადამიანის სახელთან სტუდენტებს გარკვეული წარმოდგენა აქვთ მხოლოდ ოთხზე.

მან სტუდენტებიდან მხოლოდ ნახევარმა იცის ვინ იყო კარლ მარქსი; 22%-ს ყურმოკვრით გაუგონია ჯუშეპე ვერდის სახელი, დანარჩენებიდან კი ზოგს პოლიტიკური მოღვაწე გონია, ზოგს — კომიკოსი და ზოგსაც, ახე გახინჯეთ, ფრანგი მსახიობი ქალი; 78%-მა არაფერი იცის პიკასოს შესახებ; 83%-ს არაფერი გაუგია ლევ ტოლსტოიზე, დანარჩენები კი ფიქრობენ, რომ ლევ ტოლსტოი არის ცნობილი დირაჟორი, ზოგს ფიზიკოსიც კი ჰგონია.

## გოგოლი ექრანზე

პოლიციის კინორეჟისორი რობერტ ალდრიხი იღებს გოგოლის „ქრანს ბუღბას“. ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს ბრიჯიტა ბარდოტი.

## პულიცერის სახელობის პრემიები

ამერიკაში არსებულ მრავალჯილდოებზე და პრემიებზე შორის ამჟამად ყველაზე პოპულარულია იოზეფ პულიცერის სახელობის პრემია (1000 დოლარი). იგი დააწესა გაზეთების ცნობილმა მავანტამ ი. პულიცერმა 1918 წელს და მას შემდეგ, კოლუმბიის უნივერსიტეტის კურატორთა გადაწყვეტილებით, ყოველწლიურად ენიჭება მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებს. ეს პრემია სხვადასხვა დროს მიიღეს სინკლერ ლისმა, ჯონ სტინბეკმა, ერნესტ ჰემინგუემ, უილიამ ფოლკნერმა და სხვ. „ჩემი მეგობანი“ აღნიშნავს, რომ პრემიებს მინიჭების დროს არ იცავენ რაიმე გარკვეულ თვალსაზრისს, ამიტომ

ზშირად დაუმსახურებლად ანიჭებენო. ამას აღატურებს პრემიების გაცემა 1957 წელს: რაკი სათანადო კანდიდატი არ აღმოჩნდა, ბელეტრისტიკაში პრემია არავისთვის მიუკუთვნებიათ; დრამატურგიაში „გა-აცოცხლეს“ უილიამ ო'ნილი (1888 — 1958), რომლის ნაწარმოებებიც „ავტორის სიკვდილის შემდეგ უფრო თანადროულნი გახდნენ“, ალბათ, იმ ფაქტისტური დეტერმინიზმის გამო, რომლითაც გამსჭვალულია დრამატურგის უკანასკნელი პერიოდის შემოქმედება. მოხდა პირიქითაც: „საყოველთაო ოპტიმიზმისათვის“ პრემია ვადასცეს ახალგაზრდა ლირიკოსს რიჩარდ უილბურს (ავტორს ლექსების კრებულია — „ამა ქვეყნის საგნები“).

ყოველგვარ მოლოდინს გადააქარმა კანდიდატების შერჩევამ ისტორიასა და ჟურნალისტიკაში: ისტორიაში პრემია მიაკუთვნეს ჯორჯ ფ. კენეს, სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილ მრჩეველს, წიგნისათვის — „რუსეთი სტოვენს ოსს“, სადაც უაბაღაა გაშუქებული პირველი მსოფლიო ომისა და მომდევნო პერიოდის ისტორიული ამბები. სინამდვილის ფალსიფიკაციითვე დამსახურა პრემია ჟურნალისტიკაში იუნაიტედ პრესის ბუდაპეშტელმა კორესპონდენტმა რასელ ჯონსმა, რომელიც გაქვევებულიც კი იქნა უნგრეთიდან 1956 წლის დეკემბერში. როგორც ჩანს, „ცოვი ომის“ პოლიტიკამ თავისი გავლენა იქონია პულიცერის პრემიების მინიჭებაზეც.

## ჰემინგუეის რომანები ექრანზე

ამერიკელმა კინორეჟისორებმა დაიწყეს ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის ორი რომანის გადაღება. „ფიციტას“ გადაიღებენ მექსიკაში, ხოლო რომანი „მშვიდობით, იარაღი“ განზრახულია გადაიღონ იტალიაში.

ელიან სტუმრებს...

კოსმოსიდან

ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ბუფალოში ჩამოყალიბდა უცნაური კომისია. მისი მიზანია მოამზადოს სხვა პლანეტებიდან ჩამოსული საპლანეტათმცოდნეო ჩამოსურთა მიზეზი. ეს კომისია არ ძუნწობს: იგი 500.000 დოლარ ჯილდოს მპირდება იმ „სტუმრებს“, რომლებიც საპლანეტათმცოდნეო სივრციდან პირველი ჩამოვლენ ბუფალოში. ამ მაცურ წინადადებას თან ერთვის განცხადება: ამ მიზნით ბუფალო ღია პორტად გამოცხადდაო. ეს განცხადება რადიოთი იგზავნება სამყაროს სივრცეში, ექვს ენაზე, ხოლო მოგვიანებით ამ ენებს დაუმატეს კიდევ სამი დიალექტი, რომლებიც ვითომ ვასაგები უნდა იყოს სხვა პლანეტების მცხოვრებთათვის. როგორც ამბობენ, ბუფალოში იქმნება სხვა კომისია, რომელსაც ევალება პირველი კომისიის გონებრივი მდგომარეობის გამორკვევა.

„ბერკაცი და ზღვა“

1954 წლიდან იღებენ ფილმს, რომლის სცენარი აგებულია ჰემინგუეის მოთხრობაზე — „ბერკაცი და ზღვა“. სცენარი დაწერა თვით ჰემინგუემი, მანვე წამოაყენა პირობა, რომ ფილმი გადაეღოს კუბაში, შიავარი როლი ეთამაშა სენსერ ტრეისის, ხოლო ბიჭუნას — 18 წლის კუბელ ბიჭს პეტროს. რეჟისორმა ფრედ ზინომანმა მალე უარი თქვა სურათის გადაღებაზე, რადგან ჰემინგუემი თვითმეტყვერ მაინც გადააკეთა ცალკეულ სცენები, 57 წლის ტრეისი უარს აცხადებდა აბობოქრებულ ზღვაში გადაღებაზე, ხოლო ზეიგენები ყოველთვის როდი „ცხადებოდნენ“ გადაღების ადგილზე. ამასობაში, 1956 წლისათვის, პიტროვი გაიწარდა და მხარბეჭიანი კაბუკი დადა. შემდეგ მოიწვიეს რეჟისორი ჯონ სტარჯესი, რომელმაც გადაღება მიქსიკა-

ში გადაიტანა, ხოლო ბიჭუნას როლს თამაშობდა მექსიკელი პაბლო. ბოლოს, როგორც იქნა, ფილმის გადაღება დასრულდა 1957 წლის ზაფხულს, მაგრამ 7 მილიონი დოლარი დაჯდა. კრიტიკოსების აზრით, ფილმში ნაკლებია მოქმედება, მაგრამ ესაა ნამდვილი მხატვრული ნაწარმოები.

ბაირონის ბიოგრაფია

ამერიკელმა კრიტიკოსმა ლესლი ა. მერჩენდმა დაწერა სახელგანთქმული ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის ბაირონის ბიოგრაფია. ამ უწარმაშარი ბიოგრაფიის სამი ტომი (1500 გვ.) გამოდის ნიუ-იორკში, კნოპფის გამომცემლობაში.

კოლივუდის პირველი ფილმის იუბილე

ამს წინათ ამერიკელმა კინომუშაებმა აღნიშნეს კოლივუდის პირველი ფილმის 50 წლის იუბილე. კინოკომპანიაში, რომელმაც ამ ნახევარი საუკუნის უკან პირველად მოიკიდა ფეხი ჰოლივუდში, მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ იღებდა ცალკეულ სცენებს ფილმიდან—გრაფი მონტეკრისტო“.

კლასიკოსებს უპატიურად დაპრობინან

ცნობილია, რომ ამერიკელებს ემარჯვებათ ყოველი სერიოზული თეატრალური პიესის გადაკეთება ოპერეტად. შექსპირის „ჰამლეტის მორაგულება“ გადაიქცა მუსიკალურ კომედია: „მაკოცე, კეტი“, ბ. შოუს „პიგმალიონი“ ოპერეტად — „ჩემი მშვენიერი ქალბატონი“. ამჟამად ნიუ-იორკში მზადდება მუსიკალური რეჟიუ კონან დოლის „შერლოკ ჰოლმისი“ მიხედვით, თუმცა განთქმული მსახურის ინგლისელი თაყვანისმცემლები გამწარებთ აცხადებენ პროტესტს. იქმნება აგრეთვე მუსიკალური კომედია მოლიერის თემაზე. მსოფლიო კლასიკოსებზე ჩატარებულ თაყვანთ ამ „ოპერაციებს“ ამე-

რიკელი თეატრალური მოღვაწეები იმით ამართლებენ, რომ ბროდვეიზე ისეთი პიესის დადგმა, რომელსაც წარმატება ექნებოდა, ძალიან ძვირი ჯდება (ნახევარი მილიონამდე დოლარი), ასე რომ უკეთესია აიღონ ისეთი თემები, რომლებიც რამდენიმე საუკუნეა ართობენ საზოგადოებას და რომელნიც, თუ შიგ შევურევთ როკ-ნ-როლსა და ბუგი-ვუგის, უწრფელებს შემოსავალს.

სასოფარკვეთილი თათბა

ამერიკაში საყოველთაო ყუარაღება მიიქცია ახალგაზრდა მწერლის მიქე კერუაკის რომანმა — „გაზე“. „ნიუ-იორკ ტაიმის“ კრიტიკოსმა განაცხადა, რომ ესაა რომანი, სადაც აწერილია ომის შემდგომი ამერიკული ახალგაზრდა თათბა, რომელიც თავამოდებით, მაგრამ ამაოდ ეძიებს რაიმე რწმენას და ცხოვრების აზრს.

კინოგადაღებათა რეპორტი

ამერიკელმა პროდიუსერმა დენ მაკ-ჰაირმა მხატვრული ხმოვანი ფილმის გადაღების თავისებური რეკორდი დაამყარა: ხანგრძლივი მომზადების შემდეგ მან 7 დღეში გადაიღო ფილმი — „კარდები დამიგდე ყური“.

კლასიკური ოპერის „მოღმერნიანი“

ამერიკის ოპერაში ვაბატონებულია უცნაური ჩვეულება: მასკანის ოპერის „სოფლის პატრონების“ გმირი ტურიდი გამოყვანილია როგორც განგსტერი, ხოლო ალიო, პირიქით, როგორც მდიდარი მექსიკელი პლანტატორი, რომელიც ელვარე კალიაკით გამოდის სცენაზე. „იდაში“ სომარი ერთობის ნაცვლად ტანკები გრიადებენ, ხოლო დამარცხებული ამონასროს ნაცვლად სცენაზე გამოდის პიტლერი. „ტრავიატაში“ პარისის მაგიერ მოქმედება წარ-



მოებს ლოს-ანჯელოსში, აღფრედი განთქმული ფეხბურთელია, ხოლო ვიოლეტა საბანაო ტანსაცმელში გამოწყობილი გამოდის სცენაზე... ამ მოდის სხვებიც აჰყენენ და ბუენოს-აირესში (არგენტინა) ტოსკა, სკარპას მოკვლის შემდეგ, კ.დასპერის ტელეფონის ხას და ხანჯალზე წამოეგება, ხოლო კლივენდში (აშშ) სკარპია გამოყვანილია, როგორც კომუნისტ-ვექილი, რომელიც სდევნის ტოსკას და კავარდოსს.

**პოლივუდელი მოდის მიმდევრები**

ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ ლოს-ანჯელოსში პროტესტი განაცხადა პოლივუდელ კინოვარსკვლავთა ახალი ახირებული მოდის წინააღმდეგ. თურმე კინოსახიობი ქალების ფენსაცმელებს აქვს გამჭვირვალე ქუსლები, რომლებიც წულითა სავსე და შოგ ოქროს თევზები დასცურავენ.

**დისნეის ახალი ფილმი**

უოლტ დისნეი და მხატვარი — სიურრეალისტი სალვატორ დალი აშაადებენ დახატულ ფერად ფილმს ცნობილი ზღაპრის „მშინარე მზეთუნახავის“ მიხედვით, რის შემდეგ შეუდგებიან ფერადი ფილმის „დოლი-სიბობის“ გადაღებას ფართო ეკრანისათვის.

**ჯაზური თანამგზავრი**

ამერიკელმა „თავისუფალმა მეწარმეებმა“ ხელიდან არ გაუშვეს ისეთი მაღლიანი შემთხვევა, როგორცაა საბჭოთა კავშირის მიერ დელამიწის თანამგზავრის ვაშვება, რამაც ამერიკელთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ჯაზური მუსიკის განთქმული კომპოზიტორები ედდი ოსბორნი და ვიკ ფერისი ბიწნებს აკეთებენ ახალი ჯაზური სიმღერის—„გახსნი ჩემი გოგონა, ჩემი პაწაწათანამგზავრი“; ეს სიმღერა აგებულია თანამგზავრის რადიოხიგნალებს რიტმზე.

**მერიკო კარუზოს ბიოგრაფია**

გამოვიდა სახელგანთქმული იტალიელი ტენორის ენრიკო კარუზოს ბიოგრაფია ფოტოსურათებში. წიგნი შეიცავს 240 სურათს, აქაა კარუზო როლებში, აგრეთვე პირადი ცხოვრებისა და სხვა მსახიობთან ურთიერთობის ამსახველი ფოტოსურათები.

**ახალი ზოლანდია**

**კაპიტან სკოტის ნივთები**  
ახალზელანდიელ სწავლულთა ანტარქტიკულმა ექსპედიციამ ამას წინათ ანტარქტიკულ ზონაში აღმოაჩინა ნაირ-ნაირი ხელსაწყო, ტანსაცმელი და სხვა აღჭურვილობა. დადგენილია, რომ ეს არის ნაწილი 1912 წელს მოწყობილი იმ საბედისწერო ექსპედიციის აღჭურვილობისა, რომელსაც კაპიტანი სკოტი მეთაურობდა. ნაპოვნი ნივთები თვითმფრინავით გადაგზავნეს ახალი ზელანდიის ექსპედიციის შტაბში.

**ბერმანია**

**ბერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა**

**ოპერა დოსტოევსკის თემაზე**

ქ. როსტოკში ამას წინათ წარმოადგინეს შვეიცარიელი გერმანელის მაინრიხ ზუტერმაისტერის ოპერა „რასკოლნიკოვი“. ლიბრეტო დაწერა კომპოზიტორის ძმამ პეტერ ზუტერმაისტერმა.

**ბოიკოტი შვილსაც შეიძო**

როგორც უურნალო „ფილმშიგელი“ იუწყება, ჩარლი ჩაპლინის ვაჟი ამაოდ ცდილობს პოლივუდში როლების მიღებას. ბოიკოტი, რომელსაც მამამისს უყვადებენ, მასაც შეეხო. ზოგმა კინომრწველმა შესთავაზა ხელსაყრელი ხელშეკრულების დადება, თუ გვარს გამოიცვლიდა. ჩ. ჩაპლინის ვაჟმა უარი განაცხადა.

**ღირსიული შემფასებელი**

გამოჩენილი გერმანელი მწერალი მაინრიხ მანი 1950 წელს გარდაიცვალა კალიფორნიაში. არავინ იცოდა, რა ბედი ეწიამის პირად არქივს — ლიტერატურულ მასალებსა და მეშუარულ დოკუმენტებს.

ამ წლის შემოდგომაზე გაზეთმა „ჟონტაგმა“ გამოაქვეყნა მ. მანის ქალის ლეონი მანის წერილი, სადაც ნათქვამია, რომ მთელი არქივი გადაეცა გდრ-ის ხელისუფლებათა აკადემიას, რომლის პირველი პრეზიდენტიც მამამისი იყო. სწორედ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ის სახელმწიფო, — ნათქვამია წერილში, — რომელიც ღირსეულად შეინახავს ფაშისმის წინააღმდეგ მებრძოლია და დემოკრატიის მ. მანის მემკვიდრეობას. დასასრულ, ლ. მანი მოითხოვს მამამისის შემოქმედების მეცნიერული შესწავლის საქმეს ჩამოსცილდნენ რეაქციის სამსახურში მყოფი უღირსი ლიტერატორები.

**„ალდგომის“ ინსცენირება**

დემოკრატიული ბერლინის „გერმანულმა თეატრმა“ მაყურებელს აჩვენა ლევ ტოლსტოის „ალდგომის“ ინსცენირება. ინსცენირების ავტორია კარლ პერილა, რომელიც სექტაკლში ავტორისეულ ტექსტს კითხულობს.

**რავოლუციური სიმღერების აღდგენა**

ლაიპციგის გამომცემლობამ „ფრიდრიხ შოფმეისტერ ფერლაგმა“ გამოსცა კრებული „ბრძოლაში ნაშობი სიმღერები“. ესაა პირველი წიგნი სერიისა—„1948 წ. რევოლუციის სიმღერები“, რომელსაც ადგენს გერმანიის მეცნიერებთა აკადემიასთან არსებული მუშათა სიმღერის კომისია. მომდევნო კრებულში შევა აგიტაცია-პროპაგანდის ჯგუფების საუკეთესო რევოლუციური მუშათა სიმღერები (1933 წლამდე).

აგრეთვე ბერთოდ ბრეხტის, ერნსტ ბუშის, ჰანს ოტტოს და სხვათა სიმღერები. ამ კრებულებების ამოცანაა განახლოს რევოლუციური მუშათა სიმღერების ძველი კარგი ტრადიცია.

**ფრანც ფიშმანი**

ერთ-ერთი გამორჩენილი ახალგაზრდა გერმანელი პოეტი ფრანც ფიშმანი წერილობრივ უწყისიულ ოჯახში დაიბადა და ფაზისტურ გარემოში გაიზარდა. პიტლერულ არმიის მოხვედრის შემდეგ მან მძიმე გარდატეხა განიცადა და ნაციზმის ერთგული ყმაწვილი პიტლერიზმის წინააღმდეგ მებრძოლად იქცა. ფიშმანი ტყვეობიდან დაბრუნდა, როგორც პატრიოტი და საბჭოთა კავშირის მეგობარი. ის აქტიურად მუშაობდა თავისუფალი გერმანიელი ახალგაზრდობის კავშირში და მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1956 წელს მას, სხვა ლირიკოსებთან ერთად, მიეკუთვნა ჰაინრიხ მანის სახ. პრემია ლირიკული კრებული-სათვის „სტალინგრადის გზა“. 1957 წელს მან დაწერა რამდენიმე საუცხოო მოთხრობა ომის თემაზე, რომელთაგან ყველაზე ძლიერია მოთხრობა, „ამხანაგები“ (ამ მოთხრობის მიხედვით ფილმიც გადაიღეს). რამდენიმე ორგანიზაციის შუამდგომლობით ფიშმანის მოთხრობების ამ წიგნს მიენიჭა ეროვნული პრემია.

**ბ. ბრეხტის  
ლიტერატურული  
მიმკვიდრეობა**

ბ. ბრეხტის სიკვდილის მერე შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დევალა დიდი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა. მის სახლში, რომელიც შემდეგში ლიტერატურულ მუზეუმად გადაიქცევა, ნაპოვნია 200-ზე მეტი ხელნაწერი ფურცელი. აქაა ნაწყვეტები რომანიდან „ბატონ იულიუს კეისრის ამ-

ბავი“, ესკიზები დრამისა — „იენშტეინი“, უამრავი ლექსი, კრიტიკული და ესთეტიკური შენიშვნები, სატირა, პოლიტიკური განცხადებანი და დღიურები.

**„უჟანასკნელი  
უჟანასკნელთაგან“**

ბერლინის ტელეხედეამ გადასცა გერმანელი დრამატურგების მარტინ რაინჰარდტის და გერჰარდ შმიდტის პიესა — „უჟანასკნელი უჟანასკნელთაგან“. პიესა ალფირის ამბებს ეხება. მთავარი გმირია ფრანგი ჯარისკაცი, რომელსაც საკუთარმა გამოცდილებამ თვალები აუხილა და სწორად დაანახა მოვლენათა ნამდვილი არსი.

**ბერმანის ფედერაციული  
რესპუბლიკა**

**თ. მანის სახლის გედი**

თომას მანის მამისეული სახლი ლიუბეკში თითქმის მთლიანად დაინგრა 1942 წელს ბომბარდირების დროს. ომის შემდეგ ქალაქის მმართველებმა სახლი აღადგინეს, მაგრამ რატომღაც გადასცეს ერთ-ერთ საბანკო საზოგადოებას. ამჟამად ამ საკმაოდ დიდ შენობაში თავისუფალია მხოლოდ ერთი ოთახი, ისიც უცხოელ მოგზაურთა ბიუროსათვისაა განკუთვნილი.

**თვით კლასიკოსების  
შესრულებით**

მუსიკალური სამყარო დიდად ააღელვა ხანგრძლივ დამკრედი ფირფიტების სერიაში, რომელიც გამოუშვა სამბურგის ფირმამ „ტილეფუნკენ“ სახელწოდებით — „მუსიკალური დოკუმენტები“. ეს მღელვარება არცაა საოცარი, რადგან მუსიკალურ საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა თვით კომპოზიტორთა შესრულებით მოისმინოს მათი საფორტეპიანო ნაწარმოებები. ამ სერიაში დებიუსი ასრულებს თავის სამ პრელუდიას, გრი-

გი — „ლირიკული სიუიტის“ ნაწილს. გარდა ამისა დალბერი და რ. შტრაუსის ასრულებენ თავიანთ პატარა-პატარა ნაწარმოებებს. ამავე სერიით მოუსმენთ თითქმის ნახევარი საუკუნის წინადღელ გამოჩენილ პიანისტებს — ფ. ბუზონის, ფ. ლამონდის, ა. გრიუნფელდს და სხვ. ყველა ეს ნაწარმოები (5000-ზე მეტი) ჩასწერილი იყო 1906 და 1913 წლებში და მხოლოდ ახლახან აღმოაჩინეს. ჩანაწერები გადაიტანეს მაგნეტოფონის ფორზე და ჩასწერეს ხანგრძლივ დამკრედი ფირფიტებზე.

**სუთ თვეში ექვსი  
გამოცემა**

ვისხადენში ბროკჰაუსის გამოცემლობამ გამოსცა ამას წინათ გარდაცვლილი ღირიფორს ვ. ფურტვენგლერის წიგნი, რომელშიც შევიდა მისი სტატიები და ლექციები 1918—1954 წლების მანძილზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წერილი, რომელიც მან მისწერა გებელს 1933 წელს. ამ წერილში ის დაუფარავად კიცხავს ნაცისტებს, რომლებიც დენიან ებრაელ ხელოვნების მუშაებს და მიუთითებს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდათ გერმანული ხელოვნებისათვის ისეთ პიროვნებებს, როგორც იყვნენ ვალტერი, ვლემბერგი და რეინჰარდტი. წიგნს საოცარი წარმატება ხვდა: სუთით თვის განმავლობაში ექვსჯერ გამოვიდა.

**მუსიკალური  
დოკუმალი**

როგორც დასავლეთ გერმანული გაზეთი „დერ კურირი“ იუწყება, ამერიკული კულტურის ახალი გამოვლენა ისეთი სახისაა, რომ ყველაფერს შეჩვეულ დასავლეთ გერმანელ კრიტიკოსებს შიშით თმა ყალუზე დაუდგათ. ამერიკული რადიოსადგური ფერში გადასცემს ე. წ. „პოპულარულ სიმფონიას“ — სხვადასხვა ავტო-

არის (მაგ., ბეთხოვენიის, ბრამსის, შუბერტის და ჩაიკოვსკის) სიმფონიებიდან ამოღებული ფრაზიდან იქმნება ახალი ფრაზება და, ამრიგად, „ახალი სიმფონია“.

### მოდერნიზმული ბალეტი

თანამედროვე მუსიკა დაუკანონებლად შეიქრა კლასიკური ფორმის — ბალეტის სცენაზე. გერმანელმა კომპოზიტორმა მანს ბენდტემ ლუკინო ვისკონტის ბალეტის მუსიკისათვის გამოიყენა ჯაზი, ბლოუზი და როკ-ნროლი. ამ ნაწარმოებს, რომლის პრემიერაც ამას წინათ შესდგა ბერლინის საქალაქო ოპერაში, ეწოდება „საცეკვაო მარათონი“ — ღამის კაბარეში მყოფი მოცეკვავენი ერთმანეთს ეჯიბრებიან ამტანობაში. შეჯიბრებულბები ამჟობებენ რეკორდს — პარკეტზე ცეკვავენ 52 საათის განმავლობაში. ამ ბალეტის ქორეოგრაფმა დიკ სანდერსმა ვითომ გამოიყენა იტალიელი და ფრანგი კინემატოგრაფისტების რეალისტური ხერხები. კრიტიკოსები თავშეკავებით აღნიშნავენ, რომ ეს სექტაკლი სექტრი უფროა, ვიდრე ნაპდვილი ბალეტი. ზოლო მაყურებლები გაიძახოდნენ: „ეს რა ხდება სცენაზე?“, „სადაა აქ ბალეტი!“

### ღანია

#### გამოჩენილი აღამიანების ბავშვობა

ღანიაში გამოვიდა მეორე ტომი კრებულია — „ჩემი ბავშვობის ქვეყანა“, რომელსაც შედგენის დროს რედაქციას უკეთებდა ლიტერატურის გამოჩენილი ისტორიკოსი იენს კრუუსე. პირველ ტომში, რომელიც ამას წინათ გამოვიდა, დაბეჭდილია სხვა ქვეყნების მწერლებისა და ხელოვნების მოღვაწეთა ბავშვობის მოგონებანი. აქა ბენვენტო ჩელდის, მაქსიმ გორკის, უანუა რუსოს, რაბინდრანათ თა-

გორის, ლევ ტოლსტოის, სტეფან ცვაიგის მოგონებანი.

### ესპანეთი

#### „მთავარმა მუჩამ“ პრემია მიიღო

ფრანგი კრიტიკოსების კავშირმა საერთაშორისო კრიტიკის პრემია მიანიჭა ცნობილ ესპანელ პროგრესულ კინორეჟისორს ბარდემს, რომელმაც შექმნა სურათები — „ველოსიპედისტის სიყვდილი“ და „გამარჯობათ, ბ-ნო მარშალი“. ბარდემმა აღნიშნული პრემია მიიღო იმის აღსანიშნავად, რომ მისი ახალი ფილმი — „მთავარი მუჩა“ გამოირჩევა ცხოვრებისეული სიმართლით და არაჩვეულებრივი კინემატოგრაფიულობით.

#### 25.000-ც არ იმარებს

ესპანეთში მილიონზე მეტი ბავშვი არ დადის სკოლაში. განათლების ორგანოები მოითხოვენ მთავრობისაგან გაიღოს თანხები 25.000 სკოლის ასაგებად. პროფესორმა ტენი ატრიგისმა განაცხადა, ეს 25.000 სკოლაც არ იმარებს, რადგან მშენიაც კი ახი ათასობით ბავშვი სკოლის გარეთ დარჩება. თუმცა მთავრობა მაინც არ ამირებს ამ თანხის გაღებას.

#### ამ სიაში მოხვედრა სასახელოცაა

ესპანეთის 1936 წლის სამოქალაქო ომის მონაწილე, ჩეხი მწერალი ილია ბარტი თავის მოგონებებში ესპანეთზე საინტერესოდ ავკიწერს, თურა ნახამან, როცა მოუხდა არქიეპისკოპოსის სასახლის ბიბლიოთეკის დათვალიერება ბარსელონაში. რელიგიური და საეკლესიო ხასიათის მრავალათას წიგნს შორის, ერთ-ერთ გალერეაში, ის წააწყდა უზარმაზარ კოლექციას, რომელსაც „აქრძალული წიგნები“ ეწოდება. ეს წიგნები ეკლესიამ შეაფენა და მორწმუნეებს აუკრძალა, მათი კითხვა. აქა

ყველა ფრანგი ინტელექტუელი და უტოანისტი — ვოლტერი, რუსო, ფურტი, სენ-სიმონი, დეკარტი და ა. შ., გერმანელი ფილოსოფოსები — კანტი, ჰეგელი, ფიერბახი. მარქსისტული ლიტერატურის კოლექცია ყველაზე სრულადაა წარმოდგენილი. აქა მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და სტალინის, პლენანოვისა და სხვათა სრული თხზულებანი. აქვეა ფილოსოფოსები — პასკალი, სპინოზა; მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში „შერენებულთა“ რიცხვში მოხვდა: მიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ და „მე წელი“, გეთეს „ფაუსტი“, შილერი, ლევ ტოლსტოი, გოგოლი, ჩერნ-შევსკი და ყველა სხვა რევოლუციური დემოკრატები, ეპტონსინკლერი, თეოდორ დრაიზერი, ანრი ბარბუსი, კარელ ჩაპეტი და მამუკის „ყოჩაღი ჯარისკაცი“ შევიკი“.

### თურქეთი

#### მათიძებვის აკრძალვის კანონი

თურქეთის მეჯლისმა შემოიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ჯარიმა გადახდებათ იმ დეპუტატებს, რომლებიც თავიანთ გამოსვლებში სხვა დეპუტატთა მიმართ იხმარენ ცნოველთა სამყაროდან აღებულ ეპითეტებს. პრესა დასციონის ამ კანონს და ამბობს: თუ დეპუტატი იტყვის თავის კოლევზე, „ლომივით გულადა“, ან „ბულბულის გალობასავით ტბილად ლაპარაკობს“, მას დაჯარიმებენ, ზოლო თუ ის იტყვის, „ჩემი პატივცემული კოლეგა ხის ნიჩბივით ბრყვიოა“, ხმასაც არ ამოიღებს.

### ინგლისი

#### გათანამდროვებული „მაკაბიტი“

ციურისში გამართულ თეატრალურ ფესტივალზე ლონდონის ექსპერიმენტულმა თეატრ-

მა წარმოადგინა შექსპირის ტრაგედია „მაკბეთი“. რეჟისორმა ტრაგედიის მოქმედება გადმოიტანა პირველი მსოფლიო ომის წლებში, დასი ამ სპექტაკლით სავასტროლოდ მიემგზავრება ევროპაში.

### სემსუალური სენსაციი

ლონდონის თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუტმა გამოაცხადა, უნდა ვაჩვენოთ ფილმი მარკიზ დე-სადის შესახებო. დარბაზში ტევა არ იყო. მაგრამ მალე ყველას იმედი გაუტრუვდა: ესტრადაზე გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი და განაცხადა, ფილმი არ ვაჩვენებთ, რადგან ასეთი ფილმი საერთოდ არ არსებობს; ინსტიტუტს აინტერესებდა მხოლოდ გეგმა, თუ როგორ მოქმედებს სექსუალური სენსაციებისადმი ინტერესი თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთადმი ინგლისელი მოსახლეობის ინტერესზეო.

### ახალგაზრდა მწერლების მანიფესტი

გამოვიდა ათი ახალგაზრდა ინგლისელი მწერლის ნაწარმოებთა კრებული. ეს მწერლები — ჯონ ოსბორნი, ჯონ უეინი, ლინდსეი ანდერსონი, დორის ლესინგი და სხვ. — თანამედროვე ინგლისური ლიტერატურის იმედად არიან მიჩნეული. კრებულის სახელწოდებაა — „საქვეყნოდ თქმული“. მისი მიზანია გამოხატოს ინგლისელ ლიტერატორთა ახალგაზრდა თაობის მიზნები და შეხედულებები. ეს თაობა აღინიშნა ოსბორნის უკვე განთქმული პიესით — „რისხვით მიიხედე უკან“ და მის წევრებს წილად ხვდათ საექვო პატივი ერქვათ „გაბოროტებული ახალგაზრდობა“. „საქვეყნოდ თქმულის“ ძირითადი ტონია თანამედროვე ინგლისური ხელოვნებისა და ლიტერატურის მდგომარეობით უქმყოფილება. მაგრამ ამ მოძრაობას, მათს პროტესტს ყოველივე

„დადგენილისადმი“, როგორც თვითონ ამბობენ, ერთგვარია ანარქიულობაც დაპქრავს. მიუხედავად ამისა აგნუს უილსონი „ობზერვერსში“ ამ მანიფესტის შესახებ ამბობს: ახალგაზრდებმა დასაფასებელი საქმე გააკეთეს, რომ მიუთითეს კულტურის შენელების საშინოობაზე, ხოლო ზოგმა მათგანმა ისიც კი განაცხადა, „კულტურის კვლემა ინგლისში ჩვენი ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების საყოველთაო უნაყოფობის ანარქიული“. ეს ახალგაზრდობა თავისი შეხედულებებით ორ ჯგუფად იყოფა — ერთი ჯგუფი პრობლემას წყვეტს რელიგიური გზით, ხოლო მეორე ცოტა არ იყოს ანარქიული მემარცხენეობის პოლიციებზე დგას. მაგრამ აშკარაა, რომ „საქვეყნოდ თქმული“ არის ერთგვარი ქარი, რომელმაც ცოტათი მაინც ააფრიალა ინგლისის კულტურული ცხოვრების დაშვებული აფრები.

### ინდოეთი

**ფილმი ბუდას შესახებ**  
ინდოეთის კინემატოგრაფიამ შექმნა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი ბუდას ცხოვრების შესახებ. ფილმის სახელწოდებაა „შაუტამა ბუდა“. ფილმის ჩვენება ნ საათზე მტ ხანს მიმდინარეობს — გადაღებულია ბუდას ცხოვრების ამსახველი 2000 წლის წინანდელი ქანდაკებები და ფრესკები. ფილმის ავტორებმა შეიარჩიეს ძველი ინდური ტაძრების საოცარი ქანდაკებები და ფრესკები, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ყოფილა დღემდე წარმოდგენილი გამოფენებზე.

### ირალი

**კინოსმარია გრძელდება**  
როგორც ცნობილია, იტალიაში შეიქმნა მთელი სერია

კინოფილმებისა, რომელთა სახელწოდება იწყება „სერია“, სიყვარული და...“ ამ სერიის რეჟისორია იტალიელი ეტორე მარგალია. ამ სერიის პირველი ფილმი იყო „პური, სიყვარული და ფანტაზია“, II — „პური, სიყვარული და ექვიანობა“ (ამ ორ ფილმში ვიტორიო დე სიკასთან ერთად ქალის მთავარ როლს ასრულებდა ჯინა ლოლობრიჯიდა), III — „პური, სიყვარული და 1000 კონცა“ (აქ ჯინა ლოლობრიჯიდა შესცვალა მეორე იტალიელმა კინოვარსკლავმა სოფია ლორენმა). ახლა გამოვიდა ამ სერიის IV ფილმი — „პური, სიყვარული და ანდოლუზია“ (ვიტორიო დე სიკას პარტნიორი ქალი ამჯერად კარმენ სევილია).

### „ნიბელუნგები“ მკარანე

როგორც ცნობილია, 20-იან წლებში მსოფლიოში დიდი პოპულარობა მოიპოვა ფრიც ლანგის მონუმენტურმა ფილმმა „ნიბელუნგები“. ამჟამად ერთერთი იტალიური კინოსტუდია შეუდგა „ნიბელუნგების“ გადაღებას. ფილმი მონაწილეობის მისაღებად მიწვეული არიან გერმანელი მსახიობები.

### გოიას ცხოვრება მკარანე

„გოია და ჰერცოგის მეუღლე ალბა“ — ახე ეწოდება ფილმი, რომელსაც იღებენ იტალიაში და რომელიც ასახავს ცნობილი ესპანელი მხატვრის გოიას ცხოვრებასა და მოდუწობას. ჰერცოგის მეუღლის კავტანას როლს შეასრულებს ავა გარდნერი.

### სპორტისადმი მიძღვნილი ხელოვნება

იმასთან დაკავშირებით, რომ 1960 წელს რომში უნდა შეხდეს ოლიმპიური თამაშები, ქალაქის მუნიციპალიტეტი აწყობს IV საერთაშორისო კონ-



კურსს ხელოვნების — მუსიკის, ლიტერატურის, ფერწერის და ქანდაკების — დარგში. ხელოვნების ყველა ამ დარგის თემატიკა სპორტს უნდა ეხებოდეს.

### პიკასო კვლავ თეატრისათვის მუშაობს

მილანის ლა სკალას თეატრმა პიკასოს დაუკვეთა მანუელ დე ფალის პიესის — „სამკუთხა ქუდის“ დეკორაციები. მოკლიან, რომ მხატვარი აქვც გამოიყენებს თავის ორიგინალურ მხატვრულ შეხედულებებს. პიკასოს კარგა ხანია არ უმუშავია თეატრში და მისმა დაბრუნებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

### ქანდა

#### პიანისტის რეპორტი

კანადელმა პიანისტმა პატ ლოგმა დამყარა როიალზე დაკვრის ხანგრძლივობის რეკორდი — ის განუწყვეტლად უკრავდა 77 საათის განმავლობაში. პიანისტს ხელები დაუსხივდა, ხოლო თითებიდან სისხლი დაედინა.

### მაროკო

#### სუეცის არხის გახსნის მოწავე

გარდაიცვალა 112 წლის მამოედ ელ-მაქრი, მაროკოს ყოფილი დიდი ვეზირი. ვეზირმა სიკვდილამდე შეინარჩუნა სადი გონება და მესხიერება. პოლიტიკურ ამბებთან დაკავშირებით მამოემდი არაერთგზის მოაგონებდა ახლობლებს, რომ ის დაესწრო სუეცის არხის გახსნას 1869 წელს, მონაწილეობდა ტანუერის 1906 წლის კონფერენციაში, ხოლო 1911 წელს პირველად გახდა დიდი ვეზირი. ამ თანამდებობაზე ემსახურა ის მაროკოს ხუთ სულთანს.

### მექსიკა

#### დიეგო რივერას მიმართვა

განთქმულმა მექსიკელმა მხატვარმა დიეგო რივერამ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ნიუ-იორკის პროგრესულ ჟურნალში „ნეშნლ გარდიან“ გამოაქვეყნა ღია წერილი, რომელშიაც მოუწოდებდა მსოფლიოს ყველა მხატვარსა და კულტურის მოღვაწეს ყველაფერი მოიპოქმედონ იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა. ამერიკისა და სხვა ქვეყნების ათასობით სწავლულმა აღიმაღლა ხმა ატომური იარაღის წინააღმდეგ, მაგრამ რივერა თავის წერილში აცხადებდა, რომ ეს არ კმარავ ის მოითხოვდა, რომ ყველა ადამიანი, რა შეხედულებებისაც არ უნდა იყოს ის, გაერთიანდეს მშვიდობისათვის მებრძოლ გივანტურ ორგანიზაციაში, რათა სამუდამოდ შეაჩერონ არაადამიანური ომები. რივერა წერდა: „ამიტომ მე ვიმადლებ ჩემს სუსტ ხმას ისე ძლიერ, როგორც კი შემიძლია, და მოვუხზობ ყველას, ვინც ცოცხლობს სიყვარულისთვის, სილამაზისთვის და ადამიანური გრძნობისათვის — დეე მოუწოდონ მთელ კაცობრიობას, რათა აღიძრან ატომური იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ ასაკრძალავად“.

### პერუ

#### უცნობი ტომი

პერუში (სამხრეთ ამერიკა) აღმოჩნდა დღემდე უცნობი ინდიური ტომი, რომელიც შედგება 1.800 კაცისაგან და ცხოვრობს 2.380 მეტრის სიმაღლის მთებზე. ეს ტომი მისდევს მიწათმოქმედებას, მოჭაუთ კარტოფილი და სიმინდი. აქაური მამაკაცის საშუალო სიმაღლეა 152 სმ, ხოლო წონა — 50 კგ. ამ საოცარი ტომის ყველა წევრს მეტად ფართო გულმკერდი და დიდი

ფილტვები აქვს, რაც მათ საშუალებას აძლევს უანგაღობით ღარბი აქაურ ატმოსფეროში შესუნთქონ საკმარისი რაოდენობის უანგაბადი, რათა შეიძლონ მძიმე საშუაოს ატანა. ინდიელები ერთმანეთთან ფეხით დადიან მაღალმთიან ბილქებზე, თან ზურგზე მძიმე ტვირთი ჭეიდათ. მათი საყვარელი სპორტია შათირი მხარზე მოკიდებული 70 კგ კარტოფლის ტომრით.

### პოლონეთი

#### ფილმი ოთხ მნახვ

ლოძის მახლობლად იღებენ პოლონურ-გერმანულ-ინგლისურ-ფინურ ფერად ფილმს — „წისქვილის აღება“ (ემილ ზოლას ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით). ფილმის ოპერატორია ფინელი ერიკ ზლომბერგი, მთავარ როლს ასრულებს გერმანელი მარიანე კოხი.

#### ლოძის სეზონი

გამოჩენილი პოლონელი პოეტის იულიან ტუვიმის ღამ ირენა ტუვიმმა დაწერა წიგნი — „ლოძის სეზონი“, სადაც ანახულია პოეტის ბავშვობა. პოლონეთის კრიტიკამ ეს წიგნი ლ. ტოლსტოის განთქმულ „ბავშვობას“ შეადარა.

#### შოკენის ძეგლის აღდგენა

ვარშავაში დაიწყო შოპენის ძეგლის აღდგენა, რომელიც 1940 წელს ჰიტლერებმა დაანგრეს და ბრინჯაოსაგან ყუმბარები ჩამოასხეს. რვა ვარშაველმა მოქანდაკემ ფოტოსურათების გულმოდგინე შესწავლით აღადგინეს ძეგლი, რომელიც 16 ტონაზე მეტს იწონის. შოპენის ძეგლი დაიდგმება ლაზენკის პარკში (ვარშავა) 1958 წლის თებერვალში, დიდი კომპოზიტორის დაბადების 148 წლისთავზე.

საბარძნეთი

კონცერტი 2.000 წლის თეატრში

ათონის აკროპოლის ძირში მდებარეობს დიდი ანტიური თეატრი, რომელსაც ახლა იროდე ატიკას ოდეონი ეწოდება. 4.000 მეტმა მაყურებელმა მოიქარა თავი ამ 2.000 წლის თეატრში, სადაც ჩატარდა საბერძნეთის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი საგასტროლოდ ჩამოსული რუმინელი დირიჟორის კონსტანტინე სილვესტრის დირიჟორობით. ბეთპოვნის „ლიონორას“ უფრტორის შემდეგ ორკესტრმა შეასრულა დგორუკის მეოთხე სიმფონია, ჩაიკოვსკის „სერენადა“ და ენესკუს „რუმინული რაფსოდია“.

სამხრეთ აფრიკის

კავშირი

ინგლისელი მსახიობების პროტესტი

ბრიტანელ მსახიობთა კავშირმა „იევიტი“ აუკრძალა თავის წევრებს სექტაკლში გამოსვლა, თუ მაყურებელთა დარბაზში გატარებული იქნებოდა დისკრიმინაცია ზანგების წინააღმდეგ. ამ აკრძალვის გამო შეუძლებელი შეიქნა ინგლისური ანსამბლის გასტროლები სამხრეთ აფრიკის კავშირში, სადაც რასობრივი დისკრიმინაცია სახელმწიფოებრივ პრინციპადაა აყვანილი.

საფრანგეთი

კორნელი იგივი მოლიერი

საფრანგეთში ახალი ლიტერატურული სენსაციაა: მწერალმა ანრი პოლემემ გამოაქვეყნა წიგნი — „კორნელი მოლიერის ნიღაბი“. ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ კორნელი, ტრაგედიების ეს ცნობილი ავტორი, წერდა კომედიებსაც... მოლიერის სახე-

ლით. ავტორი უთითებს: გვარი Molière საფრანგეთში არ გვხვდება და მისი ეტიმოლოგიაც გაურკვეველიაო. ის გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ვოლტერისა და XXVII — XVIII საუკუნეების სხვა ავტორთა მსგავსად კორნელიც ანაგრამას ამოეფარა. საინტერესო დამთხვევაა: 1629 წლიდან 1643 წლამდე კორნელი მხოლოდ ანონიმურად აქვეყნებდა თავის ტრაგედიებს და თავისი პირველი პიესის კრებულს პირველად აწერს გვარს 1644 წელს, როცა ჩნდება ფსევდონიმი მოლიერი. კორნელის შემდეგი, მომდევნო პიესები კვლავ ხელმოუწერლად ქვეყნდება, და მხოლოდ 1659 წელს ისევ აწერს გვარს პიესას „ოიდიპოსი“—ამავე წელს გამოვიდა მოლიერის პიესათა I ტომი.

ტურგენევის უცნობი ხელნაწერები

ტურგენევის არქივში, რომელიც პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება, აღმოჩნდა მწერლის დღემდე უცნობი ხელნაწერები, მათ შორისაა დამატებული ლეგენდა ლექსად — „წმ. ანტონის ცთუნება“, ფრაგმენტები კომედიისა „ორი და“ და გეგმა მოთხრობისათვის—„ორი თაობა“, რომელიც მწერალმა შემდეგ გადაამუშავა რომანად „მამები და შვილები“.

მიუსეს სურათების გამოცემა

პარიზში გაიხსნა განთქმული ფრანგი პოეტისა და დრამატურგის ალფრედ დე მიუსეს სურათებისა და კარიკატურების გამოცემა. ამ ნახატების მეტი ნაწილი დღემდე უცნობი იყო და აღბომებსა და არქივებში ინახებოდა. მიუსე მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში გატაცებით ხატავდა მისი ნახატები, რომლებიც გამოხატავენ ლიტერატურული

სამყაროს გამოჩენილ პირთა ნებებს, მნახველს აოცნენ თავიანთი სიმკვეთრით.

ოლეზ პოპოვი—ფრანგი სანჩო პანსა

პოპულარული ფრანგი კინოკომიკოსი ფერნანდელი, რომელიც ითამაშებს დონ კიხოტის როლს მომავალ კინოსურათში, ეძებს სანჩო პანსას როლში გამოსადგე მსახიობს. ფერნანდელს უნდა მიიწვიოს სახელგანთქმული რუსი კომიკოსი ოლეზ პოპოვი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა პარიზში მისიკონის ცირკის გასტროლების დროს და განსაკუთრებით პოპულარული გახდა ფრანგ ხალხში ტელეხედვაში გამოცხადების შემდეგ.

აღამიანი კიბერნეტიკის წინააღმდეგ

რაკი კიბერნეტიკას თავი მოაქვს, მანქანით შევცვლი ადამიანს ტვინის მოქმედებასო, ერთმა ფრანგმა, სახელად მორიზ დაგებრმა, პროტესტის ნიშნად განაცხადა: მზად ვარ შევეჯიბრო რომელსაც გენავთ ამერიკულ ელექტრომანაგარიშე მანქანას და დარწმუნებულვით ვარ, გავიმარჯვებო. რომელიც დაგებრი ამბობს, მას შეუძლია რამდენიმე წამში უქადალდოდ და უფანქროდ გადაწვიტოს თუნდაც ასეთი ამოცანა: რამდენი წამი გავიდა რომის“ დაკეცვის დღიდან დღემდე, ან გამოითვალოს, თუ რომელი დღე მოუწევს ალდგომას 5702345 წელს. როცა ცნობისმოყვარე რეპორტიორები დაეკითხნენ, სად ისწავლეთ ეგეთი ვახაოცარი თვლაო, მან მიუგო: არმიაში, სადაც მთელი დროის 3/4-ს პატიმრობაში ვატარებდი, როგორც ანტიმონიტარისტიო.

7 საუკუნის შემდეგ

საფრანგეთში დიდი ინტერესი გამოიწვია პიერ კარდენელის ნაწარმოებების გამოცემაში. ფრანგული სატირის ეს კლასიკოსი ცხოვრობდა 1186—

1278 წლებში. ის იყო მეფისა და პერციოგების კარის პოეტიკურბადურის და მწარედ დასცინოდა საეკლესიო ხელისუფალთა ინკვიზიტორულ საქმიანობას. მისი ნაწერები პირველად მხოლოდ ახლა, 7 საუკუნის მერე, გამოიცა ტულუზაში. წიგნი დიდი ზომისა და შეიცავს 778 გვერდს.

### პიკასონი ახალი დაკვეთა მიიღო.

პიკასონს დაუკვეთეს იუნესკოს სახალისი მოხატვა პარიზში. მხატვარი ამზადებს 1.000 კვადრატული მეტრი ტერაკოტის კედლის სამკაულებს, მუშაობა უნდა დასრულდეს ახლა.

### მსოფლიოში უნორჩესი პოეტი

მსოფლიოში ყველაზე პატარა პოეტმა ქალმა, ათი წლის ფრანგმა გოგონამ მინუ დრიუმემ, რომელმაც 1055 წელს სახელი გაითქვა თავისი ლექსებით, იმ ხანებში დიდი კამათი გამოიწვია, რადგან ბევრს არ სჯეროდა მისი ავტორობა. ეს დავა ისევ მინუ დრიუმემ გადაწყვიტა: საფრანგეთის აკადემიის კომისიის წინაშე შესთხოვა საუცხოო ლექსები. ამჟამად მინუ დრიუმე ამზადებს მთავარ როლს კინოწარმოებაში — „კლერი და ბოროტი ადამიანები“.

### უცნაური საჩუქარი

პარიზის სასტუმრო „მეტროდან“ გამოსვლისას ჩარლი ჩაბლინმა თავის ჯიბეში იპოვა ოქროს საათი, რომელსაც თან ახლდა შემდეგი ბარათი: „ჯიბეგირთა კავშირი მოწინებთ მოგესალმებათ“.

### უნგრეთი

#### ფართოჰარანიანი ქინოთეატრი

ბუდაპეშტში აღადგინეს უდიდესი კინოთეატრი „კორინი“, რომელიც კონტრარევი-

ლუციონერებმა დაანგრეს. „კორინი“ გადაკეთდა ფართოჰარანიანი კინოთეატრად — ესაა პირველი ფართოჰარანიანი კინოთეატრი უნგრეთში, პრემიერად ნაჩვენები იქნა საბჭოთა კავშირის ფერადი ფილმი „დონ კიხოტი“.

### უზიციარია

#### გაზეთების იზიციარი კოლმეტი

მსოფლიოში არაფის აქვს გაზეთების ისეთი დიდი კოლექცია, როგორც იოჰან ეტიკერს, 82 წლის ციურიხელ მწერალს. კოლექციასია 120.000 ეგზემპლარი გაზეთი 300 ენაზე. აქაა 15-10 წელს ბაზელში ლათინურ ენაზე დაბეჭდილი საეპიო გაზეთი, მოლანდიური გაზეთების სრული კომპლექტი—1696 წლიდან დღემდე, რამდენიმე ტიბეტური, არაბული, ბრაზილიური გაზეთები, აგრეთვე გრენლანდიელ ესკიმოსთა ენაზე დაბეჭდილი რამდენიმე გაზეთი.

### პაწაწა საათი

უნივერსი დაამზადეს მსოფლიოში ყველაზე პატარა საათი — მისი დიამეტრია 11 მმ, ხოლო წონა 89 სანტიგრამი, ისრების სიგრძეა 1,3 და 2,4 მმ.

### ძველი ბერძნული პიესის აღმოჩენა

უნივერსი პროფესორმა ვიქტორ მარტენმა ძველ კოლექციაში აღმოაჩინა ბერძენი პოეტის მენანდერის დღემდე უცნობი პიესა „დისკოპოლი“. ეს სატირული პიესა იდგმებოდა ათონში 816 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. პიესის ხელნაწერი, რომელიც მცირე წვირილმანს გარდა, მთლიანად შენახულია, დათარიღებულია ჩვ. წელთაღრიცხვის III ს-ნით.

### ჩხოსლოვაკია

#### „პატარა

#### ქინო-მარბალიტი“

ჩხოსლოვაკური ეურნალი „კინო“ ქართული ფილმის

„მადანას ლურჯას“ შესახებ წერს: „ესაა პატარა ქინო-მარბალიტი, როგორც ხოლო წლებში იშვიათად შეგვხვდებოდა საბჭოთა კავშირში. როგორც ცვარის წვეთში, ისე აისახა ამ პატარა, ერთის შეხედვით უბარალო ფილმში ქართველი ხალხის დღივად და აღამიანურად ამალელებული ცხოვრება გახული საუკუნის მიწურულში. ეს ფილმი ნაწილობრივ გვიჩვენებს, თუ რა გზა გაიარა ამ ხალხმა იმ დროიდან მოყოლებული დღემდე. ესაა მხოლოდ ერთი მხარე ამ პატარა ნაწარმოებისა. ხოლო მეორე — დასაქმოდ მნიშვნელოვანი — მხარეა ფილმის პოეტური, დამატებითი განმარტობება. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ ფილმის ნახვის შემდეგ ჩები მასურებლის მესხიერებაში წარუშლელად დარჩება ქართველი მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილის სახელი“.

### ჩხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ფილმი

ჩები კინორეჟისორი ჩენეკ დუბი ამთავრებს პირველ ჩებურ ფილმს, რომელიც გადაღებულია საბჭოთა კინომაშინავებთან ერთად. ფილმს ეწოდება „გადოსნური კვირა“, ასახავს ჩები ბიჭუნას პეპიჩკას თავგადასავალს (პეპიჩკის როლს ასრულებს ჩები ბიჭიტომას სედლეჩეკი), რომელიც უბილეთოდ მოხვდა ტუ-104-ზე და თავი ამოპოო ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე მოსკოვში.

### ბანქმალას და ზიკმუნდის ახალი მოგზაურობა

განთქმულმა ჩხოსლოვაკელმა ინჟინერ-მოგზაურებმა განხელკამ და ზიკმუნდმა, რომლებმაც ავტომანქანა „ტატარი“ შემოიარეს მთელი აფრიკა და სამხრეთ-ამერიკა და შესანიშნავად აღბეჭდეს თავიანთი მოგზაურობა, გამოსცეს რამდენიმე წიგნი, სადაც და-

წერილებითაა აღწერილი ეს მოგზაურობა. ახლა ისინი ემზადებიან ახალი დიდი მოგზაურობისათვის, რომლის დაწყებაც განზრახული აქვთ წელს. ისინი მოივლიან აზიას, ავსტრალიას, ჩინეთს, საბჭოთა კავშირს და ა. შ. მოგზაურობის დროს ისინი გადაიღებენ 185.000 მეტრ ფერად და შავ-თეთრ ფირს და ჩაწერენ 25.000 მეტრზე მეტ მაგნიტოფონის ფირს.

**ჩინეთი**

კანტონი — ახალი მხატვრული ცენტრი მწერლებისა და მხატვრების ხსდომაზე კვანტუნის პროვინ-

ციის მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამხრეთ ჩინეთის დედაქალაქი კანტონი გადაიქცევა მხატვრულ ცენტრად. ქალაქში წელსვე აშენდება სახვითი ხელოვნების სასწავლებელი და კონსერვატორია. შემდეგ ხუთწლიდში (1958 — 1962 წ.წ.) კანტონს ექნება ახალი კინოსტუდია, სადა ახალი თეატრი (საბავშვო, თანამედროვე და ხალხური ხელოვნების), თეატრალური სასწავლებელი და საკონცერტო სასწავლებელი. კანტონში უკვე რამდენიმე ლიტერატურული ჟურნალი გამოდის.

**რატომ დაღიან მუზეუმებში**

ამსტერდამის მუზეუმში მნახველთა წიგნში არის განყოფილება, სადაც მნახველებმა უნდა ჩასწერონ, თუ რატომ მივიდნენ მუზეუმში. ამ განყოფილებაში შეხვდებით ყოვლად მოულოდნელ ჩანაწერებს: „იმიტომ, რომ ძლიერ წვიმადა“, „იმიტომ, რომ მართო დარჩენა გვინდოდა“, „გამოვიქეცი საძულველ ნათესავებს“...



# შურნალ „ცისკრის“ 1957 წლის ნომრების შინაარსი

- საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, № 4.
- ხრუშჩოვი ნ. — ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის, № 4.
- იმედაშვილი ა. — საქართველოს ახალგაზრდობის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, № 6.
- მაისურაძე დ. — ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა, № 6.
- მაჭავარიანი ვ. — ოქტომბრის მედროზე, № 6.

## მოთხრობები, რომანები, პიესები

- აბულაძე თ., ჯაფარიძე რ. — სხვისი შვილები (კინომოთხრობა), № 3.
- აღმაია ა. — მსახიობის სიკვდილი (პიესა), № 7.
- ბეჟანიშვილი რ. — ზამთრის საღამო (მოთხრობა), № 2.
- გოგიაშვილი გ. — პირველი დღეები (რომანი), № 6, № 7.
- გოთუა ლ. — გრემული ქარვასლიონი (მოთხრობა), № 1; წიწამურის მიწა (მოთხრობა), № 5.
- დავითიშვილი ა. — ჩინური ფინჯანი (მოთხრობა), № 2.
- ლაკერბაი მ. — ნეკი (აფხაზური ნოველა. თარგმნა აკ. გეწაძემ), № 6.
- ლომიძე ა. — სიუვარული და ავიაცია. ნამგაღისკარტა (მოთხრობები), № 7.
- ნატროშვილი გ. — ზაქროს ბიჭი (მოთხრობა), № 1.
- ნახუცრიშვილი გ. — შეუპოვარი ხმა (ნაწყვეტი პიესიდან), № 5.
- სულიაშვილი დ. — კამო (ნაწყვეტი წიგნიდან „გულმართალი აღამიანი“), № 6.
- ყიფიანი ედ. — ათფურცლიანი რვეულები (მოთხრობა), № 2, № 4.
- ჩიჯავაძე ო. — „თუთიყუმთან“ (მოთხრობა), № 4.
- შატბერაშვილი გ. — საუკუნო საგზალი (მოთხრობა), № 5.

## ლექსები

- აბულაძე მ. — ლექსები, № 7.
- ბერნის რ. — ლექსები (ინგლისურიდან თარგმნა თ. ერისთავმა), № 1.
- ბოლქვაძე ზ. — ლენინი, № 3.
- ბროვეი ტ. — საოქტომბრო სიმღერა (თარგმნა ა. მიტცხულავამ), № 6.
- გამზათოვი რ. — მე ასმა ქალმა მომხიბლა. პეიმანზე (თარგმნა კ. კალიძემ), № 3.
- გეგეჭკორი გ. — საღამო ფართოდ გახელილ თვალებს, № 3.
- გერბელია ე. — სიმღერა სოხუმზე (თარგმნა ნ. ნარსიაძემ), № 6.
- ჯვანბია ვ. — ყველაფერ ამას ამკობს, ამშვენებს, № 6.
- გოეთე — ლექსები (გერმანულიდან თარგმნა ვ. ბეწუქელმა), № 2.
- გორგანელი ვ. — ფრიალებს დროშა, № 6.
- გულია დ. — ვან იუ — ყვითელი მდინარიდან (თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა), № 6.
- ევტუშენკო ე. — \* (ფანჯრიდან ხედავს პროფესორი) (თარგმნა გ. ძნელაძემ), № 4.
- ვურღული ს. — ოქტომბერი (აზერბაიჯანულიდან თარგმნა ლ. ერისთავმა), № 6.
- თევზაძე ა. — ლირიკა, № 2; ლირიკა, № 7.
- იპონური პოეზია (თარგმნა ნ. დუმბაძემ), № 4.
- ისაკიანი ა. — ლექსები (თარგმნა ა. სულაკაურმა), № 7.
- ქაუზიძე გ. — იმ დღიდან ვმღერი, № 6.
- კილასონია ნ. — ლექსები, № 2; ბარათი მოსკოვში, № 3.
- ლენინიძე მ. — ახალგაზრდობა, № 1.
- ლეონიძე გ. — ძველი რვეულიდან, № 1.
- მალიშკო ა. — ლენინის სიტყვა (თარგმნა ვ. გორგაძემ), № 6.



- მიორიცა, მოლდავეური ხალხური ბალადა (თარგმნა გ. კალანდაძემ), № 7.  
 შირცხულავა ა. — ილიას აჩრდილს, № 5.  
 შრეკლიშვილი მ. — ლექსები, № 2.  
 ნაფეტვარიძე გ. — ლექსები, № 4.  
 ნიშნიანიძე შ. — წითელი ბალადა. ყველა და ყველაფერი, № 2.  
 რუდაქი — ლექსები (სპარსულიდან თარგმნა მ. თოდუამ), № 3.  
 სიმლერა სატანეი-გუაშაზე. ქალიშვილის სიმლერა (აფხაზური ხალხური ლექსები. თარგმნა მ. შაპვაჯარიანმა), № 6.  
 ხულაკაური ა. — ლექსები, № 1.  
 ქოიავა მ. — უფრო გახშირდეს, № 7.  
 შინკუბა ბ. — არსანის დიქრები (ნაწყვეტი პოემიდან. თარგმნა მ. ლებანიძემ), № 6.  
 შელი — ლექსები (ინგლისურიდან თარგმნა ი. გურგულიამ), № 4.  
 შერაზადიშვილი ზ. — ლექსები, № 7.  
 ჩარკვიანი ჯ. — ლექსები, № 4.  
 ჩიქოვანი ს. — ლექსები, № 1.  
 ჭავჭავაძე ი. — პოეტი, № 5.  
 ჭანტურია ტ. — ლექსები, № 7.  
 ჭილაძე თ. — ახალი ლექსები, № 1; სიზმარი, № 5.  
 ჯავახიძე ვ. — ლექსები, № 7.  
 ჯანგულაშვილი თ. — ილიას ხილვა დარიალში, № 5.

### შაშნიკი

- ბიბილური თ. — ჩემი და. მრისხანე კაცი. გაპარვა (მოთხრობები), № 7.  
 გიგეშიძე გ. — სანამ ერთად ვართ (მოთხრობა), № 1.  
 გოგიშვილი ლ. — დედა. წითელი ვარდი (მოთხრობები), № 3.  
 კვიტიშვილი ე. — ლექსები, № 7.  
 კორინთელი ს. — ფანჯრიდან ფანჯარაში. ამისათვის არ მოვსულვარ. პანტელეიმონი (მოთხრობები), № 3.  
 კოტეტიშვილი ვ. — ლექსები, № 7.  
 ჩრეულოშვილი გ. — სიყვარული მარტის თვეში. ნელი ტანგო. თვითთვითა. შემოდგომა ბაბუა კოტესი. სათაგური (მოთხრობები), № 1.  
 ხალუქვაძე ა. — ლექსები, № 1.

### ჩვენი აღამიანები

(ნარკვევები)

- არჩემაშვილი ხ. — ნათელ გზაზე, № 7.  
 ასათიანი მ. — გურიის რევოლუციური ქრონიკები, № 6.  
 ბერიძე ფ. — ფოლადის მარჯვენა, № 4.  
 თორდუა ვ. — ცხოვრების ერთი ფურცელი, № 1.

### საფსტივალო

- ბეთანელი გ. — III (შექვესე ფესტივალებზე), № 4.  
 ვოშარელი გ. — მარად სამახსოვრო დღეები (რეპორტაჟი), № 2.  
 საფესტივალო სამზადისი, № 1.

### 1917—1917

- ფანიძე კ. — ჩვენი პოლიტიკა ხალხის სამსახურია, № 2.  
 იმნაიშვილი რ. — სახელოვანი რევოლუციონერი, № 2.  
 კილასონია ნ. — ამხანაგო ბორის! № 3.  
 შიქაშავიძე შ. — რევოლუციის მემბრანი, № 4.

### მოგზაურის დღიური

- აბაშიძე ირ. — ინდოეთის გზებზე, № 1, № 3.  
 ვებერი ა. — სამი დღე საქართველოში, № 4.  
 იედლიჩკა ი. — მოზღვევებულ შთაბეჭდილებანი, № 2.  
 ოლდრიჯი ჯ. — თან მიმაქვს საუკეთესო მოგონებანი, № 4.  
 უიფიანი ედ. — შთაწმინდიდან მყინვარწყვარამდე, № 5.



## მწერლის არქივიდან

- ასათიანი ლ. — დილა „ცისკარში“ (ნაწყვეტი პეისიდან), № 5.  
 დემეტრაძე შ. — სერგეი ესენინი საქართველოში, № 1; პაოლო იაშვილის ჩანახატები, № 2.  
 ლეონიძე გ. — ნაუბარები, ჩანაწერები ჩემი არქივიდან, № 5.  
 ტაბიძე ტ. — ლექსები, № 7.  
 ჯავახიშვილი მ. — მიწის ყვილი (მოთხრობა), № 1.  
 ჯაფარიანი ა. — შეიარაღებული მშვიდობიანობა, № 5.

## წარსულის ფურცლები

- ბოროზდინი კ. — იმერეთის დედოფალი (ნარკვევი. თარგმან ირ. ქ ა ე ვ ა რ ა ძ ე მ), № 7.  
 ხუციშვილი ს. — მასალები ალექსანდრე ქავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, № 7.

## ხელოვნება

- ბაქრაძე აკ. — სცენარისტი და რეჟისორი, № 1; კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, № 5.  
 გორდუნიანი ბ. — მიხ. ზინის ზოგიერთი სურათის შესახებ, № 3.  
 კარბელაშვილი მ. — გ. თიხაურის პორტრეტები და ბარელიეფები, № 2.  
 მარიამიძე ე. — 5 წლის მხატვრის „ატელიეში“, № 2.  
 ქიქოძე გ. — ლაღო გუდიაშვილი, № 2.  
 ციციშვილი ირ. — რასაც ყოველდღიურად ხედავს თვალი, № 2.

## სპორტი

- აკოფოვი გ. — პირველიდან მეექვსემდეგ, № 6.  
 ბეთანიელი გ. — უფერული ნოკაუტი (მოთხრობა), № 2.  
 მარიშვილი გ. — მოასპარეზეთა ავ. კარგი, № 6.  
 პოპოვი ხ. — სასიქადულო ექვსეული, № 2.  
 ქორჭია რ. — ბრძოლა სისწრაფისათვის, № 2.

## ლიტერატურული მემკვიდრეობა

- გოწალიშვილი შ. — ილია ქავჭავაძის თხზულებათა ავტორაფები და ხელნაწერები, № 4.

## პუბლიკაციი

- გოწალიშვილი შ. — ილია ქავჭავაძის პირადი წერილები, № 5.

## მემუარები

- დადიანი შ. — რაც გამახსენდა, № 2, № 3, № 4, № 5, № 7.  
 ეული-ქურიძე ხ. — რევოლუციის რაინდი, № 6.  
 კახრაძე დ. — ილია ქავჭავაძე ჩემს ხსოვნაში, № 5.

## წარსულის ფერფლის ძვეშ

- ჩჩელიშვილი გ. — უსახელო უფლისციხელი, № 3.

## რეპლიკები

- კუკავა — ჩანაფიქრი და სინამდვილე, № 3.

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

- ასათიანი გ. — შენიშვნები თანამედროვე ქართული პოეტიკის შესახებ, № 1.  
 ბერძენიშვილი გ. — ილიას ოქროს საათი, № 5.  
 ბურთიკაშვილი ა. — ჩვენი თეატრის მოქირანახლე, № 5.  
 გაბუნია ვ. — თანამედროვე მოთხრობის სპეციფიკისათვის, № 2.  
 გიგეჭკორი გ. — სახლი საგურამოში, № 5.  
 გვერდწითელი გ. — დადებითი გმირის ცნების დაზუსტებისათვის, № 3; პოემა სიცოცხლის გომარჯვებისა, № 5.  
 დევიდ მარშალ ლენგი — ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, № 4.  
 თოფურაძე ც. — „განდევილი“ ინგლისურ ენაზე, № 5.  
 კაკაბაძე ნ. — ლ. ფოიბტანგერის რომანი გოიას შესახებ, № 2.  
 კანდლიაკი ნ. — ილია ქავჭავაძე, როგორც მკვლევარი, № 5.  
 კანკავა გ. — ცხოვრების მშვენიერება და ხელოვანი, № 7.  
 კოპლაძე თ., ქუმბურიძე შ. — რუსულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ შესატყვისობათა დადგენისათვის, № 1.

- კოქლავეშვილი ა. — ილია ჭავჭავაძე და მრეწველობის საკითხები, № 5.  
 მაკვარიანი ვ. — ცხოვრება და სკოლა, № 7.  
 მესხი ი. — თავისი დროის ადამიანი, № 6.  
 ნაკაშიძე ნ., ბახტაძე ა. — ლენინური ეროვნული პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება, № 6.  
 ნატროშვილი გ. — განახლების მებაიარახტრე, № 5.  
 ფიქრიშვილი ი., კაკაბაძე დ. — ნაშრომი ამიერკავკასიის ხალხთა რევოლუციურ ბრძოლაზე, № 6.  
 ქავთარაძე მ. — რევოლუციური ტრადიციების სათავეებთან, № 6.  
 ქვაჩაია ვ. — მაიაკოვსკი პოეზიის პარტიულობის შესახებ, № 6.  
 უაუხნიშვილი ხ. — ქართული ფილოსოფიის ისტორია, № 4.  
 მიქოვანი ხ. — ილია ჭავჭავაძის ლირიკული ლექსები, № 5.  
 ციშვილი სარგის — ახალი მასალები და „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხი, № 1.  
 ციშვილი სოლომონ — ერთი მოგზაურობის ისტორიიდან, № 5.  
 ძიძიგური შ. — ილია ჭავჭავაძე და ქართული სალიტერატურო ენა, № 5.  
 ძიძიგური ნ. — ქართველ ფიზიოლოგთა თაოსნობით, № 6.  
 ჯინორია ი. — დადებითი გმიროს საკითხისათვის კრიტიკულ რეალიზმსა და რევოლუციურ-დემოკრატიულ რომანტიზმში, № 2.  
 ზანთაძე შ. — სამეგრელოში, ასი წლის წინათ, № 2.  
 ზიდაშელი შ. — ერთი „რეპლიკის“ გამო პეტრიწთან დაკავშირებით, № 7.  
 ზუხაშვილი გ. — ეპიკატური შემართების პოეზია, № 3.  
 ჭავჭავაძე ნ. — ესთეტიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხის გამო, № 1; ხალხი და პოეტი, № 5.  
 ჭუმბურიძე ჯ. — ილია და აკაკი, № 5.  
 ჭუმბურიძე ჯ. — „სალაყბო ფურცლების“ ავტორის გარშემო, № 3.

### წიგნის თარო

- ვერდუშვილი გ. — დადებითი გმიროს პრობლემისადმი მიძღვნილი ნაშრომი, № 4.  
 გიორგაძე ა. — სასარგებლო წიგნი, № 6.  
 გულბანი გ. — ვ. ი. ლენინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ, № 6.  
 დავითაძე ჯ. — მონოგრაფია ალამ მიცევიჩიზე, № 3.  
 ზედგინიძე დ. — უიარაღო თხზულებათა პირველი ტომი, № 7.  
 თვარაძე რ. — ანა კალანდაძის ლექსების წიგნი, № 3; რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია, № 7.  
 კუპრავა ნ. — აფხაზური პოეზიის ანთოლოგია, № 4.  
 ქართველიშვილი ნ. — ჰაინეს „მოგზაურობის სურათები“ ქართულად, № 3.  
 ყიფიანი ი. — თავისუფლებისათვის ბრძოლის მატთანის ფურცლები, № 6.  
 შატბერაშვილი გ. — სოლომონ ლიონიძის სიტყვა, № 4.  
 შუბლაძე მ. — ვ. კ. ორჯონიკიძის სტატიები და სიტყვები, № 6.  
 ჭანტურაია ჯ. — ხუტა ბერულავას ერთტომეული, № 3.  
 ხუციშვილი ა. — „ფარეგაობა“, № 7.

### სატირა და იუმორი

- აგიაშვილი ნ. — ვიცინოთ თუ ვიტროთ? № 5.  
 გოგოლაძე თ. — ნაწყვეტები მწერლებიდან, № 1.  
 დუმბავე ჯ. — შედეგებული სისხლი, № 3; კოსმოსი, № 6.  
 დუმბავე ჯ., აღფაიძე ი. — ფართოდ დავებრვით ტექნიკა ლიტერატურაში, № 1.  
 ლოლუა ჯ. — ნახატი-ხუმრობა, № 1, № 2, № 3.  
 სამსონია ალ. — განუფხელის ღამეს, № 2.  
 ფანჯიკიძე გ. — ავტორიტეტის ძალა, № 2.

### მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი

- ბეთანელი გ. — „საზრიანი კუ“, № 3.  
 უცხოეთის ქრონიკა, № 3.

### ჟოველი მხრიდან

- გამყრელიძე ალ. — ძველი ქართული მწერლობის შესწავლა უცხოეთში, № 2; კემბრიჯელი მეცნიერი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, № 3.  
 უცხოეთის კულტურული ცხოვრება (ქრონიკა) — № 1, № 2, № 3, № 4, № 7.





## ახალი წიგნები

### საბავშვო საპარტოელო

- ი. ჭავჭავაძე — თხზულებანი ერთტომეული, რედ. ე. ზუბიაშვილი, გვ. 542, ფასი 32 მან.
- ა. შირცხულავა — რჩეული, რედ. პლ. ბებია, გვ. 334, ფასი 8 მან. 50 კაპ.
- გ. ძნელაძე — ლექსები, რედ. ვ. ჯავახაძე, გვ. 108, ფასი 1 მან. 20 კაპ.
- ო. კელიძე — ორი პოემა, რედ. ვ. ჯავახაძე, გვ. 101, ფასი 2 მან. 25 კაპ.
- მ. მრევალიშვილი — მოსალოდნელი დასასრული, რედ. ირ. არაბული, გვ. 39, ფასი 85 კაპ.
- გრ. აბაშიძე — ლაშარეა, რედ. შ. სულაბერიძე, გვ. 328, ფასი 12 მან. 80 კაპ.
- საბაბათინ ალი — მგელი და კრავი, რედ. ც. ჩხეიძე, გვ. 221, ფასი 4 მან. 45 კაპ.
- ბ. ბელინსკი — რჩეული თხზულებანი, რედ. რ. ორჯონიკიძე, გვ. 838, ფასი 17 მან.
- წ. რუსთაველი — ვეფხისტყაოსანი, რედ. გ. გოგოლაძე, გვ. 344, ფასი 17 მან.

### საბავშვო

- ი. გრიშაშვილი — საბავშვო ლექსები, რედ. მ. ჭავჭავაძე, გვ. 78, ფასი 2 მან. 40 კაპ.
- პაოლო იაშვილი — ოთარ შოფერი, რედ. ვ. ძიძიგური, გვ. 14, ფასი 3 მან. 40 კაპ.
- მ. მრევალიშვილი — კიკლი-კიკლი კიბესა, რედ. ელ. გოგოლაშვილი, გვ. 15, ფასი 1 მან. 70 კაპ.
- შოი მღვამელი — ცეცხლები, რედ. ნ. კალანდარიშვილი, გვ. 30, ფასი 3 მან. 40 კაპ.
- ი. ჭავჭავაძე — ოთარაანთ ჭვრები, რედ. ნ. კალანდარიშვილი, გვ. 63, ფასი 3 მან. 40 კაპ.
- ოთხი დრო, კრებული, რედ. მ. ლეზინიძე, ე. ქარელიშვილი, მ. საყვარელიძე, გვ. 151, ფასი 7 მან. 30 კაპ.

### საბავშვო მწერალი

- მოსე გვასალია — არჩევნის ბილიკზე, — რედ. გ. ნატროშვილი, გვ. 232, ფასი 5 მან. 60 კაპ.
- რ. ბეჟანიშვილი — მოთხრობები, რედ. ე. ქარელიშვილი, გვ. 208, ფასი 5 მან. 10 კაპ.
- გ. ცეცხლაძე — ლექსები, პოემა, რედ. ს. ჩიქოვანი, გვ. 220, ფასი 6 მან. 30 კაპ.
- ტ. ტაბიძე — წერილები, ნარკვევები, რედ. გ. მარგველაშვილი, გვ. 237, ფასი 9 მან. 30 კაპ.
- კ. გოგიაშვილი — მხოლოდ ზოგაერთებს, რედ. აკ. ბელიაშვილი, გვ. 137, ფასი 2 მან. 10 კაპ.
- მ. მიქელაძე — მზე პირს იბანს, რედ. გრ. აბაშიძე, გვ. 195, ფასი 5 მან. 70 კაპ.
- რ. გამზატოვი — ლექსები (რჩეული), რედ. მ. აბაშიძე, ა. თევზაძე, გვ. 220, ფასი 4 მან. 50 კაპ.

### „ხელოვნება“

- ნ. ჯამბერიძე — საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის არქიტექტურა, რედ. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 37, ფასი 12 მან.
- კ. გოგოძე — ივანე პერესტიანი, რედ. ა. აღმაია, გვ. 44, ფასი 2 მან. 80 კაპ.
- წ. კაშმაძე — გადატეხილი სალამური, რედ. დ. კომპანიძე, გვ. 98, ფასი 6 მან.
- დ. კასრაძე — ალ. წუწუნავა, რედ. მ. დუდუჩავა, გვ. 113, ფასი 6 მან.



ბეჭდვით გამოვიდა დასაბეჭდად 17/II-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 792. უე 01774. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 8.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიკამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

3560 6 856.

3.9/60



ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„Ц И С К А Р И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ